სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები

CURRENT ISSUES OF NATIONAL SECURITY

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები

CURRENT ISSUES OF NATIONAL SECURITY

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

<u>სარედაქციო კოლეგია</u>

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი	
პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე
სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე	
პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
სარედაქციო კოლეგიის წევრები	
პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი
ალექსი ბურდულაძე	აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ნანი არაბული	აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ჭიაბრიშვილი	აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
რუსუდან დალაქიშვილი - ჭიჭინაძე	აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გიორგი სხირტლაძე	აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
ქეთევან კვესელავა	აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
რედაქტორი/კორექტორი	
ზურაბ მჭედლიშვილი	სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი
მთარგმნელი	
იზა ჯანიაშვილი	აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უცხო ენის მთარგმნელი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	
დავით სტეფანიშვილი	აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების უფროსი სპეციალისტი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2022

ISBN 978-9941-8-4586-4

Editorial Board

Head of the Editorial Board	
Colonel Davit Razmadze	Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Deputy Head of the Editorial Board	
Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of the Academy
Members of the Editorial Board	
Colonel Zurab Zerekidze	Head of Baccalaureate of the Academy
Aleksi Burduladze	Acting Head of Informatics Program of Baccalaureate of the Academy
Nani Arabuli	Associate Professors of Informatics Program of Baccalaureate of the Academy
Ketevan Chiabrishvili	Acting Head of Management Program of Baccalaureate of the Academy
Rusudan Dalakishvili - Chichinadze	Associate Professors of Management Program of Baccalaureate of the Academy
Giorgi Skhirtladze	Head of Defence and Security Program of Baccalaureate of the Academy
Ketevan Kveselava	Chief Scientist of Scientific-Research Center of the Academy
Tinatin Kropadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of the Academy
Editor/Corrector	
Zurab Mchedlishvili	Editor-in-Chief of Scientific-Research Center
Translator	
Iza Janiashvili	Foreign Language Translator of the Academy
Computer Designer	
Davit Stepanishvili	Senior Specialist in Training Courses of the Academy

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2022

სარჩევი

სახალხო დიპლომატიის გამოწვევები და შესაძლებლობები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში (1993 წლიდან დღემდე)
შალვა ბერიანიძე **9**

„სამი ზღვის ინიციატივა“ და საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები თანამედროვე ეტაპზე
შადიმან ბიწაძე **23**

კიბერუსაფრთხოების სამხედრო პოლიტიკური განზომილება 21-ე საუკუნეში
თორნიკე ზედელაშვილი **33**

გლობალიზაციის მიმართ არსებული უარყოფითი განწყობები პოპულისტურ ჭრილში
გაგა თუთარაშვილი **47**

რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შესაძლო სცენარები
ლევან ნიკოლეიშვილი **55**

რუსეთის სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ: ლიბერალიზმის კრიზისი
ნინო ოხანაშვილი **60**

საერთაშორისო სანქციების ეფექტურობა სამხედრო საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების გატარების პროცესში
პოლკოვნიკი პაატა სივსივაძე **69**

ტოტალური თავდაცვის სისტემა და გამოწვევები მისი განხორციელების გზაზე
გიორგი შაიშმელაშვილი **78**

სარიყამიშის ოპერაციის ერთი ეპიზოდი ჯარების დირექტიული მართვის ელემენტით. სისტემური მიდგომა თუ ქართული სინამდვილე?
არჩილ ჩაჩხიანი **86**

ნატო-ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტები და შესაძლებლობები
ქეთევან ჩახავა **104**

გლობალიზაციის როლი თანამედროვე მსოფლიოში, დადებითი და უარყოფითი ასპექტები
ნიკა ჩიტაძე **111**

საქართველო-იაპონიის ურთიერთობები და თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივები
პოლკოვნიკი მალხაზ ჯამურელი **119**

ქალების როლი მშვიდობის მშენებლობისა და უსაფრთხოების სექტორში (სამოქალაქო და სამხედრო კომპონენტის თვალსაზრისით)
ვიცე-პოლკოვნიკი ბესიკ ჯაჯანიძე **133**

CONTENT

CHALLENGES AND OPPORTUNITIES OF PUBLIC DIPLOMACY IN THE GEORGIAN-ABKHAZ AND THE GEORGIAN-OSSETIAN CONFLICTS (FROM 1993 TO PRESENT)
SHALVA BERIANIDZE **9**

"THREE SEAS INITIATIVE" AND CONTEMPORARY FOREIGN POLICY GOALS OF GEORGIA
SHADIMAN BITSADZE **23**

THE MILITARY-POLITICAL DIMENSION OF CYBER SECURITY IN THE 21ST CENTURY
TORNIKE ZEDELASHVILI **33**

NEGATIVE ATTITUDES TOWARDS GLOBALIZATION IN POPULIST TERMS
GAGA TUTARASHVILI **47**

POSSIBLE SCENARIOS FOR THE END OF THE RUSSIA-UKRAINE WAR
LEVAN NIKOLEISHVILI **55**

RUSSIA'S MILITARY AGGRESSION AGAINST UKRAINE: A CRISIS OF LIBERALISM
NINO OKHANASHVILI **60**

THE EFFECTIVENESS OF INTERNATIONAL SANCTIONS IN THE PROCESS OF TAKING PREVENTIVE MEASURES AGAINST MILITARY THREATS
COLONEL PAATA SIVSIVADZE **69**

TOTAL DEFENSE SYSTEM AND CHALLENGES ON THE WAY TO ITS IMPLEMENTATION
GIORGI SHAISHMELASHVILI **78**

ONE EPISODE IN THE BATTLE OF SARIKAMISH ALONG WITH THE ELEMENT OF DIRECTIVE LEADERSHIP. SYSTEMATIC APPROACH OR GEORGIAN REALITY?
ARCHIL CHACHKHIANI **86**

NATO – EUROPEAN UNION SECURITY POLICY PRIORITIES AND CAPACITIES
KETEVAN CHAKHAVA **104**

THE ROLE OF GLOBALIZATION IN THE MODERN WORLD. POSITIVE AND NEGATIVE ASPECTS
NIKA CHITADZE **111**

RELATIONS BETWEEN GEORGIA AND JAPAN AND COOPERATION PERSPECTIVES IN THE DEFENCE AND SECURITY SPHERE
COLONEL MALKHAZ JAMURELI **119**

THE ROLE OF WOMEN IN THE PEACEBUILDING AND SECURITY SECTOR CIVILIAN AND MILITARY COMPONENT
LIEUTENANT-COLONEL BESIK JAJANIDZE **133**

სახალხო დიპლომატიის გამოწვევები და შესაძლებლობები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში (1993 წლიდან დღემდე)

შალვა ბერიანიძე
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
აკადემიური წერის ცენტრის მოწვეული ლექტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს სახალხო დიპლომატიის როლი და მისი გამოწვევები და შესაძლებლობები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში. სახალხო დიპლომატია ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია, რათა სხვადასხვა სახელმწიფოების მთავრობებმა საკუთარი ინტერესების გავრცელებას სამშვიდობო პოლიტიკის პრაქტიკაში ხელი შეუწყონ. სახალხო დიპლომატიის ადგილი და როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ნაკლებად არის შესწავლილი. კვლევა ორიენტირებულია, შეისწავლოს სახალხო დიპლომატიის თითოეული აქტივობა, რომლებიც აფხაზეთში სამხედრო მოქმედეების შეწყვეტიდან დღემდე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიის ფარგლებში განხორციელდა. ნაშრომი ცდილობს, პასუხი გასცეს საკვლევ კითხვას: „რა გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დგას სახალხო დიპლომატია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტების შემთხვევაში?“. წინამდებარე ემპირიული კვლევა არის ერთგვარი მცდელობა, რომ სახალხო დიპლომატიის აქტორებისთვის გამოკვეთოს ძირითადი მიმართულებები და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთათვის რეკომენდაციები მომზადდეს. მეთოდოლოგია ეფუძნება სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებული წყაროების მრავალმხრივი ანალიზის მეთოდსა და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიის აქტორებთან/ექსპერტებთან ჩატარებულ ჩაღრმავებულ ინტერვიუებს. ემპირიული კვლევის ანალიზით დადგინდა რომ 1993 წლიდან დღემდე, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატია საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის ერთადერთ მუდმივმოქმედ მექანიზმად ჩამოყალიბდა. კვლევით გამოიკვეთა, რომ ქართულ-აფხაზურ სახალხო დიპლომატიას, ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიისგან განსხვავებით, აქვს დეცენტრალიზებული სტრუქტურა, რადგანაც ქართულ-აფხაზურ სახალხო დიპლომატიაში ჩართულია, როგორც ინდივიდები ისე არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება. ხოლო, ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატია, მხოლოდ ინდივიდებს აერთიანებს. სახალხო დიპლომატიის როლის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია, გადაიჭრას კვლევის შედეგად გამოკვეთილი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები, რომლებიც სახალხო დიპლომატიის ეფექტიანობას აფერხებს.

საკვანძო სიტყვები:
სახალხო დიპლომატია; საქართველო; აფხაზეთი; სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი; პოსტ-საბჭოთა კონფლიქტები; აღმოსავლეთ ევროპის საქმეები.

CHALLENGES AND OPPORTUNITIES OF PUBLIC DIPLOMACY IN THE GEORGIAN-ABKHAZ AND THE GEORGIAN-OSSETIAN CONFLICTS (FROM 1993 TO PRESENT)

SHALVA BERIANIDZE
PHD STUDENT IN POLITICAL SCIENCE
AND INVITED LECTURER FOR THE CENTRE OF ACADEMIC WRITING,
ILIA STATE UNIVERSITY (GEORGIA)

ABSTRACT

This paper aims to examine the role of public diplomacy and its challenges and opportunities in the Georgian-Abkhaz and the Georgian-Ossetian conflicts. Public diplomacy is a useful mechanism that the governments of many states should promote their interests in the practice of peace policy. There is a deficiency of scientific papers that research the place of public diplomacy in the process of conflict transformation. The objective goal of the study is to research chronologically public diplomacy activities, which have been launched within the Georgian-Abkhaz and the Georgian-Ossetian public diplomacy from the 1993 cessation of hostilities to present. The study is oriented to answer the research question: "Which factors build the challenges and opportunities of the public diplomacy in the cases of the Georgian-Abkhaz and the Georgian-Ossetian conflicts?". The contributed data is an attempt to provide directions for the actors of public diplomacy and suggest recommendations to the political decision-makers. The methodology is based on the multivariate analysis method of the sources related to public diplomacy and in-depth interviews with the experts and actors of the Georgian-Abkhaz and the Georgian-Ossetian public diplomacy. Based on the research as a conclusion, it should be clarified that the Georgian-Abkhaz and the Georgian-Ossetian public diplomacy has been the only permanent mechanism of the peace-making policy of the government of Georgia. Both of them have a four-phase system, however the Georgian-Abkhaz public diplomacy has a decentralized structure, instead of Georgian-Ossetian public diplomacy, because the Georgian-Abkhaz public diplomacy includes individual actors, non-governmental organizations, and civil society and the Georgian-Ossetian public diplomacy combines only individual actors. To enlarge the role of public diplomacy in these conflicts, it is determined to elucidate the presented endogenous and exogenous factors that obstruct the effectiveness of public diplomacy.

KEYWORDS:
Public Diplomacy; Georgia; Abkhazia; South Ossetia/Tskhinvali Region; Post-Soviet Conflicts; Eastern European Affairs.

შესავალი

სახალხო დიპლომატიას არაერთი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მათ შორის, სამშვიდობო პოლიტიკის პრაქტიკაში მისი გამოყენება რეკომენდირებულია მრავალი სახელმწიფოს მთავრობის მიერ (Diamond and McDonald 1996, 34). თუმცა, მწირია სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც სახალხო დიპლომატიის ადგილს შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში სწავლობს. კვლევის მიზანია ერთი მხრივ, ქრონოლოგიურად შეისწავლოს ყველა ის აქტივობა, რომლებიც აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტიდან დღემდე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიის ფარგლებში განხორციელდა და მეორე მხრივ, გამოიკვეთოს საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონი არსებული ყველა ის ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს სახალხო დიპლომატიის ფუნქციონირებას.

აფხაზეთისა (1992-1993) და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონი[1] (1991-92, 2004 და 2008) კონფლიქტების შედეგად, რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ტერიტორიების 20%-ზე მეტის ოკუპაცია განახორციელა. დღესდღეობით, საერთაშორისო არენაზე ეს რეგიონები აღქმულია, როგორც სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური რეგიონები ან პოსტსაბჭოთა სივრცის გაყინული კონფლიქტები.[2] 2009 წელს, ევროკავშირმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკა შეიმუშავა (Fischer 2010, 1). არაღიარების პოლიტიკის ერთ-ერთ წარმატებად ითვლება ტუვალუსა და ვანუატუს მიერ 2013-14 წლებში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმება (RFE 2014). ჩართულობის პოლიტიკა მეტწილად არაეფექტიანია, რაც განაპირობებულია, ერთი მხრივ, აფხაზური და ოსური პოლიტიკური ელიტის მხრიდან საქართველოს მთავრობის პოლიტიკური ელიტის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულებით და მეორე მხრივ, სახელმწიფო დონის მოლაპარაკებებით (ჟენევის ფორმატი), რომლებიც კონფლიქტის დარეგულირებასა და ტრანსფორმაციაში ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა.

სამშვიდობო პოლიტიკის მუდმივობის მოწინავე ფლანგზე რჩება ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი და ჰუმანიტარული ფონდები, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი ინდივიდები, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობასთან ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობენ (ეს კი სახალხო დიპლომატიის საქმიანობას ქმნის). ნაშრომი ცდილობს, პასუხი გასცეს საკვლევ კითხვას: „რა გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დგას სახალხო დიპლომატია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტების შემთხვევაში?“. ემპირიული კვლევა განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუებით, რომლებიც საექსპერტო წრეებისა და საერთაშორისო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩაიწერა. ინტერვიუების მონაწილეები პირდაპირ ან ირიბად, ჩართულია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ სახალხო დიპლომატიის ფუნქციონირების პროცესში. ისინი ინდივიდუალურად

1 ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

2 ასევე, მათ ,,კვაზი-სახელმწიფოებადაც“ მოიხსენიებენ

გამოიკითხნენ და შეგროვებული პირველადი მონაცემები მრავალმხრივი ანალიზის მეთოდით დამუშავდა (Bryman 2016). კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ ქართულ-აფხაზურ სახალხო დიპლომატიას, ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიისგან განსხვავებით, დეცენტრალიზებული სტრუქტურა ახასიათებს, რადგანაც მასში ერთიანდება, როგორც ინდივიდები ისე არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება. ხოლო, ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიაში მხოლოდ ინდივიდები გვხვდება.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიის დროითი წრფივი

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები ერთმანეთს მოტივით (სეპარაცია/ეთნიკური კონფლიქტი) ჰგავს, თუმცა მათი მახასიათებლები და მიმდინარეობა ერთმანეთისგან განსხვავდება. შესაბამისად, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატია ერთი და იგივე ინსტრუმენტების გამოყენებით არ მიმდინარეობს. ქართულ-აფხაზურმა და ქართულ-ოსურმა სახალხო დიპლომატიამ გაიარა (შეიცვალა ფორმები/დონეები) კონფლიქტური პერიოდის ოთხი დროითი ფაზა.

ფაზა I: 1993 წლიდან 2003 წლამდე: აფხაზეთში სამხედრო მოქმედებები 1993 წლის 30 სექტემბერს შეწყდა. აფხაზებმა კონფლიქტი შეაფასეს, როგორც განმათავისუფლებელი ომი, ხოლო ქართველებისთვის ეს იყო ომი აფხაზეთში რუსეთთან. 1994-95 წლებში, ბრიტანული ორგანიზაციის ხელშეწყობით ქართველები, აფხაზები და ოსები ომის შემდგომ პირველად, აჭარაში შეხვდნენ ერთმანეთს. აფხაზები და ოსები დათანხმდნენ შეხვედრას, რადგან აჭარას მართავდა ასლან აბაშიძე, რომელიც იმდროინდელი საქართველოს მთავრობის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობით გამოირჩეოდა. შეხვედრის ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ მონაწილეებს პიროვნულ დონეზე ერთმანეთთან პრობლემა არ ჰქონდათ, რეალურ პრობლემად მხარეები რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას ასახელებდნენ. ამ პერიოდში, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობამ“, აჭარაში სამშვიდობო ბანაკების შექმნა დაიწყო. პროცესმა აფხაზური და ოსური მხარეები დარწმუნა, რომ აღნიშნულ ბანაკებში სიტუაციის არანაირი პოლიტიზირება არ ხდებოდა. აფხაზები და ოსები ქართულ მხარეს თანამშრომლობაზე დათანხმდნენ და აფხაზი და ოსი ტრენერებიც კი გაგზავნეს ამ სამშვიდობო ბანაკებში.[3] აღწერილი ფაქტი მაგალითია, რომ კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულებისთანავე მოქმედებას იწყებს სახალხო დიპლომატია. აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს დიპლომატიის მეზო (საზოგადოებრივი ორგანიზაცია) დონეს და იგი თანხვედრაშია სახალხო დიპლომატიის მოთამაშეთა სამ სოციალურ დონესთან (მიკრო, მეზო და მაკრო) (Auer and Srugies 2013, 15). აღნიშნულ მოდელში ერთიანდება ყველა ის მონაწილე, ვინც შეიძლება ჩართული იყოს სახალხო დიპლოამტიაში (დანართი 1). სახალხო დიპლომატიას ახასიათებს დეცენტრალიზებული სტრუქტურა, რაც ამტკიცებს რომ იგი სოციალური ქვესისტემაა და ინდივიდუალურ და რთულ აქტორებს წარმოქმნის.

1997 წლიდან ჩნდებიან სამოქალაქო აქტივისტები (სახალხო დიპოლმატიის მაკრო დონე) და სხვადასხვა დაჯგუფება (მეზო დონე), რომელთა საქმიანობამაც, გააქტიურა სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ფორმები. აკადემიური წრეების წარმომადგენლების

3 ავტორის ინტერვიუ ჯულია ხარაშვილთან, თბილისი, 11.05.2021

ჩართულობამ აფხაზურ მხარესთან საერთო ენის გამონახვა უფრო მეტად დააჩქარა. ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩართული იყო კალიფორნიის უნივერსიტეტი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, ბრიტანეთიდან წარმოდგენილი იყო, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. სახალხო დიპლომატიის ამ ფორმებმა გარკვეულწილად ხელი შეუეწყო საჯარო მოლაპარაკებებს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატია ყველაზე ეფექტურად მუშაობდა პირველ ფაზაში, როდესაც იმდროინდელი საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ქართველ და აფხაზ მსახიობებს, სპორტსმენებს, მწერლებს, აკადემიკოსებსა და სხვა საბჭოთა ელიტური წრეების წევრებს მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე ერთმანეთს ახვედრებდა.[4] 1998 წელს შემუშავდა აფხაზური ენის სახელმწიფო სტატუსის დამკვიდრების პროგრამა, მის ფარგლებში, პირველი პროექტი იყო რადიო ,,ჰარა", რომელიც 1999 წლის თებერვლიდან 2007 წლამდე, აფხაზურ ენაზე მოკლე ტალღებს გადასცემდა აფხაზეთში.[5] 1999 წლის 24 დეკემბერს, ქართველებმა და აფხაზებმა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი" დააფუძნეს. ამ ორგანიზაციის დახმარებით ედუარდ შევარდნაძემ აფხაზები The Global Fund-ის დაფინანსებულ სმედიცინო მომსახურების პროგრამაში ჩასვა.[6]

1999 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, ავსტრიაში ,,შლაინიგნგის პროცესი" დაიწყო. პროცესში, არაფორმალური დიალოგის ფორმატით, ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსებს იწვევდნენ, რათა წარმართულიყო ქართულ-აფხაზური არაფორმალური სამშვიდობო დიალოგი. ამ პროექტის ფარგლებში, ქართველებმა აფხაზეთის საგანგებო სტატუსის კონცეფცია შეიმუშავეს, ხოლო აფხაზებმა - ,,მომავლის გასაღების", რომლის მიზანსაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირება და ფუნდამენტურად ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება წარმოადგენდა.[7] აღნიშნული პროექტი შესაძლოა, უარყოფითად შეფასდეს, ,,რადგანაც ეს უფრო მეტად ტურიზმის სფერო იყო და რეალურ შედეგს არ იძლეობა."[8] პირველ ფაზაში ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატიის სახელმწიფოსთან კოორდინირების მცდელობები უფრო მეტად იკვეთება, ვიდრე - ქართულ-ოსურის. ეს შეიძლება, იმით აიხსნას, რომ ომი აფხაზეთში ახალი დასრულებული იყო და მხარეები ცდილობდა კონფლიქტის გადაჭრას მათთვის სასურველი შედეგით.

ფაზა II: 2003 წლიდან 2008 წლამდე: ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატია მეორე ფაზაში, პირველი ფაზისგან განსხვავებით, ნიადაგშეცვლილი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, სახალხო დიპლომატიის თვითმობილიზება მოუწია შეცვლილ პოლიტიკურ ლანდშაფტზე - ,,ვარდების რევოლუციის" (2003) შედეგად ხელისუფლება შეიცვალა. საქართველომ საგარეო პოლიტიკის კურსი დასავლეთისკენ აიღო, აფხაზეთში გაძლიერდა რუსული კონტროლი, რასაც ცხინვალის რეგიონში 2004 წლის კრიზისი მოჰყვა. 2003 წლიდან,

4 ავტორის ინტერვიუ მამუკა კომახიასთან, თბილისი, 30.04.2021
5 აღიშნული ქმედებები შეიძლება მიკუთვნებული იყოს მაკრო დონის სახალხო დიპლომატიასთან.
6 ავტორის ინტერვიუ ზურაბ შენგელიასთან, თბილისი, 08.05.2021
7 ავტორის ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან, თბილისი, 30.04.2021
8 ავტორის ინტერვიუ ბექა კობახიძესთან, თბილისი, 07.05.2021

მთავრობის გადაწყვეტილებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით აფხაზეთში სამედიცინო მომსახურების პროექტების განხორციელება დაიწყო. იგი მოიცავდა მოსახლეობის ჰუმანიტარულ დახმარებას. პროგრამა (თუ პროექტი) ქართული და აფხაზური მხარეების პარტნიორობის საფუძველზე, ევროკავშირის ხელშეწყობით 2012 წლამდე ხორციელდებოდა.[9] ეს იმას ადასტურებს რომ სახალხო დიპლომატია მეზო და მაკრო დონეზე ფუნქციონირებდა (დანართი 1).

2003-2007 წწლებში, ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის (ძირითადად მოზარდების) სარეაბილიტაციო პროგრამა (მიკრო დონე). ამ პროექტის ერთ-ერთ წარმატებად ითვლება ის, რომ ცხინვალიდან ოსი პარტნიორები ჩამოვიდნენ ქართველ პარტნიორებთან და ერთობლივი გეგმის შემუშავება შეძლეს. ამის შემდგომ, ერევანში დაფუძნდა ქართულ-ოსური სამოქალაქო ფორუმი, თუმცა, 2008 წლის ომმა მათ ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა იქონია.[10]

ფაზა III: 2008 წლიდან 2012 წლამდე: რუსეთ-საქართველოს ომის (2008) დროს, სახალხო დიპლომატიამ ფორმა კიდევ შეიცვალა და შედარებით უფრო დაიხვეწა, ვიდრე - 1993 წელს. აგვისტოს ომის დროს, სახალხო დიპლომატიის წარმომადგენლები აანალიზებენ, რომ საომარი მოქმედებების დროს სახალხო დიპლომატიის მშვიდობის შენების (Peacebuilding) პროცესი ვერ დაიწყება, ვიდრე კონფლიქტი არ გადაიჭრება. თანაც ამ პერიოდში აქტიურად ინიცირდება ჰუმანიტარული დახმარების (Emergency Assistance) პროგრამები, რაც ხელს უწყობს კრიზისის მართვას და მშვიდობიანი გარემოს შექმნას (Peacemaking).[11] 2004 წლის ივნისში, საქართველოს შეიარაღებული ძალების გორში გამოჩენამ, ერთი მხრივ, მოსახლეობის აღფრთოვანება და ცხინვალში ჰუმანიტარული შტურმი გამოიწვია, თუმცა, მეორე მხრივ, ამ მოქმედებებს მოჰყვა ცხინვალის კრიზისი, როდესაც ედუარდ კოკოითმა ამ მოქმედებების პასუხად ცეცხლის გახსნის ტაქტიკა აირჩია. 2009 წელს, რუსეთის ფედერაციის მიერ მანდატზე ვეტოს დადების გამო, გაეროს მისიას არ მიეცა მონიტორინგის საშუალება ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვართან. ეს ფაქტი უარყოფითად აისახა სახალსო დიპლომატიის ეფექტურობაზე.[12]

2011 წელს, განხორციელდა პროექტი ,,ექს-კომბატანტები არაძალადობისათვის", რომლის ფარგლებშიც 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე ყოფილი ქართველი და ოსი მეომრები ერთმანეთს სტამბულში შეხვდნენ. მხარეებმა მშვიდობიანი მოლაპარაკებები გამართეს და ერთმანეთს საკუთარი ხედვები გააცნეს (მიკრო და მეზო დონე). პროექტს მხარს უჭერდა, პროგრამა COBERM-ი, რომელსაც აფინანსებდა ევროკავშირი და ადმინისტირებას უწევდა გაეროს განვითარების პროგრამა.[13]

ფაზა IV: სახალხო დიპლომატია 2012 წლიდან დღემდე: 2012 წლიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა. მმართველი პარტია ,,ნაციონალური მოძრაობა" შეცვალა ,,ქართულმა ოცნებამ". დამოკიდებულება ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ უფრო პასიური გახდა. თუ პირველ, მეორე და

9 ავტორის ინტერვიუ მარიამ ჯიშკარიანთან, თბილისი, 15.05.2021
10 ავტორის ინტერვიუ მარინა მეშვილდიშვილთან, თბილისი, 18.05.2021
11 ავტორის ინტერვიუ ჯულია ხარაშვილთან, თბილისი, 11.05.2021
12 ავტორის ინტერვიუ შორენა ლორთქიფანიძესთან, თბილისი, 19.05.2021
13 ავტორის ინტერვიუ მარინა მეშვილდიშვილთან, თბილისი, 18.05.2021

მესამე ფაზაში აქტიურად შეიმჩნეოდა სახალხო დიპლომატიის ქმედებები, რომლებიც გარკვეულწილად კოორდინირებული იყო მთავრობასთან (მეზო და მაკრო დონეები), 2012 წლიდან სახალხო დიპლომატიის როლი სამოქალაქო საზოგადოებამ სრულად აიღო საკუთარ თავზე (მიკრო და მეზო დონე). 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, აფხაზებშიც და ოსებშიც უნდობლობის ხარისხი საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ კრიტიკულად გაიზარდა. სრულ თვითიზოლაციაში მოექცა ცხინვალის რეგიონი და მასთან საქართველოსთან კავშირი თითქმის გაწყდა. აფხაზეთში შედარებით უკეთესად ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოების გამო, დაიწყო სხვადასხვა ტიპის პოლიტ-ეკონომიკური პროცესები. 2014 წლის სოჭის ოლიმპიადისთვის მზადების პროცესში, სოხუმიდან ბევრი ადგილოვრივი სომეხი სამუშაოდ სოჭში წავიდა და მათი სამუშაო ადგილები გალში მცხოვრებმა ქართველებმა დაიკავეს. სამუშაო ძალის ადგილმონაცვლეობამ კონტაქტების გაღრმავებასა და ქართველებთან ერთად ვაჭრობის მცდელობებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.[14] 2015 წელს, გალის სკოლებში ქართულად სწავლების აკრძალვისა და 2016 წელს, აფხაზი მესაზღვრის მიერ იძულებით გადაადგილებული გიგა ოთხოზორიას განზრახ მკვლელობის შემდეგ, გართულდა აფხაზეთთან საუბარი.[15]

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონში სახალხო დიპლომატია განსხვავებულად მიმდინარეობს (სხვადასხვა დონეები). ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც სამხრეთ ოსეთშია/ცხინვალის რეგიონი წარმოდგენილი არის ,,წითელი ჯვარი", რომელიც ლიმიტირებულად ფუნქციონირებს.[16] სახალხო დიპლომატიას აფეერხებს რუსეთის ფაქტორიც, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონი ფიზიკურად (სამხედრო ბაზები, ეკონომიკა, დაფინანსება) არის წარმოდგენილი.[17] სიტუაციას ართულებს ისიც, რომ საქართველოს მთავრობას არ აქვს ჩამოყალიბებული ეფექტური სტრატეგია, თუ როგორ უნდა მოიქცეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონის კონფლიქტური რეგიონების მიმართ, იქ მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროცესების გათვალისწინებით.[18]

აფხაზეთისგან განსხვავებით, ცხინვალის საზღვარზე ბევრად უფრო მეტი ხალხი გადადის საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიების მიმართულებით (სახალხო დიპლომატიის მიკრო ანუ ინდივიდუალური დონე, მაგრამ არ არის მეზო და მაკრო). ისინი გადაადგილდებიან საქმეზე, მიდიან ნათესავებთან, ახლობლებთან, სხვადასხვა სადღესასწაულო დღის აღსანიშნავად ან/და დასასვენებლად. ეს კავშირები ოსებსა და ქართველებს შორის არ გაწყვეტილა და ის საკმაოდ ძლიერ სოციალურ ქსელს ქმნის სახალხო დიპლომატიის გაძლიერებისათვის.[19] ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიის ფარგლებში განხორციელებული პროგრამები არ არის სავალდებულო, ხელისუფლებამ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანოს.

14 ავტორის ინტერვიუ ზურაბ შენგელიასთან, თბილისი, 08.05.2021
15 ავტორის ინტერვიუ ზურაბ პაპასქირთან, თბილისი, 12.06.2021
16 ავტორის ინტერვიუ შოთა უტიაშვილთან, თბილისი, 10.05.2021
17 ავტორის ინტერვიუ ზაზა ცოტნიაშვილთან, თბილისი, 30.04.2021
18 ავტორის ინტერვიუ კონსტანტინე გაბაშვილთან, თბილისი, 04.05.2021
19 ავტორის ინტერვიუ შოთა უტიაშვილთან, თბილისი, 10.05.2021

დღესდღეობით, ისედაც არ არის იმის მოლოდინი, რომ სახალხო დიპლომატიის ინსტრუმენტები და შედეგები აუცილებლად სახელმწიფო პოლიტიკაზე აისახება. სახელმწიფო დონეზე შესაძლებელია, მოისინჯოს გარკვეული ტაქტიკები, რაც ხელისუფლებას მასშტაბურად ჯერ არ გამოუყენებია.[20]

არასამთავრობო ორგანიზაცია, ,,ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია", რომელიც ჰუმანიტარულ სამედიცინო დახმარების პროექტებს ახორციელებს აფხაზეთში. წლის განმავლობაში დაახლოებით 500 აფხაზი ჩამოდის საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და იღებს უფასო სამედიცინო დახმარებას (რაოდენობა გაცილებით ნაკლებია ოსების შემთხვევაში).[21] სახალხო დიპლომატის ეს მიმართულება, ბოლო წლებია საქართველოს მთავრობის ქოლგის ქვეშ აღმოჩნდა, რადგანაც ორგანიზაცია პროექტს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობით ახორციელებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახალხო დიპლომატიის სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად გადაქცევასთან, ანუ პირველი დონის დიპლომატიად გარდაქმნასთან. მეოთხე ფაზის ანალიზით გამოიკვეთა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიის ეფექტიანობის ხელისშემშლელი და ხელშემწყობი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები (დანართი 2), რომელთაგან აღსანიშნავია აფხაზური და ოსური საზოგადოების უნდობლობა საქართველოს მთავრობის პოლიტიკური აქტორების მიმართ და რუსეთის ფაქტორი.

დასკვნა

კვლევამ დაადასტურა, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტიდან (1993) დღემდე, სახალხო დიპლომატია საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის ერთადერთ მუდმივმოქმედ მექანიზმად ჩამოყალიბდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონის მიმართ, რადგანაც მისი ფუნქციონირება, სამთავრობო მოლაპარაკებების/ინიციატივებისგან განსხვავებით არასდროს შეწყვეტილა. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი გამოწვევაა (დანართი 2) აფხაზური და ოსური საზოგადოების უნდობლობა საქართველოს მთავრობის ინსტიტუტების მიმართ (ენდოგენური ფაქტორი) და რუსეთის აქტიური ჩარევა კონფლიქტურ რეგიონებში (ეგზოგენური ფაქტორი).

კვლევის ემპირიული შედეგები თანხმობაშია სახალხო დიპლომატიის მოთამაშეთა სამი სოციალური დონის (მიკრო, მეზო და მაკრო) კონცეფციასთან (დანართი 1). დღესდღეობით ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატია ფუნქციონირებს სამივე სოციალურ დონეზე, ხოლო შეზღუდული რესურსების გამო (არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა) ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიის პროცესი მხოლოდ ინდივიდების (მიკრო) დონეზე მიმდინარეობს. კვლევამ გამოკვეთა, რომ ქართულ-აფხაზურ სახალხო დიპლომატიას, ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიისგან განსხვავებით, აქვს დეცენტრალიზებული სტრუქტურა

20 ავტორის ინტერვიუ გია ნოდიასთან, თბილისი, 10.05.2021

21 ავტორის ინტერვიუ ალუ გამახარიასთან, ქუთაისი, 22.05.2021

და იგი წარმოქმნის, როგორც ინდივიდუალურ ისე ორგანიზაციულ აქტორებს, ხოლო ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატია აერთიანებს, მხოლოდ ინდივიდუალურ მოთამაშეებს. სახალხო დიპლომატიის ეფექტიანობის გაზრდის მცდელობები ერთი და იმავე მექანიზმების გამოყენებით არ იქნება წარმატებული. მნიშვნელოვანია, რომ ეფექტიანობის გაზრდის საერთო სტრატეგიული პრინციპები ითვალისწინებდეს კონფლიქტის დროს სახალხო დიპლომატიის კონკრეტულ დონეებს. კვლევამ კარგად გამოკვეთა ქართულ-აფხაზური და ქართულ ოსური სახალხო დიპლომატიის განსხვავებული სტრუქტურული ფორმები და ახსნა მათი ამგვარად ფუნქციონირების ხასიათი.

დანართი

დანართი 1: სახალხო დიპლომატიის აქტორები (მოთამაშეები)[22]

დონე	ტიპი	მანიფესტაცია	გავლენიანი სტრუქტურა
მიკრო	ინდივიდუალური აქტორი	როლის შემნარჩუნებელი (მოქალაქე, ორგანიზაციული როლი)	აქტორის თანამონაწილეობა
მეზო	კომპლექსური აქტორები	ეკონომიკური / პოლიტიკური სოლიდარობის ჯგუფები / ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, ასოციაციები)	ინსტიტუციური სტრუქტურები
		საერთო კეთილდღეობაზე ორიენტირებული ორგანიზაციები (ჯგუფები, საზოგადოება, კლუბები)	
		ინტერესთა ორგანიზაციები (სოციალური და საპროტესტო მოძრაობები, არასამთავრობო ორგანიზაციები)	
		საზოგადოებრივი ორგანიზაციები (არჩეული საბჭოები, სახელმწიფო ადმინისტრაცია)	
		ეკონომიკური ერთიანი ორგანიზაცია /კომპანია	
მაკრო	სოციალური ქვესისტემა, როგორც აქტორი (პოლიტიკა)		ქვესისტემური ორიენტაციის ჰორიზონტი
	საზოგადოება, როგორც აქტორი		

დანართი 2: ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალხო დიპლომატიის

22 Claudia Auer and Alice Srugies, "Public Diplomacy in Germany, Actors of public diplomacy", CPD Perspectives on Public Diplomacy, Paper 5, The USC Center: (Figueroa Press: Los Angeles, 2013). 17. https://bit.ly/3wxraCr (08.06.2022) (ავტორის თარგმანი).

ეფექტურობის შემაფერხებელი ფაქტორები[23]

დანართი 2.1: საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია

საკვლევი სივრცე	1. ენდოგენური ფაქტორი
საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია	1.1 ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი არაეფექტური სახელმწიფო სტრატეგია; 1.2 პოლიტიკური ელიტების ანტაგონისტური დამოკიდებულება სეპარატისტულ რეგიონების პოლიტიკური ელიტების მიმართ; 1.3 სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის კოორდინირების სიმცირე; 1.4 საზოგადოების ნაკლები ინტერესი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ (მეოთხე ფაზა); 1.5 იძულებით გადაადგილებული პირები და მათ კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხები.
	2. ეგზოგენური ფაქტორი
	1.1 რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო, გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე; 1.2 ოკუპირებულ რეგიონებთან ჩაკეტილი საზღვრების გამო, ინვესტიციებისა და დასავლური ფონდების სიმწირე.

23 შედგენილია ავტორის მიერ

დანართი 2.1: აფხაზეთი

საკვლევი სივრცე	1. ენდოგენური ფაქტორი
აფხაზეთი	1.1 საზოგადოებაში საქართველოს მთავრობის ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის მაღალი დონე; 1.2 ე.წ აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციიდან თბილისთან მოლაპარაკებების გაუქმება; 1.3 ნათესაური კავშირების სიმწირე აფხაზებსა და ქართველებს შორის, რაც განაპირობებს აფხაზების მიმოსვლის ნაკლებ სიხშირეს საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე (მიკრო დონე); 1.4 აფხაზების სკეპტიციზმი ქართველების მიმართ აფხაზეთის დამოუკიდებლობის არაღიარების გამო; 1.5 აფხაზური პოლიტიკური ელიტის ანტაგონისტური დამოკიდებულება საქართველოს მთავრობის პოლიტიკური ელიტის მიმართ.
	2. ეგზოგენური ფაქტორი
	2.1 რუსეთის ჩარევა და ფიზიკური ყოფნა (აფხაზეთის ჩაკეტილი საზღვარი და გადაადგილების შეზღუდვა საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე); 2.2 რუსეთის მცდელობა, რომ აფხაზური სამოქალაქო სექტორის სუბიექტები გამოცხადდნენ უცხო ქვეყნის აგენტებად.

დანართი 2.1: სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი

საკვლევი სივრცე	1. ენდოგენური ფაქტორი
სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი	1.1 საზოგადოებაში საქართველოს მთავრობის ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის მაღალი დონე; 1.2 არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი; 1.3 ოსური პოლიტიკური ელიტის ანტაგონისტური დამოკიდებულება ცენტრის პოლიტიკური ელიტის მიმართ;
	2. ეგზოგენური ფაქტორი
	2.1 რუსეთის ჩარევა და ფიზიკური ყოფნა (ახალგორში ჩაკეტილი საზღვარი და გადაადგილების შეზღუდვა საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე); 2.2 რუსული სამხედრო ბაზები და სამხედრო გზა, რაც ქმნის გარკვეულ კონტროლს და ართულებს მშვიდობიან მოსახლეობასთან კომუნიკაციას ინდივიდუალურ დონეზე (მიკრო დონე).

გამოყენებული ლიტერატურა

• Auer, Claudia and Srugies, Alice. (2013). Public Diplomacy in Germany. CPD Perspectives on Public Diplomacy. Paper 5. The USC Center: Figueroa Press, Los Angeles https://bit.ly/3wxraCr [Latest retrieved 2022-05-14]

• Bryman, A. (2016). The nature of qualitative research. Social research methods. New York: Oxford University Press. Ch. 17. Ed. IV. 379-414.

• Diamond, Louise, and McDonald, John. (1996). Multi-Track Diplomacy: A Systems Approach to Peace. Kumarian Press. NY. 3rd Edition.

• Fischer, Sabine. (2010). The EU's non-recognition and engagement policy towards Abkhazia and South Ossetia. Seminar reports. European Union Institute for Security Studies. https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/NREP_report.pdf [Latest retrieved 2022-05-17]

• Mapendere, Jeffrey. (2000). Track One and a Half Diplomacy and the Complementarity of Tracks. COPOJ – Culture of Peace Online Journal. 2. n 1. 66-81. . https://bit.ly/3wI3Zpg [Latest retrieved 2022-05-17]

• Pisarska, Katarzyna. (2016). The Domestic Dimension of Public Diplomacy: Evaluating Success through Civil Engagement. London: Springer Nature

• RFE/RL. (2014). Tuvalu Retracts Recognition Of Abkhazia, South Ossetia. https://bit.ly/3gEfmsy [Latest retrieved 2022-05-17]

ჩაღრმავებული ინტერვიუები

• ინტერვიუ ალუ გამახარიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია" დამფუძნებელი და დირექტორი. ქუთაისი. 22.05.2021

• ინტერვიუ ბექა კობახიძესთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი. თბილისი. 07.05.2021

• ინტერვიუ გია ნოდიასთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. თბილისი. 10.05.2021

• ინტერვიუ გიორგი კანაშვილთან, კონფლიქტოლოგი. თბილისი. 21.05.2021

• ინტერვიუ ზაზა ცოტნიაშვილთან, ჟურნალისტიკის პროფესორი, კონფლიქტოლოგი. თბილისი. 30.04.2021

• ინტერვიუ ზვიად აძინბაიასთან, ფლეტჩერის სკოლის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ციფრული დიპლომატიის მკლევარი. თბილისი. 12.05.2021

• ინტერვიუ ზურაბ პაპასქირთან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. 12.06.2021

• ინტერვიუ ზურაბ შენგელიასთან, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის“ დირექტორი. თბილისი. 08.05.2021

• ინტერვიუ თამარ მეარაყიშვილთან, სამოქალაქო აქტივისტი ცხინვალის რეგიონში. ახალგორი. 19.05.2021

• ინტერვიუ ჯულია ხარაშვილთან, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობის“ თავმჯდომარე. თბილისი. 11.05.2021

• ინტერვიუ კონსტანტინე გაბაშვილთან, დიპლომატი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი. თბილისი. 04.05.2021

• ინტერვიუ მამუკა კომახიასთან, რონდელის ფონდის მკვლევარი. თბილისი. 30.04.2021

• ინტერვიუ მარიამ ჯიშკარიანთან, არასამთავრობო ორგანიზაცია, წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრ ,,ემპათიას” დირექტორი. თბილისი. 15.05.2021

• ინტერვიუ მარინა მეშვილდიშვილთან, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მომავლის ცხინვალის“ თავმჯდომარე. თბილისი. 18.05.2021

• ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი. თბილისი. 30.04.2021

• ინტერვიუ შოთა უტიაშვილთან, რონდელის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. თბილისი. 10.05.2021

• ინტერვიუ შორენა ლორთქიფანიძესთან, საერთაშორისო ურთიერთობებისა და კონფლიქტების მკვლევარი. თბილისი. 19.05.2021

„სამი ზღვის ინიციატივა“ და საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები თანამედროვე ეტაპზე

შადიმან ბიწაძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

გეოპოლიტიკის კლასიკოსების მიერ შემუშავებული მოდელები ხშირ შემთხვევაში დღესაც აქტუალურია და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გატარების დროს მათი გათვალისწინება არა მარტო სასურველია, არამედ აუცილებლობასაც კი წარმოადგენს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაა და აღნიშნული კუთხით გარკვეული წარმატებები სახეზეა, რაც იმის უდავო მაჩვენებელია, რომ საგარეო-პოლიტიკური ვექტორი სწორადაა შერჩეული. საბოლოო მიზნის მიღწევის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ უდავო ჭეშმარიტებაზე, რომლის მიხედვითაც გლობალური დაპირისპირების შემთხვევაში იცვლებიან ტექნოლოგიები და მასშტაბები, ხოლო მთავარი პოლიტიკური აქტორები უცვლელნი რჩებიან. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აღმოსავლეთ ევროპის ანუ ბალტია-შავი ზღვის გეოპოლიტიკური ღერძის მნიშვნელობა პლანეტარული დაპირისპირების ჭრილში.

სტატიაში განხილულია აღნიშნული „სანიტარული კორდონის“ მნიშვნელობის გათვალისწინებით შექმნილი გეოპოლიტიკური მოდელების დანიშნულება, რომლებიც პრინციპში ერთმანეთის სახეცვლილ ვარიაციებს წარმოადგენენ და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ და ასრულებენ დღესაც, როგორც მთლიანად რეგიონის, ისე ცალკეული სახელმწიფოს, კონკრეტულად კი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში.

საკვანძო სიტყვები:
აღმოსავლეთ ევროპა, პოლიტიკური აქტორები, „სანიტარული კორდონი“, გეოპოლიტიკური მოდელები.

"THREE SEAS INITIATIVE" AND CONTEMPORARY FOREIGN POLICY GOALS OF GEORGIA

SHADIMAN BITSADZE
ASSOCIATE PROFESSOR OF THE MASTER'S OF SECURITY STUDIES OF DAVID AGMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA.

ABSTRACT

The models developed by the classics of geopolitics are often relevant today and considering them in the country's foreign policy making process is not only desirable, but necessary.

The main goal of Georgia's foreign policy is the country's integration into the Euro-Atlantic structures and some progress is being made in this regard, which is an indisputable indicator that the foreign policy vector has been selected correctly. In the process of achieving the ultimate goal, the focus should be on the undeniable truth that in the event of a global confrontation, technologies and scales are to be changed, while key political actors remain unchanged. Recent developments have once again confirmed the importance of the Eastern Europe or in the other words Baltic-Black Sea geopolitical axis in the context of global confrontation.

The article discusses the purpose of geopolitical models based on the importance of the "sanitary cordon", which in principle are interchangeable variations and have often played and are still playing a crucial role in shaping the foreign policy of the region as a whole, and of Georgia in particular.

KEYWORDS:
Eastern Europe, Political Actors, "Sanitary Cordon", Geopolitical Models.

შესავალი

გეოპოლიტიკის „მამის“ ჰელფორდ მაკინდერის ფორმულა „ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, აკონტროლებს ჰეარტლანდს“ ანუ გეოპოლიტიკურ „შუაგულ მიწას“ (რუსეთს) დღესაც აქტუალურია.

აღმოსავლეთ ევროპა ხშირად იყო მსოფლიო გლობალური პოლიტიკის ობიექტი და არა სუბიექტი. აღნიშნული რეგიონი ბევრჯერ გამხდარა კონფლიქტის მიზეზი. შემთხვევით არ ყოფენ ევროპას დასავლეთად და აღმოსავლეთად. თუ გავითვალისწინებთ მათ შორის არსებულ განსხვავებულ პოლიტიკურ და სოციალურ იდეალებს, კონფესიებსა და ეთნოფსიქოლოგიას, ასეთ დაყოფაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. ვარშავის ხელშეკრულების სოციალისტური ბლოკის დაშლამ და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პროცესმა რადიკალურად შეცვალა გეოპოლიტიკურ ძალთა ბალანსი რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების ასპექტში, რასაც რუსეთის მართველი ელიტა ძნელად ეგუება და კატეგორიულად მოითხოვს „ისტორიული სამართლიანობის აღდგენას,“ რომლის ნათელ გამოვლინებას უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესია წარმოადგენს. უკრაინაში უკიდურესად გართულებული მდგომარეობის გამო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მიმდინარე წლის 11 ივნისს (ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი) მიმართეს ნატოს აღმოსავლეთის ფლანგის გაძლიერების თხოვნით. პარალელურად ბალტიის ზღვაში დაიწყო ორ კვირიანი საზღვაო წვრთნები, რომელშიდაც ნატოს 16 წევრი ქვეყნის გარდა მონაწილეობას იღებს შვეცია და ფინეთი.

გეოპოლიტიკოსები რომლებიც უშუალოდ ამუშავებენ სახელმწიფოების სტრატეგიებსა და დოქტრინებს მიიჩნევენ, რომ კლასიკური გეოპოლიტიკის მიერ აღწერილი კანონზომიერებები დღესაც აქტუალურია და საშუალებას იძლევა მათ საფუძველზე შემუშავდეს შესაბამისი გეოსტრატეგია და პოლიტიკა[1].

მოვლენათა განვითარების ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ სახელმწიფოთა ასეთი დონის გააქტიურებას შეიძლება მოყვეს ახალი გეოსტრატეგიული ალიანსის შექმნა, რომელიც პერსპექტივაში „სანიტარული კორდონის“ როლს შეასრულებს რუსეთთან მიმართებაში. აღნიშნულ კორდონში საქართველოს ადგილის დამკვიდრება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზანი უნდა გახდეს.

ვერსალის სისტემა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხების გეოპოლიტიკური მიზეზები

პირველი მსოფლიო ომის დასრულებას ერთა ლიგის დაარსება მოჰყვა, რომელსაც კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპზე აგებული ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა უნდა მოყოლოდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც ვერსალში გაიმართა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შეიარაღების შემცირების, ღია

1 მანჯავიძე, იოსებ. 2021. ანაკონდას მარყუჟის სტრატეგიის თანამედროვე ვარიაციები. POLITO/LOGOS. თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“

დიპლომატიის, თავისუფალი ვაჭრობისა და რაც მთავარია, ერთა თვით გამორკვევის პრობლემებს. მიუხედავად ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა, ის მხოლოდ ევროპის ერებზე გავრცელდა, რასაც თავისი პოლიტიკურ-ეკონომიური საფუძვლები ჰქონდა. ომში დამარცხებული ავსტრია-უნგრეთის იმპერია დაიშალა და მის ადგილზე ევროპის რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

ჰელფორდ მაკინდერი უშუალოდ მონაწილეობდა ვერსალის ხელშეკრულების მომზადებაში, რომლის ძირითადი გეოპოლიტიკური იდეა ნათლად ასახავს მის მსოფლმხედველობის არსს. აღნიშნული შეთანხმება იმგვარად იქნა შედგენილი, რომ დასავლეთ ევროპა განემტკიცებინათ საზღვაო ძალის (ანგლოსაქსური სამყარო) სანაპირო ბაზად. ამასთან იგი ითვალისწინებდა ისეთი სახელმწიფოების შექმნას, რომელიც გერმანელებსა და სლავებს გამიჯნავდა ერთმანეთისაგან და ყოველნაირად წინ აღუდგებოდა „კუნძულოვანი სახელმწიფოებისათვის“ და, შესაბამისად, დემოკრატიისათვის ესოდენ საშიში სტრატეგიული კონტინენტური ალიანსის შექმნას[2].

მაკინდერის გეოპოლიტიკური ხედვები სრულიად გაითვალისწინეს ვერსალის კონფერენციაზე მომუშავე პოლიტიკოსებმა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ევროპის პოლიტიკური რუკის ცვლილებებში. აღმოსავლეთ ევროპას, როგორც ჰართლენდისაკენ მიმავალ სტრატეგიულ გზას, ერთგვარი ბუფერის როლი უნდა ეთამაშა გერმანიასა და რუსეთს შორის. მართლაც, ასეთი ბუფერული სახელმწიფოები შეიქმნა ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და რუმინეთის[3]. თუ რატომ ვერ მოხვდა საქართველო აღნიშნულ ბუფერში და რატომ განიცადა ქართულმა დიპლომატიამ კრახი ვერსალში, თავისი ახსნა აქვს.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ 1920 წლის 12 იანვრის სხდომაზე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა De Facto-დ და მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანას (აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად!) ფინანსებითა და იარაღით დახმარებოდა ბოლშევიკური რუსეთის მოსალოდნელი აგრესიისაგან თავის დაცვის მიზნით. დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის მკვეთრი ცვლილების ნათელ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, როდესაც „14 იანვარს დენიკინმა თავის ბანაკში ინგლისის წარმომადგენელის სერ ჰელფორდ მაკინდერის თხოვნით ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის De Facto-დ აღიარების აქტს“[4]. მაკინდერი 1919-1920 წლებში გახლდათ დენიკინის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში. აღნიშნული ფაქტი პირდაპირი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველო მის გეოპოლიტიკურ გათვლებში „ჯდებოდა“, როგორც ბუფერის წევრი სახელმწიფო! სამწუხაროდ, მოვლენები რადიკალურად განსხვავებული სცენარით წარიმართა...

1920 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, 2 მაისს ბოლშევიკური რუსეთის XI არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები გადმოლახა. ქართულმა ჯარმა გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით

2 დუგინი, ალექსანდრე. 1999. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „მთაწმინდელი“.

3 ეგეშიძე, არჩილ. 1997. გეოპოლიტიკა. თბილისი: გამომცემლობა ESM

4 ათანელაშვილი, ა. 1999. სისხლიანი გაკვეთილები. (უცხოელი ავტორები საქართველოს ისტორიის შესახებ 1918-1989 წლებში). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

შემოსეულ მტერს „წითელ ხიდთან“ ნამდვილი სასაკლაო მოუწყო! ყირიმში ვრანგელის გააქტიურების შედეგად შექმნილმა გართულებულმა ვითარებამ მოსკოვი იძულებული გახადა 7 მაისს ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით (მუხლი V) საქართველო ვალდებულებას იღებდა არ დაეშვა „საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედრო ძალათა და სხვა მოქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ანდა საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების წინააღმდეგ“[5]. [5, 111]

1920 წლის ივლისში საქართველოს მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე დიდი ბრიტანეთის სამხედრო ნაწილების ევაკუაცია დაიწყო ბათუმიდან.

დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები მალე მიხვდნენ, რომ მოსკოვის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ფარატინა ქაღალდს წარმოადგენდა და „საქმის გამოსწორების“ მიზნით საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით დელეგაცია ლონდონში ჩავიდა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ლოიდ ჯორჯის სამთავრობო კაბინეტისათვის დახმარება ეთხოვა „იურიდიულად“ ცნობასა და ერთა ლიგაში მიღების კუთხით, მაგრამ ამაოდ.

„სწორედ ოფიცილაური ლონდონის მითითებით, 1920 წ. ნოემბერ-დეკემბერში ჟენევაში მიმდინარე ერთა ლიგის კონფერენციის სხდომებზე ინგლისის წარმომადგენლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გაწევრიანებაზე ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში. ერთა ლიგის წესდება საქართველოს დამოუკიდებლობას გარანტიას აძლევდა, რაც პირველ რიგში ამ ორგანიზაციის წამყვან ქვეყნებს, მათ შორის და მეტადრე დიდ ბრიტანეთს უნდა უზრუნველეყო. ეს გარემოება იყო ჟენევაში წარგზავნილი ბრიტანელი დიპლომატების პოზიციის არსი. საქართველო ერთა ლიგის (გეოპოლიტიკური გაგებით - „სანიტარული კორდონის“ მიღმა! შ.ბიწაძე) გარეთ აღმოჩნდა. მართალია, ანტანტის ქვეყნებმა ცნეს საქართველო „იურიდიულად“ 1921 წლის 27 იანვარს მაგრამ უკვე დაგვიანებულ იყო. 1921 წ. თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ბოლშევიკური რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა, რომლებმაც მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცეს ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას და მისი ტერიტორიები დაინაწილეს[6].

1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებით დადგინდა საზღვრები ორ ქვეყანას შორის, რომელიც დღესაც მოქმედებს. ბედის ირონიით, იმავე დღეს, 16 მარტს ლონდონში ხელი მოეწერა სავაჭრო ხელშეკრულებას ლონდოსა და მოსკოვს შორის, რომლის ძალითაც ქვეყნებმა გაიყვეს გავლენის სფეროები ახლო აღმოსავლეთში. ამით საქართველოს იმედები აღედგინა დამოუკიდებლობა და ქვეყნის

5 ჯაფარიძე, შოთა. 1994. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 1918-1921წ.წ. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“.

6 ცუხიშვილი, რამაზ. 1996. ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921წწ.) თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

სუვერენიტეტი საბოლოოდ დასამარდა.

„ინტერმარიუმი“ - მაკინდერის თეორიის ახალი ვარიაცია

1918 წლიდან, როდესაც პოლონეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, რუსეთსა და გერმანიას შორის აღმოჩნდა მოქცეული. პოლონეთის იმდროინდელი ხელისუფლების ამოცანას წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით საზღვრები რაც შეიძლება შორის გადაეწია „სასიცოცხლო სივრცის“ მოსაპოვებლად.

მარშალ იუზეფ პილსუდსკის აზრით საჭირო იყო შექმნილიყო ერთგვარი ფედერაცია პოლონეთის ხელმძღვანელობით ლიტვის, ბელორუსიისა და უკრაინის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად, რომელსაც მაშინ სიმონ პეტლიურა ხელმძღვანელობდა. ეს გეგმა არ გახლდათ ცარიელი ფანტაზიის ნაყოფი 1920 წლის მაისში პოლონელებმა დაიკავეს კიევი და უკრაინელებთან ერთად აღლუმიც ჩაატარეს. პილსუდსკიც გეოპოლიტიკური მოდელის „ინტერმარიუმის“ („ზღვათაშორისი“, „ორზღვაშუა“) მიხედვით პოლონეთი მხოლოდ მაშინ გასცემდა ღირსეულ პასუხს მოსკოვისა და ბერლინის მხრიდან წამოსულ აგრესიას, თუ იქნებოდა ბალტიის, შავი და ადრიატიკის ზღვებს შორის მოქცეული ქვეყნების ფედერაციის სათავეში და აქედან გამომდინარე, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა გახდებოდა. იგეგმებოდა „ინტერმარიუმის“ გაფართოება ესტონეთის, ფინეთის, მოლდავეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მიერთების ხარჯზე.

„ინტერმარიუმის“ შექმნასთან ერთად გამოცოცხლდა ქართული ემიგრაცია. პილსუდსკისთან ნოე ჟორდანიას შეხვედრის შემდეგ გადაწყდა ჟურნალ „პრომეთეს“ გამოცემა. ჟურნალი „პრომეთე“, რომელსაც გიორგი გვაზავა რედაქტორობდა, 1926-1939 წლებში პარიზში გამოიცემოდა. ე.წ „პრომეთეულ“ (განმათავისუფლებელ) მოძრაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი გიორგი კვინიტაძე, შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი და რეზო გაბაშვილი. პილსუდსკი ყოველნაირად უწყობდა ხელს ქართველ სამხედროებს სამსახური გაეგრძელებინათ პოლონეთის არმიაში - ისინი თავისუფლდებოდნენ დღიური და სასწავლო ხარჯებისაგან. 1928 წლის 26 მაისს ვარშავაში დიდი ზეიმით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის ათი წლის თავი. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ტიტუს ფილიპოვიჩი პილსუდსკის პირადი ბრძანებით იქნა მოვლენილი თბილისში, რაც იმის მაუწყებელია, რომ პილსუდსკის გარკვეული გეგმები გააჩნდა საქართველოს მიმართ.

„ინტერმარიუმის“ გეგმა 1920 წლის რუსული ინტერვენციის ბლოკირების აუცილებლობით იყო ინსპირირებული. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაც და რუსეთიც ერთგვარ ქაოსში იყვნენ ჩაფლულნი, ორივე სახელმწიფო იმ ამბიციურ ძალას წარმოადგენდა, რომელიც მომავალში კვლავაც განაცხადებდა პრეტენზიას აღმოსავლეთ ევროპის გადანაწილებაში.

სტრადფორდის დამფუძნებლისა და გეოპოლიტიკის ექსპერტის ჯორჯ ფრიდმანის შეფასებით პილსუდსკის რეგიონის გადარჩენის იდეა, (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ფინეთი და ბალტიის სამი სახელმწიფო) განხორციელების შემთხვევაში იქნებოდა გეგმა, რომელიც სრულიად ააცილებდა მსოფლიოს მეორე

მსოფლიო ომს ან განსხვავებულ, ნაკლებ მტკივნეულ სცენარს მოგვცემდა ევროპაში[7].

სამწუხაროდ, ქართული ემიგრაციის იმედები არ გამართლდა - 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტი (რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი) გაფორმდა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მათ შორის იქნა „გადანაწილებული", რაც ცნობილი გერმანელი გეოპოლიტიკოსის კარლ ჰაუსჰოფერის იდეების განხორციელებას მოასწავებდა. ჰაუსჰოფერმა 1928 წელს ნაშრომში „კონტინენტალური ბლოკი", რომელშიდაც ბერილი - მოსკოვი - ტოკიოს გეოპოლიტიკური ღერძის შექმნის აუცილებლობას ადასტურებდა, გასაოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა მომხდარი ფაქტი. მისი მოსაზრება „ევრაზიას ვერავინ მოახრჩობს მანამ, სანამ ორი უდიდესი ერი გერმანელები და რუსები თავს აარიდებენ ურთიერთკონფლიქტს" დღესაც ძალაშია[8].ორი მსოფლიო ომი, რომელმაც ევროპაში იფეთქა ზემოთ თქმულის დადასტურებას წარმოადგენს.

"ინტერმარიუმიდან" "სამი ზღვის ინიციატივამდე"

„სამი ზღვის ინიციატივა" წარმოადგენს ბალტიის, შავ და ადრიატიკის ზღვებს შორის არსებულ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის ახალ პლათფორმას, რომელიც ითვალისწინებს ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ციფრული კომუნიკაციების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობას.

პლათფორმა შეიქმნა 2016 წლის აგვისტოში ქალაქ დუბროვნიკში (ხორვატია) პოლონეთის ინიციატივით და მასში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებია გაერთიანებული. თუ არ ჩავთვლით ავსტრიას, ყველა მათგანი ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრია - პოლონეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ხორვატია, ბულგარეთი, სლოვენია. თუ თანამედროვე ეტაპზე „ინიციატივის" უმთავრესი მიზანი „წმინდა ეკონომიურია", რუსეთის აგრესიული პოლიტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სამხედრო -პოლიტიკურ ალიანსად ჩამოყალიბდეს.

„სამი ზღვის ინიციატივის" ეგიდით ჩატარებული სამიტებიდან აღსანიშნავია მესამე სამიტი, რომელიც ბუქარესტში გაიმართა 2018 წლის 17-18 სექტემბერს. აღნიშნულ სამიტზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი შერვაშიძე, რომელმაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს მზარდ სატრანზიტო პოტენციალს და ქვეყნის როლს რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით. შეკრების მონაწილეებმა ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს, რომლის მიხედვითაც, ინიციატივით გათვალისწინებული ბიზნეს და ეკონომიკური თანამშრომლობა უფრო ინტენსიური უნდა გამხდარიყო. დადგენილების კონკრეტული გამოხატულება იყო ე.წ ეკონომიკური პალატების ქსელის შესახებ დეკლარაციის ხელმოწერა, სამი ზღვის ფონდის შექმნის გადაწყვეტილება და პრიორიტეტული პროექტების კატალოგის მიღება[9].

7 გრიგალაშვილი, მარიამ. 2017. ინტერმარიუმი-საუკუნოვანი პოლონური პროექტის ახალი სიცოცხლე. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

8 Тихонравов, ю.в. 1998. Геополитика. Мосcква: ЗАО Бизнес-школа „Интел-Синтез".

9 ჯულუხიძე, გრიგოლ. 2021. სამი ზღვის ინიციატივა და საქართველო: პერსპექტივები და გამოწვევები. ექსპერტის აზრი. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო

აღმოსავლეთ ევროპა და ნაწილობრივ ცენტრალური ყოველთვის წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის პირდაპირ სამიზნეს, სივრცეს, სადაც კრემლს ყოველთვის სურდა ფეხი მყარად მოეკიდებინა. ისტორიულად ბოლო სამასი წლის მანძილზე ეს სივრცე ყოველთვის იყო მოწყვლადი რუსეთის პოლიტიკური თუ ეკონიმიური გავლენების მიმართ, საბჭოთა პერიოდში კი რეგიონი უშუალოდ მოსკოვის დირექტივებით იმართებოდა[10].

დასავლეთში დღეს ბევრი გამოთქვამს შიშს იმის გამო, რომ „სამი ზღვის ინიციატივა“ არ იქცეს აღმოსავლეთის ქვეყნების ალიანსის ჩანასახად, მაგრამ თუ დავაკვირდებით ასეთი „ჩანასახები“ უკვე სახეზეა. 2015 წლის ნოემბერში ლიეტუვის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მიერ შემუშავებული მემორანდუმი (ავტორები ა.კუბილიუსი, რ.იუკნიავიჩენე, ლ.კაშიუნასი, ზ.პავილიონისი) „რუსეთის პოლიტიკური შეკავების სტრატეგია ბალტიის ზღვის რეგიონში“ ამის ნათელი დასტურია. უფრო მეტიც - უკვე გამოიკვეთა ალიანსებიც. ასეთი ალიანსია მაგალითად „ლიუბლიანის სამკუთხედი“ (ლიეტუვა, უკრაინა, პოლონეთი), როგორც „რუსული სამყაროს“ ალტერნატივა.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა მიმდინარე წლის 9 აპრილს კიევში ვიზიტის დროს გააჟღერა ახალი ალიანსის შექმნის პერსპექტივა, რომლის წევრებიც უნდა გახდნენ დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, პოლონეთი, ესტონეთი, ლიეტუვა და ლატვია. მომავლისათვის ალიანსის წევრად მოიაზრება თურქეთიც. ფაქტიურად, იქმნება უსაფრთხოების მძლავრი ალიანსი, როგორც ერთგვარი „სტაბილურობის ქამარი“ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ხსენებული ალიანსების შექმნას სათავე დაედო 2005 წლის შემდეგ. 2005 წლის დეკემბერში კიევში შედგა „დემოკრატიული არჩევანის“ ქყვეყნების დამფუძნებელი კრება, რომელშიდაც მონაწილეობდნენ ესტონეთის, ლიტვის. ლატვიის, მოლდავეთის, მაკედონიის, რუმინეთის, სლოვენიის, უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტები და პოლონეთის, ბულგარეთისა და აზერბაიჯანის ოფიციალური პირები. მიღებული იქნა რეზოლუცია ბალტია-შავი ზღვის ღერძის ქვეყნებს შორის ცალკეულ სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. 2006 წლის მაისში კი ვილნიუსში ბალტია-შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სამიტი გაიმართა ტრანსატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კუთხით გააქტიურების შემთხვევაში საქართველოს საიმედო პარტნიორი ჰყავს დიდი ბრიტანეთის სახით. დედოფალ ელისაბედ II-ის 70-ე (პლატინის) იუბილის აღსანიშნავ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის დროს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კონკრეტულად გაუსვა ხაზი ასეთი თანამშრომლობის მნიშვნელობას - „მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ ჩვენი დიდი ხნის წინ დამკვიდრებული მეგობრობა გაგრძელდა მშვიდობისა და განსაცდელის პერიოდშიც და ასახვა ჰპოვა დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორობაში. საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება „უორდროპის სტრატეგიულ დიალოგთან“ ერთად ის მნიშნელოვანი პოლიტიკური ფორმატია, რომელიც ახალ შესაძლებლობებს ხსნის ყველა სექტორში

ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

10 ფიფია, გიორგი. 2019. სამი ზღვის ინიციატივა-თანამშრომლობის ახალი კონცეფცია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. ექსპერტის აზრი. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის. ის ფაქტი, რომ „უორდროპის სტრატეგიული დიალოგი“ ბოლო წლების განმავლობაში გარდაიქმნა თანამშრომლობის მთავარ პლათფორმად, არა მხოლოდ სიმბოლოა იმისა, თუ როგორ იდგამდა ფესვებს ჩვენი პარტნიორობა ჩვენსავე კულტურაში, არამედ ჩვენს საერთო ღირებულებებსა და იდეალებზე დაშენებულ სამომავლო მიზნებსაც ეხმიანება“[11].

ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის კონტექსტში დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „ასოცირების შეთანხმებაში“ მუხლი თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ამოღებულია.

დასკვნა

დღევანდელი პოლიტიკური ვითარების ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია მომავლის საქმეა. მოცემულ ეტაპზე ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია, როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერი, საქართველო გახდეს მომავალი „სანიტარული კორდონის“ ბალტია-შავი ზღვის გეოპოლიტიკური ღერძის სრულფასოვანი წევრი, რაც მკვეთრად აამაღლებს მის პოლიტიკურ წონას საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მხრივ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორის განმტკიცება უნდა გახდეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ისევ განმეორდეს 1919 წლის ვერსალი, რომლის მძიმე შედეგები დღესაც მოუშუშებელ ჭრილობად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

- მანჯავიძე, იოსებ. 2021. ანაკონდას მარყუჟის სტრატეგიის თანამედროვე ვარიაციები. POLITO/LOGOS. თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“.
- დუგინი, ალექსანდრე. 1999. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „მთაწმინდელი“.
- გეგეშიძე, არჩილ. 1997. გეოპოლიტიკა. თბილისი: გამომცემლობა ESM.
- ათანელაშვილი, ა. 1999. სისხლიანი გაკვეთილები. (უცხოელი ავტორები საქართველოს ისტორიის შესახებ 1918-1989 წლებში). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჯაფარიძე, შოთა. 1994. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 1918-1921წ.წ. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“.
- ცუხიშვილი, რამაზ. 1996. ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921წწ.) თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- გრიგალაშვილი, მარიამ. 2017. ინტერმარიუმი-საუკუნოვანი პოლონური პროექტის ახალი სიცოცხლე. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

11 https://mfa.gov.ge/News/giorgi-sharvashidzem-monacileoba-miigo-ruminetshi.aspx?CatID=5

• Тихонравов, ю.в. 1998. Геополитика. Мосcква: ЗАО Бизнес-школа „Интел-Синтез“.

• ჯულუხიძე, გრიგოლ. 2021. სამი ზღვის ინიციატივა და საქართველო: პერსპექტივები და გამოწვევები. ექსპერტის აზრი. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

• ფიფია, გიორგი. 2019. სამი ზღვის ინიციატივა-თანამშრომლობის ახალი კონცეფცია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. ექსპერტის აზრი. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

• https://mfa.gov.ge/News/giorgi-sharvashidzem-monacileoba-miigo-ruminetshi.aspx?CatID=5

კიბერუსაფრთხოების სამხედრო პოლიტიკური განზომილება 21-ე საუკუნეში

თორნიკე ზედელაშვილი
იუსტიციის სამინიტროს ციფრული მმართველობის სააგენტოს,
ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის
ტექნიკური დოკუმენტაციის სპეციალისტი,
ინტერნეტგამოცემა „ლიდერის“ დამფუძნებელი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

აბსტრაქტი

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოები მრავალი საფრთხის წინაშე იმყოფებიან. 21-ე საუკუნეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ციფრული სამყაროდან მომდინარე საფრთხეებია - კიბერშეტევები, კიბერომები, კიბერტერორიზმი და ა.შ. სახელმწიფოების, საერთაშორისო თუ რეგიონული ორგანიზაციების როლი უნდა იყოს უსაფრთხო გარემოს, თავდაცვითი მექანიზმების გაუმჯობესებისკენ მიმართული. ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით უნდა ხდებოდეს ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის ამაღლება, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, კეთილდღეობაზე ზრუნვა.

კვლევის ფარგლებში იკვეთება მნიშვნელოვანი კითხვები: რა შედეგებამდე მიდის მსოფლიო? სად ვიმყოფებით და საით მივდივართ? რას ნიშნავს კონვენციური ომები, კიბერომები, კიბერშეტევები, საინფორმაციო ომები, თაღლითური მანიპულაციები როგორც რეალურ, ასევე ირეალურ სამყაროში.

ასევე, გავაანალიზეთ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სახელმწიფო უწყებებმა, საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რათა ნაკლებად დაზარალდნენ კიბერთავდასხმებისგან. აქვე განხილულია ევროკავშირისა და ნატოს კიბერ უსაფრთხოების პოლიტიკა, არსებული სტანდარტები. წარმოდგენილი გვაქვს სხვადასხვა განზომილებები, ე.წ. შავი ხვრელები, რომლებიც უკონტროლო გარემოს ქმნიან კიბერსივრცეში. ასევე ვსაუბრობთ ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, საქართველოსა, უკრაინის კიბერუსაფრთხოების გარემოსა და პოლიტიკაზე.

საკვანძო სიტყვები:
კიბერუსაფრთხოება, კიბერომი, კიბერშეტევები, კიბერჰიგიენა, ვირუსები, ნატო, ევროკავშირი, საქართველო.

THE MILITARY-POLITICAL DIMENSION OF CYBER SECURITY IN THE 21ST CENTURY

TORNIKE ZEDELASHVILI
TECHNICAL DOCUMENTATION SPECIALIST
OF INFORMATION SECURITY DEPARTMENT,
THE DIGITAL GOVERNANCE AGENCY OF THE MINISTRY OF JUSTICE,
FOUNDER OF THE INTERNET PUBLICATION "LEADER",
DOCTOR OF POLITICAL SCIENCE

ABSTRACT

Modern international political world faces many major challenges. One of the biggest threats nations face today is cyber warfare. In 21st century the leading cyber security challenges include: cyber chain attacks, cyberoam, cyberterrorism and etc.

The role of nations or regional organizations should ensure a safe cyber environment. Technological advances should involve a cohesive national cybersecurity strategy, improving the cyber awareness of citizens, and developing the cybersecurity capabilities.

In this survey we question what are the consequences or impacts from such attacks? What is our current state and what is the future of cyber security? Cyber warfare? Cyber attacks? Informational warfare? Cyber scams? We also analyzed how government agencies or regional organizations should act to stay cyber safe. This discussion involves NATO and European Union cybersecurity policies. We have presented so called "black holes" that create an uncontrollable environment in cyberspace. We also offer discussion about cybersecurity environment and polices in The United States, Russia, Ukraine and Georgia.

KEYWORDS:
Cyber Security, Cyber War, Cyber Attacks, Cyberhygiene, Viruses, NATO, EU, Georgia.

შესავალი

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ბევრი სიკეთე მოუტანა კაცობრიობას - გაჩნდა ინფორმაციის მარტივად მოპოვების საშუალება, იოლი კომუნიკაცია და კომფორტი. თუმცა ყველაფერს აქვს ორი მხარე, ტექნოლოგიების განვითარებამ ასევე უამრავი საფრთხე შეუქმნა კაცობრიობას. მსოფლიო მასშტაბით არსებობენ აგრესორი ქვეყნები, ჩამოყალიბდა ჰაკერულ-ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებიც კარგად ითვისებენ ტექნოლოგიურ მიღწევებს და ცდილობენ, დააზიანონ კაცობრიობა. ამ პროცესმა ხელი კი შეუწყო უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერებას, მაგრამ თავდაცვა ძვირი სიამოვნება აღმოჩნდა - მსოფლიო მასშტაბით იხარჯება ასეულობით მილიარდი დოლარი წამყვანი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (ნატო და ევროკავშირი). ტექნოლოგიების განვითარებამ გააჩინა ვირტუალური სამყარო, ვირტუალურმა სამყარომ კი წარმოშვა რეალობის ალტერნატიული სივრცეები, რამაც აგრესორებს მისცა კიბერშეტევების, კიბერჯაშუშობისა და კიბერომის შესაძლებლობა.

თანამედროვე მსოფლიოში კიბერუსაფრთხოების საკითხი არის საკმაოდ აქტუალური ყველა სახელმწიფოსთვის - ისინი ცდილობენ, დანერგონ ახალი ტექნოლოგიები საკუთარი კიბერსივრცის დასაცავად. ეს კი საკმაოდ დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს ითხოვს, რისი შესაძლებლობები მრავალ სახელმწიფოს უბრალოდ არ გააჩნია. საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სივრცის შემდეგ კიბერსივრცე დაპირისპირების ახალ არეალად გადაიქცა. იგი სხვადასხვა სახელმწიფოების, მიერ ხშირად გამოიყენება პოლიტიკური, სამხედრო და გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მსოფლიო მასშტაბით კიბერუსაფრთხოების ბევრი დეფინიცია არსებობს, თუმცა საერთო ჯამში შინაარსობრივი სხვაობა არ არის.

კიბერუსაფრთხოება ნიშნავს კომპიუტერების, სერვერების, მობილური მოწყობილობების, ელექტრონული სისტემების, ქსელების და მონაცემების მავნე თავდასხმებისგან დაცვას. კიბერუსაფრთხოების ექსპერტები ასევე მოიხსენიებენ როგორც **ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოებად**, ასევე **ელექტრონული ინფორმაციის უსაფრთხოებად** - გააჩნია, რა კონტექსტში იქნება ნათქვამი. კიბერუსაფრთხოების მიზანია კიბერშეტევების რისკის შემცირება, სისტემების, ქსელებისა და ტექნოლოგიების არაავტორიზებული წვდომისგან დაცვა. იგი პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო, კერძო, სამხედრო, სამედიცინო თუ ფინანსური ორგანიზაციები აგროვებენ, ამუშავებენ და ინახავენ დიდი რაოდენობით მონაცემებს კომპიუტერებსა და სხვა მოწყობილობებზე. ამ მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება იყოს სენსიტიური ინფორმაცია - მაგალითად, ფინანსური მონაცემები, პერსონალური ინფორმაცია, ინტელექტუალური საკუთრება და ა.შ. რომელზეც არაავტორიზებულმა წვდომამ შეიძლება დიდი ზარალი გამოიწვიოს.

შესაბამისად, სახელმწიფოები ცდილობენ, ამ მიმართულებით განვითარებასა და უსაფრთხო გარემოს შექმნას - მაგალითად, საკუთარი ოფიციალური კიბერარმია ჰყავთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, ჩინეთს, რუსეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებს. სხვადასხვა სახის დოქტრინების შემუშავებით არიან

დაკავებულნი ნატო, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროკავშირი. მაგალითად, აშშ კიბერთავდასხმების აქტებს აიგივებს ტრადიციულ სამხედრო მოქმედებებთან. დიდი ადგილი უკავია რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინაში კიბერ უსაფრთხოების საკითხს. კიბერდამნაშავეებმა, ჯაშუშებმა, ჰაკერებმა, ტერორისტებმა და სხვა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა იმდენად კარგად აუწყეს ფეხი ტექნოლოგიურ პროგრესს, ხშირ შემთხვევაში თავდაცვითი მექანიზმები არც კი მუშაობს, ვერ ხერხდება გარკვევა, მოძიება, დამნაშავის პოვნა და დასჯა.

მსოფლიო მასშტაბით უკვე არსებობს კიბერშეტევების უამრავი ფაქტი. ასევე კიბერჯაშუშობისა და სხვადასხვა თაღლითური მანიპულაციური თავდასხმებისა. ამათგან ყველაზე საფრთხის შემცველ მოვლენას კიბერომი წარმოადგენს. ისტორია და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კიბერომის წარმოების დროს ერთი ქვეყანა მეორე ქვეყნის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე ახდენს შეტევებს, რამაც შეიძლება ქვეყნის პარალიზებაც კი გამოიწვიოს, ზარალი ამ შემთხვევაში ძალიან დიდია. კიბერომი - ეს ის ტერმინია, რომელზეც მსოფლიო მასშტაბით ბევრი ექსპერტი თუ სამხედრო სპეციალისტი დაობს - აღნიშნული ტერმინის 300-ზე მეტი განმარტება არსებობს. კიბერომის ზოგადი განმარტება კი ასეთია: **„კიბერომი არის ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყანაზე ციფრული შეტევების გამოყენება (კომპიუტერული ვირუსები ან ჰაკერული კიბერშეტევები) კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დაზიანების, ლიკვიდაციისა და განადგურების მიზნით“.**

კიბერომის წარმოებად ხშირად მიიჩნევენ, როდესაც კიბერტექნოლოგიების საშუალებით ხდება დივერსია, ელექტრონული ჯაშუშობა, ან კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა. არსებობს კრიტერიუმები, რითიც კიბერომის რაობას განსაზღვრავენ - მაგალითად, რა მასშტაბის კიბერშეტევა განხორციელდა, ვინ იყო ობიექტი და რა ზარალის მომტანი აღმოჩნდა აღნიშნული თავდასხმა? აგრესორი სახელმწიფოები, ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ **ჰაკერებს**. მათი ჩართულობის გარეშე კიბერშეტევებისა და კიბერომების წარმოება შეუძლებელია. ჰაკერების გარეშე ასევე შეუძლებელია კიბერუსაფრთხოების განვითარება და ნორმალური თავდაცვა.

ტერმინი **ჰაკერი** ნობელის პრემიის ლაურეატს, ცნობილ მათემატიკოსს, **ჯონ ნეშს** ეკუთვნის. არსებობს **ჰაკერის** რამდენიმე ტიპი იმის მიხედვით, თუ რა განზრახვა აქვს ამ პროფესიის ადამიანს. ტერმინი **ჰაკერი** ხშირად აღიქმება ნეგატიურად, თუმცა არსებობენ **ეთიკური ჰაკერებიც**, რომლებიც ნეგატიური და მავნებლური საქმიანობებისგან შორს არიან.

ჰაკერი არის ადამიანი, რომელიც სწავლობს სისტემებს, რათა გაარკვიოს, როგორ მუშაობს. შესაძლოა, გაუმჯობესების განზრახვით ან უბრალოდ მანიპულირებდეს სისტემაში გართობის მიზნით. გამოვყოფთ ძირითად 6 ტიპს:

შავქუდიანი ჰაკერები (ცუდი ბიჭები) Black Hat Hackers (the bad guys) - ისინი გამოცდილი ჰაკერები არიან, სისტემაში ავტორიზაციის გარეშე იჭრებიან. იყენებენ სისტემის უსაფრთხოებას მავნე განზრახვით ან ფინანსური სარგებლისთვის. შავქუდიანი ჰაკერები მუშაობენ ორგანიზაციულ-დანაშაულებრივ ჯგუფებთან.

თეთრქუდიანი ჰაკერები (ეთიკური ჰაკერები) White Hat Hackers (Ethical Hackers) - თეთრქუდიანები ითვლებიან კარგ ჰაკერებად. ისინი მუშაობენ საწარმოებისთვის, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის, მთავრობებისთვის ქსელებისა და სისტემების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ეხმარებიან სამართალდამცავ ორგანოებს გამოძიებაში.

რუხქუდიანი ჰაკერები Grey Hat Hackers - რუხქუდიანი ჰაკერები ორივე ტიპის ჰაკერებს წარმოადგენენ - შავქუდიანებსა და თეთრქუდიანებს.

ლურჯქუდიანი ჰაკერები Blue Hat Hackers - ლურჯქუდიანი ჰაკერები ცნობილნი არიან ორი სახით - პირველი განმარტებით, ლურჯქუდიანი ჰაკერები არიან შურისმაძიებლები, ხოლო მეორე განმარტებით, ისინი არიან უსაფრთხოების ექსპერტები.

წითელქუდიანი ჰაკერები Red Hat Hackers - ნადირობენ შავქუდიანებზე იმ მიზნით, რომ რისკები შეამცირონ. მათ სურთ თეთრქუდიანების მსგავსად გადაარჩინონ სამყარო ბოროტი ჰაკერებისგან. ისინი ირჩევენ ექსტრემალურ, ზოგჯერ უკანონო გზებს თავიანთი მიზნების მისაღწევად.

მწვანექუდიანი ჰაკერები Green Hat Hackers - ჰაკერების სამყაროში ცნობილნი არიან როგორც „ახალშობილები". მწვანექუდიანებმა არ იციან უსაფრთხოების მექანიზმები და ქსელის შიდა ფუნქციონირება.[1]

"კიბერსივრცეში არსებობენ სხვა ტიპის ჰაკერებიც - მაგალითად, **ქვეყნების მიერ დაფინანსებული ჰაკერები (State/Nation Sponsored Hackers)**, რომლებიც დაქირავებულნი არიან რომელიმე ქვეყნის მთავრობის მიერ მეორე ქვეყნის კომპიუტერულ სისტემებზე წვდომის მისაღწევად".[2] ასევე, **ჰაკტივისტები (Hacktivists)**, რომლებიც კიბერშეტევებს ანხორციელებენ პოლიტიკური მიზნით, თავს ესხმიან და არღვევენ სამთავრობო ქსელებს, სისტემებს, რათა ყურადღება მიიპყრონ პოლიტიკური ან სოციალური მიმართულებით და ა.შ.

არსებობს კიბერომის წარმოებისთვის სხვადასხვა ჰაკერული მეთოდები, ვირუსები და მავნე პროგრამები. ყველაზე აქტიურად იყენებენ **distributed denial-of-service (DDoS) თავდასხმებს**, რომელიც უშუალოდ სერვერის დატვირთვას ახდენს. ასევე გამოვყოთ რამდენიმე მათგანი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით აქტიურად გამოიყენება, მაგალითად: **"Man-in-the-middle (MitM), Phishing, Drive-by, Password, SQL injection, Cross-site scripting (XSS), Eavesdropping, Birthday, Malware შეტევები"**.[3]

აქედან შეგვიძლია გამოვარჩიოთ ისეთი კიბერშეტევა, რომელიც უშუალოდ ადამიანის ემოციებზე შეტევას უფრო გულისხმობს და დიდი ფინანსური ზარალის მომტანია. **Phishing** შეტევა, რომელიც ელექტრონულ თაღლითობას გულისხმობს, ტექნოლოგიის გამოყენებით ადამიანების შეცდომაში შეყვანას და მათი პირადი ინფორმაციის მოპოვებას. აღნიშნული შეტევის სხვადასხვა დახვეწილი ვარიანტები არსებობს. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაცია "**Cisco-მ** 2021 წელს

1 Cyber Security, ,,Different Types of Hackers: The 6 Hats Explained'', InfoSec Insights, 2020. p. 1, https://sectigostore.com/blog/different-types-of-hackers-hats-explained/

2 Private & Security digital life - SICCURA, ,,Top Hackers to Watch Out For", 2021. p. 1, https://siccura.com/top-hackers-to-watch-out-for/

3 Melnick J., "Top 10 Most Common Types of Cyber Attacks", netwrix, 2022, p. 1. https://blog.netwrix.com/2018/05/15/top-10-most-common-types-of-cyber-attacks/

კიბერუსაფრთხოების საფრთხის ტენდენციების ანგარიში გამოაქვეყნა სადაც **Pishing** შეტევები 90%-ს შეადგენს. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ კიბერკრიმინალები უფრო ხშირად სარგებლობენ ადამიანების ემოციებით ან დაუდევრობით, ვიდრე სისტემის დაუცველობით".[4]

ასევე მნიშვნელოვანია გამოვყოთ **malware** ანუ მავნე კოდის შეტევები, რომლებიც ასევე ბევრი სახის არსებობს, მათ შორის: "**მაკრო ვირუსები (Macro viruses), ფაილის ინფექტორები (File infectors), სისტემური ან ჩამონტაჟებული ინფეტორები (System or boot-record infectors), ოლიმორფული ვირუსები (Polymorphic viruses), ფარული ვირუსები (Stealth viruses), ტროიანები, ტროას ცხენები (Trojans), ლოგიკური ბომბები (Logic bombs), ჭიები (Worms), წვეთოვანი (Dropper), გამოსაქვეყნებელი (Ransomware)**".[5]

მავნე შეტევები შეიძლება შეფასდეს როგორც არასასურველი პროგრამა, რომელიც თქვენი თანხმობის გარეშე სისტემაში არის დაინსტალირებული, მას შეუძლია, ლეგიტიმურ კოდს დაერთოს და გამრავლდეს, ასევე შეუძლია სხვადასხვა პროგრამებში გამრავლება, ან ინტერნეტთან ინტერპრეტაცია. შეიძლება ვთქვათ, რომ ყველაზე საფრთხის შემცველ ვირუსს, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ სხვა ვირუსებისგან დიდად განსხვავდება **ტროიანები** წარმოადგენს. მას შეუძლია გახსნას მრავალმხრივი პორტი, რაც გულისხმობს იმას, რომ ჰაკერს წვდომა ჰქონდეს ჩვენს კომპიუტერზე, გადაიწეროს ჩვენი პირადი ინფორმაცია, მოგვისმინოს ისე, რომ ჩვენ შეიძლება საერთოდ ვერ გავიგოთ.

აღსანიშნავია, რომ ჰაკერულ დაჯგუფებებს, კიბერშეტევებს, საინფორმაციო ომებს მრავალი ქვეყნის მიმართულებით აწარმოებს ისეთი აგრესორი ქვეყანა, როგორიც რუსეთია. არსებობს არაერთი ფაქტი, როდესაც რუსეთმა სამხედრო კონვენციურ ომთან ერთად აწარმოა კიბერომი, მაგალითად, 2007 წელს ესტონეთთან, 2008 წელს საქართველოსთან, როდესაც დაიბლოკა სახელმწიფო სტრუქტურების ვებ-გვერდები, საბანკო სისტემები და მედიასაშუალებები მუშაობდნენ შეფერხებით. დაიკარგა უამრავი ინფორმაცია და განადგურდა ინფრასტრუქტურა. რუსეთის მხრიდან 2014 წელს განხორციელდა თავდასხმა უკრაინაზე, როდესაც **„ჰიბრიდული ომის"** თითქმის ყველა ელემენტი იქნა გამოყენებული, მათ შორის ყველაზე ინტენსიურად იყო კიბერ და საინფორმაციო თავდასხმები. მძლავრი კიბერშეტევები 2016 წელს განხორციელდა რუსეთის მხრიდან უკრაინის რეგიონულ ელექტრომომარაგების სისტემაზე, რამაც 1.4 მილიონი ადამიანი ელექტრო ენერგიის გარეშე დატოვა. 2017 წელს მოხდა კიბერთავდასხმა, რომელმაც უკრაინის მინისტრთა კაბინეტის, სატელეკომუნიკაციო კომპანიების, ბანკების კომპიუტერები და ენერგოგამანაწილებელი სახელმწიფო კომპანია დააზარალა. შეაფერხა მეტროსა და აეროპორტების მუშაობა.[6]

2016 წელს ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნებზე, სადაც ჰილარი კლინტონი და დონალდ ტრამპი იღებდნენ მონაწილეობას, რუსეთის ფედერაციამ

4 Pitchkites M., "Top Cyber Security Statistics, Facts & Trends in 2022", 2022. p. 1, https://www.cloudwards.net/cyber-security-statistics/

5 Fruhlinger J., "Malware explained: How to prevent, detect and recover from it", CSO Unitet States, 2019, p. 1. https://www.csoonline.com/article/3295877/what-is-malware-viruses-worms-trojans-and-beyond.html

6 Perlroth N., Scott M., Frenkel S., Cyberattack Hits Ukraine Then Spreads Internationally, The New York Times, 2017, p 1. https://www.nytimes.com

ზეგავლენა მოახდინა სწორედ კიბერშეტევების საშუალებით, რაზეც გამოძიება დაიწყო, დააპატიმრეს მაღალი თანამდებობის პირები და ფაქტობრივად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოძიების დასრულების შემდეგ დაადასტურა, რომ მართლაც იყო ჩარევა რუსეთის მხრიდან. თუმცა გამოძიების დეტალური მასალები და ინფორმაცია არ გასაჯაროებულა.

2019 წელს რუსეთმა კიბერშეტევები განახორციელა საქართველოს სამთავრობო უწყებების ვებ-გვერდებსა და სატელევიზიო ინფრასტრუქტურაზე. პრობლემები შეექმნა ასეულობით საიტს, გაითიშა რამდენიმე ტელევიზია და სხვადასხვა ვებ-პორტალი. კიბერშეტევა განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზეც. 2020 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ბრიტანეთმა და ესტონეთმა აღნიშნული ფაქტი შეაფასეს რუსეთის მხრიდან წარმოებულ კიბერშეტევად.[7]

2022 წლის თებერველში რუსეთი კიდევ ერთხელ შეიჭრა უკრაინაში და წამოიწყო ფართო მასშტაბიანი ომი, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ ომს თან ერთვის ჰიბრიდული ომის სხვადასხვა ელემენტები, მათ შორის საინფორმაციო და დეზინფორმაციული მანიპულაციები, კიბერომი. ზარალის დათვლა ომის პერიოდში რთულია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთს გააჩნია კიბერშესაძლებლობების დიდი ბაზა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, უკრაინის კიბერზარალი ძალიან დიდი იქნება.

რუსეთისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვისთან აქვს საქმე, იგი აკეთებს ყველაფერს ისე, როგორც მას აწყობს. მსოფლიო ამ ქვეყანას უწესებს სანქციებს და უქმნის ფინანსურ კრიზისს, თუმცა ჯერ-ჯერობით რუსეთი ისევ განაგრძობს ბარბაროსობას, კრემლი უკრაინაში ომის წარმოებას ეძახის „სპეცოპერაციას“.

ინტერნეტსივრცეში არსებობს სამი სივრცე: Surface Web - ნიშნავს ზედაპირულ ქსელს. ასევე მოიხსენიებენ Clear Web-ის სახელითაც (სუფთა ვები), **Deep Web** - ღრმა ქსელი, მისი შინაარსი შეიძლება იქნას ნაპოვნი პირდაპირ URL-ს ან IP მისამართით, **Darknet (Dark Web)** - ბნელი ქსელი. ასევე ცნობილია, როგორც დაფარული ქსელი.

ამ სამი სივრციდან ყველაზე საფრთხისშემცველია **Darknet-ი**, რომელშიც მარტივი არ არის მოხვედრა. თუმცა არსებობს სხვადასხვა პროგრამული საშუალებები, რის შედეგადაც ჩვეულებრივ რიგით ადამიანსაც შეუძლია ისარგებლოს. აქ მხოლოდ ბიტკოინით ხდება (ელექტრონული ვალუტა) გადახდა და შეგვიძლია შევიძინოთ იარაღი, მოპარული კარტები, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ნარკოტიკი და ასევე რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მონებიც კი.[8]

როგორი პასუხი უნდა ჰქონდეს ასეთ საკითხებთან დაკავშირებით მსოფლიოს? როგორ უნდა შევამციროთ კიბერსაფრთხეები, როგორც ინდივიდუალურ, ასევე სახელმწიფო თუ საერთაშორისო დონეზე? რა სტანდარტები, რა მიდგომები არსებობს ამ მიმართულებით? აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით იხარჯება დიდი ფინანსები - მაგალითად, 2022 წლის 30 მარტს, ბაიდენის ადმინისტრაციამ 2023 წლის ფისკალური ბიუჯეტი გამოაქვეყნა, რომელშიც 11 მილიარდი აშშ დოლარია გამოყოფილი სამოქალაქო

7 Evansky B. US, UK and Estonia call out Russia over cyber attacks against Georgia in UN Security Council first, Fox News Channel, 2020, p 1. https://www.foxnews.com

8 Karr D.,"What Are The Types Of The Web (Dark, Deep, Surface, & Clear)?", Martech, 2021, p. 1. https://martech.zone/types-clear-deep-dark-web/

კიბერუსაფრთხოებისთვის. ეს 11%-ით მეტია წინა წელთან შედარებით.[9] ასევე მნიშვნელოვანია ნატოს მიდგომა კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით - 2014 წელს ნატომ უელსის სამიტზე გამოაცხადა ახალი კიბერპოლიტიკა, რომელიც გულისხმობს, თუ რომელიმე წევრ სახელმწიფოზე მასობრივი და გამანადგურებელი ჰაკერული თავდასხმა განხორციელდება, ამოქმედდება ორგანიზაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული მე-5 მუხლი. 2021 წლის 14 ივნისს ბრიუსელის სამიტზე ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლდერბერგმა** კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით განაცხადა:

„ჩვენთვის ეს ახალი გამოწვევაა, უკვე დავდექით აგრესიის სხვადასხვა ფორმის წინაშე. ახლა საჭიროა ჩვენ ერთობლივი მუშაობის შეცვლილი ფორმირება და ადაპტაცია. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ კიბერუსაფრთხოების გაძლიერებაზე''.[10]

ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მუშაობს რამდენიმე ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია კიბერშესაძლებლობების განვითარებაზე, კვლევასა და კიბერრისკების შემცირებაზე. **ნატოს კომუნიკაციებისა და ინფორმაციის სისტემების მომსახურების სააგენტო (NCSA)** წარმოდგენილია როგორც ალიანსის პირველი ხაზი კიბერტერორიზმისგან თავდაცვის სფეროში. **ნატოს ინფორმაციის უსაფრთხოების ტექნიკური ცენტრი (NITC)**, რომელიც პასუხისმგებელია კომუნიკაციებსა და კომპიუტერულ უსაფრთხოებაზე. ეს ცენტრი ასევე პასუხისმგებელია მენეჯმენტზე, კრიპტოგრაფიულ აპარატურასა და კიბერშეტევებზე რეაგირების კოორდინაციაზე. **ნატოს კომპიუტერული ინციდენტების რეაგირების ცენტრი (NCIRC)** რომელიც პასუხისმგებელია ალიანსის დაშიფრული კომუნიკაციებისა და სისტემების დაცვაზე.

ასევე არსებობს **ნატოს სტანდარტიზაციის ოფისი (NSO - NATO Standardization Office)**, რომელსაც კიბერუსაფრთხოების საკითხი მოწინავე პოზიციებზე აქვს დაყენებული. აღნიშნული ორგანიზაცია კოორდინაციას უწევს, მხარს უჭერს და მართავს ნატოს სტანდარტიზაციის საქმიანობას, რომელიც ტარდება სპეციალური კომიტეტის (**CS**) უფლებამოსილებით. ასევე, **NSO** ეხმარება ნატოს სამხედრო კომიტეტს სამხედრო ოპერატიული სტანდარტების შემუშავებაში, რაც ხელს უწყობს ალიანსის სამხედრო ძალების ეფექტურობის ზრდას.

თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ კიბერშეტევების უმრავლესობა ძალის გამოყენების ზღვარს ქვემოთაა. როგორ რეაგირებს ნატო პროპორციულად „დაბალი ხარისხის“ კიბერშეტევებზე? შეიძლება ზოგიერთმა ექსპერტმა კიბერსივრცეში ნატოს თავდაცვითი პორციზია გააკრიტკოს, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს - ე.წ. დაბალი ხარისხის კიბერშეტევებზე რეაგირება ალიანსს ყველაზე ნაკლებ რისკებს უქმნის. მაგალითად, დაბალი ხარისხის კიბერშეტევებში შეიძლება განვიხილოთ ისეთი შეტევა, რომელიც იპარავს ინფორმაციას ან ფინანსურ რესურსებს, აღნიშნული შეიძლება იყოს სახელმწიფო ან სანქცირებული, ხოლო თავდასხმის უკან, როგორც ცნობილია, ხშირად დგას რუსეთი, ჩინეთი ან ირანი. ნატოში განმარტავენ, რომ ასეთი კიბერშეტევები არ

9 Jones D., ,,Biden administration's FY 2023 budget includes 11% increase for cyber", Cybersecurity Dive, 2022. p. 1. https://www.cybersecuritydive.com/news/biden-2023-budget-cybersecurity/621264/#:~:text=The%20budget%20earmarks%20%242.5%20billion,after%20Congress%20appropriated%20additional%20funding.

10 ლ., საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, "ბრიუსელის სამიტი და ნატოს კომუნიკე", ბრიუსელი, გვ. 1. 2021 წ. https://1tv.ge/video/briuselis-samiti-da-natos-komunike/

იწვევს ხანგრძლივ ეკონომიკურ ზარალს. შესაბამისად, მათზე საპასუხო კოლექტიური რეაგირება მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება. დაბალი ხარისხის კიბერშეტევების დროს ძირითადად კმაყოფილდებიან დიპლომატიური კორპუსის გაძევებით და ეკონომიკური გავლენის გამოყენებით, ანუ სანქციებით. რეაგირების მოცულობა უნდა განისაზღვროს თავდასხმის ღირებულებით - თუ ზარალი შეფასდა 10 მილიონი აშშ დოლარით, სანქციაც უნდა იყოს პროპორციული - 10 მილიონი აშშ დოლარის. ამ განცხადებას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, რადგან ძნელია ზუსტი განსაზღვრა, თუ რა შედეგები მოჰყვება სანქციებს და დიპლომატიური ურთიერთობების გართულებას. მით უმეტეს, შესაძლებელია, სახელმწიფოს მიერ სანქცირებული თავდამსხმელები არ იყვნენ მთავრობის სრული კონტროლის ქვეშ.[11]

მიუხედავად დიდი მონდომებისა და დაუღალავი მუშაობისა, კიბერშეტევების გასანეიტრალებლად ნატოს ბრძოლა არ არის საკმარისი და რაც დრო გადის, უფრო მეტი რესურსია საჭირო. დღეს ყველა სპეციალისტი აღიარებს, ყველაზე ეფექტური გამოსავალი, როგორც საერთაშორისო, ასევე ინდივიდუალურ დონეზე, არის სტანდარტების დაცვა. რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება გათვითცნობიერებული, თუ როგორ დაიცვას თავი კიბერშეტევისგან, მით ნაკლები ზარალი მიადგება სახელმწიფო სტრუქტურებს, კერძო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

კიბერუსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ზოგადად უსაფრთხოების მიმართულებით მსოფლიოში არსებობს სტანდარტები და მექანიზმები, თუ როგორ უნდა იფუნქციონირონ სახელმწიფო უწყებებმა და საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რათა ნაკლები ზარალი მიიღონ კიბერ თავდასხმებისგან. აღნიშნული სტანდარტები წარმოადგენს **ISO (International Organization for Standardization)** სტანდარტებს, რომელიც სხვადასხვა მიმართულებებად იყოფა, მათ შორის არის ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების საკითხები. აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციაში 160-ზე მეტი ქვეყნის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულია გაწევრიანებული. ISO აკონტროლებს მის ტექნიკურ კომიტეტებში მიმდინარე მუშაობას. საერთაშორისო ტექნიკური კომიტეტების საერთო რაოდენობა ამჟამად დაახლოებით 250-ია. ყველა ორგანოს აქვს უფლება, კომიტეტებში დანიშნოს წევრები.

ISO (International Organization for Standardization) - ეს არის გლობალური ორგანო, რომელიც აგროვებს და მართავს სტანდარტებს სხვადასხვა დისციპლინისთვის მსოფლიო მასშტაბით. როდესაც ინდუსტრია დამოკიდებულია ინტერნეტსა და ციფრულ ქსელებზე, უფრო მეტი აქცენტი კეთება აღნიშნულ სტანდარტებზე, ტექნოლოგიურ მიდგომებზე. ISO - ს მიდგომები არის საუკეთესო იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამთავრობო თუ კერძო კომპანიების შიდა პროცესი მიზნად ისახავდეს მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უმაღლეს დონეზე. როდესაც ცნობილია, რომ სახელმწიფო სტრუქტურა ან სხვა კომპანია იცავს და სერთიფიცირებულია ISO-ით განსაზღვრული ყველა ნორმით, ეს ხელს უწყობს ორ მხარეს შორის ნდობის ამაღლებას. დღეს საერთაშორისო დონეზე

11 Watson W. "A Defence of Defence. NATO's Response to Low-Grade Cyber-Attacks", International Center for Defence and Security EESTI - Estonia, 2021, p. 1. https://icds.ee/en/a-defence-of-defence-natos-response-to-low-grade-cyber-attacks/

უკვე მთავარი მოთხოვნაა, თანამშრომლობის შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა გააჩნდეს ISO-ის სერთიფიკატი.

ISO-სთვის სტანდარტიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია IEC. ISO - სა და **IEC (International Electrotechnical Commission)** – ს აქვთ ერთობლივი ტექნიკური კომიტეტები. მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სტანდარტიზაცია არის ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი, რომელიც დაარსდა 1906 წელს. IEC შეიძლება ჩაითვალოს პირველ საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციად. ასევე არსებობს, ევროპული სტანდარტების ასოციაცია, **CEN (European Committee for Standardization)** რომელიც აერთიანებს ევროკავშირისა და **EFTA (European Free Trade Association)** - ს ყველა ქვეყნის სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოებს.[12]

ევროკავშირის ქვეყნებისთვის კი 1961 წელს დაარსდა **ევროპული სტანდარტიზაციის კომიტეტი CEN - ასოციაცია**, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოების სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანიზაციებს. იგივე ევროპული სტანდარტები მოქმედებს CEN-ის ყველა წევრ ქვეყანაში. ისინი ვალდებულნი არიან, დაამტკიცონ ევროპული და გააუქმონ ნებისმიერი წინააღმდეგობრივი სტანდარტი. CEN-ის მიერ დამტკიცებულ სტანდარტებს აქვთ აღნიშვნა „EN“, დაახლოებით 30 პროცენტი ემყარება გლობალურ ISO-ს სტანდარტებს.

CEN-ს აქვს 300-ზე მეტი ტექნიკური კომიტეტი, ანუ ევროპული სტანდარტიზაციის ჯგუფები. ყველა წევრს აქვს უფლება, მონაწილეობდეს ტექნიკურ კომიტეტებში. სამდივნოს მენეჯმენტი იძლევა შესაძლებლობას, დააკვირდეს სტანდარტების შემუშავებას, კერძოდ, გავლენა მოახდინოს მომავალი სტანდარტების შინაარსზე.

ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის კომიტეტი **CENELEC (European Committee for Electrotechnical Standardization)** მართავს ევროპული ელექტროტექნიკური სტანდარტების შემუშავებას. მისი წევრია ევროკავშირის ყველა ქვეყანა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. **CENELEC** სტანდარტების 75 პროცენტი ემყარება გლობალური **IEC (International Electrotechnical Commission)** სტანდარტებს. ფინეთში ელექტროტექნიკურ სტანდარტიზაციაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია არის **SESKO (Electrotechnical Standardization in Finland).**

ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტი **ETSI (European Telecommunications Standards Institute)** ავითარებს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სტანდარტებს. მისი წევრები არიან მმართველი ორგანოები საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. ფინეთში სატელეკომუნიკაციო სტანდარტიზაციაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციაა **Traficom (Finnish Transport and Communications Agency). CEN, CENELEC** და **ETSI** შეიმუშავებენ სტანდარტებს ევროკომისიის მოთხოვნითაც. საბოლოო ჯამში ჰარმონიზებული სტანდარტები იძლევა უფრო დეტალურ მითითებებს და კონკრეტულ დირექტივებს.[13]

12 Watson T., "benefits of ISO 9001 and 27001 for companies and Their Clients", 2019, p. 1, https://skywell.software/blog/benefits-of-iso-9001-and-27001/

13 Gordon J., "European Committee for Standardization (CEN) - Explained", The Business Professor, 2021, p. 1. https://thebusinessprofessor.com/en_US/global-international-law-relations/european-committee-for-standardization-cen

კიბერუსაფრთხოების თემა იმდენად მრავალმხრივია, რომ რთულია, ერთი მიმართულებით განვიხილოთ. კიბერუსაფრთხოების სტანდარტები ფაქტობრივად მუშაობს როგორც პოლიტიკის ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მეთოდებს ან/და მიდგომებს, სისტემების დაცვას სახელმწიფო უწყებებსა თუ კერძო ორგანიზაციებში.

კიბერსაფრთხეების იგნორირება, ან არაადეკვატურად შეფასება ქვეყანას დააყენებს ისეთი რისკების პირისპირ, როგორებიც არის: სახელმწიფო და ეკონომიკური სტრუქტურების მოწყვლადობა; კრიტიკული ინფრასტრუქტურის არასაკმარისი დაცულობა; სამხედრო და ჰიბრიდული საფრთხეებისადმი სისუსტე; თავდაცვისუნარიანობის დაქვეითება. გამომდინარე აქედან, კიბერუსაფრთხოების მაღალ დონეზე უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ერთ-ერთი შეცდომა, რომელსაც ბევრი ორგანიზაცია უშვებს, არის ის, რომ ISO-ს სერტიფიკაციის ყველა პასუხისმგებლობა აკისრია ადგილობრივ IT გუნდს. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგია არის ISO 27001 ბირთვი, პროცესები და პროცედურები მაინც უნდა გაიზიაროს ორგანიზაციის ყველა ნაწილმა.

კიბერუსაფრთხოების სტანდარტი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც წესების ერთობლიობა, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურა ან/და ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს იმისათვის, რომ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მოიპოვოს უფლება. მაგალითად, ონლაინ გადახდა, პაციენტის მონაცემების შენახვა და ა.შ. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს ძირითად წესებს, რომელსაც უწყება უნდა ემორჩილებოდეს.[14]

როდესაც კიბერუსაფრთხოებაზე ვასუბრობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ისეთ საკითხს, როგორიცაა **კიბერჰიგიენა**. ფაქტობრივად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა სტანდარტებზე და მათ შორის კიბერსტანდარტებზე მოგვიწოდებენ კიბერჰიგიენის დაცვისკენ, რითაც შევამცირებთ კიბერრისკებს. **კიბერჰიგიენა** არის მითითება იმ პრაქტიკებსა და ნაბიჯებზე, რომლებსაც კომპიუტერებისა და სხვა მოწყობილობების მომხმარებლები იღებენ სისტემის დაცულობის შესანარჩუნებლად და ონლაინუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, კიბერჰიგიენის დაცვაში შედის: სისტემებისა და ანტივირუსული მონაცემთა ბაზების განახლება, შეტყობინებების კონფიგურაცია, რთული პაროლების შემუშავება და უსაფრთხოდ შენახვა, IT გარემოს გასაუმჯობესებლად ფინანსების დახარჯვა, IT სისტემების მუდმივი კონტროლი და შემოწმება საეჭვო საქმიანობების ალბათობის მიზნით და ა.შ.[15]

კიბერსაფრთხეებთან ბრძოლის მიმართულებით, ერთ-ერთ დამცავ ქოლგად ჩვენი კომპიუტერული მოწყობილობებისთვის შეიძლება ჩაითვალოს ანტივირუსები, მსოფლიო მასშტაბით არსებობს მეგა კომპანიები, რომელიც ანტივირუსულ პროგრამებზე მუშაობენ და საზოგადოებას, ორგანიზაციებს და სახელმწიფო სტრუქტურებს

14 Pedamkar P., "Cyber Security Standards", Educba, 2020, p.1. https://www.educba.com/cyber-security-standards/

15 Brook Ch., ,,What is Cyber Hygiene? A Definition of Cyber Hygiene, Benefits, Best Practices, and More'', DATAINSIDER - Digital Guardian's Blog, 2020. p. 1, https://digitalguardian.com/blog/what-cyber-hygiene-definition-cyber-hygiene-benefits-best-practices-and-more?fbclid=IwAR0iFAutj9eyTLKRJmJ94HUnSyKtWC50d1Y1PyOg07C56pkQBx3AC4OZOAQ

სთავაზობენ. ასეთი ანტივირუსებია: **ბიტფენტერი (Bitdefender Antivirus), ნორტონი (Norton AntiVirus), კასპერსკი (Kaspersky Anti-Virus), ტენდენციის მიკრო ანტივირუსი (Trend Micro Antivirus) და სხვა.**

ამ დროს, რა კიბერშესაძლებლობები აქვს საქართველოს? აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შედეგად, ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების დიდი ნაწილი გადავიდა მთავრობის დაქვემდებარებაში. საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში შევიდა ასევე კიბერუსაფრთხოების საკითხი. 2014 წელს კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა კიბერუსაფრთხოების ბიურო. 2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო ეროვნული უსაფრთხოების ბლოკი და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ უწყებად - უსაფრთხოების სამსახურად. რაც შეეხება სამართალდაცვით საქმიანობას, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო. საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმა ძალაში შევიდა 2017 წელს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია ციფრული მმართველობის სააგენტო, სადაც კიბერუსაფრთხოების და ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი ფუნქციონირებს. 2021 წელს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ამოქმედდა, რომელიც ყურადღება გამახვილებულია კიბერუსაფრთხოების მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე და პროექტებზე, რომლებიც ნატოსთან, ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩეხეთთან, ესტონეთთან და სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით ხორციელდება.

არსებობს „National Cyber Security intex"-ის სტატისტიკა რომელიც განსაზღვრავს, თუ კიბერშესაძლებლობების თვალსაზრისით, რომელი ქვეყანა, რომელ ადგილზეა, კიბერუსაფრთხოების ინდექსით, 2019 წელს საქართველო მსოფლიოში მე-19 ადგილზე იყო. ინდექსში საქართველოს 100 სარეიტინგო ქულიდან 64.94 ქონდა. ციფრული განვითარების დონით კი საქართველოს სარეიტინგო ქულა 59.66 იყო. ხოლო, 2022 წლის მონაცემებით საქართველო 51.95 ქულით 61-ე ადგილზეა. ამ შემთხვევაში არსებობს ბევრი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს კიბერუსაფრთხოების სარეიტინგო ქულას, მათ შორის არის კიბერშეტევების მომატება, რამაც შეიძლება ქულის დაკლება გამოიწვიოს.[16]

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მსოფლიო მასშტაბით იხარჯება ძალიან დიდი თანხები, როგორც ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. მსოფლიოში წამყვანი სამეცნიერო-საკონსულტაციო კომპანია „**Gartner**"-ი ასაჯაროებს მონაცემებს კიბერუსაფრთხოების ხარჯებთან დაკავშირებით, ამ მონაცემებში შედარებული და განხილულია 2017-2019 წლების მსოფლიო კიბერუსაფრთხოების დანახარჯი სეგმენტის მიხედვით.

მაგალითად, 2017 წელს დანახარჯი შეადგენდა 101,544 მილიარდ დოლარს, 2018 წელს 114,152 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2019 წელს 124,116 მილიარდ დოლარს მიაღწია.[17] "**Gartner**"-ის ინფორმაციით, 2022 წელს მსოფლიო

16 "National Cyber Security intex", "61. Georgia 51.95", 2022. pp. 1-2, https://ncsi.ega.ee/country/ge/?allData=1

17 Gartner Forecasts Worldwide Information Security Spending to Exceed $124 Billion in 2019, Consulting Agency Gartner, 2018, p 1. https://www.gartner.com

კიბერუსაფრთხოების ხარჯებმა 133.7 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.[18]

თუმცა საყურადღებოა, რომ მსოფლიოსთვის მიყენებული ზარალი ბევრად აღემატება უსაფრთხოებისთვის დახარჯულ თანხებს, „**Cybersecurity Ventures**"-ის ანგარიშში ნავარაუდებია, კიბერშეტევებისგან მიყენებული ზარალი 6 ტრილიონი აშშ დოლარია. "**Cybersecurity Ventures**"-ი ელოდება, რომ გლობალური კიბერდანაშაულის ხარჯები გაიზრდება ყოველწლიურად, რაც 2025 წლისთვის მიაღწევს **10,5 ტრილიონ** აშშ დოლარს.[19] ეს კი იძლევა პასუხს იმაზე, რომ კიბერომებისა და კიბერშეტევების ტენდენცია მასშტაბურ სახეს იძენს და ასევე განიცდის ტრანსფორმაციას.

დასკვნა

თანამედროვე ცივილიზაციას რამდენიმე ე.წ. ფრონტზე უხდება ბრძოლა - ერთია რეალური სივრცე, მეორეა ირეალური სივრცე, რომლებიც მოიცავს ათეულობით და ასეულობით ქვესივრცეებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, ბრძოლისა და თავდაცვის მთელი სიმძიმე მაინც ევროკავშირზე, ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდის, ძირითადად ამ სამ ძალაზეა დამოკიდებული, როგორი კიბერფონი იქნება მთელ მსოფლიოში. რასაკვირველია, თითო აგურის დამდებთა შორის არის საქართველოც, როგორც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ერთეული. მრავალ სახელმწიფოთა ერთიანობა და თანამშრომლობა კი ნამდვილად არ გახლავთ იოლად მოსაგერიებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

- Cyber Security, ,,Different Types of Hackers: The 6 Hats Explained'', InfoSec Insights, 2020. p. 1, https://sectigostore.com/blog/different-types-of-hackers-hats-explained/
- Private & Security digital life - SICCURA, ,,Top Hackers to Watch Out For", 2021. p. 1, https://siccura.com/top-hackers-to-watch-out-for/
- Melnick J., "Top 10 Most Common Types of Cyber Attacks", netwrix, 2022, p. 1. https://blog.netwrix.com/2018/05/15/top-10-most-common-types-of-cyber-attacks/
- Pitchkites M., "Top Cyber Security Statistics, Facts & Trends in 2022", 2022. p. 1, https://www.cloudwards.net/cyber-security-statistics/
- Fruhlinger J., "Malware explained: How to prevent, detect and recover from it", CSO Unitet States, 2019, p. 1. https://www.csoonline.com/article/3295877/what-is-malware-viruses-worms-trojans-and-beyond.html
- Perlroth N., Scott M., Frenkel S., Cyberattack Hits Ukraine Then Spreads Internationally, The New York Times, 2017, p 1. https://www.nytimes.com
- Evansky B. US, UK and Estonia call out Russia over cyber attacks against Georgia in UN Security Council first, Fox News Channel, 2020, p 1. https://www.foxnews.com
- Karr D.,"What Are The Types Of The Web (Dark, Deep, Surface, & Clear)?", Martech, 2021, p. 1. https://martech.zone/types-clear-deep-dark-web/
- Jones D., ,,Biden administration's FY 2023 budget includes 11% increase for cyber", Cybersecurity Dive, 2022. p. 1. https://www.cybersecuritydive.com/news/biden-2023-

18 Sobers R. 110 Must-Know Cybersecurity Statistics for 2020, Software Company Varonis, 2020, p 1. https://www.varonis.com

19 Morgan S. "Cybercrime To Cost The World $10.5 Trillion Annually By 2025", 2022. p. 1, https://cybersecurityventures.com/

budget-cybersecurity/621264/#:~:text=The%20budget%20earmarks%20%242.5%20billion,after%20Congress%20appropriated%20additional%20funding.
- ახალაია ლ., საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, "ბრიუსელის სამიტი და ნატოს კომუნიკე", ბრიუსელი, გვ. 1. 2021 წ. https://1tv.ge/video/briuselis-samiti-da-natos-komunike/
- Watson W. "A Defence of Defence. NATO's Response to Low-Grade Cyber-Attacks", International Center for Defence and Security EESTI - Estonia, 2021, p. 1. https://icds.ee/en/a-defence-of-defence-natos-response-to-low-grade-cyber-attacks/
- Watson T., "benefits of ISO 9001 and 27001 for companies and Their Clients", 2019, p. 1, https://skywell.software/blog/benefits-of-iso-9001-and-27001/
- Gordon J., "European Committee for Standardization (CEN) - Explained", The Business Professor, 2021, p. 1. https://thebusinessprofessor.com/en_US/global-international-law-relations/european-committee-for-standardization-cen
- Pedamkar P., "Cyber Security Standards", Educba, 2020, p.1. https://www.educba.com/cyber-security-standards/
- Brook Ch., ,,What is Cyber Hygiene? A Definition of Cyber Hygiene, Benefits, Best Practices, and More'', DATAINSIDER - Digital Guardian's Blog, 2020. p. 1, https://digitalguardian.com/blog/what-cyber-hygiene-definition-cyber-hygiene-benefits-best-practices-and-more?fbclid=IwAR0iFAutj9eyTLKRJmJ94HUnSyKtWC50d1Y1PyOg07C56pkQBx3AC4OZOAQ
- "National Cyber Security intex", "61. Georgia 51.95", 2022. pp. 1-2, https://ncsi.ega.ee/country/ge/?allData=1
- Gartner Forecasts Worldwide Information Security Spending to Exceed $124 Billion in 2019, Consulting Agency Gartner, 2018, p 1. https://www.gartner.com
- Sobers R. 110 Must-Know Cybersecurity Statistics for 2020, Software Company Varonis, 2020, p 1. https://www.varonis.com
- Morgan S. "Cybercrime To Cost The World $10.5 Trillion Annually By 2025", 2022. p. 1, https://cybersecurityventures.com/

გლობალიზაციის მიმართ არსებული უარყოფითი განწყობები პოპულისტურ ჭრილში

გაგა თუთარაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორანტი,
მოწვეული ლექტორი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყარო ეკონომიკური და კულტურულ-სოციალური საკითხების ირგვლივაა გაერთიანებული. დღეს, ყველაზე მარტივია ერთ ქვეყანაში წარმოებული საქონელი ათასობით კილომეტრით დაშორებულ საზოგადოებას მიწვდეს, ასევე არიან ადამიანებიც. თუ წარსულში ერთი კონტინენტიდან მეორე კონტინენტზე გადასვლისათვის თვეები და შესაძლებელია წლებიც იყო საჭირო - დღეს, სულ რამოდენიმე საათშია შესაძლებელი მრავალმხრივ განსხვავებული ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება.

ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარების დროსა და სივრცეში გამარტივებას, ერთმანეთისათვის უცხო ადამიანების დაკავშირების სულ უფრო მეტი შესაძლებლობა მოჰყვა. ბუნებრივია, გლობალიზაციას გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებსაც გარკვეულწილად საკუთარი იდენტობისა და ნაციონალური აღმატებულობის დაკარგვის შიში გაუჩნდათ.

არსებობს მოსაზრება, რომ პოსტ-ვესტფალიური სუვერენული სახელმწიფოები გლობალიზებულ სამყაროში მეტი ინტეგრაციისაკენ მიიწევენ, რასაც რიგ შემთხვევებში სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხების ეროვნულ დონეზე გადაწყვეტის შესაძლებლობა ეწირება. სუვერენიტეტისა და გლობალიზაციის ერთმანეთთან დაპირისპირების წარმოჩენას ხელშესახები წინაპირობები აქვს, რაც პოპულისტური მოძრაობების მომძლავრებასა და მეტ-ნაკლებად რეგიონულ კონფლიქტებს შეეხება.

წინამდებარე სამეცნიერო სტატიის მიზანია გააანალიზოს თუ რა კავშირი არსებობს გლობალიზაციასა და სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს შორის და შესაძლებელია თუ არა, არსებობდეს „გლობალიზებული სუვერენიტეტი?“

საკვანძო სიტყვები:
გლობალიზაცია, სუვერენიტეტი, დემოკრატია, პოპულიზმი, გლობალიზებული სუვერენიტეტი.

NEGATIVE ATTITUDES TOWARDS GLOBALIZATION IN POPULIST TERMS

GAGA TUTARASHVILI
DOCTORAL STUDENT OF POLITICAL SCIENCES
OF ILIA STATE UNIVERSITY, INVITED LECTURER

ABSTRACT

The contemporary world is united around economic and socio-cultural issues. Today, it is very easy to receive, sell and send produced goods, even though manufacturers and consumers are separated by thousands of kilometers, oceans, or continents, and so are the people. If in the past journey from one continent to another was time-consuming and people could only do it after months and even a year on the ships, today, it is a matter of some hours for different people to connect.

Economic and cultural relations are the easiest in terms of time and space and it has been followed by simpler chances for different people to interact with others. Indeed, globalization became one of the public enemies, because some people fear losing their identities and national supremacy.

There's an interesting opinion, that post-Westphal sovereign states are engaged in a rush to join the globalized, interconnected world, therefore they sacrifice the right to make some political and economical decisions at the local level. As it seems, certain preconditions have brought about this situation when the people see sovereignty and globalization as incompatible with each other, which is populist uprising and zeitgeist and more or less regional conflicts.

The author of this presented article tries to analyze what caused this kind of dissatisfaction with globalization and is it impossible to be globalized sovereignty?

KEYWORDS:
Globalization, Sovereignty, Democracy, Populism, Globalized Sovereignty.

შესავალი

თანამედროვე პოლიტიკური დისკუსიის მიმდინარეობისას, ამ დარგის საკითხების მეცნიერული შესწავლით დაინტერესებული მკვლევრები აქტიურად მსჯელობენ ზოგიერთ საზოგადოებაში გაძლიერებულ პოპულისტურ მოძრაობებზე, რომელთა უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი გლობალიზაციის სოციალური და ეკონომიკური შედეგებისაგან უკმაყოფილო მოქალაქეა. საგულისხმოა, რომ პოპულისტური მოძრაობები არახალია განვითარებადი სამყაროსათვის, მაგრამ რთული დასაჯერებელია, რომ დასავლურ დემოკრატიებში პოპულისტებს ირჩევენ კიდევაც.[123]

2016 წელს პრეზიდენტ ტრამპის ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევა და ბრიტანელი მოქალაქეების მიერ ევროკავშირის დატოვებაზე საბოლოო თანხმობა,[4] გლობალიზაციისა და სუვერენიტეტის ირგვლივ გამართული დებატების ძირითად საკითხად იქცა. არსებობს კითხვა: იწვევს თუ არა მოქალაქეთა უკმაყოფილებას სახელმწიფოთა სუვერენიტეტის იმგვარი შეზღუდვა, რაც ქვეყნების გლობალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორია?

გლობალიზაცია თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოთა ინტეგრაციის უმთავრესი გზაა. ურთულესია იმის მტკიცება, რომ მაგალითისათვის, საქართველოს მსგავს განვითარებად სახელმწიფოს შეუძლია განვითარე ბა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, ორგანიზაციებისა და წამყვანი სახელმწიფოებისაგან მომდინარე ინვესტიციების გარეშე. მეორე მხრივ, განვითარებადი სახელმწიფოებისათვის გლობალიზაციის საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოყენების გარდა, წარმოდგენაც კი რთულია უკვე განვითარებული ქვეყნების მიერ გლობალურ ინსტიტუტებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებზე უარის თქმა, რადგან საერთაშორისო ვაჭრობასა და კულტურულ მიმოცვლაში ჩართული საზოგადოება იმდენადაა დაკავშირებული მსოფლიოსთან, რომ გაცილებით უფრო მეტს დაკარგავს, ვიდრე შეიძენს. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ მძლავრია პოპულისტური მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა სწორედ გლობალიზაციასთან დაპირსპირებაა. პოპულისტური მოძრაობები საკუთარ პოლიტიკურ წარმატებას გლობალიზაციის ლიბერალური ელიტების წინააღმდეგ არსებული განწყობების გაღვივებითა და მოქალაქეთა გრძნობებზე მანიპულირებით ცდილობენ. პოპულისტები მსოფლიოს ირგვლივ გლობალიზაციას სუვერენული ერი-სახელმწიფოების დაკნინებისა და განადგურების უმთავრეს წინაპირობად წარმოგვიდგენენ. მარინ ლე პენი საფრანგეთში, დონალდ ტრამპი ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუ ნაიჯელ ფარაჟი დიდ ბრიტანეთში, საკუთარი სახელმწიფოების მიერ პროტექციონისტული პოლიტიკის მხარდაჭერის საჭიროებაზე მიუთითებენ. გლობალიზაციის წინააღმდეგ განწყობილი პოლიტიკოსები თუ მოქალაქეები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მხოლოდ იმით განსხვავდებიან თუ რა საფრთხეები უფრო მასშტაბური შეიძლება იყოს მათი საზოგადოებისათვის. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამერიკული საზოგადოებისათვის საფრთხედ არალეგალ მექსიკელებსა და ისლამური ქვეყნებიდან ჩასულ ადამიანებს აღიქვამდა[56], დიდ ბრიტანეთში, ამასთან ერთად, ბრექსიტის პარალელურად, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა დისკუსია სხვადასხვა ეკონომიკური საკითხების სუვერენულ დონეზე გადაწყვეტის საჭიროების შესახებ. სუვერენიტეტისა და გლობალიზაციის ურთიერთკავშირის შესახებ დისკუსია

1 დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევა 2016 წელს აშშ-ში.

2 ნორბერტ ჰოფერი, ავსტრიის თავისუფლების პარტია. ჰოფერმა 2016 წლის ავსტრიის საპრეზიდენტო არჩევნებში რეკორდულად მაღალი 35% იანი მხარდაჭერა მიიღო.

3 მარინ ლე პენი, ნაციონალური კრება. ლე პენმა 2022 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში რეკორდულად მაღალი 41.5% იანი მხარდაჭერა მიიღო.

4 https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-7639/ ნანახია (6/4/2022)

5 https://time.com/4473972/donald-trump-mexico-meeting-insult/ ბოლოს ნანახია (6/4/2022)

6 თუმცა ტრამპის პრეზიდენტობის ბოლო წლებში განსაკუთრებით გამწვავდა სავაჭრო და სატარიფო „ომი“ ჩინეთთან.

საბოლოო ჯამში პოპულისტური მოძრაობის ქვეტექსტიდან უნდა წარიმართოს. შესაბამისად, წინამდებარე სტატიის საფუძველზე მსჯელობა არ მოიცავს საკითხს, უნდა იყოს თუ არა საზოგადოება გლობალიზაციის ნაწილი, არამედ, მიმოიხილავს იმ შესაძლო გამოწვევებს, რომლებიც სუვერენულ სახელმწიფოებს გლობალიზაციის შედეგად შეიძლება წარმოეშვათ.

თეორია და დეფინიცია

გლობალიზაციის გაგონებისას მსმენელებს თვალწინ ძირითადად ეკონომიკური სახის ინტეგრაცია წარმოუდგებათ ხოლმე. წიგნში In The Lexus and the Olive Tree ჟურნალისტი თომას ფრიდმენი (Friedman 1999) გლობალიზაციას ამგვარად მოიხსენიებს: "საბაზრო ეკონომიკების, ერი-სახელმწიფოებისა და ტექნოლოგიების ამგვარი შეუბრალებელი ინტეგრაციის მოწმენი აქამდე არ გავმხდარვართ".[7] ცხადია, გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაცია, ღია საზღვრები და საქონლის თავისუფალი მოძრაობაა, მაგრამ წმინდა საბაზრო ურთიერთობებთან ერთად, გლობალიზაციას თავისთავად მოაქვს ინტერკულტურული მიმოცვლა, განსხვავებული საზოგადოებების ერთმანეთთან დაახლოება და ხშირად, მოქალაქეთა ნაწილისათვის კულტურული იდენტობის დაკარგვის შიში. შინაარსობრივი თვალსაზრისით, გლობალიზაცია შეიძლება ორ ძირითად ნაწილად დავყოთ: იმისათვის, რათა სახელმწიფო გლობალიზებული სამყაროს ნაწილი გახდეს მან უნდა უზრუნველყოს საბაზრო ეკონომიკის ღიაობა, ფინანსური და სასაქონლო პროდუქციის თავისუფალი მოძრაობა, მეორე მხრივ კი, ხელი არ შეუშალოს ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებას სხვადასხვა მიზნით, იქნება ეს ეკონომიკური თუ კულტურული.

გლობალიზაციის მნიშვნელობის ახსნისას მკვლევრები რამდენიმე საკითხს მიმოიხილავენ. ჯულიან კუს[8] (Ku and Yoo 2013) მოსაზრებით, მკვლევართა ერთი ნაწილის ფოკუსი გლობალიზაციის მიერ საერთაშორისო ფინანსური ბაზრების გაფართოებას უკავშირდება, მეორენი საერთაშორისო ფინანსური და სხვა სახის ინსტიტუტების გაძლიერებულ უფლებამოსილებას უსვამენ ხაზს, რაც მეტ-ნაკლებად ერი-სახელმწიფოების სუვერენული უფლებების დაძლევის წინაპირობაა, ხოლო სხვები კი, მიუთითებენ გლობალიზაციის მიერ საერთაშორისო სამართლის ახლებურ გადააზრებაზე, რომლის შედეგადაც დღეს ფინანსური და პოლიტიკური ინსტიტუტები პრაქტიკულად ქმნიან რეალობას, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხეში ინტეგრაციის მსურველი სახელმწიფოები მეტ-ნაკლებად გარკვეული სახის პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდნენ იქნება ეს ინსტიტუციონალური სტაბილურობა, ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკა და სხვა. აღნიშნული პროცესების ხელშესახები შედეგები შესაძლებელია ორგვარად წარმოვიდგინოთ: გლობალიზებული სახელმწიფოები, ისინი, რომელთა ეკონომიკაც სრულადაა ჩართული ინტერკონტინენტულ, თავისუფალ მიმოცვლაში, მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას იღებენ. მართალია, რომ შესაძლებელია, გლობალიზებული ეკონომიკა არ იყოს იმდენად წარმატებული, როგორიც წამყვანი განვითარებული სახელმწიფოების ბაზრები, მაგრამ იმისათვის, რომ საზოგადოებამ გამდიდრებისა და კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობა გამოიყენოს გლობალიზაცია აუცილებელია (Erixon 2018). მეორე მხრივ, გარდა ეკონომიკური ფაქტორებისა, აღსანიშნავია გლობალიზაციის კულტურული, სოციალური და პოლიტიკური შედეგები. ავტორები, როგორებიც არიან მეთიუ გუდვინი და როჯერ ითველი (Eatwell and Goodwin 2018) მიმოიხილავენ ნაციონალური პოპულიზმის, როგორც აჯანყების წინაპირობებსა და საფუძვლებს

7 Friedman, Thomas L. 1999. The Lexus and the olive tree. New York: Farrar, Straus, Giroux.

8 Julian G. Ku and John Yoo, Globalization and Sovereignty, 31 Berkeley J. Int'l L. 210 (2013) Available at: https://scholarlycommons.law.hofstra.edu/faculty_scholarship/574 ბოლოს ნანახია (6/5/2022)

ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგ. გუდვინის მოსაზრებით, პოპულისტური ტალღების, რომლებმაც დასავლური ლიბერალური დემოკრატიები მოიცვეს, გამომწვევ მიზეზთა შორის აუცილებლად უნდა განიხილებოდეს გლობალიზაციის ფაქტორები. ავტორთა მოსაზრებით, დასავლურ საზოგადოებებში მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც საბოლოო ჯამში პოპულისტებს უჭერენ მხარს, უარყოფითად განეწყვნენ გლობალიზაციისა და ღიაობის მიმართ, რადგანაც ისინი ერთი მხრივ, ეჭვის თვალით უყურებენ თუ რა ფორმასა და შინაარსს შეიძენს გლობალიზაციის შედეგად მათი ცხოვრება, კულტურა და ღირებულებები. ამავდროულად, გუდვინის მოსაზრებით, გლობალიზაციამ დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიებში ე.წ "ფარდობითი დეპრივაციის[9] ძლიერი რეაქცია გამოიწვია, რაც პოპულისტური მოძრაობების ანტიგლობალისტური განწყობის მქონე მოქალაქეებს მათი მომავლის შესახებ მყიფე და უიმედო წარმოდგენებს უქმნის. თავის მხრივ, ფარდობითი დეპრივაცია უოქერისა და პეტიგრუს (Walker and Pettigrew 1984) მიხედვით აიხსნება, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ფენომენი, რომელიც ხსნის იმ შიშსა და დაუცველობის გრძნობას, რაც ადამიანებს შეცვლილი რეალობის შედეგად საკუთარი ცხოვრების მიმართ უჩნდებათ.

ეკონომიკური გლობალიზაცია

საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მცხოვრები ადამიანები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, დაკავშირებოდნენ შორეულ ადგილებში არსებულ საზოგადოებებს. პრე-მოდერნული სამყაროს ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარებასთან ერთად სულ უფრო კლებულობდა დრო და დანახარჯები ყველაზე შორეული ტერიტორიებიდან ინტერკონტინენტული დაკავშირებისათვის. ტექნოლოგიურმა გარდატეხამ კი, სულ უფრო დააპატარავა მსოფლიოს რუკა, სადაც დღეს, შესაძლებელია კონკრეტული საქონლის წარმოებისას სხვადასხვა დეტალები ერთმანეთისაგან ათასობით კილომეტრის დაშორებით იწარმოებოდეს, იწყობოდეს ერთ ადგილზე და მიემართებოდეს ასევე მრავალი კილომეტრით დაშორებულ სახელმწიფოებში.

გლობალიზაციის აქამდე არნახულმა ტემპებმა დააჩქარა ქვეყნების ეკონომიკური განვითარება, რასაც მაგალითისათვის, მხოლოდ 40 წელიწადში გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა 0.7 დან 25 ტრილიონ დოლარამდე მოჰყვა[10]. აღსანიშნავია, გლობალური ვაჭრობის მაჩვენებლებიც, რომლის მიხედვითაც, 35 ჯერ გაიზარდა ვაჭრობის მოცულობა 1980-2010 წლებში[11]. მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა კი, 1980 წლიდან 2022 წლამდე, 11 ტრილიონიდან 84 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა,[12] მაშინ, როდესაც მსოფლიო მოსახლეობა იგივე წლებში თითქმის მხოლოდ გაორმაგდა.[13]

გლობალიზაციის ეკონომიკური შედეგები მართლაც თვალსაჩინოა, არა მხოლოდ განვითარებული ეკონომიკებისათვის, არამედ ჯერ კიდევ განვითარების გზაზე მყოფი სახელმწიფოებისთვის, რაც ცხადყოფს, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით არ არსებობს განვითარებისთვის სხვა უფრო ეფექტური გზა, გარდა საერთაშორისო ფინანსურ, სავაჭრო და პოლიტიკურ ინსტიტუტებში ჩართულობისა.

---

9 Relative Deprivation - ფარდობითი დეპრივაცია (დანაკარგი, ჩამორთმეული, წართმეული)

10 Erixon, Frederik. 2018. The Economic Benefits of Globalization for Business. European Centre for International Political Economy.

11 იქვე.

12 https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD ბოლოს ნანახია (6/6/2022)

13 https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?end=2020&locations=1W&start=1980&view=chart ბოლოს ნანახია (6/6/2022)

კულტურული ფენომენი

ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართულობასთან ერთად, გლობალიზაციას ბუნებრივად თან სდევს კულტურული კავშირების გაჩენაც. მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან ერთმანეთთან დაკავშირებული მწარმოებლები თუ მომხმარებლები, სავაჭრო ურთიერთობებთან ერთად, საზღვრების ღიაობისა და ლიბერალური საემიგრაციო პოლიტიკის შედეგად მარტივად გადაადგილდებიან ერთი სახელმწიფოდან მეორეში, რაც ერთმანეთისათვის განსხვავებული და უცხო საზოგადოებების შეჯახებას იწვევს. ასევე საგულისხმოა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ბუნებრივად მიილტვიან საკუთარი ღირებულებების გავრცელებისაკენ, რაც მშვიდობისა და კეთილდღეობის მთავარი წინაპირობაა. ლიბერალური ინტერნაციონალიზმის პოლიტიკური დოქტრინის მიხედვით ლიბერალური დემოკრატიები ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების შედეგად არ იწყებენ სამხედრო კონფლიქტებს ერთმანეთთან, შესაბამისად, რაც უფრო წარმატებით განხორციელდება დემოკრატიის ექსპორტი, მით უფრო მშვიდობიანი შეიძლება იყოს მსოფლიოს მომავალი.

მსოფლიოს მასშტაბით არსებობს 7-8 ცივილიზაცია, რომელიც ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება.[14] სამუელ ჰანტინგტონის ამ მოსაზრებით აღნიშნული ცივლიზაციები[15] ერთმანეთისაგან მრავალი მახასიათებლით განსხვავდებიან იქნება ეს კულტურული, ტრადიციული, რელიგიური თუ სხვა მაჩვენებელი. ადამიანთა კულტურული განსხვავებულობის ცხადი კონტრასტი მათ შორის გარკვეულწილად განსაკუთრებულობის დაკარგვის შიშსა და უკმაყოფილების ზრდის შესაძლებლობაზე მოქმედებს. ადამიანებს უჩნდებათ შთაბეჭდილება, რომ შესაძლებელია მათი კოლექტიური, ნაციონალური იდენტობა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს, რადგანაც კულტურული წეს-ჩვეულებები, რელიგიური რიტუალები თუ სამოქალაქო ღირებულებები შესაძლებელია მათთვის უცხო, მიუღებელმა ნორმებმა ჩაანაცვლოს. კულტურული და სოციალური ჰომოგენურობის დაკარგვის შიშზე კაპიტალიზაციას კი პოპულისტური ჯგუფები ახდენენ.

გლობალიზაციის შედეგად ჰანტინგტონის მიერ ჩამოთვლილი ცივილიზაციები მათგან რადიკალურად განსხვავებული ლიბერალური დასავლური საზოგადოებებისაგან სხვადასხვა სახით იღებენ ახალ, პოსტ-მოდერნულ კულტურულ და სოციალურ ქცევებს. დასავლური საზოგადოების კულტურული გავლენა გლობალიზაციის შედეგად აისახება მუსიკაზე, მხატვრობაზე, მოდაზე და სხვა ფართო გავრცელების საგნებზე, რაც ძალიან შესამჩნევია ამ ქვეყნებში მცხოვრები მეტწილად ტრადიციული ფასეულობების მქონე მოქალაქეთათვის, რაც მათ შორის გარკვეული შეუთავსებლობის საფუძველი ხდება. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის შედეგად მაინც იცვლებიან ტრადიციული სოციალური ქსოვილის მქონე არადასავლური საზოგადოებები, რომლებიც ორგვარად ვლინდება რეალობაში. ერთია, როდესაც დასავლური ცხოვრების სტილი, ღირებულებები და კულტურა სრულიად ინტეგრირდება ადგილობრივ განსხვავებულ საზოგადოებაში და იგი არ იწვევს დაპირისპირების პროვოცირებას, ხოლო მეორეა, როდესაც ადგილობრივი, ლოკალური საზოგადოება თვითონვე ითავისებს გლობალიზაციის შედეგად მიღებულ ახალ წყობილებას და საკუთარი განსაკუთრებულობის წარმოჩენისათვის იყენებს მას.

საქართველო

საქართველო პოსტ-ტოტალიტარული ქვეყანაა, რომელმაც სამოცდაათწლიანი

14 Huntington, Samuel P. 2011. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. New York, NY: Simon & Schuster.

15 იქვე. დასავლური, სლავურ-ორთოდოქსული(მათ შორის საქართველო), ისლამური, აფრიკული, ჩინური, იაპონური, ინდური, აფრიკული.

კომუნისტური ოკუპაცია გამოიარა, რამაც დიდწილად გამოფიტა ქართული საზოგადოება იმ იდეალებისაგან, რაც 1918-1921 წლების საქართველოს რესპუბლიკას გააჩნდა. სწორედ ამის შედეგია 90-იანი წლების ბურუსით მოცული რეალობა, უწესრიგობა, სამოქალაქო ომი და კორუმპირებული სახელმწიფო. მიუხედავად ამისა, დღევანდელი პერსპექტივიდან საქართველომ მეტ-ნაკლებად შეძლო და განამტკიცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ჩამოაყალიბა სახელმწიფო ადმინისტრაცია, მაგრამ ვერ შეძლო გამხდარიყო დასავლური ტიპის ლიბერალური დემოკრატია.[16] [17]

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის სამი ათწლეულის შემდეგაც კი ვერ მკვიდრდება დემოკრატიული პრინციპები, ადამიანის უფლებათა დაცვის ურყევი ნება, თანასწორობა და კანონის უზენაესობა, როგორც უმთავრესი ღირებულებები. დასავლური საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი სახელმწიფოებრივი მოწყობა საქართველოში ჯერ კიდევ მიუღწეველია, რის მცდელობასაც უკურეაქცია მოჰყვება ხოლმე. მოქალაქეთა ნაწილი გლობალიზაციას ეჭვის თვალით უყურებს, რასაც პოპულისტური, ანტი-დასავლური პოლიტიკური პარტიები მხარდაჭერის მოსაპოვებლად იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გლობალიზებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ძალიან მცირეა[18], იქნება ეს საზოგადოებაში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანების წილი, განსხვავებული კულტურები თუ ღირებულებები, პოპულისტური, ანტი-გლობალისტური მოძრაობები მაინც ახერხებენ შექმნან რეალობა, სადაც ევროკავშირი, ნატო თუ ამერიკის შეერთებული შტატები ადგილობრივი კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების მტრად არიან წარმოჩენილები.

დასკვნა

თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოთა უმრავლესობა გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ჩართულობისკენ მიილტვის, რადგანაც წარმოუდგენლად პოზიტიურია ის შედეგები, რასაც სახელმწიფოები გლობალური ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკური ურთიერთობებისაგან იღებენ. ამავდროულად, გლობალიზაციის თანმდევი პროცესია კულტურული და სოციალური მნიშვნელობის გადაადგილება, რასაც ზოგჯერ ქვეყნები მიგრანტთა კრიზისამდეც კი მიჰყავს ხოლმე. აღნიშნულ შემთხვევებში ხშირია საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისა და პოპულისტი პოლიტიკოსების მიერ ანტი-გლობალისტური რიტორიკა, რასაც არაერთ შემთხვევაში პროტექციონისტულ და შეზღუდულ საიმიგრაციო პოლიტიკამდე მივყავართ ხოლმე. გლობალიზაციის ლოკალური საზოგადოებისათვის პრობლემატურობის ასახსნელად, პოპულისტები სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეზღუდვას ასახელებენ ხოლმე, რადგანაც გლობალურ სისტემაში ჩართული სახელმწიფო გარკვეულწილად ემორჩილება იმ გლობალურ წესრიგს, რაც ფინანსურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ სფეროშია დამკვიდრებული. ბუნებრივია, გლობალიზაციის შედეგად მოქალაქეებს იმაზე მეტის მოლოდინი აქვთ, ვიდრე ეს მოკლე დროშია შესაძლებელი. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ გლობალიზაციის მიმართ პოპულისტური განწყობები ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, არ გამომდინარეობს რეალურად არსებული პრობლემებიდან, იქნება ეს სუვერენიტეტის შეზღუდვა, მიგრანტთა კრიზისი, კულტურული ჰომოგენურობის დაკარგვა თუ საერთაშორისო ფინანსური

16 Freedom House - ის მიხედვით საქართველო ჰიბრიდული რეჟიმია და შესაძლებელი 100 დან 38 ქულა ენიჭება.
https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2021 ბოლოს ნანახია (6/9/2022)

17 The Economist Inteligence - ის დემოკრატიის ინდექსის მიხედვით საქართველო 5.12 ქულით 167 სახელმწიფოს შორის 91-ე ადგილზეა.
https://www.eiu.com/n/campaigns/democracy-index-2021/ ბოლოს ნანახია (6/9/2022)

18 2018 წლისათვის შრომითი საქმიანობისათვის ქვეყანაში შემოსული უცხოეთის მოქალაქეების რაოდენობამ 7,173 ადამიანი შეადგინა, რაც მოსახლეობის დაახლოებით 0.19% ია.
https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf ბოლოს ნანახია (6/9/2022)

ინსტიტუტების მიერ დაწესებული ეკონომიკური შეზღდუვები,[19] არამედ მეტ-ნაკლებად გაცრუებული იმედებიდან, რომელიც კონკურენტუნარიან საზოგადოებაში სრულიად მოსალოდნელი შედეგია. ამიტომაც, პოპულისტური განწყობების გაღვივება მგრძნობიარე ემოციებზე მანიპულირებით მიმდინარეობს, რისი ნამდვილი საფუძველიც არა მიგრანტების კრიზისი ან სუვერენიტეტის დაკარგვის შიშია, არამედ მეტ-ნაკლებად მოკლე დროში კონკურენტუნარიან საბაზრო ეკონომიკაში წარუმატებლობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

• Appadurai, Arjun. 2010. Review of Disjuncture and Difference in the Global Cultural Economy. Arjunappadurai.com. Sage. April 23, 2010.

• Appadurai, Arjun. 1996. Modernity at large: Cultural dimensions of globalization. ACLS Humanities E-Book.

• Eatwell, Roger, and J Matthew Goodwin. 2018. National Populism: The Revolt Against Liberal Democracy. London, UK: Pelican.

• Erixon, Frederik. 2018. The Economic Benefits of Globalization for Business. European Centre for International Political Economy.

• Friedman, Thomas. 1999. The Lexus and The Olive Tree. New York: Giroux.

• Huntington, Samuel P. 2011. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. New York, NY: Simon & Schuster.

• Ku, Julian G., and John Yoo. 2013. Globalization and Sovereignty. Hofstra University.

• SYAMALAMMA, K, and P KRISHNA MOHAN REDDY. "Cultural Globalisation: THE ROLE OF SOUTH, EAST AND SOUTHEAST ASIA." World Affairs: The Journal of International Issues 13, no. 4 (2009): 14–35. https://www.jstor.org/stable/48505214.

• Stephen Magu, 2015. "Reconceptualizing Cultural Globalization: Connecting the "Cultural Global" and the "Cultural Local"," Social Sciences, MDPI, vol. 4(3), pages 1-16.

• Walker, Ian, and Thomas F. Pettigrew. 1984. "Relative Deprivation Theory: An Overview and Conceptual Critique." British Journal of Social Psychology (British Journal of Social Psychology) 301-310.

• Wallace S. Broecker, Jordi Canals, Peter Dicken, Roberto Foa, Pankaj Ghemawat, Francisco González, Hans Ulrich Gumbrecht, Ronald Inglehart, Brian Kahin, William F. Laurance, Norman V. Loayza, Thomas E. Lovejoy, Saskia Sassen, Jan Aart Scholte, Ramamurti Shankar, Peter Singer. 2009. The Multiple Faces of Globalization. BBVA.

სხვა ინტერნეტ რესურსები

• https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-7639/ ბოლოს ნანახია (6/4/2022)
• https://time.com/4473972/donald-trump-mexico-meeting-insult/ ბოლოს ნანახია (6/4/2022)
• https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD
• https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?end=2020&locations=1W&start=1980&view=chart ბოლოს ნანახია (6/6/2022)
• https://www.eiu.com/n/campaigns/democracy-index-2021/ ბოლოს ნანახია (6/9/2022)
• https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2021 ბოლოს ნანახია (6/9/2022)
• https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf ბოლოს ნანახია (6/9/2022)
• https://www.imf.org/en/News/Articles/2019/10/01/sp093019-The-IMF-and-the-Greek-Crisis-Myths-and-Realities ბოლოს ნანახია (6/9/2022)

19 მაგალითისათვის, საბერძნეთს ევროზონის კრიზისის დროს არაერთ დათმობაზე მოუწია წასვლა, რათა სოციალური ხარჯები შეეკვეცა და საგადასახადო რეფორმები გაეტარებინა. https://www.imf.org/en/News/Articles/2019/10/01/sp093019-The-IMF-and-the-Greek-Crisis-Myths-and-Realities ბოლოს ნანახია (6/9/2022)

რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შესაძლო სცენარები

ლევან ნიკოლეიშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
ეროვნული თავდაცვის აკადემია

აბსტრაქტი

ბევრი მსჯელობა მიდიოდა დაიწყებოდა თუ არ ომი, ბევრს სჯეროდა რომ რუსეთი, კერძოდ კი მისი პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი ამას არ/ვერ გაბედავდა. დიახ, სწორედაც, რომ ცოტა თუ იძახდა რომ ომი გარდაუვალი იყო: თუმცა ალბათ ყველაზე ყურადსაღები მაინც აშშ-ს დაზვერვის მონაცემები გახლდათ, რის საფუძველზე პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა რამდენჯერმე ომის დაწყების თარიღიც კი დაასახელა. ამ მხრივ, საინტერესო იყო უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის განცხადებებიც, რის თანახმადაც, თითქოსადა საპანიკო არაფერი არ იყო, უფრო მეტიც ის თავის, უკრაინულ დაზვერვას უცხადებდა სრულ ნდობას. ომი დაიწყო, და ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირება, არამედ წინააღმდეგობა რუსეთსა და დასვლეთ შორის, საბრძოლო მოქმედებების თეატრი კი უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, რასაც სამხედრო პირების გარდა მშვიდობიანი მოქალაქეებიც შეეწირა, დაინგრა და განდგურდა ქალაქები და ინფრასტრუქტურა.

საკვანძო სიტყვები:
ომი, ტერიტორია, დასვლეთი, უკრაინა, რუსეთი.

POSSIBLE SCENARIOS FOR THE END OF THE RUSSIA-UKRAINE WAR

LEVAN NIKOLEISHVILI
DOCTOR OF POLITICAL SCIENCES
NATIONAL DEFENCE ACADEMY

ABSTRACT

Many debated whether a war would start or not, many believed that Russia, and in particular its president, Vladimer Putin, would not/could not dare to do so. Most notable, however, were US intelligence data, on basis of which President Joe Biden even named the start date of the war several times. In this regard, the statement of the President of Ukraine Zelensky were also interesting, according to which there was nothing to panic about, moreover, he expressed full confidence in himself, the Ukrainian intelligence. The war broke out, and it soon become clear that it was just a Russian-Ukrainian military confrontation between Russia and West, with a theater of hostilities on Ukrainian territory that killed civilians, destroying cities and infrastructure.

KEYWORDS:
War, Territory, West, Ukraine, Russia.

შესავალი

რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შესაძლო სცენარები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო. ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირება, არამედ წინააღმდეგობა რუსეთსა და დასვლეთ შორის, საბრძოლო მოქმედებების თეატრი კი უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, რასაც სამხედრო პირების გარდა მშვიდობიანი მოქალაქეებიც შეეწირა, დაინგრა და განდგურდა ქალაქები და ინფრასტრუქტურა.

ზუსტი თარიღი, თუ როდის დასრულდება რუსეთ-უკრაინის ომი მართლაც ძნელი გამოსაცნობია. თუმცა არსებობს რამდენიმე შესაძლო სცენარი, თუ როგორი შედეგით შეიძლება დასრულდეს მოლაპარაკებები, რომელსაც ალტერნატივა მაინც არა აქვს, ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ ეს არის საშუალება, რომელმაც უნდა შეაჩეროს საშინელება, რომელიც 21-ე საუკუნეში არა მარტო უკრაინას და მის ხალხს, არამედ მთლიანად მსოფლიოს დაატყდა თავს.

მოლაპარაკების პროცესის შესაძლო შედეგები

მაშ, ასე მოლაპარაკების პროცესს, რომელსაც წესით ალტერნატივა არ უნდა ჰქონდეს-„მოლაპარაკება სხვდასხვა სახისაა, ის მიმდინარეობს ან თანამშრომლობით, ან კონფლიქტის ფონზე.“ [1]

შესაძლო შედეგების მოკლე ვარიანტები შემდეგნაირად წარმომიდგენია:

1) შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ;

• უკრაინისთვის, ეს იქნება ერთგვარი ამოსუნთქვის საშუალება, რომელიც შეამცირებს მსხვერპლს, როგორც სამოქალაქო ასევე სამხედროებს შორის.

• უკრაინამ, ეს დრო შეიძლება გამოიყენოს, შეიარაღების გასაძლიერებლად, ჯარების გადაჯგუფებისა და შესაძლო კონტრშეტევის მოსამზადებლად.

• რუსეთისთვისაც, ეს იქნება ერთგვარი ამოსუნთქვის საშუალება, რომელიც შეამცირებს თვის ცოცხალი ძალების დანაკარგების რაოდენობას.

• რუსეთმა, ეს დრო შეიძლება გამოიყენოს ლოგისტიკური უზრუნველყოფის გასაძლიერებლად, ახალი ძალების მოსაზიდავად და გენერალური შეტევის მოსამზადებლად.

2) უკრაინის პოლიტიკური ლიდერები უკვე ღიად, საუბრობენ იმის შესახებ, რომ ეს ქვეყანა NATO-ს წევრი ვერ/არ გახდება-ეს ცხადია ხელ ფეხს უხსნის რუსეთს უკრაინის ნეიტრალური სტატუსის შესახებ ზეწოლა გააძლიეროს!

• უკრაინის ნეიტრალიტეტი, ანუ NATO-ში, არ გაწევრიანების საკითხს ომის დაწყებამდე აყენებდა რუსეთი, თუ ასეც მოხდა, ეს პროგრამა მინიმუმი შეიძლება ძალიან კარგად გამოიყენოს რუსეთმა როგორც გამარჯვების გამოცხადება, არა მარტო შიდა პოლიტიკურ ბაზარზე, ასევე გარეთაც.

• უკრაინის პოლიტიკურ ლიდერებს, ომის დამთავრების შემდეგ ამ საკითხის თავის

1 რევაზ ჯორბენაძე. „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“ გვ. 111

სასარგებლოდ შემობრუნება ქვეყნის შიგნით ძალიან გაუჭირდება, რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ NATO-ში არ გვღებულობენ და ამიტომაც უარს ვაცხადებთ გაწევრიანებაზე, ხომ ხედავთ ომში არ დაგვეხმარნენო. კითხვა მარტივია, ვინ უთხრათ, რომ გარანტირებულად იღებდნენ ან NATO დაეხმარებოდა? (ცალკე ქვეყნების დახმარებაში ნუ აგვერევა!

3) რუსეთი ღიად აცხადებს, რომ ყირიმს არ დათმობს, იმავეს ამბობს უკრაინაც.

• დე ფაქტო, ყირიმი რუსეთის შემადგენლობაშია, დე იურე უკრაინის. შეიძლება ეს საკითხი ასეც გაიყინოს. უბრალოდ მხარეები „მშვიდობიანი სიჯიუტის მოდელზე შეთანხმდნენ.“

• დასავლეთი, ყირიმს არ აღიარებს, რუსეთი კი ამის შესახებ ნაკლებად ინერვიულებს, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტად არა ვიდრე მანამდე.

4) ლუგანსკი და დონბასი, რუსეთის მიერ აღიარებული რესპუბლიკებია, დე იურე უკრაინის შემადგენელი ნაწილები:

• იდეალური იქნება, რომ რუსეთმა უკან დააბრუნოს, თუმცა ძალიან ეჭვი მეპარება;

• შეიძლება მსჯელობა, ფართო ავტონომიის ფარგლებში უკრაინის შემადგენლობაში დატოვებაზე, ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

• დე ფაქტო, რუსეთის მიერ დამოუკიდებლობა აღიარებულად დარჩნენ, დე იურე უკრაინის შემადგენლობაში. შეიძლება ეს საკითხი ასე გაიყინოს.

• შესაძლოა, ლუგანსკსა და დონბასში, აუცილებელი გახდეს საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის განლაგება, სავარაუდოდ გაერო-ს ეგიდით. თუ რომელი ქვეყნების წარმომადგენლები იქნებიან მომავალი მშვიდობისმყოფელები, ძალიან სადაო თემა იქნება.

5) მოლაპარაკებისა და ცეცხლის შეწყვეტის ერთ-ერთ მიბმულ საკითხად დადგება საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის განლაგება უკრაინა-რუსეთის ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე. „მოლაპარაკება მიმართული დათმობა-მიახლოებაზე.“[2] ისევ და ისევ, სავარაუდოდ გაერო-ს ეგიდით. აქაც, თუ რომელი ქვეყნების წარმომადგენლები იქნებიან მომავალი მშვიდობისმყოფელები, ძალიან სადაო თემა იქნება.

• ომი შეიძლება „ჩამოყალიბდეს“ ე.წ. გაყინულ კონფლიქტად, რომლის გადაჭრას შეიძლება წლები დასჭირდეს.

• რამდენად აწყობს ომის ამ შედეგით დასრულება ცალკე უკრაინას და ცალკე რუსეთს, ეს მეორე თემაა, დამოკიდებულია იმაზე თუ ვინ უფრო კარგად წარმოაჩენს, თავის თავს გამარჯვებულად თავის ქვეყანაში.

• დასავლეთიც შეიძლება დაინტერესებული იყოს მოვლენების ასეთი განვითარებით, მინიმუმ ეს დრო მათთვის მინიმუმ შესაფერისი იქნება ან რუსეთის ენერგოდამოკიდებულებისაგან გასათვისუფლებად, ან უბრალოდ რუსეთთან თავიანთი ურთიერთობებისა ან საბოლოოდ გადასახედად ან სულაც დასალაგებლად.

6) დრო და მოლაპარაკების საბოლოო შედეგისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება:

• რამდენად შეძლებს წინ წაწევას რუსეთი საბრძოლო მოქმედებებით უკრაინის ტერიტორიაზე;

• რამდენი ხანი შეძლებს უკრაინელები თავდაცვას, და უფრო მეტიც შეძლებენ

2 რევაზ ჯორბენაძე. „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“ გვ. 112

მაქსიმუმ კონტრშეტევაზე გადასვლას, ან მინიმუმ უკვე დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნებას;

7) დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია რუსეთის არ მისცენ გამარჯვების საშუალება, ამისათვის შესაძლებლობის ფარგლებში თითქოსდა ყველაფერს აკეთებენ:

• მაგრამ ბევრ საკითხთან მიმართებაში, კერძოდ საერთო აზრის ცამოყალიბებაში ცალკეული ბზარების გაჩენამ, და რუსეთზე კვლავ ენერგოდამოკიდებულებამ, რუსეთს შეიძლება ითქვას სითამამე შემატა.

• ასევე, მნიშვნელოვანია, დასავლეთის ერთსულოვნების შენარჩუნება, და უკრაინიდან მიღებული ლტოლვილთა მზარდი ნაკადების პრობლემების დარეგულირება;

• ეკონომიკური პრობლემების და ფასების ზრდა, სერიოზულ დარტყმას აყენებს როგორც ევროპის მოსახლეობას, ასევ რუსეთს. თუ რომელი მოსახლეობა აღმოჩნდება უფრო „გამძლე“ ამას დრო გვაჩვენებს.

8) NATO-მ (გთხოვთ მის წევრ ქვეყნებს, ცალკე ნუ აურევთ, მე ვსაუბრობ ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციაზე) შეძლო კონფლიქტში არ ჩართვა. თავის ალიანსის საზღვრებიც ხელშეუხებელია, ეს იცის რუსეთმაც და ეს იციან წევრი სახელმწიფოებმაც, მათ საკმაოდ სერიოზული თავდაცვისა და უსაფრთხოების ფარი გააჩნიათ: ერთადერთი ინსტრუმენტი, რაც მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნას ეს ბირთვული შეიარაღებაა, ჯერჯერობით რუსეთის მხრიდან მხოლოდ ბირთვული შეიარაღების შესაძლო გამოყენების მუქარას ჰქონდა ადგილი, იმედია ამის იქით არავინ არ წავა. მხოლოდ, NATO-ს ტერიტორიაზე სამი სახელმწიფოს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) ბირთვული შეიარაღებაა, და ესა აღარ იქნება, შესაძლო მესამე მსოფლიო ომი, არამედ მსოფლიო კატასტროფა.

დასკვნა

თუ ვინ მოიგებს ომს, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ილუზიებს, მკითხაობას და ჩვენ პირად სურვილებს ამ შემთხვევაში არათუ დროებით, არამედ საერთოდ თავი უნდა დავანებოთ, და შევეცადოთ ცოტა რეალურად შევხედოთ სიტუაციას. მით უფრო „კონფლიქტის ესკალაცია იწყება მტრობის სწრაფი ზრდით.“[3] ვინ იქნება გამარჯვებული, ფაქტობრივად იგივეა, რომ ვთქვათ ის ვინც არ იქნება დამარცხებული. სწორედ აქ მივადექით იმას, რომ ერთია ვინ რას ელოდებოდა ან ელის ამ ომიდან, და მეორეა თუ რას მიიღებს საბოლოოდ. ამ ომში, შესაძლოა თავიდან არ ჩანდა, მაგრამ უკვე ბევრი ზოგიც პასიური და ზოგიც აქტიური აქტორი გამოიკვეთა. მით, უფრო, ვხედავთ, რუსეთ-უკრაინის ომი, ნელ ნელა გადაიქცა დასავლეთისა და რუსეთის შეიარაღებულ დაპირისპირებად, რომლის საბრძოლო მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. შესაბამისად, ომის რაღაც ეტაპზე მინიმუმ შეჩერება (ან „გაყინულ კონფლიქტად“ გადაქცევა) და მაქსიმუმ დამთავრებაც, სწორედ ამ აქტორების პოლიტიკურ ნებაზეა მეტწილად დამოკიდებული. ოღონდ არ დაგვავიწყდეს, ამ პოლიტიკურ ნებას უმთავრესი, რამ უნდა უძღოდეს წინ: არცერთმა აქტორს, არ უნდა

3 რევაზ ჯორბენაძე. „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“ გვ. 40

გამოჩნდეს დამარცხებული, უფრო მეტიც პირველ რიგში თავის მოქალაქეებთან, ასევე საერთაშორისო საზოგადოებასთან უნდა თქვან, რომ მათ თავის მიზანს მიაღწიეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ქვეყნების თუ ორგანიზაციების ლიდერებს პოლიტიკური კრახი გარანტირებული ექნებათ. ასე, რომ ვნახოთ, სანამდე გაგრძელდება საბრძოლო მოქმედებები, ვის უმტყუნებს ნერვები პირველად ან ვის გაეხსნება გონება და იტყვის, რომ უკვე გაჩერების დროა, ესეც სავარაუდოდ მალე გამოჩნდება. მანამდე კი ყოველდღიურად ხალხი იღუპება...აქტორების რაოდენობა კი იზრდება და იზრდება, იმედია საღი პოლიტიკური ნებაც გამოჩნდება!

გამოყენებული ლიტერატურა

• რევაზ ჯორბენაძე. „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა.“ „მეცნირება“, თბილისი 2001წ.

• Wood, Elizabeth A.; Pomeranz, William E.; Merry, E. Wayne; Trudolyubov, Maxim (15 December 2015) Roots of Russia's War in Ukraine. Columbia University Press. ISBN 978-0-231-80138-6. OCLC 1008637056.

• Smith, Christopher M. (15 March 2022). Ukraine's Revolt, Russia's Revenge. Brookings Institution Press. ISBN 978-0-8157-3925-8. OCLC 1287616684.

• https://www.bbc.com/news/world-europe-60506682

• https://www.theguardian.com/world/live/2022/may/30/russia-ukraine-war-latest-russia-intensifies-assault-on-sievierodonetsk-zelenskiy-to-address-eu-leaders-live

რუსეთის სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ: ლიბერალიზმის კრიზისი

ნინო ოხანაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
ეროვნული თავდაცვის აკადემია

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ცდილობს წარმოაჩინოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს რუსეთის სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ. კვლევის მიზანია რუსეთ-უკრაინის ომის თვისებრივი ანალიზი, საერთაშორისო ურთიერთობების ორი ყველაზე გავლენიანი თეორიის - რეალიზმის და ლიბერალიზმის გამოყენებით. სტატია საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევის შესწავლის და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდს იყენებს.

კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთის მიმდინარე სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, რეალიზმის აღზევებაზე მიუთითებს. ლიბერალიზმის კრიზისი კი მთელს მსოფლიოში ცალსახად დგას. ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების უნივერსალურობის ლიბერალურმა სტრატეგიულმა ნარატივმა დაკარგა მიმზიდველობა იმის ფონზე, რასაც ლიბერალიზმის პოსტულატები გვათავზობენ და რაც, რეალურად ხდება.

საკვანძო სიტყვები:
რეალიზმი; ლიბერალიზმი; რუსეთ-უკრაინის ომი; ჩრდილოატლანტიკური ხელეკრულების ორგანიზაცია (ნატო).

RUSSIA'S MILITARY AGGRESSION AGAINST UKRAINE: A CRISIS OF LIBERALISM

NINO OKHANASHVILI
DOCTOR OF SOCIAL SCIENCES,
NATIONAL DEFENCE ACADEMY

ABSTRACT

This article seeks to illustrate the key factors that caused Russia's military aggression against Ukraine. The aim of the study is to qualitatively analyze the current Russia-Ukraine war using the most influential theories of international relations - realism and liberalism. The article uses a case study and qualitative content analysis method as a basic methodological approach.

The study found that that Russia's ongoing military aggression against Ukraine indicates a rise of realism. The crisis of liberalism is unequivocally in the world. The liberal strategic narrative of the universality of human rights and civil liberties has lost its appeal in the light of what the postulates of liberalism offers us and what is actually happening.

KEYWORDS:
Realism; Liberalism; The Russia-Ukraine War; North Atlantic Treaty Organization (NATO).

შესავალი

ვლადიმერ პუტინის ხელმძღვანელობით, რუსეთის უკრაინაში შეჭრამ, აღმოსავლეთ ევროპა გეოპოლიტიკური სცენის წინა პლანზე წამოწია.

უკრაინამ, რომელიც იბრძოდა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, საბოლოოდ, სრული სუვერენიტეტის მოპოვება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ, 1991 წელს შეძლო.

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაცია შეიჭრა სუვერენულ სახელმწიფოში, ჩაიდინა უამრავი დანაშაული და კვლავ აგრძელებს სისასტიკეს. როგორც საერთაშორისო საზოგადოების მძაფრი რეაქციიდან ჩანს, რუსეთის შეჭრა უკრაინაში დაუსჯელი არ დარჩება.

სტატიის მიზანია რუსეთ-უკრაინის ომის თვისებრივი ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების ორი ყველაზე გავლენიანი თეორიის - რეალიზმის და ლიბერალიზმის გამოყენებით. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის კვლევა დაეყრდნო შემთხვევის შესწავლის (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდს. კვლევის პროცესში გაანალიზდა მეორადი წყაროები - სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებობს და ელექტრონულ მედიაში მოძიებული მასალები.

კვლევითი ნაშრომი პასუხობს შემდეგ საკვლევ კითხვას: რა იყო ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს რუსეთ-უკრაინის ომი?

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორიას აქვს გარკვეული ძლიერი და სუსტი მხარეები. ცალკე აღებული ვერც ერთი თეორია სრულყოფილად ვერ ხსნის საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვან ცვლილებას. ვინაიდან, საერთაშორისო პოლიტიკიური პროცესები უაღრესად რთული და კომპლექსურია, ვეყრდნობით სხვადასხვა თეორიას იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობს სამყარო. იმის გამო, რომ სოციალური მეცნიერების საუკეთესო თეორიებიც კი არასრულყოფილია, აქვთ მნიშვნელოვანი ხარვეზები, ყოველთვის არის გამონაკლისები კარგად დამკვიდრებულ კანონზომიერებებშიც კი, ამიტომ ანალიტიკოსები ერთზე მეტ თეორიას იყენებენ, იმის გასაგებად, თუ რას გვეტყვის რომელიმე მათგანი. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მიდგომას არ შეუძლია ახსნას ყველაფერი, რაც ხდება მოცემულ მომენტში, ზუსტად განსაზღვროს რა მოხდება მომავალში, არსებული თეორიები გარკვეულწილად დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რამ გამოიწვია ომი უკრაინაში.

თეორიული ჩარჩო

ძირითადი ლიბერალური რწმენები/ვარაუდები დაკავშირებულია იმანუელ კანტისა და ჯერემი ბენთამის სახელთან, ორ წამყვან ლიბერალურ მოაზროვნესთან, რომლებმაც გზა გაუხსნეს თანამედროვე ლიბერალიზმს. მათ ხაზი გაუსვეს საერთაშორისო სისტემის ბარბაროსობას და უკანონობას და ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის გონებას შეუძლია დაძლიოს ლტოლვა ძალაუფლებისკენ და უზრუნველყოს თავისუფლება და სამართლიანობა.

ლიბერალიზმი ცდილობს გადაჭრას პრობლემები, საერთაშორისო ურთიერთობებში გრძელვადიანი მშვიდობისა და თანამშრომლობის მისაღწევად და განიხილავს სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ამის უზრუნველყოფას.

სტატიაში განვიხილავ ლიბერალური ტრადიციის ხუთ ძირითად მახასიათებელს.

ლიბერალიზმის ხუთი ძირითადი დაშვება:

პირველ რიგში, ლიბერალ თეორეტიკოსებს აქვთ მტკიცე რწმენა ადამიანის შესაძლებლობების. ლიბერალური თეორეტიკოსების აზრით, „ადამიანს შეუძლია თავისი ბედის ფორმირება“, შესაბამისად, ადამიანებს ასევე შეუძლიათ საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება. გონების მეშვეობით, შესაძლებელია დაძლიოს „მსოფლიო მთავრობის არარსებობისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები“. შესაბამისად, შესაძლებელია ანარქიული საერთაშორისო სისტემის მიერ წამოჭრილი დაბრკოლებების გადალახვა.

მეორე, ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ ისტორიული პროგრესი შესაძლებელია „ადამიანური გონებისა და სოციალური სწავლის პროცესის“ გამო[1].

მესამე, ლიბერალებს რეალისტებისგან განსხვავებით მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს შიდა პროცესები მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო-საზოგადოება, იდეოლოგია და მმართველობის სისტემა განსაზღვრავს იმას, თუ როგორ მოქმედებს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში. მათ მიაჩნიათ, რომ არსებობს „მჭიდრო კავშირი, ერთი მხრივ, შიდა ინსტიტუტებსა და პოლიტიკას და მეორე მხრივ, საერთაშორისო პოლიტიკას შორის.“ შესაბამისად, საერთაშორისო პოლიტიკა განუყოფელია სახელმწიფოს შიდა შემადგენლობისა და ინტერესებისგან. ლიბერალებს ასევე მიაჩნიათ, რომ არსებობს კავშირი სახელმწიფო რეჟიმებსა და ომის ალბათობას შორის.

კანტი ამტკიცებს, რომ „რესპუბლიკური“ (ანუ დემოკრატიული) სახელმწიფოები უფრო მშვიდობიანები არიან, ყოველ შემთხვევაში ერთმანეთის მიმართ. ეს იდეა შემდეგ მაიკლ დოილმა განავითარა და ჩამოაყალიბა დემოკრატიული მშვიდობის თეორია[2].

მეოთხე, ზოგიერთი ლიბერალური თეორეტიკოსი ამტკიცებს, რომ გაზრდილი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, მშვიდობის და თანამშრომლობის სტიმულს ქმნის და ამცირებს კონფლიქტებისა და ომის ალბათობას. კანტის აზრით, მსოფლიოს ხალხებს შორის ვაჭრობა გააერთიანებდა მათ საერთო ეკონომიკური ინტერესების გარშემო. ვაჭრობით შექმნილი ურთიერთდამოკიდებულება, ამ ვარაუდის მიხედვით, ხელს შეუშლის სახელმწიფოებს, სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ ძალის გამოყენებისგან, რადგან ომი საფრთხეს უქმნის თითოეული მხარის კეთილდღეობას. ეკონომიკური ინტეგრაციის ეს ფორმა ყველაზე თვალსაჩინოა რეგიონულ დონეზე, რომლის მაგალითია ევროკავშირი - პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის ერთობლიობა.

მეხუთე, ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ინსტიტუციონალიზაციის

1 Jensen, D. The Russian Military Intervention in Ukraine: A Theoretical Discussion on the Ukrainian Crisis. P. 16. https://projekter.aau.dk/projekter/files/272463281/Master_thesis_1.0_pdf.pdf

2 ოხანაშვილი, ნ. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა), თსუ, 2018. გვ. 42.

პროცესს აქვს დადებითი ეფექტი საერთაშორისო პოლიტიკაზე. ისინი თვლიან, რომ ინსტიტუტები, ორგანიზაციები და რეჟიმები მნიშვნელოვანი აქტორები არიან და შეუძლიათ დადებითი დინამიკის შეტანა ანარქიის ნეგატიურ ეფექტებზე. ორგანიზაციების წესების დაცვა ხელს უშლის ვიწრო ეროვნული ინტერესების რეალიზებას. შესაბამისად ინსტიტუტებს და რეჟიმებს შეუძლიათ შეზღუდონ სახელმწიფოს ქცევა და გააძლიერონ სახელმწიფოთა შორის ნდობა[3].

ამ თვალსაზრისით, ინსტიტუტები ნიშნავს წესების ერთობლიობას, რომელიც მართავს სახელმწიფოს ქცევას, სხვადასხვა სფეროებში. საერთაშორისო ინსტიტუტებს შეუძლიათ დაეხმარონ სახელმწიფოებს ეგოისტური ქცევის დაძლევაში, ძირითადად სახელმწიფოების წახალისებით, უარი თქვან აგრესიულ ქმედებებზე, თანამშრომლობით უფრო დიდი სარგებელის მიღების სანაცვლოდ. რეჟიმებმა და ინსტიტუტებმა შეიძლება ხელი შეუწყონ სახელმწიფოს ქცევის რეგულირებას უმართავ ანარქიულ სამყაროში.

ზოგადად, ლიბერალიზმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიული ნორმების გავრცელებას და საერთაშორისო თანამშრომლობას. ლიბერალები თვლიან, რომ რეჟიმები და საერთაშორისო ორგანიზაციები მთავარ როლს თამაშობენ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის საკითხში.

საერთაშორისო ურთიერთობების ასევე ერთ-ერთი დომინანტური და გავლენიანი თეორიის - რეალიზმის ძირითადი ვარაუდია, რომ ყველა სახელმწიფო ეძებს უსაფრთხოებას ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში და რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები მიდრეკილნი არიან რაციონალური ქმედებებისკენ.

ლიბერალებისგან განსხვავებით, რეალისტები თვლიან, რომ რადგან საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და ძალთა ბალანსზეა დაფუძნებული, სახელმწიფოები, რომლებიც სისტემის მთავარი აქტორები არიან, ერთადერთ მიზანზე, ეროვნული ინტერესების რეალიზებაზე ზრუნავენ.

რეალიზმში შეიძლება გამოვყოთ ოთხი ძირითადი ვარაუდი: 1.ადამიანები ეგოისტური არსებები არიან (ადამიანის ბუნება არ არის პოზიტიური); 2.საერთაშორისო ურთიერთობები ძირითადად კონფლიქტურია და საერთაშორისო კონფლიქტები წყდება ომით; 3. სახელმწიფოსთვის გადარჩენა და ეროვნული უსაფრთხოება ყველა სხვა საკითხზე მაღლა დგას; 4. საშინაო პოლიტიკისგან განსხვავებით, საერთაშორისო პოლიტიკაში პროგრესი ვერ იქნება, რადგან არ არსებობს უზენაესი ხელისუფლება, რომელიც დაარეგულირებს საერთაშორისო სისტემაში აქტორების ქცევას.

თავდასხმითი რეალიზმის აპოლოგეტის - ჯონ მერშაიმერის მტკიცებით, სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა გაზარდონ ძალაუფლება და მათი საბოლოო მიზანი უნდა იყოს ჰეგემონიის მიღწევა, რადგან ეს არის გადარჩენის საუკეთესო გზა[4].

3 Jensen, D. The Russian Military Intervention in Ukraine: A Theoretical Discussion on the Ukrainian Crisis. P. 17. https://projekter.aau.dk/projekter/files/272463281/Master_thesis_1.0_pdf.pdf

4 Okhanashvili, N. Analyzing the Potential Causes of Ethno-Political Conflicts in the South Caucasus, Book chapter in ibidem -Verlag Press in Hannover, Germany, Columbia University Press (USA), 2021. P. 70.

თეორიული ანალიზი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დაიწყო ომი უკრაინის წინააღმდეგ. რუსეთი ოფიციალურად შეიჭრა უკრაინაში, არა ჰიბრიდული ტაქტიკის, არამედ ჩვეულებრივი სამხედრო საშუალებების გამოყენებით. ბევრმა მეცნიერმა და პოლიტიკის ანალიტიკოსმა ვერ შეძლო საფრთხის რეალურად დანახვა და საბოლოოდ, ის „ისტერიის“ ხმები, რომლებიც რუსეთის უკრაინაში შეჭრის პროგნოზს აკეთებდნენ, სწორი აღმოჩნდა.

ეს არის ძალების ყველაზე დიდი მობილიზაცია, რაც ევროპას უნახავს 1945 წლის შემდეგ. რუსეთის ქმედებამ უკრაინის, საბჭოთა კავშირის ყოფილი წევრის წინააღმდეგ, გაზარდა შეშფოთება არსებული საერთაშორისო წესრიგის სიძლიერისა და უსაფრთხოების შესახებ. აღმოსავლეთ ევროპის სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, რომლებიც ახლა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისა (ნატო) და ევროკავშირის წევრები არიან, გაჩნდა რუსეთის სამხედრო აგრესიის მათზე განხორციელების შიში.

რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ რეალიზმის პოზიცია შემდეგია: იმის გასაგებად, თუ რატომ ხდება აღნიშნული ომი, საჭიროა დავუბრუნდეთ ნატოს სწრაფვას გაფართოებისკენ, რომელიც დაიწყო 1990 - იან წლებში.

ალიანსი უკრაინას, ასევე, საქართველოს, ნატოში გაწევრიანების თეორიულ შანსს სთავაზობს. რეალისტები ამტკიცებენ, რომ აღნიშნულმა შეთავაზებამ უსაფრთხოების დილემა გამოიწვია, რამაც განაპირობა რუსეთის შეჭრა საქართველოში 2008 წელს, შემდეგ უკრაინაში 2014 და 2022 წლებში.

საერთაშორისო ურთიერთობების ყველა გავლენიანი პარადიგმის მსგავსად, რეალიზმის აღნიშნულ არგუმენტს აქვს გარკვეული ახსნა-განმარტებითი ღირებულება, მაგრამ ასევე, გარკვეული შეზღუდვები.

1990-იან წლებში რუსეთს გააჩნდა ამბიციები აღედგინა და გაეფართოებინა თავისი გავლენის სფერო და ატარებდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, თუმცა, საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი არ იდგა დღის წესრიგში. შესაბამისად, რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს არა ნატოს გაფართოება, არამედ ნატოს ღია კარის პოლიტიკის მიღმაც, რუსეთს გააჩნია ჰეგემონური ინტერესები.

1992 წლიდან მოყოლებული, რუსეთი ეკონომიკურ ზეწოლას ახდენდა მის მეზობელ სახელმწიფოებზე. მოსაზრება, რომ რუსეთი ნატოს გაფართოების არარსებობის შემთხვევაში არ გააფართოვებს თავის გავლენის სფეროს, საკამათოა.

პუტინი წლების განმავლობაში ხაზს უსვამდა იმას, თუ რამხელა საფრთხეს უქმნის რუსეთის უსაფრთხოებას დასავლეთის ქმედებები. როგორც უკრაინისადმი მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარების გაწევა, ასევე, მისი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გეგმა[5]. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და შეთანხმებები ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შესახებ ამტკიცებს, რომ ყველა ერს აქვს უფლება აირჩიოს ნებისმიერი ალიანსი, რომელშიც შესვლა სურს და რომ „გავლენის

5 Okhanashvili, N. Analysing Russia's Foreign Policy in Georgia and Ukraine after the 'Colour Revolutions, Book chapter in Brussels, Torun, NATO, 2021. P. 46.

სფეროების“ არსებობა მიუღებელია ცივი ომის შემდგომ საერთაშორისო წესრიგში.

სტატია ძირითადად აანალიზებს საკითხს უსაფრთხოებისა და ძალაუფლების პერსპექტივიდან. ომის რეალისტური ახსნა არის ის, რომ ომი იყო დასავლური ექსპანსიის შედეგი, რომელმაც დაარღვია ბალანსი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. რეალიზმის მიხედვით, ომი ბუნებრივი პასუხი იყო ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებაზე. ზოგიერთი რეალისტი მოაზროვნე, როგორიცაა მაგალითად, ჯონ მერშაიმერი აფიქსირებს შემდეგ პოზიციას, „აშშ-ს და მის ევროპელ მოკავშირეებს ეკისრებათ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა რუსეთ-უკრაინის ომზე“, ვინაიდან ცხადი იყო, რომ უკრაინა რუსეთისთვის წითელ ხაზს წარმოადგენდა, შესამამისად, დასავლეთს უარი უნდა ეთქვა ისეთ გაფართოებაზე, რომელიც აშკარად დესტაბილიზაციას მოახდენდა ძალთა ბალანსზე.

ნატოს ღია კარის პოლიტიკის, „გაფართოების“ ლიბერალური კონცეფცია ძალიან პოპულარული იყო და რჩება დასავლურ დემოკრატიებში ჩადებულ ფუნდამენტურ იდეალად. თუმცა, ეს პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის რეალისტურ პერსპექტივასთან, რომელასც მიჰყვება პუტინი. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ღიად გამოხატა უარყოფით დამოკიდებულებას ევროკავშირის და ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. პუტინს არ სურს დასავლურმა დემოკრატიებმა უკრაინა ნატოს ან ევროკავშირის მეშვეობით თავიანთი გავლენის სფეროში მოაქციონ. პირველ რიგში, ამ საკითხს განიხილავს, როგორც ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხს. წარმოიდგინეთ, რომ ჩინეთი შეერთებული შტატების ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანას, როგორიცაა მექსიკა ან კანადა, აფინანსებს და აწვდის სამხედრო დახმარებას, მოწინააღმდეგეებით სავსე მრავალქვეყნიანი პაქტის მეშვეობით. გამოიწვევს თუ არა ეს ამერიკის შეშფოთებას? სვავს რიტორიკულ კითხვას, თავდასხმითი რეალიზმის აპოლიგეტი - ჯონ მერშაიმერი[6].

პუტინმა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების ალბათობა და უკრაინის სურვილი ალიანსში გასაწევრიანებლად აღიქვა, როგორც საფრთხე. პუტინის აგრესიული ქმედებები განსაკუთრებით ბოლო წლებში გაძლიერდა. დასავლეთის გავლენის გაძლიერების აღკვეთის გამო, პუტინი 2008 წელს ჯერ საქართველოში შეიჭრა, შემდეგ კი 2014 წელს ყირიმის ანექსია მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი უკრაინის კრიზისს წმინდა რუსულ აგრესიას მიაწერს, ისეთმა რეალისტმა მეცნიერმა, როგორიცაა ჯონ მეარშაიმერი, აღნიშნა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს რუსეთის აგრესიულ ქმედებების წახალისებაზე და ვერ შეაჩერეს მისი აგრესია. უკრაინასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებით და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებით, დასავლეთმა შესაძლოა გაზარდა პუტინის მოტივები უკრაინის მიმართ აგრესიული ქცევისთვის, რამაც თავის მხრივ, ომის დაწყება გამოიწვია. მიუხედავად პუტინის არაერთი მუქარისა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის გადაწყვეტილება მაინც მოულოდნელი იყო. თუმცა, მისი მუქარის საჯაროდ გაცხადების შემდეგ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პუტინს უარი ეთქვა თავის „დაპირებებზე“, რუსეთის პოლიტიკური ელიტის და ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე. თავისი განზრახვების საჯაროდ

6 John Mearsheimer Ukraine-russia 2022 Analysis. https://www.youtube.com/watch?v=T6mw9U62ZJU (წვდომა - 25.05).

გამოცხადების შემდეგ, პუტინი მიჰყვა თავის სიტყვებს და ვალდებულება აიღო, განეხორციელებინა ის ქმედებები, რასაც ამბობდა. ბევრი მიიჩნევს, რომ რუსეთის აგრესიული ქმედება დასავლეთისთვის გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო. ჯონ მერშაიმერი ამტკიცებს, რომ ნატოს გაფართოება და უკრაინასთან დასავლეთის მეგობრული ურთიერთობები, გარდაუვალი იყო, რომ პუტინი საფრთხედ არ აღექვა და მისი გავლენის სფეროს „დასაცავად“ აგრსიულად არ ემოქმედა. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, მეარშაიმერი აღნიშნავდა, რომ ამ კრიზისზე პასუხისმგებლობის უმეტესი ნაწილი აშშ-მ და მისმა ევროპელმა მოკავშირეებმა უნდა გაიზიარონ. მისი ეს განცხადება ბადებს ახალ კითხვას დღევანდელ კონტექსტში: შეიძლებოდა თუ არა დასავლეთს თავიდან აეცილებინა რუსეთის შეჭრა უკრაინაში, თუ დასავლეთი ეფექტურად შეეწინააღმდეგებოდა პუტინის აგრესიულ ქცევას 2014 წელს? კრემლის მტკიცებით, 1990-იან წლებში დასავლეთმა დაარწმუნა, რომ ნატო აღმოსავლეთისკენ არ გაფართოვდებოდა. თუმცა, ეს ასე არ მოხდა და წლების განმავლობაში, ალიანსი გაფართოვდა რუსეთის საზღვრამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რუსეთი გამოხატავდა უკმაყოფილებას, თუმცა, დასავლეთმა არ აღიქვა ეს სერიოზულად და მოიქცა ისე, რამაც მხოლოდ დაძაბულობის გაზრდას შეუწყო ხელი. მაგალითად, 2008 წელს ნატო-მ განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ალიანისი წევრები, რასაც საბოლოოდ 2008 წელს საქართველოში შეჭრა და 2014 წელს ყირიმის ანექსია მოჰყვა. დასავლეთმა ვერ შეაჩერა რუსეთის აგრესია, ვერც მაშინ და ვერც ახლა. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ დასავლეთს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე რომ ემუშავა და არა მოწინააღმდეგედ აღექვა, დღეს დასავლეთსა და კრემლს შორის დაძაბულობა შემცირდებოდა. რაც შეეხება უკრაინას, დასავლეთის ქვეყნებს შეეძლოთ შეესწავლათ უკრაინის, ნატოსა და რუსეთს შორის ნეიტრალურ ბუფერულ ზონად გადაქცევის ვარიანტი, რაც არ გამოიწვევდა უკრაინის სუვერენიტეტის შეზღუდვას. უკრაინა ამავდროულად უარს არ იტყოდა დასავლეთზე და არც რუსეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ამ იდეას სავარაუდოდ უკრაინა და რუსეთი უარყოფდნენ, რადგან პირველს სურს ნატოში გაწევრიანება, მეორეს კი უკრაინაზე კონტროლის ქონა. დასავლეთს შეეძლო უფრო მეტი ესაუბრა, როგორც რუსეთთან, ასევე უკრაინასთან, რათა ეპოვა „სამართლიანი გარემო“. ამის საპირისიპიროდ, წლების განმავლობაში მიდიოდა მოლაპარაკებები უკრაინის ნატოში პოტენციურ გაწევრიანებაზე. თუმცა, დასავლეთის ქვეყნებს არ ჰქონდათ მზაობა რუსეთთან ომზე წასულიყვნენ, ამიტომ უკრაინის ნებისმიერი წინადადება ნატოში გაწევრიანების შესახებ, სავარაუდოდ, უარყოფილი იქნებოდა. გარდა ამისა, უკრაინა ვერ აკმაყოფილებდა ყველა კრიტერიუმს ნატოში გასაწევრიანებლად, რადგან მას ჯერ უნდა გაეტარებინა, როგორც ანტიკორუფციული, ასევე, დემოკრატიული რეფორმები.

საერთაშორისო თანამეგობრობა განსაკუთრებით მწვავედ გმობს რუსეთის ქმედებებს და იღებს კონტრზომებს. უფრო მეტიც, სიტუაციის სიმძიმემ და მისმა რეალისტურმა ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ზოგიერთი ნეიტრალური ქვეყნის ქმედებაზეც. ამისი ერთ-ერთი მაგალითია შვეიცარია, რომელმაც დაარღვია დიდ ხნიანი ნეიტრალიტეტი და შეუერთდა ევროკავშირს სანქციების დაწესების პროცესში.

ევროპულმა ქვეყნებმა და შეერთებულმა შტატებმა გაუგზავნეს სამხედრო

დახმარება უკრაინას, რომელიც კვლავ ებრძვის რუსეთს. შესაძლოა დასავლეთმა ვერ აღკვეთა რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, მაგრამ დასავლეთის ქვეყნები იღებენ მნიშვნელოვან ზომებს პუტინის შეჩერებისა და მიმდინარე ომის დასასრულებლად. დასავლეთის ქვეყნებმა ვერ შეძლეს ომში უშუალო ჩართვა, კონფლიქტის გლობალური ესკალაციის რისკის გამო. მიუხედავად ამისა, მათ დააწესეს უპრეცედენტო ეკონომიკური სანქციები, როგორიცაა წამყვანი რუსული ბანკების აქტივების დაბლოკვა და SWIFT (ქსელი, რომელსაც ფინანსური ინსტიტუტების უმეტესობა იყენებს ტრანზაქციების შესასრულებლად) სისტემიდან გათიშვა. ევროკავშირმა მიიღო სანქციების რამდენიმე პაკეტი რუსეთის წინააღმდეგ, რათა გაზარდოს ეკონომიკური ზეწოლა კრემლზე და დაასუსტოს მისი შესაძლებლობა. ჰააგის ჯანდაცვის მინისტრმა საჯიდ ჯავიდმა გამოაქვეყნა განცხადება, რომ ვლადიმერ პუტინს დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ომის დროს ჩადენილი დანაშაულებისთვის[7].

ბევრი მიიჩნევს, რომ უკრაინის ომი, დასავლეთის მიერ რუსული სამხედრო აგრესიის დაშვების გამო, ლიბერალიზმის მარცხის მანიშნებელია. კრემლის პერსპექტივიდან, დასავლურმა ძალებმა გაზარდეს რუსეთის უკმაყოფილება და აგრესიულობა, ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოებით და უკრაინასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებით.

თუმცა, ნატოს გაფართოების მიუხედავად, უკრაინა ჯერ კიდევ არ არის მიღებული ალიანსში და მარტო დგას რუსეთის სამხედრო აგრესიის პირისპირ - მიუხედავად დასავლეთის მხრიდან მნიშვნელოვანი დახმარებისა. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ინსტიტუტების როლი ლიმიტირებულია და არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებზე. თუმცა, ანარქიის ეფექტების ნეგატიურ გავლენაზე დადებითი ზემოქმედება გარკვეულწილად იკვეთება საერთაშორისო ინსტიტუტების, საერთაშორისო კოოპერაციის გზით.

დიპლომატიამ ვერ შეძლო უკრაინისთვის თავიდან აეცილებინა რუსეთის სამხედრო აგრესია, ახლა ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რისი გაკეთება შეიძლება ზიანის შესამცირებლად. პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მოსკოვს, რომელიც არ მიდის მოლაპარაკებებზე კიევთან და დასავლურ ძალებთან. მაგრამ იმის გამო, რომ კრემლი, დესტრუქციულ გზას ადგას, სხვა ქვეყნებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი, რაც შეუძლიათ, რომ მაქსიმალურად გაზარდონ რუსეთისთვის ხარჯები, რათა შეაჩერონ, როგორც მიმდინარე, ისე მომავალი აგრესია.

ჯერჯერობით, დიპლომატია და დასავლეთის მიერ მომზადებული კონტრ-ზომები ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეცვლის მოსკოვის განწყობას. იქიდან გამომდინარე, რომ უკრაინას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის და თავად პუტინისთვის, რთულია გადაჭრით ვივარაუდოთ, რომ რუსეთი აქ გაჩერდება. ასევე, პოლიტიკური პოზიციები კონფლიქტში იშვიათად არის სტატიკური და შეიძლება არასწორი იყოს ვარაუდი, რომ დასავლეთის ერთიანობა აუცილებლად შენარჩუნდება, როგორც რუსეთ-უკრაინის ომის, ისე მომავალი გამოწვევების დროს.

---

7 https://www.theguardian.com/world/2022/mar/14/vladimir-putin-war-crimes-icc-sajid-javid-hague (წვდომა - 15.05).

დასკვნა

ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო ახალ ფაზაში შევიდა. რეალიზმმა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიამ, თითქოს გადააჭარბა თავის ვარაუდებს და დატოვა სივრცე, როგორც ლიბერალიზმისთვის, ისე, სხვა თეორიებისთვის. ევროპა დასტაბილურდა და დაიწყო კეთილდღეობისკენ სწრაფვა, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების წინა პლანზე წამოწევით. თუმცა, რუსეთის შეჭრა უკრაინაში და, რაც მთავარია, მისი პოზიცია, რეალიზმის აღზევებაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, რუსეთის ქმედებები უფრო რეალისტურ მიდგომას ასახავს საერთაშორისო პოლიტიკის მიმართ, ვიდრე სხვა მიდგომებს. პრეზიდენტ პუტინის მიერ გამოყენებული ენა, შესაბამისობაშია რეალისტურ სპეციფიკურ თემებთან, როგორიცაა „უსაფრთხოება“, „გადარჩენა“ და „ეგზისტენციალური საფრთხე“.

პუტინის ბოლო ქმედებები უკრაინაში გლობალური დაგმობის ღირსია. უფრო მეტიც, ის, თუ როგორ აწარმოებს ომს და როგორ უგულებელყოფს ადამიანის უფლებებს, ბევრ რამეს ამბობს ადამიანის ღირსებისადმი მის დამოკიდებულებაზე. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ომის გამომწვევი ყველა მიზეზის გააზრება, რათა სრულყოფილად გავაანალიზოთ პუტინის ამბიციები. მრავალპოლარულ სამყაროში, სადაც ადგილი აქვს დიდი ძალების კონკურენციას, ომი ხშირად უნდობლობის კულმინაციის შედეგია.

რუსეთი, რომელიც ყოფილ საბჭოთა სივრცეს თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევს, საფრთხედ აღიქვამს უკრაინის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანების შესაძლებლობას. რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი ასახავს რეალისტურ კონცეფციის: „უსაფრთხოების დილემის“ იდეას, რომელსაც პუტინმა უპასუხა სამხედრო მოქმედებების, აგრეთვე, ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარით.

ლიბერალიზმის კრიზისი ცალსახად დგას - როგორც აშშ-ში და ევროპაში, ისე მთელს მსოფლიოში. ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების უნივერსალურობის ლიბერალურმა სტრატეგიულმა ნარატივმა დაკარგა მიმზიდველობა იმის ფონზე, რასაც ლიბერალიზმის პოსტულატები გვათავზობენ და რაც, რეალურად ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

• Jensen, D. The Russian Military Intervention in Ukraine: A Theoretical Discussion on the Ukrainian Crisis, P. 17. https://projekter.aau.dk/projekter/files/272463281/Master_thesis_1.0_pdf.pdf

• Okhanashvili, N. “Analyzing the Potential Causes of Ethno-Political Conflicts in the South Caucasus”, Book chapter in ibidem -Verlag Press in Hannover, Germany, Columbia University Press (USA), 2021.

• Okhanashvili, N. “Analysing Russia’s Foreign Policy in Georgia and Ukraine after the ‘Colour Revolutions’”, Book chapter in Brussels, Torun, NATO, 2021.

• ოხანაშვილი, ნ. “ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)”, თსუ, 2018.

• John Mearsheimer Ukraine-russia 2022 Analysis. https://www.youtube.com/watch?v=T6mw9U62ZJU (წვდომა - 25.05).

• https://www.theguardian.com/world/2022/mar/14/vladimir-putin-war-crimes-icc-sajid-javid-hague (წვდომა - 15.05).

საერთაშორისო სანქციების ეფექტურობა სამხედრო საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების გატარების პროცესში

პოლკოვნიკი პაატა სივსივაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ კუპრეიშვი

აბსტრაქტი

მიზანი: კვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ რა ეფექტურობის ხარისხით ხასიათდება საერთაშორისო სანქციები სამხედრო საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების გატარების პროცესში. ბოლოდროინდელი, უკრაინაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია საკითხის სიღმისეული ანალიზი, რაც სამხედრო საფრთხეების განეიტრალების პროცესში ერთერთი მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ფაქტორია.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა: 1914 წლიდან დღემდე მსოფლიოში გამოყენებული და არსებული სანქციების სრული ნუსხის შესწავლით ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდი და სტატისტიკური მიდგომა.

დასკვნები: საკითხის შესწავლის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია და შედეგობრივი სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეკონომიკურად ძლიერ და დივერსიფიცირებულ სახელმწიფოებზე საერთაშორისო სანქციები (მათ შორის ემბარგოები) ეფექტურობა უმრავლეს შემთხვევაში დაბალია ან საშუალო. სანქციების ეფექტურობის გასაზომად აღებულია ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე ასახული უარყოფითი შედეგების რიცხოვნული მონაცემები.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა: ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნების სისუსტე შესაძლოა მის სუბიექტურ ხასიათში მდგომარეობდეს, რაც უპირველის ყოვლისა შესაძლოა გამოწვეული იყოს სურვილით, რომ საქართველოსთან მიმართებაში საერთაშორისო სანქციებით უზრუნველყოფილი იქნება სამხედრო საფრხეების პრევენციის 100%-იანი ეფექტურობა. აგრეთვე ობიექტური სურათის დანახვისათვის ხელსშემშლელ ფაქტს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მხრიდან სრული ინფორმაციული ვაკუუმი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ რეალური ინფორმაციის შესახებ. შესაბამისად, ნაშრომი ეყრდნობა ამ დარგის საერთაშორისო ექპერტების დასკვნებსა და მოსაზრებებს რუსეთის წინააღმდეგ გატარებული საერთაშორისო სანქციების ეფექტურობის შესახებ.

სიახლე/ღირებულება: ქართულ რეალობაში ეს პირველი სტატიაა, რომელიც ისტორიული შედარებითი ანალიზისა და შედეგობრივი სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შეისწავლის საერთაშორისო სანქციების ზეგავლენის საკითხს სამხედრო სართხეების თავიდან აცილების პროცესში. ლიტერატურა იხილავს და აანალიზებს კვლევებს რომელის მოიცავს 1914-2021 წლებში მსოფლიოში განხორციელებულ ყველა სახის სანქციებს, რაც ქმნის კონკრეტულ წინაპირობებს სამომავლო სიღმისეული კვლევებისათვის.

საკვანძო სიტყვები:
საერთაშორისო სანქციები, სამხედრო საფრთხეები, პრევენციული ღონისძიებები, უკრაინა.

THE EFFECTIVENESS OF INTERNATIONAL SANCTIONS IN THE PROCESS OF TAKING PREVENTIVE MEASURES AGAINST MILITARY THREATS

COLONEL PAATA SIVSIVADZE
PHD STUDENT OF THE FACULTY OF
LAW AND INTERNATIONAL RELATIONS OF
THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
SUPERVISOR: PROFESSOR TAMAR KUPREISHVILI

ABSTRACT

Purpose: The purpose of the study is to determine the degree of effectiveness of international sanctions in the process of preventive measures against military threats. In the light of recent events in Ukraine, a deep analysis of the issue is important, which is one of the important factors that must be taken into account in the process of neutralizing military threats.

Structure/Methodology/Approach: Studying the full list of sanctions in the world since 1914. The article uses the method of comparative analysis and uses a statistical approach.

Conclusions: when studying the issue, the methodology and statistical analysis used in the article show that the effectiveness of international sanctions (including embargoes) against economically strong and diversified states is in most cases low or medium. Numerical data on the negative impact on a country's GDP are used to measure the effectiveness of sanctions.

Limitations of the study (weaknesses)/impact: The weakness of the conclusions presented in the article may be due to its subjective nature, which may be due primarily to the desire for international sanctions against Russia to ensure 100% effectiveness in preventing hostilities. Another obstacle in order to see an objective picture is the complete information vacuum on the part of the Russian Federation regarding real information about the financial and economic situation in this country. Accordingly, the article is based on the findings and opinions of international experts in the field of the effectiveness of international sanctions against Russia.

News / Value: This is the first article in Georgian reality, in which, based on the results of historical comparative analysis and statistical analysis, the issue of the impact of international sanctions on the process of preventing military threats will be considered. The literature reviews and analyzes studies covering all types of sanctions imposed in the world in the period from 1914 to 2021, which creates certain prerequisites for further in-depth research.

KEYWORDS:
International sanctions, military threats, preventive measures, Ukraine.

შესავალი

მსოფლიოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია, სიღარიბე, გართულებული საერთაშორისო ურთიერთობები, ტერორიზმის საფრთხეები და ლოკალური კონფლიქტები რთული ამოცანების წინაშე აყენებს თანამედროვე მსოფლიოს. აღნიშნული პროცესები წარმოადგენს რა თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევას, შეეხო კაცობრიობის ყველა სასიცოცხლო და მნიშვნელოვან სფეროს. დღეს მიმდინარე ქაოტური პროცესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გადაწყვეტით ვთქვათ, რომ განხორციელდა მსოფლიო პოლიტიკის რესურსების ბაზის გაფანტვა სხვადასხვა ფუნქციურ არეალებს შორის. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ იწვევს მსოფლიო პოლიტიკაში ღირებულებებს შორის კონკურენციის გამწვავებას. სწორედ ამ სახელმწიფოებს შორის არსებული ღირებულებების კარდინალურ განსხვავებას ხშირად მივყავართ სამხედრო დაპირისპირებამდე.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი მოთამაშეების (ზესახელმწიფოების) ურთიერთობები, საკუთარი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესების გატარების პროცესში, კონფრონტაციულია და ხშირად იწვევს ურთიერთობების გამწვავების გადატანას როგორც სამხედრო ასპექტში, ასევე ეკონომიკური, ფინანსური, დიპლომატიური და სხვა მიმართულებით. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოში აშკარად შეინიშნება სამხედრო და სხვა სახის საფრთხეების საერთაშორისო სანქციებით მოგვარების მცდელობის ტენდენციები.

მნიშვნელოვანია დასაწყისშივე განვსაზღვროთ საერთაშორისო სანქციების არსი და მათი სახეები. თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო სანქციებს განმარტავენ, როგორც სახელმწიფოს, სახელმწიფოების მიერ ან სახელმწიფოთა გაერთიანებების მიერ მიღებულ ზომებს, რათა აიძულოს სამიზნე სახელმწიფო, ორგანიზაცია ან კონკრეტული აქტორი შეესაბამებოდეს საერთაშორისო შეთანხმებას ან ქცევის ნორმებს.[1] სანქციები, შესაძლოა, მიმართული იყოს ტერორიზმის, ბირთვული იარაღის გავრცელების საქმიანობის, ადამიანის უფლებების დარღვევის, უცხო ტერიტორიის ანექსიის, სუვერენული ქვეყნის მიზანმიმართული დესტაბილიზაციის, კიბერშეტევებისა და ფოკუსირებული კონკრეტული სფეროების წინააღმდეგ.[2] მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებადი სანქციები შესაძლოა დაიყოს შემდეგ ძირითად სახეებად:

დიპლომატიური სანქციები (Diplomatic Sanctions) - სამიზნე ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა და დიპლომატიური წარმომადგენლების კოორდინირებული გაწვევა;

იარაღის ემბარგო (Arms Embargoes) - იარაღის გაყიდვაზე ან/და შეძენაზე სამიზნე სახელმწიფოსათვის დაწესებული აკრძალვები;

მოგზაურობისა და გადაადგილების აკრძალვა (Restrictions on Admission) - სამიზნე პირებისათვის მის ქვეყნის გარეთ გადაადგილებისა და მოგზაურობის აკრძალვა;

კუთვნილი აქტივების გაყინვა (Freezing of Assets) – სამიზნე სახელმწიფოსათვის/

1 Oxford Lexico. https://www.lexico.com/definition/sanction.

2 European Council. Council of the European Union. ,,Different Tipes of Sanctions". https://www.consilium.europa.eu/

პირისათვის/ორგანიზაციისათვის მათ საკუთრებაში არსებულ ფულად და სხვა მატერიალურ აქტივებზე ხელმისაწვდომობის აკრძალვა;

ეკონომიკური სანქციები (Economic Sanctions) – არსებობს სრული ეკონომიკური სანქციები, რომელიც მოიცავს როგორც ყველანაირი სახის საქონლის ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვებს, აგრეთვე, ინვესტიციების განხორციელების სრულ შეზღუდვას, და ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტულ სექტორებთან დაკავშირებით შეზღუდვები, რაც გულისხმობს გარკვეული საქონლის იმპორტის ან ექსპორტის, აგრეთვე, გარკვეული სერვისების მიწოდების აკრძალვას და ა.შ;

ფინანსური სანქციები (Financial Sanctions) - სამიზნე სახელმწიფოს ან/და ორგანიზაციის გათიშვა ერთიანი (გლობალური) ფინანსური ქსელიდან.

ამერიკელი მეცნიერისა და მშვიდობის დამცველის, ნოტერდამის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა სფეროს დოქტორის პროფესორ დევიდ კორტრაიტის აზრით, საერთაშორისო სანქციები არის პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც წარმოადგენს ქვეყნების, მრავალმხრივი ან რეგიონული ორგანიზაციების დიპლომატიური ძალისხმევის ნაწილს სახელმწიფოების ან ორგანიზაციების წინააღმდეგ. აღნიშნული მიზნად ისახავს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების ან საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვასა და მშვიდობის უზრუნველყოფას. ეს გადაწყვეტილებები, ძირითადად, მოიცავს სამიზნე სახელმწიფოზე, ორგანიზაციეზე, ადამიანთა ჯგუფზე ეკონომიკური, სავაჭრო, დიპლომატიური, კულტურული ან სხვა შეზღუდვების (სანქციების) დროებით დაწესებას, რომლებიც მოიხსნება მაშინ, როდესაც, უსაფრთხოების თვასაზრისით, საფრთხეები აღარ წარმოიქმნება.[3]

ამჟამად ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო და სხვა) ერთხმად აღიარებენ აღნიშნული ღონისძიებების ეფექტურობასა და უალტერნატივობას. ასე, მაგალითად, გაეროს წესდების VII თავის 41-ე მუხლის შესაბამისად, გაეროს უშიშროების საბჭოს აქვს საერთაშორისო თანამეგობრობის მანდატი, სანქციების გამოიყენების შესახებ. აგრეთვე, ამავე წესდების თანახმად, საერთაშორისო სანქციები წარმოადგენს თანამეგობრობის ყველაზე მძლავრ საშუალებას საერთაშორისო მშვიდობის დამყარებისა და საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.[4]

ცალკეული სახელმწიფოები და მრავალეროვნული ორგანოები აწესებენ ეკონომიკურ და სხვა სახის სანქციებს, რათა შეცვალონ იმ სახელმწიფოების, გაერთიანებებისა ან/და სხვა აქტორების სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ ნაციონალურ ინტერესებს ან არღვევენ საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს. თუმცა, კრიტიკოს მკვლევართა და ამ დარგის მეცნიერთა ნაწილის აზრით, სანქციებს ხშირად ვერ მივყავართ სასურველ შედეგებამდე. ხოლო ეკონომიკურად ძლიერი და მდიდარი რესურსების მქონე სახელმწიფოებთან მიმართებაში ან უშედეგო ან უმნიშვნელო ეფექტის მქონეა. საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების მკვლევარი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი რობერტ ა. პეპე პუბლიკაციაში ,,Why Economic Sanction Do Not Work"

3 Daniel W.Drezner. ,,Sanction Sometimes Start: Targeted sanction in theory and Practice". JSTOR. International Studies review (2011) pp. 18-36. https://www.jstor.org/stable/23016144

4 United Nations Charter. Chapter VII: Action with Respect to Threats to the Peace, Breaches of the Peace, and Acts of Aggression (Articles 39-51) pp 48-49. https://www.un.org/en/about-us/un-charter

ისტორიული ფაქტების შესწავლისა და შედარებითი ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ სამხედრო ინსტრუმენტები არის ერთადერთი ეფექტური საშუალება სახელწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლის მიმართულებით, ხოლო სანქციები არის ომის ლიბერალური ალტერნატივა, რომლის ეფექტურობა სამხედრო ხასიათის ღონისძიებებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად დაბალია. [5]

საერთაშორისო სანქციების ეფექტურობის საკითხის განხილვის დროს დარგის მეცნიერთა და მკვლევართა აზრი გაყოფილია. გარკვეული ჯგუფის მეცნიერთა აზრით საერთაშორისო სანქციები არის და მომავალშიც იქნება ზემოქმდების ერთადერთი ცივილიზებული და ეფექტური საშუალება. თუმცა, მეცნიერთა და მკვლევართა საკმაოდ დიდი ნაწილი მნიშვნელოვან ფაქტებზე და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მიდიან დასკვნამდე, რომ სანქციები არაეფექტიანია ან ახდენს მცირე ეფექტს სამიზნე სახელმწიფოს მიერ პოზიციების დასათმობად.

სტატიის მიზანია ისტორიული შედარებითი ანალიზის მეთოდისა და სტატისტიკური მიდგომების გამოყენებით საერთაშორისო სანქციების ეფექტურობის განსაზღვრა-დადგენა. საერთაშორისო სანქციების საზომ ერთეულად აღებული იქნა მთლიანი შიდა ეროვნულ პროდუქტის მოცულობაზე სანქციების ზემოქმედების მაჩვენებელი და პეტერსონის საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტის (PIIE Peterson Institute for International Ecomomic) კვლევები, სანქციების წარმატების მაჩვენებლის (კოეფიციენტის) განსაზღვრის თაობაზე[6].[7] შესწავლილი იქნა მსოფლიოში განხორციელებული 68 საერთაშორისო სანქცია, რომელთა უმრავლესობაც დაწესებილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. (სულ მე-20 და 21-ე საუკუნეში მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებეული იყო 200 ერთეულზე მეტი საერთაშორისო სანქცია).

5 Robert A. Pape. JOURNAL ARTICLE ,,Why Economic Sanctions Do Not Work“ pp-1-2. 2000. JSTOR. https://www.jstor.org/stable/2539368

6 Kimberly Ann Elliott.,,Evedence on the Cost and Benefits of Economic Sanction“. PIIE Peterson Institute for International Ecomomic. pp. 4-5. https://www.piie.com.

7 PIIE Peterson Institute for International Ecomomic. ,,Economic sanction reconsidered 3rd edition (paper)“. pp. 35-79. https://www.piie.com/bookstore/economic-sanctions-reconsidered-3rd-edition-paper

წარმატების მაჩვენებლები და მთლიან შიდა პროდუქტზე ასახული შედეგები (68 სანქცია)

სანქციის შემოღების წელი	სანქციის დასრულების წელი	სანქციის შემომღები სახელმწიფო	სამიზნე სახელმწიფო	წარმატების მაჩვენებელი (1 დან 16 მდე) (პეტერსონის ინსტიტუტის დადგენილი კოეფიციენტის მიხედვით	უარყოფითი ეფექტის მოცულობა მთლიან შიდა ეროვნულ პროდუქტზე (მშპ)
1940	1941	აშშ	იაპონია	1	0,9
1944	1947	აშშ	არგენტინა	4	0,8
1948	1949	საბჭოთა კავშირი	საფრანგეთი	2	უმნიშვნელო
1948	1949	საბჭოთა კავშირი	დიდი ბრიტანეთი	2	0,1
1948	1949	საბჭოთა კავშირი	აშშ	2	0,1
1949	1970	აშშ	ჩინეთი	2	0,5
1950	მიმდინარეობს	აშშ	ჩრდ. კორეა	1	1,2
1950	მიმდინარეობს	აშშ	ჩრდ. კორეა	4	1,2
1950	1953	აშშ	ჩინეთი	2	0,5
1954	1954	საბჭოთა კავშირი	ავსტრალია	2	0,5
1956	1983	აშშ	ისრაელი	4	0,1
1960	1970	საბჭოთა კავშირი	ჩინეთი	4	0,5
1961	1965	საბჭოთა კავშირი	ალბანეთი	1	0,6
1968	1968	აშშ	პერუ	1	0,7
1971	1971	აშშ	პაკისტანი	4	0,3
1971	1971	აშშ	ინდოეთი	4	0,1
1974	1978	აშშ	თურქეთი	1	0,2
1975	1998	აშშ	ჩრდილოეთ ვიეტნამი	6	1,2
1975	1982	აშშ	სამხ. აფრიკა	4	0,005
1976	მიმდინარეობს	აშშ	არაბთა ლიგა	6	0,04
1976	1981	აშშ	ურუგვაი	6	0,3
1977	1984	აშშ	ბრაზილია	6	0,1
1977	1983	აშშ	არგენტინა	6	0,1
1977	1981	აშშ	პარაგვაი	6	0,1
1977	1981	აშშ	სალვადორი	6	0,5
1978	1982	აშშ	არგენტინა	4	ცვლილების გარეშე
1978	1982	აშშ	ინდოეთი	4	0,01
1978	1981	აშშ	ბრაზილია	4	0,002
1978	1980	აშშ	საბჭოთა კავშირი	2	0,003
1979	1997	აშშ	პაკისტანი	1	1
1980	2003	აშშ	ერაყი	4	0,1
1980	1981	აშშ	საბჭოთა კავშირი	2	0,04
1980	1981	აშშ	საბჭოთა კავშირი	2	0,04

1981	1982	აშშ	საბჭოთა კავშირი	1	0,03
1983	1988	აშშ	ზიმბაბვე	4	0,4
1983	1983	აშშ	საბჭოთა კავშირი	2	ცვლილების გარეშე
1984	მიმდინარეობს	აშშ	ერაყი	4	0,4
1989	მიმდინარეობს	აშშ	ჩინეთი	2	ცვლილების გარეშე
1990	1991	გაერო	ერაყი	2	30
1990	1990	საბჭოთა კავშირი	ლიტვა	6	1,5
1991	მიმდინარეობს	აშშ	ჩინეთი	4	ცვლილების გარეშე
1991	2003	გაერო	ერაყი	1	54
1991	2003	გაერო	ერაყი	9	54
1991	2001	გაერო	იუგოსლავია	9	13,3
1991	1997	აშშ	ინდონეზია	2	0,1
1991	1995	საბჭოთა კავშირი/რუსეთი	თურქმენეთი	12	19,8
1991	1994	აშშ	ჰაიტი	4	14,2
1991	1992	აშშ	ტაილანდი	6	0,04
1992	2002	აშშ	აზერბაიჯანი	1	0,7
1992	2000	ევრო კავშირი	გვინეა	6	15
1992	1999	საბჭოთა კავშირი/რუსეთი	ესტონეთი	4	1
1992	1998	საბჭოთა კავშირი/რუსეთი	ლატვია	4	1
1992	1998	აშშ	კამერუნი	4	0,2
1992	1997	გაერო	კამბოჯა	6	ცვლილების გარეშე
1993	მიმდინარეობს	აშშ	სუდანი	6	0,4
1993	1998	აშშ	ნიგერია	4	0,4
1993	1997	საბჭოთა კავშირი/რუსეთი	უკრაინა	6	7,1
1993	1996	საბჭოთა კავშირი/რუსეთი	ყაზახეთი	9	4,6
1996	1998	აშშ	ზიმბაბვე	4	2,9
1997	მიმდინარეობს	გაერო	კამბოჯა	4	2,6
1997	2003	გაერო	სიერა ლიეონე	8	5,8
1998	2001	აშშ	პაკისტანი	4	1
1998	2001	აშშ	ინდოეთი	2	0,2
1998	1999	აშშ	იუგოსლავია სერბეთი	6	8,3
1999	2002	გაერო	ავღანეთი	2	1,1
1999	2002	აშშ	Ivory Coast	6	0,3
1991	2001	აშშ	პაკისტანი	2	ცვლილების გარეშე
2002	2006	აშშ	ჩრდ. კორეა	1	0,6

Source: PIIE Peterson Institute for International Ecomomic.

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს მსოფლიოში განხორციელებული საერთაშორისო სანქციების უმეტესობის ეფექტურობა დაბალია ან უშედეგო. ის ცალკეული შემთხვევები, როდესაც სანქციების ეფექტურობა მაღალია, გამოწვეულია სამიზნე ქვეყნის ეკონომიკურ დამოკიდებულებაზე სანქციის შემომღებ სახელმწიფოსთან და აგრეთვე უნდა აღინიშნოს გაეროს საერთაშორისო სანქციების შედარებითი ეფექტურობა, ვინაიდან სანქციების დაწესებაში მონაწილეობს სრულიად მსოფლიო თანამეგობრობა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დიდი სახელმწიფოების მიმართ, რომელთა ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა სახის შესაძლებლობები/რესურსები მაღალია, სანქციების ეფექტურობა უმნიშვნელო ან შედეგის არ მომცემია.

ეკონომიკური სანქციების კლასიკური მიზნები შეიძლება დაჯგუფდეს სისხლის სამართლის მიზნების მსგავსად, რომლებიც თანაბრად ვრცელდება ეკონომიკურ სანქციებზეც:

1. პირველი ეტაპი: შეკავება;
2. მეორე ეტაპი: აღსრულება;
3. მესამე ეტაპი: დასჯა;
4. მეოთხე ეტაპი: რეაბილიტაცია.[8]

უნდა ვაღიაროთ, რომ უკრაინაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ რუსეთისა და ბელორუსიის წინააღმდეგ განხორციელებული სანქციები სიჩქარისა და მასშტაბების მიხედვით უპრეცენდენტოა. ნებისმიერ დაწესებულ სანქციებს შესაძლოა ჰქონდეს ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაწესებული სანქციების მიზანი არის პოლიტიკური, რომელიც მიღწეული არ არის, რამდენადაც რუსეთის ფედერაციის მიერ საომარი მოქმედებები და აგრესია გრძელდება, უფრო მეტიც ის უფრო აქტიურ ფაზაში არის გადასული. რუსეთის საჯარისო ქვედანაყოფების კიევის (ჩრდილოეთის) მიმართულებიდან გასვლა კი დაკავშირებულია სამხედრო მარცხთან და არა შემოღებულ სანქციებთან. ილინოისის უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ბიუროს ხელმღვანელი ფილ ციციორა, ილინოისის ახალი ამბების ბიუროსათვის მიცემულ ინტერვიუში, რუსეთის წინაათმდეგ დაწესებული სანციების ეფექტურობის ანალიზის პროცესში, აღნიშნავს, რომ დაწესებულ სანქციებს შედეგი შესაძლოა ჰქონდეს მხოლოდ გრძელვადიან პერპექტივაში, ისიც მხოლოდ მსოფლიო თანამეგობრობის ერთიანი პოზიციის პირობებში. ყირიმის ანექსიის შემდგომ, 2014 წლიდან, რუსეთს დაწესებული ჰქონდა საკმაოდ მკაცრი სანქციები, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, განეხორციელებინა უკრაინის ნაწილის ოკუპაცია. 2014 წლიდან რუსეთს ჰქონდა საკმაო დრო იმისათვის რომ მომზადებულიყო და მოსალოდნელი ეკონომიკური თუ სხვა სახის სირთულეების მიმართ უფრო მდგრადი ყოფილიყო.[9]

შესაბამისად, არსებული მდგომარეობის ანალიზისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

8 Gary Clyde Hufbauer (PIIE) and Megan Hogan (PIIE). ,,How Effective are Sanction Against Russia". PIIE Peterson Institute for International Ecomomic. 2022. Pp 2-4.

9 Phill Ciciora. ,,How Effective have Economic Sanction been Against Russia?" Illinois News Berau. 20 Apr. 2022.

დაწესებული საერთაშორისო სანქციების მიზნების არცერთი ეტაპი შესრულებული არ არის (თეორიული გაგებიდან და კლასიკური მიზნებიდან გამომდინარე (ზემოთ წარმოდგენილი 4 ეტაპი: შეკავება, აღსრულება, დასჯა, რეაბილიტაცია)).

საქართველოსთან მიმართებაში, რუსეთიდან მომდინარე სამხედრო საფრხეების თავიდან აცილების კონტექსტში დაწესებული საერთაშორისო სანციების ეფექტურობის განსაზღვრის პროცესში, მნიშვნელოვანია ყველა ეკონომიკური თუ სხვა სახის დანაკარგების გათვა-გაანალიზება. სტატიაში წარმოდგენილი მოსაზრებებისა და ფაქტების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისათვის მიერთება, სამხედრო საფრხეების თავიდან აცილების მიმართულებით, ვერანაირი შედეგის მომცემი ვერ იქნება. უფრო მეტიც, საქართველოს ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით, ჩვენი მხრიდან ასეთი ღონისძიებების განხორციელება გაცილებით დამაზიანებელი იქნება საქართველოსათვის, როგორც პოლიტიკურად ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. შესაბამისად საქართველოს მხრიდან რუსეთის მიმართ რაიმე სახის სანქციებზე საუბარიც კი უტოპიური და არამართზომიერია.

ამრიგად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ საერთაშორისო სანქციების ეფექტურობა დამოკიდებულია ყველა არსებული სანქციების ერთობლივად გამოყენებისა და მსოფლიო თანამეგობრობის ერთიანი, კოორდინირებული მოქმედებების შემთხვევაში. რაც შეეხება რუსეთის მიმართ განხორცილებულ სანქციების ეფექტურობას, ის ვერ იქნება ხელშესახები შედეგების მომცემი, ვინაიდან არ შეინიშნება არც მსოფლიო თანამეგობრობის ერთიანი/კოორდინირებული მოქმედებები და ამ ეტაპზე რუსეთის წინააღმდეგ წესდება მხოლოს არასრული სახის სანქციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Oxford Lexico. https://www.lexico.com/definition/sanction;
2. European Council. Council of the European Union. ,,Different Tipes of Sanctions". https://www.consilium.europa.eu/;
3. Daniel W.Drezner. ,,Sanction Sometimes Start: Targeted sanction in theory and Practice". JSTOR. International Studies review (2011) pp. 18-36. https://www.jstor.org/stable/23016144
4. United Nations Charter. Chapter VII: Action with Respect to Threats to the Peace, Breaches of the Peace, and Acts of Aggression (Articles 39-51) pp 48-49. https://www.un.org/en/about-us/un-charter
5. Robert A. Pape. JOURNAL ARTICLE ,,Why Economic Sanctions Do Not Work" pp-1-2. 2000. JSTOR. https://www.jstor.org/stable/2539368
6. Kimberly Ann Elliott.,,Evedence on the Cost and Benefits of Economic Sanction". PIIE Peterson Institute for International Ecomomic. pp. 4-5. https://www.piie.com.
7. PIIE Peterson Institute for International Ecomomic. ,,Economic sanction reconsidered 3rd edition (paper)". pp. 35-79. https://www.piie.com/bookstore/economic-sanctions-reconsidered-3rd-edition-paper
8. Gary Clyde Hufbauer (PIIE) and Megan Hogan (PIIE). ,,How Effective are Sanction Against Russia". PIIE Peterson Institute for International Ecomomic. 2022. Pp 2-4. https://www.piie.com/experts/research-analysts/megan-hogan

ტოტალური თავდაცვის სისტემა და გამოწვევები მისი განხორციელების გზაზე

გიორგი შაიშმელაშვილი
ეროვნული თავდაცვის აკადემიის,
თავდაცვის ანალიზის
სამაგისტრო პროგრამის ასოცირებული პროფესორი.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორანტი

აბსტრაქტი

ტოტალური თავდაცვის სისტემა, რომელიც სახელმწიფო თავდაცვის მიზნებისთვის ეროვნული რესურსების კოორდინირებულ გამოყენებას გულისხმობს, მცირე სახელმწიფოებს მოწინააღმდეგესთან არსებული ასიმეტრიის შემცირების შესაძლებლობას აძლევს.

ტოტალური თავდაცვის სისტემა ცივი ომის პერიოდში ჩამოყალიბდა, ნატოს არა წევრ ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც საფრთხეს მათზე შესაძლებლობებით აღმატებული მოწინააღმდეგისგან ელოდნენ. კონცეფციამ ახალი უსაფრთხოების გამოწვევებთან ადაპტაციისთვის, გარკვეული ევოლუცია განიცადა და ყოვლისმომცველი თავდაცვის სისტემიდან, ყოვლისმომცველი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოდელად ტრანსფორმირდა.

ტოტალური თავდაცვის სისტემის მიმართ, როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ყირიმის ანექსიის შემდეგ. ამ კონტექსტში, საქართველომაც განიზრახა საკუთარი თავდაცვის სისტემის, ტოტალური თავდაცვის პრინციპზე აგება, რაც მთელ რიგ გამოწვევებთანაა დაკავშირებული სისტემის კომპლექსურობის გამო.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ევოლუცია და მისი პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები სკანდინავიისა და ბალტიის სახელმწიფოების მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები:
ტოტალური თავდაცვა, ყოვლისმომცველი თავდაცვა, ერთიანი სამთავრობო მიდგომა, მედეგობა.

TOTAL DEFENSE SYSTEM AND CHALLENGES ON THE WAY TO ITS IMPLEMENTATION

GIORGI SHAISHMELASHVILI
ASSOCIATE PROFESSOR,
DEFENSE ANALYSIS MASTER'S PROGRAM,
NATIONAL DEFENSE ACADEMY
DOCTORAL STUDENT OF POLITICAL SCIENCES
OF ILIA STATE UNIVERSITY

ABSTRACT

A total defense system, which involves coordinating all national resources for state defense purposes, enables small states to reduce asymmetries with their adversaries.

The total defense system was established during the Cold War in non-NATO member states that faced threats from a superior adversary. The concept has adapted to new security challenges and evolved from a comprehensive defense system to a comprehensive security model.

Both academic and policy interest in the total defense system has grown significantly since the annexation of Crimea by the Russian Federation. In this context, Georgia also intends to build its defense system on the principle of total defense, which is associated with several challenges due to the system's complexity.

This article analyzes the evolution of the concept of total defense and the challenges associated with its implementation in Nordic and Baltic States.

KEYWORDS:
Total Defense, Comprehensive Defense, Whole of Government Approach, Resilience.

შესავალი

მცირე სახელმწიფოები, როგორიც საქართველოა, ძალთა გამაძლიერებლების მუდმივ ძიებაში არიან, იმისათვის, რომ შეამცირონ შეუდარებლად დიდი შესაძლებლობების მქონე მოწინააღმდეგისგან მომდინარე საფრთხე და დააკომპენსირონ სამხედრო შესაძლებლობებს შორის არსებული ასიმეტრია. ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა, რომელიც მცირე სახელმწიფოს აღმატებული ძალის მოწინააღმდეგესთან შედეგიანი წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას მისცემს, საერთო ეროვნული რესურსების ტოტალურ და ინტეგრირებულ გამოყენებას ეფუძნება. შესაბამისად, ასეთ სისტემას აკადემიურ ლიტერატურაში, ხშირად მოიხსენიებენ როგორც „ტოტალური თავდაცვა."

ტოტალური თავდაცვის პრინციპზე დაფუძნებული თავდაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზების მოდელები, ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირთან მოსაზღვრე ნატოს არაწევრ სახელმწიფოებში. თუმცა, ცივი ომის დასრულებისა და საყოველთაო ლიბერალური ენთუზიაზმის ეპოქაში,[1] ეროვნული თავდაცვის ხარჯების შემცირებასთან ერთად, თითქმის ყველა სახელმწიფოში შემცირდა შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა, ხოლო მანამდე არსებულ სამოქალაქო თავდაცვის სისტემებს პროფილი შეეცვალა.

რუსეთის რევიზიონისტულმა საგარეო პოლიტიკამ, რომლის მატერიალიზაცია 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ ომით დაიწყო, 2014 წელს ყირიმის ანექსიით და აღმოსავლეთ უკრაინაში ომით გაგრძელდა, ტოტალურ თავდაცვას ახალი მნიშვნელობა შესძინა. უკრაინაში ამჟამად მიმდინარე ომში, რუსეთის ფედერაციის მიერ გაცხადებული სტრატეგიული მიზნების ვერ მიღწევა, სწორედ ტოტალური წინააღმდეგობის მოდელით, აიხსნება. ამ ფონზე, 2014 წლიდან ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის წევრმა და არა წევრმა სახელმწიფოებმა, საკუთარი ტოტალური თავდაცვის სისტემის აღდგენისა და გაძლიერების მიზნით, არა ერთი ღონისძიება განახორციელეს.

ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის ტოტალურ თავდაცვის პრინციპზე დაფუძნების მიზნით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საქართველომაც. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების გათვალისწინებით, ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესში,[2] განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „ერთიან სამთავრობო მიდგომას"(Whole Government Approach),[3] პროცესის ფარგლებში შემუშავებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტის (დამტკიცდა 2011 წელს) მიხედვით, „საქართველოს თავდაცვის დაგეგმვა ეფუძნება ტოტალური თავდაცვის პრინციპს, რომლის განხორციელება მოითხოვს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის დანერგვას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას და სამხედრო რეზერვის ეფექტიანი სისტემის შექმნას."[4] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტოტალური თავდაცვის იმპლემენტაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, არ განსაზღვრულა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მხარდამჭერ დოკუმენტებში, როგორიც იყო ეროვნული სამხედრო სტრატეგია და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა.

აქტიური ღონისძიებები, ტოტალური თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველომ, მოგვიანებით 2017 წელს დაიწყო. ჯერ თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020 წლის დოკუმენტში,[5] ტოტალური თავდაცვა არსებული

1 იხილეთ მაგ.: ფრენსის ფუკუიამას ცნობილი წიგნი:Francis Fukuyama, The End of History and the Last Man (Simon and Schuster, 2006).

2 პროცესი, რომლის ფარგლებშიც საქართველო შეიმუშავებს ეროვნული და უწყებრივი დონის უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეპტუალურ და ორგანიზაციულ დოკუმენტებს.

3 ავტორის ინტერვიუ პროცესის მონაწილესთან.

4 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია: "NSC-GEO.Pdf," accessed June 11, 2022, https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf, გვ.16.

5 თსმ 2017-2020 -"SDR-ENG.Pdf," accessed April 6, 2020, https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/SDR-ENG.pdf.

საფრთხეებისა და შეზღუდული რესურსების ფონზე, ქვეყნის ეროვნული თავდაცვის ეფექტიანი მართვის მაორგანიზებელ პრინციპად გამოცხადდა, ხოლო მოგვიანებით თავდაცვის სამინისტროს უწყებრივ დოკუმენტში, „მინისტრის დირექტივები“[6] მისი შემდგომი კონცეპტუალიზაცია განხორციელდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ეროვნულ დონეზე, საქართველოს ტოტალური თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის, ფუძემდებლურ დოკუმენტებად განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია და ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა, რომლებიც, მოცემული ეტაპისთვის შემუშავება-დამტკიცების ეტაპზეა. ამდენად, საქართველოში ტოტალური თავდაცვის სისტემისთვის შექმნისთვის საჭირო ნორმატიული და კონცეპტუალური ბაზა, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზეა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ტოტალური თავდაცვის მოდელი, ინტელექ-ტუალური სიახლეა არა მხოლოდ უსაფრთხოების სექტორში დასაქმებული ადამიანებისთვის, არამედ ქართველი მკვლევრებისთვისაც. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე, თითქმის არ არსებობს, აკადემიური ლიტერატურა, რომელშიც ტოტალური თავდაცვის სისტემისა და მისი იმპლემენტაციის გზაზე არსებული დაბრკოლებების აკადემიური ანალიზი შეგვხვდება. შესაბამისად, საჯარო მოხელეებისა და ოფიცრებს, ტოტალური თავდაცვის ქართული მოდელის ჩამოყალიბებაზე მუშაობა, საკითხის გარშემო არსებული მწირი აკადემიური დისკურის ფონზე უწევთ.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია არსებულ მწირი ინტელექტუალური დისკუსიის გამდიდრება, ტოტალური სისტემის არსებული მოდელების შესწავლის გზით. მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისობრივი კვლევების კატეგორიას მიეკუთვნება და მეთოდოლოგიურად მიდგომად შემთხვევის შესწავლის (Case-study) მეთოდს იყენებს. სტრუქტურულად კვლევა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში, შერჩეული მაგალითების (Case) სამაგიდე კვლევა განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა ის საკვანძო კონდიციები, რომელთა მიღწევა - გათვალისწინების გარეშე, რთული იქნება ეფექტური და ეფექტიანი ტოტალური თავდაცვის სისტემის ფუნქციონირება, ხოლო მეორე ნაწილში ავტორის პერსონალური გამოცდილებისა და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების საფუძველზე, ჩამოყალიბდა თითოეული გამოკვეთილი კონდიციის საქართველოს სინამდვილეში მათი კონტექსტუალიზაციის შესაძლებლობა. უფრო კონკრეტულად, დოკუმენტი ასახავს, ტოტალური თავდაცვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნებში განხორციელებული ძირითადი ღონისძიებების ანალიზსა და იმ ინსტიტუციურ, ორგანიზაციულ და კულტურულ დაბრკოლებებს, რომლებიც თან ახლავს ტოტალური თავდაცვის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბებას. ბოლოს, დოკუმენტს თან ერთვის შემთხვევათა შესწავლის საფუძველზე, ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, საქართველოში ეფექტური და ეფექტიანი ტოტალური თავდაცვის სისტემის შექმნის მიზნით.

ტერმინის ევოლუცია: ტოტალური თავდაცვიდან - ყოვლისმომცველ უსაფრთხოებამდე (Comprehensive Security)

ზოგადი აზრით, ტოტალური თავდაცვა, ეს არის სრულიად მოსახლეობისა და ყველა არსებული რესურსის (whole of society approach) გამოყენება ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს (მაქსიმუმ) ხელი ააღებინოს პოტენციურ მოწინააღმდეგეს აგრესიაზე, მისთვის მიუღებელი ზიანის შიშით, ან (მინიმუმ) შეიტანოს ღრმა გაურკვევლობის ეფექტი მის სტრატეგიულ გათვლებში დაიწყოს თუ არა აგრესია. ტოტალური თავდაცვა, არსებითად ცივი ომის დროინდელი კონცეფციაა, რომლის მატერიალიზაცია ევროპაში ნატოს არა წევრ სახელმწიფოებში, შვეიცარიაში, ფინეთში, შვედეთსა და იუგოსლავიაში მოხდა.[7] ევროპის კონტინენტის

6 “Minister’s Directives - MOD.GOV.GE,” accessed April 6, 2020, https://mod.gov.ge/en/page/48/minister%E2%80%99s-directives.

7 James Kenneth Wither, “Back to the Future? Nordic Total Defence Concepts,” Defence Studies 20, no. 1

მიღმა, თავდაცვის ორგანიზების მსგავსი სისტემები არსებობს ისრაელსა და სინგაპურში.[8]

ტერმინი ტოტალური თავდაცვა 1950-იანი წლებიდან მკვიდრდება შვედეთში და დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომის, როგორც ტოტალური ომის გამოცდილებასთან. 1943 წელს, სამოქალაქო თავდაცვის კანონის მოსამზადებლად შექმნილი კომისიის ერთ-ერთ ანგარიშში ვკითხულობთ: „საზღვრები სამხედროსა და სამოქალაქოს შორის მოშლილია, ომი გახდა ტოტალური, სადაც ძირითადი სამიზნე მშვიდობიანი მოსახლეობაა და შესაბამისად საჭიროა ტოტალური თავდაცვა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო დომეინის.[9] თუმცა, უკვე 1960-იანი წლებიდან, ტერმინ ტოტალურ თავდაცვას, მისი უარყოფითი ასოციაციების გამო, ტოტალიტარიზმთან და მეორე მსოფლიო ომთან, ანაცვლებს ტერმინები „ყოვლისმომცველი თავდაცვა“ (comprehensive defense), ან „ყოვლისმომცველი მიდგომა თავდაცვის მიმართ“ (comprehensive approach to defense). მოგვიანებით, ცივი ომის დასრულების შემდეგ, კონცეპტი კიდევ უფრო ფართოვდება და მოიცავს კრიზისების მართვას, არა სამხედრო საფრთხეებზე რეაგირებას, ტერორიზმს, ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებს, მოსახლეობისთვის წარმოქმნილ ნებისმიერ საფრთხეს მშვიდობიანობის პერიოდში და ჩნდება ყოვლისმომცველი/ინტეგრირებული უსაფრთხოების ახალი ცნება. საფრთხეების ამგვარ ფართო სპექტრზე რეაგირება გულისხმობს, სახელმწიფო და არა სახელმწიფო აქტორების, სახელმწიფო ინსტიტუტების და საზოგადოების კოორდინირებულ მოქმედებებს და ფუნქციონირებას. შესაბამისად, განსხვავებით ტოტალური თავდაცვისგან, ყოვლისმომცველი უსაფრთხოება განგრძობითი ძალისხმევაა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს კონფლიქტის მთელი სპექტრის (მშვიდობა-კრიზისი-ომი) განმავლობაში და არა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

ომის ხასიათის ცვლილებამ და ახალი თაობის ომებმა, რომლებშიც მოწინააღმდეგის სამიზნე, მოსახლეობის განწყობები და ე.წ. გულების და გონებისთვის ბრძოლაა, ყოვლისმომცველი უსაფრთხოების და განსაკუთრებით მისი სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტს, კრიტიკული მნიშვნელობა შესძინა. ყირიმის ანექსიამ და რუსეთის მხრიდან ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოყენებულმა ე.წ. ჰიბრიდულმა ომის მეთოდებმა,[10] რომელშიც რუსეთი კინეტიკურთან ერთად, არა კინეტიკურ საშუალებებს, იყენებს ყოვლისმომცველი უსაფრთხოების კონცეპტის გვერდით, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერმინი გააჩინა, რომლებიც არსებითად ჯდება ყოვლისმომცველი უსაფრთხოების მოდელში. ნატოს ვარშავის 2016 წლის სამიტზე, სამოქალაქო მზადყოფნა (civil preparedness) განისაზღვრა, როგორც ცენტრალური საყრდენი მედეგობისთის (resilience) და კრიტიკული ხელშემწყობი ფაქტორი კოლექტიური თავდაცვისთვის.[11] სამოქალაქო მზადყოფნის სინონიმური მნიშვნელობით, ევროკავშირი იყენებს მოქალაქეთა დაცვას (civil protection). არსებითად ამ ორივე ტერმინის ქვეშ იგულისხმება, სახელმწიფოს ფუნქციონირების შენარჩუნების უზრუნველყოფა კრიზისისა და ომის პირობებში, რაც ნატოს კონცეფციაში სახელმწიფოს და საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის შვიდი ფუნქციის შენარჩუნებას[12] გულისხმობს. შესაბამისად მედეგობა, სამოქალაქო მზადყოფნა/მოქალაქეთა დაცვის გამართული სისტემის შედეგია, რაც გულისხმობს საზოგადოების უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს და სწრაფად აღიდგნოს ფუნქციონირების უნარი, ბუნებრივი კატასტროფების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩავარდნის, ჰიბრიდული შეტევისა თუ სამხედრო

(January 2, 2020): 61–81, https://doi.org/10.1080/14702436.2020.1718498.

8 იქვე.

9 ციტირებულია: Sebastian Larsson and Mark Rhinard, Nordic Societal Security: Convergence and Divergence (Taylor & Francis, 2021), გვ. 46.

10 O. Jonsson, The Russian Understanding of War: Blurring the Lines Between War and Peace (Georgetown University Press, 2019).

11 Ieva Bērziņa, "Total Defence as a Comprehensive Approach to National Security," in Deterring Russia in Europe (Routledge, 2018).

12 NATO, "Civil Preparedness," NATO, accessed June 12, 2022, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49158.htm.

თავდასხმისგან გამოწვეული შოკების შემთხვევაში.[13]

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კონცეპტის ტრანსფორმაციისა და განსხვავებული კონტექსტებისა, ტოტალური თავდაცვის მოდელს რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებელი აქვს ყველა ქვეყანაში, რომელიც განპირობებულია იმით, რომ თითოეული ეს სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე შესაძლებლობებით აღმატებულ მოწინააღმდეგესთან ომისთვის ემზადება.

ტოტალური თავდაცვის სისტემის მიმართულებების საკვანძო მახასიათებლები და მათი ეკვივალენტები საქართველოში

<u>სამხედრო მიმართულება:</u>

კომბინირებული ძალთა სტრუქტურა, პროფესიულ კომპონენტთან ერთად, რეზერვის, სამხედრო სავალდებულო სამსახურის და მოხალისეთა ორგანიზაციების სხვადასხვა ფორმით ქონა ტოტალური თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ფაქტორია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ფინეთის მაგალითი, რომელსაც გაწვევა ცივი იმის დასრულების შემდგომაც კი არ შეუწყვეტია, თუმცა განსხვავებული ვითარებაა სხვა ქვეყნებში. მაგალითად შვედეთმა, გაწვევა 2010 წელს გააუქმა, თუმცა 2017 წელს ზემოაღწერილი ფაქტორების გათვალისწინებით აღადგინა. ზოგადი ტენდენცია, უსაფრთხოების გარემოს გაუარესების კვალდაკვალ, პრაქტიკულად ყველა სკანდინავიურ და ბალტიკურ სახელმწიფოში, თავდაცვის ბიუჯეტების ზრდასთან ერთად, შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის ზრდასაც გულისხმობს, რაც შეზღუდული რესურსების მქონე მცირე სახელმწიფოების დიდ ნაწილს, სხვადასხვა პროპორციით, ძალთა სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის წილის გაზრდისკენ უბიძგებს.

სამწუხაროდ, სამხედრო-სავალდებულო სამსახური კვლავაც რჩება, ერთ-ერთ ყველაზე კონტრავერსულ საკითხად ქართულ საზოგადოებაში. ამ პრობლემების მოგვარება დაანონსებულია თავდაცვის კოდექსის დამტკიცებასთან ერთად, რამაც ახალი ბიძგი უნდა მისცეს სამხედრო - სავალდებულო სამსახურისადმი ინტერესს წვევამდელებში.

ტერიტორიულ, მოხალისეობრივ პრინციპზე დაფუძნებული საქართველოს ტერიტორიული რეზერვი, საქართველოს ტოტალური თავდაცვის სისტემის სამხედრო კომპონენტის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია. ისევე, როგორც ახალგაზრდული მოხალისეთა ორგანიზაციების „ლეგიონისა“ და „აისის“ თავდაცვის სისტემაში ეტაპობრივი ინტეგრირება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები, სრულ თანხვედრაშია ამჟამად ბალტიისა და სკანდინავიის სახელმწიფოებში არსებულ ისტორიულ გამოცდილებასთან.

<u>სამოქალაქო მიმართულება:</u>

სამოქალაქო თავდაცვის მიმართულების ქვეშ ერთიანდება ისეთი საკითხები, როგორიცაა ხელისუფლების ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველყოფა კრიზისისა და ომის დროს; სამოქალაქო უწყებებისა და ორგანიზაციების მხრიდან შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა; მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უწყვეტი ფუნქციონირება. ეფექტური და ეფექტიანი სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გარეშე, შეუძლებელი იქნება ტოტალური თავდაცვის სამხედრო კომპონენტის წარმატებული შესრულება. ამ თვალსაზრისით კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, მოქალაქეთა უსაფრთხოების საკითხს, მათი შესაბამისი თავშესაფრებით უზრუნველყოფას, ადრეული შეტყობინების სისტემას და სხვა. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო თავდაცვის კომპლექსური სისტემის ფინანსური უზრუნველყოფა <u>და მზადყოფნის</u> შენარჩუნება, მნიშვნელოვანი გამოწვევაა, სკანდინავიის

13 Piotr Szymański, “New Ideas for Total Defence: Comprehensive Security in Finland and Estonia. OSW Report 2020-03-31.,” Other, March 2020, http://aei.pitt.edu/103309/.

სახელმწიფოებისთვისაც, სადაც ამ სისტემას თითქმის საუკუნოვანი ტრადიცია აქვს.

ამ თვალსაზრისით, საქართველოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საგანგებო ვითარებებზე რეაგირების არსებული სისტემის, თავდაცვის ოპერატიულ მოთხოვნებთან ინტეგრირება. ამისთვის საჭიროა სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გეგმის განახლება და კრიზისებზე რეაგირების შესაბამისი მექანიზმების ჩამოყალიბება.

<u>საინფორმაციო-ფსიქოლოგიური მიმართულება:</u>

მოქალაქეთა ფსიქოლოგიური მზადყოფნა, ტოტალური თავდაცვის უმნიშვნელოვანესი საყრდენია ყველა ქვეყანაში, ხოლო მისი წარუმატებლობა რისკის ქვეშ აყენებს ტოტალური თავდაცვის სისტემის სხვა მიმართულებების ეფექტურობას. ამდენად, მოქალაქეთა განწყობების, მათ საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნება და გაძლიერება, პანიკის თავიდან არიდება და კოორდინირებული მოქმედება საინფორმაციო-ფსიქოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საინფორმაციო ეპოქაში ე.წ. ჰიბრიდული საფრთხეების ზრდის პარალელურად.

განსხვავებით სამხედრო და სამოქალაქო მიმართულებებისგან, საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ თავდაცვაში მონაწილე ძირითადი სახელმწიფო უწყებებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების სურათი კიდევ უფრო კომპლექსურია. რაც მთავარია, რთულია მზადყოფნის დონის შეფასება და შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრა. თუ სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის მომზადებაზე, თითქმის ყველა სკანდინავიურ ქვეყანაში წამყვანი უწყებები თავდაცვის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო არიან, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური თავდაცვის მიმართულებით, რთულია წამყვანი და მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტების იდენტიფიცირება და მათ შორის ფუნქციების განაწილება.

დასკვნა და რეკომენდაციები

საერთო ეროვნული რესურსების ტოტალურ და ინტეგრირებულ გამოყენებაზე დაფუძნებული ტოტალური თავდაცვის სისტემა, მცირე სახელმწიფოებისთვის აღმატებულ მოწინააღმდეგესთან არსებული ასიმეტრიის ერთადერთი კომპენსატორია. ტოტალური თავდაცვის მნიშვნელობა, რომელიც ცივი ომის პერიოდში ნატოს არა წევრ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა, რუსეთის რევანშისტული საგარეო პოლიტიკის კვალდაკვალ გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ კონცეფციამ გარკვეული ევოლუცია განიცადა ეპოქისა და კონტექსტის შესაბამისად, მის არსებით მახასიათებლად რჩება, სამხედროსთან ერთად, სამოქალაქო და საინფორმაციო თავდაცვის მიმართულებები.

საქართველომ, განსაკუთრებით 2017 წლიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, ქვეყნის თავდაცვის სისტემის, ტოტალური თავდაცვის პრინციპებზე დასაფუძნებლად. ტოტალური თავდაცვის კომპლექსური სისტემის ეფექტური და ეფექტიანი ფუნქციონირება გამოწვევაა, ისეთ სახელმწიფოებშიც სადაც ეს სისტემა წარმოიშვა. შესაბამისად, სისტემის ჩამოყალიბებისთვის საქართველოსთვის მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობის შენარჩუნება და ინკრემენტალური მიდგომა, რაც სისტემის ეტაპობრივ მოდულარულ ჩამოყალიბებას უნდა გულისხმობდეს.

შემთხვევების შესწავლისა და ანალიზი საფუძველზე გამოვლენილია კრიტიკული კონდიციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოში ტოტალური თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბებას:

1. **ტოტალური თავდაცვა გულისხმობს, ტოტალურ კონსენსუსს**: კონსენსუსი ვერ მიიღწევა ძირითადი პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ჯგუფების და ფართო საზოგადოების კომუნიკაციის გარეშე;
2. **პარლამენტის, როლი**: სკანდინავიისა და ბალტიის სახელმწიფოთა უმრავლესობაში, რომლებიც საქართველოს მსგავსად საპარლამენტო

რესპუბლიკებია, ტოტალური თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, ცენტრალური როლი აქვს ქვეყნის პარლამენტს;

3. **სტრატეგიულ დონეზე კოორდინაცია**: ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ტიპის ორგანიზაციები, ასრულებენ ცენტრალური როლს, ტოტალური თავდაცვის პოლიტიკის, არა მხოლოდ დაგეგმვის კოორდინაციაში, არამედ მისი აღსრულების და მზადყოფნის მონიტორინგის თვალსაზრისით.
4. **კონცეპტუალური ჩარჩო**: მნიშვნელოვანია, ეროვნული თავდაცვის სტრატეგიისა და თავდაცვის მზადყოფნის გეგმის უწყებათშორის ფორმატში შემუშავება და დამტკიცება.
5. **სტრატეგიული დონის სწავლებები, როგორც უწყებათშორისი თანამშრომლობის ფორმა**: არ არსებობს სისტემა, მისი მუდმივი დატესტვის გარეშე, მნიშვნელოვანია სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორის“ შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია;
6. **შერეული სამუშაო მუდმივმოქმედი ჯგუფები**: ყველა შესწავლილ ქვეყანაში არსებობს, მოკავშირე ოფიცრების სხვადასხვა ფორმა, ასევე შერეული მუდმივმოქმედი ჯგუფები, სადაც სხვადასხვა უწყების წარმომადგენელი საჯარო მოხელეები და ოფიცრები მივლენილი არიან ტოტალური თავდაცვის, სპეციფიკურ კომპონენტებზე ერთობლივად სამუშაოდ;
7. **უწყებათშორისი წვრთნა და განათლება**: იმისათვის, რომ მიაღწიონ უწყებათშორისი თანამშრომლობის მოწიფულ დონეს, მნიშვნელოვანია რომ სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს საკითხებისადმი მსგავსი, ზიარი წარმოდგენა ჰქონდეთ. ამის მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ განათლების ერთი სისტემაში სოციალიზაციის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია გაგრძელეს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში თუ წვრთნებისა და განათლების სარდლობაში არსებული უწყებათშორისი კურსების მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bērziņa, Ieva. “Total Defence as a Comprehensive Approach to National Security.” In Deterring Russia in Europe. Routledge, 2018.
- Fukuyama, Francis. The End of History and the Last Man. Simon and Schuster, 2006.
- Jonsson, O. The Russian Understanding of War: Blurring the Lines Between War and Peace. Georgetown University Press, 2019. https://books.google.ge/books?id=UjCfx-gEACAAJ.
- Larsson, Sebastian, and Mark Rhinard. Nordic Societal Security: Convergence and Divergence. Taylor & Francis, 2021.
- “Minister’s Directives - MOD.GOV.GE.” Accessed April 6, 2020. https://mod.gov.ge/en/page/48/minister%E2%80%99s-directives.
- NATO. “Civil Preparedness.” NATO. Accessed June 12, 2022. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49158.htm.
- “NSC-GEO.Pdf.” Accessed June 11, 2022. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf.
- “SDR-ENG.Pdf.” Accessed April 6, 2020. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/SDR-ENG.pdf.
- Szymański, Piotr. “New Ideas for Total Defence: Comprehensive Security in Finland and Estonia. OSW Report 2020-03-31.” Other, March 2020. http://aei.pitt.edu/103309/.
- Wither, James Kenneth. “Back to the Future? Nordic Total Defence Concepts.” Defence Studies 20, no. 1 (January 2, 2020): 61–81. https://doi.org/10.1080/14702436.2020.1718498.

სარიყამიშის ოპერაციის ერთი ეპიზოდი ჯარების დირექტიული მართვის ელემენტით. სისტემური მიდგომა თუ ქართული სინამდვილე?

არჩილ ჩაჩხიანი
ისტორიის დოქტორი
ეროვნული თავდაცვის აკადემია
თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მეთაურის აზროვნებაზე დამყარებული ჯარების ოპერატიული მართვის სპეციფიკური პრინციპის ისტორიული რეტროსპქტივა, რომელიც სამხედრო ხელოვნების სფეროში შესულია ჯარების დირექტიული მართვის პრინციპის, ან მოკლედ, ამოცანით მართვის დასახელებით. მისი არსი მოკლედ ასე შეიძლება ჩაოვაყალიბოთ - დეცენტრალიზებული ინიციატივა ზოგადი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში. სამხედრო ოპერაციების მართვისა და აღსრულების ეს მეთოდი უპირისპირდება ჯარების მართვის მკაცრად გაწერილ ცენტრალიზებულ მეთოდს, რაც ოპერაციის დეტალურ მართვას წარმოადგენს.

სწორედ ამ კონტექტშია გაანალიზებული ახალი და უახლესი სამხედრო ისტორიის ერთი კონკრეტული მაგალითი. საუბარი პირველ მსოფლიო ომს, რუსეთის კავკასიის არმიას და ამ ომის შემადგენელი სარიყამიშის ოპერაციის ერთ-ერთ ეპიზოდს შეეხება. 108 წლის წინ სარიყამიში რუსეთის არმიის დიდი გამარჯვების სიმბოლო გახდა, და ამავე დროს თურქეთის ახალი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე და ტრაგიკული ფურცელი. სწორედ აქ, სარიყამიშში დაიბადა ერთი ქართული ლეგენდა, რომლითაც ნებისმიერი ერი თუ ქვეყანა იამაყებდა.

სტატიაში წარმოდგენილი საკვლევი პრობლემაც ასე ჩამოვაყალიბეთ: სარიყამიშის ოპერაციის მსვლელობისას გამოვლენილი დეცენტრალიზებული ინიციატივა იყო თუ არა საკითხის გადაჭრის სისტემური შედეგი, ანუ, ამოცანით მართვის გამოვლინება, თუ ინდივიდუალური მიდგომა?

საკვანძო სიტყვები:
ამოცანით მართვა, დოქტრინა, ჰელმუტ ფონ მოლტკე, პირველი მსოფლიო ომი, კავკასიის ფრონტი, ისმაილ ენვერ ფაშა, სარიყამიშის ოპერაცია, ორმაგი გარშემორტყმა, ალექსანდრ მიშლაევსკი, კაპიტანი ვაშაკიძე, ისჰან ლატიფ ფაშა, ,,შაითან კაპიტანი“.

ONE EPISODE IN THE BATTLE OF SARIKAMISH ALONG WITH THE ELEMENT OF DIRECTIVE LEADERSHIP. SYSTEMATIC APPROACH OR GEORGIAN REALITY?

ARCHIL CHACHKHIANI
DOCTOR OF HISTORY
NATIONAL DEFENCE ACADEMY
ASSOCIATE PROFESSOR
IN THE MASTER OF DEFENSE ANALYSIS PROGRAM

ABSTRACT

The article discusses the historical retrospective of the specific principle of operational management of troops based on the commander's thinking, which is included in the field of martial arts under the name of the principle of directive management of troops, or in short, mission command. Its essence can be summarized as follows - a decentralized initiative within the general strategic plan. This method of command and executing military operations contrasts with the strictly written centralized method of command troops, which is the detailed management of the operation.

In this context one particular example of modern and contemporary military history is analyzed. We are talking about WW I, the Russian Caucasus Army and one of the episode of Sarikamish Operation, a component of this war. 108 years ago Sarikamish became a symbol of the great victory of the Russian army, and at the same time one of the heaviest and most tragic page Turkey's modern history. Right here, in Sarikamish, a Georgian legend was born that any nation or country would be proud of.

We formulated the research problem presented in the article as follows: Was the decentralized initiative identified during the Sarikamish operation a systemic result of resolving the issue, i.e., a manifestation of mission command or an individual approach?

KEYWORDS:
Mission Command, Doctrine, Helmut von Moltke, WW I, Caucasus Front, Ismail Enver Pasha, Sarikamish Operation, Double Envelopment, Alexandr Mishlaevsky, Captain Vashakidze, Ishan Latif Pasha, "Shaitan Captain".

შესავალი

1940 წლის 15 მაისის ადრიან დილით დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის სამუშაო კაბინეტში სატელეფონო ზარი გაისმა. კავშირზე საფრანგეთის პრემიერი, პოლ რეინო გამოვიდა:

- ჩვენ წავაგეთ ბრძოლა, სედანთან ფრონტი გარღვეულია, - სადენის მეორე ბოლოდან აქცენტიანი ინგლისური ისმოდა...

მხოლოდ ხუთი დღე იყო გასული მას შემდეგ, რაც გერმანულმა შენაერთებმა შეტევითი მოქმედებები დაიწყეს საფრანგეთის წინააღმდეგ.

- კი მაგრამ, წარმოუდგენელია, რომ ეს ასე მალე მომხდარიყო, - უპასუხა ჩერჩილმა სკეპტიკურად...

ექვს კვირაში საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა...

ამ ამბების უშუალო თვითმხილველი, ცნობილი ფრანგი მწერალი და სამხედრო მფრინავი, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი (Antoine de Saint-Exupéry), ასე აღწერდა გერმანული სატანკო შენაერთების მოქმედებას: ,,[გერმანული] სატანკო ნაწილები, რომლებსაც წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ფრანგული ტანკები, თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აუნაზღაურებელ ზარალს აყენებდნენ იმას, რაც ერთი შეხედვით თითქოს ზედაპირული იყო - ლოკალური საკომანდო პუნქტების დაპყრობა, განადგურებული სატელეფონო ხაზები, გადამწვარი სოფლები. [ტანკები] იმ ქიმიური აგენტის როლს თამაშობდნენ, რომლებიც მთლიანად კი არ ანადგურებდნენ ორგანიზმს, არამედ მხოლოდ მის ნერვულ სისტემას აზიანებდნენ. მთელ იმ ტერიტორიებზე, სადაც გერმანელებმა ელვისებურად აღგავეს პირისგან მიწისა ყველაფერი, [ფრანგულმა] არმიამ, რომელიც თითქმის ხელუხლებელი იყო, იარაღი დაყარა. იგი თითქოს ცალკეულ შემკვრივებებად გადაიქცა. ამ შემკვრივებებს შორის, რომლებიც შეიარაღებულ ადამიანებს წარმოადგენდნენ, მტერი ისე გადაადგილდებოდა, როგორც მას მოესურვებოდა... და არმიას, რომელიც მხოლოდ ურიცხვი რაოდენობის ჯარისკაცს წარმოადგენდა და მეტს არაფერს, დაკარგული ჰქონდა თავისი ეფექტურობა“.[1]

ეს დაუჯერებელი წარმატება არც გერმანელთა პირადი შემადგენლობის რაოდენობის, არც მათი შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის ტაქტიკური მაჩვენებლების უპირატესობით იყო გამოწვეული. გერმანელთა ეს წარმატება ბლიცკრიგის სტრატეგიისა და ვერმახტში ჯარების მართვის იმ ინოვაციური მეთოდოლოგიის მასიური დანერგვით იყო გამოწვეული, რაც სამხედრო მეცნიერების სფეროში ,,***ჯარების დირექტიული მართვის***“ ან ,,***დავალებაზე ორიენტირებული ტაქტიკის***“ სახელით შევიდა...

Auftragstaktik - ამოცანით მართვის ცნება

არის გერმანულ ენაში ერთი საინტერესო სიტყვა - Auftragstaktik, რომლის ზუსტი თარგმნაც სხვა ენაზე საკმაოდ რთულია, უფრო რთულია მისი დეფინიცია და კიდევ უფრო რთული - მისი არსის გაგება. ეს სიტყვა - Auftragstaktik, სამხედრო საქმისადმი, და კონკრეტულად, ჯარების მართვის ხელოვნებისადმი განსაკუთრებულ მიდგომას აღწერს. გერმანულ რეალობაში ეს იყო სამხედრო მეთაურის მიერ მიღებულ საბრძოლო დავალების შესრულებაზე ორიენტირებული მოქმედებების ტაქტიკა, სადაც მეთაურის მოქმედებები შექმნილი ოპერატიული ვითარების საკუთარ აღქმასა და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებაზე იყო დამყარებული. ამ ფილოსოფიაში მოქმედებების პრიმატი იყო ხაზგასმული. კანადელი ავტორი, პროფესორი ჯონ ინგლიში (John English) აღნიშნავს, რომ Auftragstaktik-ის სქემაში უმოქმედობა უფრო უარესი იყო, ვიდრე მცდარი სიტუაციური არჩევანი, და იმაზე უარესიც კი, ვიდრე ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობა.[2] დიახ, ჯარების ოპერატიული მართვის ამ ფილოსოფიაში

1 Antoine de Saint-Exupéry Pilote de guerre (1942). édité par les Bourlapapey, bibliothèque numérique romande. Pg. 63. https://ebooks-bnr.com/ebooks/pdf4/saint_exupery_pilote_de_guerre.pdf. 03. 10. 2019.

2 A perspective on infantry. Praeger; First Edition edition. Westport. Connecticut. London. 1981. Pg. 123.

ხაზგასმული იყო პრუსიული და გერმანული სამხედრო სკოლის ის სწავლება, რომელიც შრომის და მოქმედების პრიმატს უსვამდა ხაზს, რაც შემდგომში სრულად გამოიხატა ვერმახტის გენერალ-ფელდმარშლის, ერვინ რომელის (Erwin Rommel) ერთ ფრაზაში: ,,გადამეტებული შრომა ყოველთვის სჯობს გადამეტებულ სიზარმაცეს - ოფლი სისხლს ზოგავს, სისხლი სიცოცხლეს შველის, ჭკუა კი - ორივეს ერთად".[3] დიახ, Auftragstaktik-ის ფილოსოფია მეთაურის აზროვნებაზე დამყარებული ჯარების ოპერატიული მართვის სპეციფიკური პრინციპი იყო, რომელიც მის ინტელექტსა და განსწავლულობაზე იყო დამყარებული. თავად ტერმინის ქართული ინტერპრეტაცია კი, ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ - ჯარების დირექტიული მართვის პრინციპი, დასახული ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული პრინციპი ან მიღებული ამოცანის დამოუკიდებლად გადაწყვეტის პრინციპი, და კიდევ უფრო მოკლედ - ,,***ამოცანით მართვა***". ინგლისურად კი, ეს ცნება ასე ითაგმნება - Mission Command.

რეტროსპექტივაში წარმოდგენილი ფორმალიზებული სახით ,,ამოცანით მართვა" არის ჯარების მართვისა და გერმანული ოპერატიული ხელოვნების ერთ-ერთი იმ პრინციპთაგანი, რომელიც მე-19 საუკუნის განმავლობაში ევროპული საომარი მოქმედებების თეატრზე მიმდინარე საბრძოლო გამოცდილების ბაზაზე ჩამოყალიბდა,[4] - აღნიშნავს თავის ნაშრომში Auftragstaktik: The Basis For Modern Military Command? აშშ-ის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის მკვლევარი, მაიკლ გიუნტერი (Michael Gunther). ავტორის მოსაზრებას ჯარების ოპერატიული მართვის შესახებ, ვეთანხმებით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანით მართვის ცალკეულ არაფორმალიზებულ ელემენტებს ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ომების ისტორიაშიც ჰქონდა ადგილი. ჯარების მართვის ამ პრინციპმა, რომელმაც თავისი განვითარება არაერთი გერმანელი თეორეტიკოსის ნაშრომში ჰპოვა, და რომელიც პრუსიული და გერმანულ სამხედრო სკოლისა და სამხედრო აზროვნების საკვანძო წერტილად იქცა, შემდგომ წლებში სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო წესდებებში ჰპოვა შესაფერისი ადგილი. ჯარების მართვის ეს პრინციპი აშშ-ის არმიის საველე წესდების (Field Manual 100-5, Operations) 1982 და 1986 წლების რედაქციებში იყო ნახსენები.[5] დღეისათვის დოქტრინა, დასახელებით Mission Command (US Army Doctrine Reference Publication (ADRP 6-0), დოქტრინული სწავლების (ADRP 3-0) ,,გაერთიანებული სახმელეთო ოპერაციების" (Unified Land Operations) საფუძველს წარმოადგენს, რომელიც 2012 წლის მაისში იქნა მიღებული.[6] იგივე განმეორდა კანადაში,[7] ნიდერლანდებში, ავსტრალიასა და გაერთიანებულ სამეფოში.[8] 2019 წელს (ADRP 6-0)-ში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი, რაც ამ დოქტრინის შემდგომ ევოლუციად უნდა მივიღოთ.

Auftragstaktik-ის კონცეფცია სამხედრო ადმინისტრირების გერმანული სისტემის იმ განმასხვავებელ მახასიათებლად ითვლება, რომლის თანახმადაც ვერტიკალური სამეთაურო ჯაჭვის დაქვემდებარების ყველა დონეზე გაზრდილია მიმდინარე ოპერატიული ვითარების შეფასების თავისუფლების ხარისხი და უფრო მეტიც - მოქმედებების დროს უგულებელყოფილია ზემდგომი მეთაურების ბრძანების პუნქტების ზედმიწევნითი შესრულების პრიმატი.[9] ჯარების მართვის ეს კონცეფცია იმასაც კი უშვებს, <u>რომ ოპერაციი</u>ს მსვლელობისას, ქვედა რგოლების სამეთაურო შემადგენლობას შეუძლია

3 Эрвин Роммель цитаты. https://ru.citaty.net/avtory/ervin-rommel/

4 Gunther M. J. Auftragstaktik: The Basis For Modern Military Command. Pickle Partners Publishing, 2015. Pg. 69.

5 John T. Nelsen. Auftragstaktik: A Case for Decentralized Battle. https://apps.dtic.mil/dtic/tr/ fulltext/u2/ a509971.pdf. 08. 10. 2019.

6 Army Doctrine Reference Publication. ADRP 6-0. Mission Command. Headquarters Departmant of Army. Washington, DC. 17 May 2012. https://fas.org/irp/doddir/army/adrp6_0.pdf

7 Canada Department of National Defence (1996). Conduct of Land Operations – Operational Level Doctrine for the Canadian Army. Publication B-GL-300-001/FP- 000. Ottawa, Ontario: Queen's Printer.

8 Army of the United Kingdom (2005). Land Operations. Shrivenham, UK: United Kingdom Ministry of Defence, Director General, Development, Concepts, & Doctrine, Publication AC 71819.

9 Gunther M. J. Auftragstaktik: The Basis For Modern Military Command. — Pickle Partners Publishing, 2015. Pg. 69.

შეწყვიტოს მის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანის შესრულება ან მნიშვნელოვნად შეცვალოს ამ ამოცანის აღსრულების გზები და მეთოდოლოგია იმ აუცილებელი პირობით, რომ მეთაური სრულად იღებს თავის თავზე ამ ცვლილებების გამო დამდგარ შედეგებზე პასუხისმგებლობას.[10] ამ იდეის ნათელი ილუსტრაციისათვის სხვადასხვა ავტორებს ხშირად მოყავთ პრუსიის პრინცის, დიდი პრუსიელი მხედართმთავრის, ფელდმარშალ ფრიდრიხ კარლის (Friedrich Karl von Preußen) ანეგდოტური ხასიათის გამოთქმა, რომელიც სწორედ Auftragstaktik - ამოცანით მართვას შეეხებოდა. ერთ-ერთ ბრძოლაში დაშვებული ტაქტიკური შეცდომის გამო მან სასტიკად გაკიცხა მაიორის წოდების მქონე თავისი ერთ-ერთი ოფიცერი. ოფიცერმა კი, თავი იმით იმართლა, რომ ზედმიწევნთ შეასრულა მისი უშუალო მეთაურის ბრძანება, რომლისადმი მორჩილებაც ისევე არ განისჯებოდა, როგორც მორჩილება მეფისადმი. პრინცის მიერ გაცემული საარაკო პასუხი მთელ რიგ ისტორიულ და სამხედრო თეორიულ ნაშრომებშია შესული:

- მისმა უდიდებულესობამ თქვენ მაიორის წოდება იმიტომ მოგანიჭათ, რადგან სწამდა, რომ გაიაზრებდით თუ როდის არ უნდა შეგესრულებინათ მისი ბრძანება![11]

ტერმინის აზრობრივი გაგება

სამხედრო ხელმძღვანელობის Auftragstaktik სტილის შექმნა და მისი ჯარებში დანერგვა პრუსიულ სამხედრო სკოლას და მე-19 საუკუნეში მოღვაწე პრუსიის გენერალური შტაბის უფროსის, ფელდმარშალ ჰელმუტ ფონ მოლტკეს (Helmuth von Moltke) სახელს უკავშირდება. მოლტკე შეიძლება განვიხილოთ როგორც ყველაზე გამჭრიახი და მნიშვნელოვანი ევროპელი სამხედრო მოღვაწე ნაპოლეონის ეპოქასა და პირველ მსოფლიო ომს შორის პერიოდში. იგი გამორჩეული იყო არა მხოლოდ ჯარების ორგანიზების საქმესა და სტრატეგიულ დაგეგმვაში, არამედ ოპერატიულ სარდლობაშიც. იგი სრულად აანალიზებდა იმას, თუ რა იყო და რა არ იყო შესაძლებელი ომში.[12] მოლტკეს შეხედულებები პოლიტიკის, ომისა და სტრატეგიის შესახებ წარმოდგენილია მის 1869 წლის ნაშრომში ,,ინსტრუქციები ჯარების უფროსი მეთაურებისათვის" და მის ესეში ,,სტრატეგიის შესახებ", რომელიც მან 1871 წელს შექმნა.[13] მის ფილოსოფიაში აშკარად შეიმჩნეოდა პრობლემის გადაწყვეტისადმი ევრისტიკული მიდგომა და მართვის დეცენტრალიზებული მეთოდის პრიმატი. მართვის ეს სტილი უზრუნველყოფდა ორგანიზაციულ და ტაქტიკურ მოქნილობას, რაც მკვეთრად ამცირებდა დროით შეფერხებებს. ყოველივე ეს კი, საბრძოლო მოქმედებების სწრაფად ცვალებად ოპერატიულ გარემოში დადებითად მოქმედებდა სამეთაურო რგოლის ადაპტაციაზე.[14] სამხედრო ოპერაციების მართვისა და აღსრულების ეს მეთოდი უპირისპირდებოდა ჯარების მართვის მკაცრად გაწერილ ცენტრალიზებულ მეთოდს, რაც ოპერაციის დეტალურ მართვას წარმოადგენდა.

თავისი არსით ცენტრალიზებული მართვა უფრო ახლოს დგას სამხედრო მეცნიერებასთან, Auftragstaktik - ამოცანით მართვა კი, უფრო სამხედრო ხელოვნების სფეროს განეკუთვნება. ჰელმუტ ფონ მოლტკე წერდა: ,,სტრატეგია დასახული ამოცანის მიღწევის საშუალებათა, ანუ მიზანშეწონილობათა სისტემაა. იგი უფრო მეტია, ვიდრე სწავლება. იგი ცოდნის გადატანაა პრაქტიკულ ცხოვრებაში, მუდმივად ცვალებად ვითარებაში ლიდერული აზროვნების განგრძობითი განვითარება. იგი მოქმედებათა

10 Nelsen J. T. Auftragstaktik: A Case for Decentralized Battle // Parameters. 1987. Pg. 21.

11 Robert Greene. The 48 Laws of Power. The 33 Strategies of War. Penguin Books. New York. 2006. Pg. 125.

12 Hajo Holborn. The Prusso-German School: Moltke and the Rise of the General Staff. Makers of Modern Strategy. Ffrom Machiavelli to the Nuclear Age. Edited by Peter Paret, Gordon A. Craig, Felix Gilbert. Princeton University Press. 1986. Pg. 285.

13 Gerhard Papker, "Helmuth von Moltke", Klassiker der Kriegskunst". Red. Verner Halveg (Darmstadt, 1960). Pg. 316.

14 Nelsen J. T. Auftragstaktik: A Case for Decentralized Battle // Parameters, 1987. Pg. 23.

ხელოვნებაა - უკიდურესად რთულ გარემოებებში მოქმედების ხელოვნება“.[15] აღნიშნულ შედარებას დაეთანხმა უკვე მე-20 საუკუნის ცნობილი ბრიტანელი სამხედრო ისტორიკოსი და სტრატეგოსი, გენერალი ჯონ ფიულერი (John Fuller), რომელიც თავის ,,ომის მეცნიერების საფუძვლებში“ აღნიშნავდა: ,,ყველაზე თვალშისაცემია ის, რომ რიგით ჯარისკაცს ერთმანეთში ერევა მეცნიერებისა და ხელოვნების მნიშვნელობები. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ,,მეცნიერება გვასწავლის იმას, თუ რა უნდა ვიცოდეთ, ხოლო ხელოვნება - რა უნდა ვაკეთოთ“.[16]

მოლტკე ამბობდა - ,,ბრძანება უნდა მოიცავდეს ყველაფერ იმას, რისი გაკეთებაც მეთაურს თავად არ შეუძლია, თუმცა მეტს არაფერს”, რაც იმას ნიშნავდა, რომ მაღალი რგოლის მეთაური არ უნდა ჩარეულიყო ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. უნდა განსაზღვრულიყო ზოგადი ჩარჩო და გაცემულიყო დირექტივა და არა ბრძანება. მოლტკე უფრო შორსაც წავიდა. იგი მზად იყო ეპატიებინა ქვემდგომი მეთაურებისათვის გადახვევები ოპერაციის საერთო გეგმიდან, თუ დაქვემდებარებული გენერალი მოიპოვებდა მნიშვნელოვან ტაქტიკურ წარმატებას - ,,თუ ტაქტიკა წარმატებული აღმოჩნდება, სტრატეგიამ უნდა დათმოს... მორჩილება პრინციპია, მაგრამ ადამიანი პრინციპზე მაღლა დგას. სიმართლეს უმეტეს შემთხვევაში მიღწეული წარმატება განსაზღვრავს”, - ამბობდა იგი.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში ცნებით “Auftragstaktik - ამოცანით მართვა“, სულ უფრო და უფრო მეტი დაინტერესება შეიმჩნევა, თავად ტერმინის სრულყოფილი ფორმალიზება საკმაოდ რთულია. ფაქტი ისაა, რომ თანამედროვე სამხედრო ლიტერატურაში არ არსებობს ამ მეტად საინტერესო ფენომენის საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ Auftrag-staktik-ის გამოყენებასთან დაკავშირებული ოპერატიული მიღწევები ტაქტიკური წარმატებების თანმიმდევრულ ერთობლიობას წარმოადგენს მხოლოდ, რაც არაა დამოკიდებული ოპერატიული ხელოვნების მიღწევებზე. მეორეს მხრივ, ამოცანით მართვის პრინციპები მიკუთვნებულია იმ ფუძემდებლურ ფაქტორებს, რომლებიც ოპერატიული ხელოვნების ყველა ასპექტზე ახდენენ გავლენას.[17] მოლტკეს მიერ ფორმულირებული მთავარი პრინციპი დაფუძნებული იყო ქვემდგომი მეთაურების ინიციატივიან მოქმედებებზე, რომლებიც სრულდებოდა ზემდგომი ინსტანციების ინტერესებში მათი მხრიდან დეტალურად გაწერილი ინსტრუქციების გარეშე.[18] მოლტკეს აზრით, ზემდგომი მეთაურებისათვის საჭირო იყო ქვემდგომთა მიერ გამოჩენილი ინიციატივის მოქცევა ზოგადი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში,[19] რაც მოითხოვდა ოფიცერთა კორპუსისადმი წაყენებულ მაღალ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს. აქ აქცენტი ისეთ თვისებებზე კეთდებოდა, როგორიცაა დამოუკიდებლობა, ლიდერობა და გონიერი რისკის გაწევის წინაშე შიშის არარსებობა - ქვემდგომ მეთაურებს ეფექტურად უნდა გამოეყენებინათ ხელსაყრელი ოპერატიული ვითარება. ეს აზრი მოლტკეს მიერ შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული: ,,შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენება შეუძლებელი გახდება თუ მეთაურები ზემდგომების ბრძანებებს დაელოდებიან. როგორც უმაღლეს მეთაურს, ასევე რიგით ჯარისკაცს უნდა ახსოვდეს, რომ პასიურობა და უმოქმედობა უფრო დამღუპველია,

15 Moltke on the Art of War. Selected Writings Edited by Daniel J. Hughes. Translated by Daniel J. Hughes and Harry Bell. Foreword by Gunter E. Rothenberg. Ballantine Books. New York. 1993. Pg. 47.

16 Donald Vandergriff. How to Develop for Mission Command: The Missing Link. Misson Command. The who, what, where, when and why. An Anthology. Donald Vandergriff, Editor and Stephen Webber, Editor. Afghanistan. May 2017. Pg.161.

17 Wittmann J. Introduction // Auftragstaktik - Just a Command Technique Or the Core Pillar of Mastering the Military Operational Art?. — Miles-Verlag, 2012. — С. 22. — 108 с. — ISBN 978-3-937885-58-2.

18 Gunther M. J. Auftragstaktik: The Basis For Modern Military Command. — Pickle Partners Publishing, 2015. Pg. 69.

19 Stewart K. G. The Evolution of Command Approach (Paper 192) // 15th ICCRTS The Evolution of C2. 2010.

ვიდრე არასწორი მოქმედებები“.[20] ამ ფრაზასთან კონტექსტში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანულ ენაში სიტყვა ,,ბრძანების“ აღსანიშნავად არსებობს ორი სიტყვა, რომლებიც თავისი არსით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ეს სიტყვებია Befehl და Auftrag. აქ, ცნება ,,ბრძანების“ განსხვავებულ ხარისხებზეა საუბარი. სიტყვა Befehl პირდაპირი მნიშვნელობით ,,ბრძანებას“, ,,განკარგულებას“ ნიშნავს, რომელიც დაუყოვნებლივ და ზუსტად უნდა შესრულდეს, ხოლო სიტყვა Auftrag-ს აქვს უფრო ზოგადი მნიშვნელობა, რომელიც შეესაბამება ცნებას - ,,დავალება“ ან ,,დირექტივა“. იგი აღნიშნავს იმ ქმედების შესრულებას, რომელიც შეესაბამება ამ ქმედების ძირითად იდეას, მის სულისკვეთებას და არ მოითხოვს მის ზუსტ და დაუყოვნებლივ აღსრულებას. შესაბამისად, დეტალური მართვის Befehlstaktik პრინციპი განსხვავდება დირექტიული ან ამოცანით მართვის Auftragstaktik პრინციპისაგან, რადგან ამ უკანასკნელის დროს შესაძლებელი ხდება მეთაურმა, რომელიც უშუალოდ იმყოფება ბრძოლის ველზე, მოხერხებულად გამოიყენოს უეცრად შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია და წარმატებით დაასრულოს ამოცანა.

გასაგებია, რომ ამოცანით მართვის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ოფიცერთა, ასევე სერჯანტთა შემადგენლობის კომპეტენციას, მათი პროფესიული მომზადების მაღალ დონეს, ქვედანაყოფებს შორის კოორდინაციას და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას. სამეთაურო რგოლს ყველა დონეზე მოეთხოვება გაცემული დირექტივებისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აჩქარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. საერთო ჯამში, ამოცანით მართვის განმარტება ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ - ***ამოცანით მართვა არის მეთაურის საერთო ჩანაფიქრის ფარგლებში და მიზანზე ორიენტირებულ დავალებაზე დაყრდნობით, დაქვემდებარებულ მეთაურთა მიერ დეცენტრალიზებული აღსრულების გზით ჩატარებული სამხედრო ოპერაცია.***[21] უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ***ამოცანით მართვა მეთაურობის მეთოდია, რომელიც ითვალისწინებს დეცენტრალიზებულ ინიციატივას ზოგადი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში.***[22]

საკითხის დასმა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს აზრი, რომ Auftragstaktik კონცეფციის ისტორიული მაგალითები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან, ალექსანდრე მაკედონელის დროიდან მომდინარეობს, როცა მან ოფიცერთა მომზადების იმ დროისთვის ინოვაციური მოდელი შემოიტანა მათ მიერ თავიანთი ქვედანაყოფების დამოუკიდებლად მეთაურობის მიზნით. ჯარების დეცენტრალიზებული მართვის შემდგომ გამოყენებას ადგილი ჰქონდა ძველი რომის არმიაში, ვიკინგებში, მონღოლებში და ა.შ.[23] ამოცანით მართვის მაგალითებს თითქოს საქართველოს სამხედრო ისტორიის ანალებშიც ვხვდებით. ღრმა ისტორიული წიაღსვლებისგან თავს შევიკავებთ და ამჯერად მე-20 საუკუნის სამხედრო ისტორიიდან იმ საქვეყნოდ ცნობილ შემთხვევას განვიხილავთ, სადაც აშკარად იკვეთება ჯარების დირექტიული მართვის ელემენტების არსებობა. ეს ისტორიული მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ მის ცენტრალურ ფიგურას ჩვენი თანამემამულე წარმოადგენდა, ხოლო პირად ინიციატივაზე დაფუძნებული მისი

20 Robert Greene. The 48 Laws of Power. The 33 Strategies of War. Penguin Books. New York. 2006. Pg. 125.

21 16 Cases of Mission Command. General Editor Donald P. Wright, Ph. D. Combat Studies Institute Press. US Army Combined Arms Center. Fort Leavenworth, Kansas. 2013.

22 Hajo Holborn. The Prusso-German School: Moltke and the Rise of the General Staff. Makers of Modern Strategy. From Machiavelli to the Nuclear Age. Edited by Peter Paret, Gordon A. Craig, Felix Gilbert. Princeton University Press. 1986. Pg. 286.

23 Kallmes K. Auftragstaktik: Decentralization in Military Command. www.realcleardefense.com. Notes on Liberty (28 April 2017). 2 October 2019. https://www.realcleardefense.com/articles/2017/04/28/auftragstaktik _de-centralization _in_ military_command_111267.html

არასტანდარტული მოქმედებები აშკარად ამოვარდნილი იყო იმდროინდელ სისტემაში მიღებული ჯარების მართვის მკაცრად ცენტრალიზებული წესიდან. ისტორიული ფაქტი კი, ის არის, რომ მისმა მოქმედებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ოპერაციის შემდგომ მსვლელობასა და მთლიანად ოპერაციის საბოლოო შედეგებზე.

საუბარი პირველ მსოფლიო ომს, რუსეთის კავკასიის არმიას და ამ ომის შემადგენელი სარიყამიშის ოპერაციის ერთ-ერთ ეპიზოდს შეეხება. ჩვენი საკვლევი პრობლემაც ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ამ ეპიზოდში გამოვლენილი დეცენტრალიზებული ინიციატივა იყო თუ არა საკითხის გადაჭრის სისტემური შედეგი, ანუ, ამოცანით მართვის გამოვლინება, თუ ინდივიდუალური მიდგომა?

სარიყამიშის ოპერაცია - სტრატეგიული მიმოხილვა

სარიყამიშის ოპერაცია წარმოადგენდა პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის საწყისი ეტაპის უდიდეს სამხედრო ოპერაციას, რომელმაც არსებითად განსაზღვრა როგორც ფრონტზე დამყარებული ოპერატიული სურათი, ასევე შემდგომი ოპერაციების ხასიათი და შედეგები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სარიყამიშის ოპერაციის გამარჯვებით დასრულების საქმეში უდიდესი იყო მასში მონაწილე ქართველი ოფიცრებისა თუ რიგითი მებრძოლების როლი. და სწორედ აქ დაიბადა ერთი ქართული ლეგენდა, რომლის ანალოგიც ძნელად თუ მოიძებნება ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის ანალებში. ამავე დროს, ორივე მხრიდან ოპერაციის დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების პროცესში ადგილი ჰქონდა ერთი შეხედვით ისეთი არათავსებადი ცნებებისა და მოვლენების ერთობლიობას, როგორიცაა არასწორი გათვლებისა თუ შეცდომების, ადამიანური სიძლიერისა თუ სისუსტის, არნახული გმირობისა თუ გაუგონარი სიმხდალის, უმაგალითო თავგანწირვისა თუ უპატიებელი გულგრილობის მაგალითები.

სარიყამიში აღმოსავლეთ ანატოლიის მაღალ მთებში, 2000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე პატარა ქალაქის სახელია. 108 წლის წინ ყველასთვის უცნობმა ამ ქალაქმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. დღეისათვის სარიყამიში თურქეთის ქალაქია, პირველი მსოფლიო ომამდე კი, იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და მას სტრატეგიული მდებარეობა ეკავა იმპერიისათვის ესოდენ მნიშვნელოვან სამხრეთის მიმართულებაზე. იგი რუსეთის იმპერიის უკანასკნელ ქალაქს და სარკინიგზო სადგურს წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში. 108 წლის წინ სარიყამიში რუსეთის არმიის დიდი გამარჯვების სიმბოლო გახდა, და ამავე დროს თურქეთის ახალი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე და ტრაგიკული ფურცელი. სწორედ აქ, სარიყამიშში დაიბადა ერთი ქართული ლეგენდა, რომლითაც ნებისმიერი ერი თუ ქვეყანა იამაყებდა.

ყველაფერი კი ასე იწყებოდა: ,,ჩვენი ჩართვა მსოფლიო ომში ადასტურებს ნაციონალური იდეალებისადმი ჩვენს ერთგულებას. ჩვენი ერისა და ხალხის იდეალი მოითხოვს მოსკოვიტი მტრების განადგურებას, რათა ჩვენი იმპერიისათვის მოვიპოვოთ ბუნებრივი საზღვრები, რომელშიც ჩვენი რასის ყველა შტო იქნება ჩართული...“[24] ეს სიტყვები ოსმალთა იმპერიის ახალგაზრდა სამხედრო მინისტრს და იმპერიის ფაქტიურ მმართველს, გენერალ ისმაილ ენვერ ფაშას ეკუთვნის, რომელიც მან 1914 წლის შემოდგომაზე, პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე წარმოთქვა, როდესაც აღმოსავლეთ ანატოლიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმია შეტევითი ოპერაციის დასაწყებად ემზადებოდა. დიახ, ასეთ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ წინაპირობებზე დაყრდნობით იწყებოდა პირველი მსოფლიო ომი კავკასიის ფრონტზე, სადაც ერთმანეთს ოსმალთა მე-3 არმია და რუსეთის კავკასიის არმია დაუპირისპირდა.

24 Caroline Cox and John Eibner. Ethnic Cleansing in Progress: War in Nagorno Karabakh. The Pincers of Pan Turkism. (Walker, 1980, p. 198). http://sumgait.info/caroline-cox/ethnic-cleansing-in-progress/pincers-of-pan-turkism.htm

ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მხოლოდ XVIII საუკუნეში ოსმალთა იმპერიამ 8 ომი გადაიხადა რუსეთთან, XIX საუკუნეში - 4, და ყველა შემთხვევაში, იგი პერმანენტულად კარგავდა ტერიტორიებს. ისე ჩანდა, თითქოს ეს პროცესი შემდეგაც ასე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ XIX საუკუნის ბოლოდან მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ძალთა ბალანსი ირღვევა. დიდ ავანსცენაზე ახალი ძალები და ახალი პოლიტიკური მოთამაშეები გამოდიან. აქ პირველ რიგში ევროპელ იმპერიალისტებზე, 1871 წელს შექმნილ ახალგაზრდა გერმანულ სახელმწიფოსა და II რაიხზეა საუბარი, იმ იმპერიაზე, რომელიც ახლა იკრებდა ძალებს და დიდი ნახტომისათვის ემზადებოდა. თურქებზე მანიპულაციების გზით ეს ძალები ბრიტანული ფაქტორის დასუსტებით, პანსლავიზმის ნეიტრალიზაციითა და ცარისტული რუსეთის იმპერიის ზეგავლენის ჩახშობით იყვნენ დაინტერესებულნი. ამ თვალსაზრისით, ანტანტის ქვეყნებთან დასაპირისპირებლად გერმანიის მიერ ოსმალთა იმპერია იქნა შერჩეული. დაჟინებული მუშაობის შედეგად გერმანულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ელიტამ მიზანს მიაღწია. ოსმალთა იმპერიამ I მსოფლიო ომში გერმანიის მხარე დაიკავა. 1914 წლის 2 აგვისტოს ხელი მოეწერა საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულებას, 30 ოქტომბერს კი, ოსმალეთი ოფიციალურად ჩაერთო პირველ მსოფლიო ომში, შევიდა რა ,,ოთხთა კავშირად“ წოდებულ ცენტრალურ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკში. გენერალი ისმაილ ენვერ ფაშა თავის თურანულ და პანთურქისტულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით კავკასიასა და ყირიმში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, ვოლგისპირეთში პოზიციების გამყარებას და მეტიც, შუა აზიაში (თურქესტანში) გასვლას ვარაუდობდა. რუსეთს კი, თავისი საუკუნოვანი იმპერიული ოცნების ხორცშესხმა ამოძრავებდა - კონსტანტინოპოლისა და სრუტეების რაიონის დაუფლება, დამატებით - აღმოსავლეთ ანატოლიის დაკავება.

ოპერაციის გეგმა

კავკასიის ფრონტზე ოსმალებს მე-3 არმია ჰყავდათ გაშლილი, შტაბით არზრუმში. არმიის საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა ტრიანგულარულ სისტემაზე აგებული სამი მე-9, მე-10 და მე-11 საარმიო კორპუსებისგან, ერთი საკავალერიო და ქურთთა 4 დივიზიისგან, ასევე სასაზღვრო და ჟანდარმერიის ნაწილებისგან შედგებოდა. საერთო ჯამში - 110 ქვეითი ბატალიონი, 165 ესკადრონი და ქურთთა ირეგულარული საკავალერიო ასეული და 240 ქვემეხი. სარდლის თანამდებობა ჩერქეზული წარმომავლობის ოსმალო ოფიცერს, გენერალ-მაიორ ჰასან იზეთ ფაშას ეკავა. რუსეთის კავკასიის არმია კი, 153 ბატალიონის, 175 საკავალერიო ასეულის, 12 საინჟინრო ასეულის, 350 ქვემეხისა და საალყო არტილერიის 5 დივიზიონისგან შედგებოდა. არმიის სარდალი კავკასიის მეფისნაცვალი, კავალერიის გენერალი და გენერალ-ადიუტანტი, გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იყო, თუმცა, მას ეს თანამდებობა ნომინალურად ეკავა. კავკასიის არმიის ფაქტობრივ სარდალს მისი თანაშემწე, იფანტერიის გენერალი ალექსანდრ მიშლაევსკი წარმოადგენდა.

1914 წლის 20 ოქტომბრის (2 ნოემბერი) ღამით, რუსების 1-ლი კავკასიური კორპუსის ნაწილებმა რუსეთ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთეს და ფართო ფრონტით, ოლთისიდან არარატის მთამდე დაიწყეს შეტევითი მოქმედებები. საპასუხოდ, 26 ოქტომბერს (8 ნოემბერი) თურქებმა მე-9 და მე-11 საარმიო კორპუსების ძალებით - დაახლოებით 40 ათასი კაცი, ფართომასშტაბიანი კონტრშეტევითი მოქმედებები დაიწყეს სარიყამიშის რაზმის წინააღმდეგ. 29 ოქტომბრისათვის (11 ნოემბერი) რუსებმა უკან დაიხიეს. რუსების მიერ დაწყებული შეტევითი ოპერაცია შემხვედრ ბრძოლას წარმოადგენდა, რომელიც თურქთა მცირე პოზიციური უპირატესობით დასრულდა.

წარმატებული იყო თურქთა მოქმედებები ბათუმის მიმართულებაზეც. ბედის ირონიაა ის ფაქტი, რომ ამ მიმართულებაზე რუსებისა და ქართველების წინააღმდეგ ისევ ქართველები აღმოჩნდნენ ჩართულნი. საბრძოლო მოქმედებები გერმანელთა მიერ ოსმალთა ტერიტორიაზე ფორმირებულმა და ანტირუსულად განწყობილმა ქართულმა

ლეგიონმა დაიწყო. ეს ლეგიონი, რომელიც ამ ეტაპზე ძირითადად ლაზებითა და აჭარლებით იყო დაკომპლექტებული, პოლკოვნიკ ლეო კერესელიძის მეთაურობით, აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ჩაება და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. ლაზებმა და აჭარლებმა, რომლებსაც რუსეთ-თურქეთის განვლილ ომებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავისი მაღალი საბრძოლო თვისებები. ქართულმა ლეგიონმა საზღვარზე მყოფ რუს კაზაკთა რაზმები გაანადგურა და რამდენიმე სოფელი აიღო. ქართული ლეგიონის მიერ მურღულთან და მაჭახელასთან ჩატარებულმა სწორედ ამ წარმატებულმა ოპერაციამ გაუკაფა გზა გერმანულ-თურქული სადესანტო ნაწილების ელვისებურ წარმატებას ბათუმთან 1914 წლის ნოემბრის თვეში. ხოფაში გადმოსხმულმა კონსტანტინოპოლის 1-ლი საარმიო კორპუსის მე-7 და მე-8 პოლკების საზღვაო დესანტმა, გერმანელი მაიორ შტანკეს მეთაურობით, რომელიც უეცრად შეიჭრა მდ. ჭოროხის ხეობაში, 5 (21) ნოემბერს ბრძოლებით დაიკავა არტანუჯი, ართვინი, ბორჩხა და რუსებს მდინარე აჭარისწყლამდე დაახევინეს.[25] 29 ნოემბრისათვის ოსმალებმა ხულოც დაიკავეს და ბათუმს მიუახლოვდნენ.

კავკასიის ფრონტზე შექმნილმა ვითარებამ ენვერ ფაშას სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის სასწრაფოდ დაწყების გადაწყვეტილება მიაღებინა. ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად (მაშინ ენვერ ფაშა 33 წლის იყო), მან ორ რევოლუციასა და სამ ომში (1911-1912 წლების იტალია-თურქეთის, 1912-1913 წლების პირველი და 1913 წლის მეორე ბალკანური ომები) მოასწრო მონაწილეობის მიღება და თვლიდა, რომ დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაციების სტრატეგიული მართვა მისი მოწოდება იყო. ერთი რამ კი, უდავოა, იგი ,,მარადიული მეომარი“ იყო, ნამდვილად დიდი ნებისყოფის, გამჭრიახი გონების და შეუპოვარი სამამაცის ადამიანი, მაგრამ ამავე დროს, სულსწრაფი და იმპულსური. მან სწორად აღიქვა სარიყამიშის ოპერაციის წინ კავკასიის ფრონტზე შექმნილი მისთვის ხელსაყრელი ოპერატიული ვითარება და სტრატეგიული თვალსაზრისითაც სწორად დაგეგმა თავად ოპერაცია, თუმცა, სიჩქარის გამო ბევრი ,,წვრილმანი“ ვერ გაითვალისწინა, ის ,,წვრილმანები“, რამაც დაწყებისთანავე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ოპერაციის მსვლელობა და წარმატებული შედეგი.

ენვერ ფაშას სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის გეგმა გენიალურად მარტივი იყო. და მართლაც, რუსების კავკასიის არმიის ძირითადი ძალები წინ იყო წაწეული სარიყამიშიდან 60კმ-ზე სამხრეთით, რაც თურქთა მიერ მისი გარშემორტყმის, ალყაში მოქცევისა და განადგურების საშუალებას იძლეოდა. რუსები კი, არაფრით არ მოელოდნენ სარიყამიშიდან, ფაქტობრივი ზურგის პოზიციებიდან თურქთა თავდასხმას. ენვერ ფაშა სრულად იყო შთაგონებული გერმანიის გენშტაბის უდროსის, ფელდმარშალ ალფრედ ფონ შლიფენის სტრატეგიული სამხედრო გეგმის ძირითადი მონახაზით, რომელიც ორმაგი გარშემორტყმის კონცეფციაზე იყო დამყარებული. ორმაგი გარშემორტყმის ამ სტრატეგიის ბრწყინვალე რეალიზაციას კი, 1914 წლის 26-30 აგვისტოს გერმანელთა მიერ აღსრულებული ტანენბერგის ოპერაცია წარმოადგენდა აღმოსავლეთ პრუსიაში, სადაც გერმანელთა მე-8 არმია რუსეთის ორ, 1-ლ და მე-2 არმიებს დაუპირისსპირდა.

ენვერის ფაშას ამ გეგმას მისი გერმანელი კოლეგებიც იზიარებდნენ, კერძოდ, გენერალი ლიმან ფონ სანდერსი, ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო ინსპექტორი და გენერალი ბრონზარტ ფონ შელენდორფი, იმპერიის გენშტაბის უფროსი, ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ასეთი ოპერაციის ჩატარება ზამთრის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა და უკეთესი იქნებოდა მისი გაზაფხულის პერიოდზე გადატანა.[26] მაგრამ ენვერ ფაშა იმდენად დარწმუნებული იყო საკუთარ თავში და ისე იყო გამარჯვებას მოწყურებული, რომ არ აპირებდა ოპერაციის გადადებას. გერმანელი გენერლები აფრთხილებენ მას, რომ ოპერაციის შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა მან უნდა აიღოს თავის თავზე. და ენვერიც ასე იქცევა. იგი იღებს გადაწყვეტილებას თავად

25 И. Г. Корсун. Первая мировая война на кавказском фронте. Воениздат. Москва. 1946 г. Стр. 31.

26 М. Озтюрк. Сарыкамышское сражение: турецкий взгляд. https://histrf.ru/uploads/media/default/0001/09/ 7c379fc908d54edf8028fc1876ec35b2a118ef49.pdf

ჩაუდგეს სათავეში მე-3 არმიას და საკუთარ ხელში აიღოს სტრატეგიული სარდლობა. 13 დეკემბერს ენვერ ფაშამ მე-3 არმიის სარდლობას ოპერაციის გეგმა გააცნო, რასაც კორპუსის სარდლები არ დაეთანხმნენ. შენაერთების მიერ თოვლიანი მთების სამარშო კოლონებით გადავლა მათ გაუაზრებელ ჩანაფიქრად მიიღეს, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ჯარებს არ ჰყოფნიდათ შესაბამისი თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, აღჭურვილობა და სურსათი, საბრძოლო მასალები და მედიკამენტები. ენვერ ფაშა ცოფებს ყრის და სასწრაფოდ ათავისუფლებს მათ დაკავებული თანამდებობებიდან. მე-9, მე-10 და მე-11 კორპუსების სარდლებად შესაბამისად ნიშნავს გენერლებს ისჰან ლატიფ ფაშას, ჰაფიზ ჰაკი ფაშას და აბდულ ქერიმ ფაშას.[27] არმიის შტაბის უფროსად კი, თვით გენერალი ბრონზარტ ფონ შელენდორფი დგება. ენვერის გეგმის მიხედვით მე-9 და მე-10 კორპუსებს რუსების ძირითადი ძალებისთვის უნდა შემოევლოთ ღრმა ფლანგური მანევრით, ხოლო მე-11 კორპუსს და შეშველებულ ნაწილებს ბასიანის ზეგნის გავლით პირდაპირი შეტევა უნდა მიეტანათ სარიყამიშზე და ასე შეებოჭათ მოწინააღმდეგე. უეცარი დარტყმისა და რკინიგზის სადგურ სარიყამიშის დაკავების შემდეგ, რუსული არმიის ძირითადი ძალები მოწყვეტილები აღმოჩნდებოდნენ ზურგს, რასაც ბრძოლის შემდგომი ბედი უნდა გადაეწყვიტა. რუსები ან უნდა დანებებულიყვნენ, ან სამხრეთისაკენ დაეხიათ უკან. მოვლენების ასეთი განვითარება რუსებისათვის შიმშილისა და სიცივისაგან სწრაფ სიკვდილს ნიშნავდა.

თურქთათვის დამატებითი პრობლემა ის იყო, რომ ურთულეს პირობებში დათოვლილ ბილიკებზე გადაადგილებისას ისინი არტილერიასა და მძიმე ტყვიამფრქვევებს ვერ წაიღებდნენ. რუსებმაც იცოდნენ ამ ბილიკის არსებობის შესახებ, მაგრამ ვერაფრით წარმოედგინათ, რომ 20 გრადუსიან ყინვაში ჯარების დიდი მასებისათვის მისით სარგებლობა შეიძლებოდა.

ოპერაციის მსვლელობა

რუსების ფრონტზე მშვიდი ატმოსფერო სუფევდა და არავინ მოელოდა მტრის გამოჩენას. აქ სხვა სტუმრის მოლოდინში უფრო იყვნენ, რასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა არმიის სარდლობა. და მართლაც, 30 ნოემბერს (13 დეკემბერს) რუსეთის კავკასიის ფრონტის პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით მეწინავე პოზიციები ყარსში იმპერატორმა ნიკოლაი მეორემ მოინახულა, ხოლო 1 (14) დეკემბერს იგი სარიყამიშში ჩავიდა. იმპერატორის სტუმრობიდან ერთ კვირაში, 1914 წლის 8 (21) დეკემბერს, ოლთისიის რაზმზე შეტევა მიიტანეს თურქთა მე-10 კორპუსის ნაწილებმა. ამ მომენტისათვის თურქული შენაერთები უკვე ზურგიდან უახლოვდებოდნენ სარიყამიშს. შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო სარიყამიშში სასწრაფოდ ჩამოდიან კავკასიის არმიის ფაქტობრივი სარდალი, გენერალი მიშლაევსკი და შტაბის უფროსი, გენერალი იუდენიჩი. მიშლაევსკიმ თითქოს დაიწყო კიდეც თავდაცვის ორგანიზება, მაგრამ მალევე შეცვალა გადაწყვეტილება. საქმე იმაშია, რომ რუსებს ხელში უვარდებათ თურქთა სტრატეგიული შეტევის გეგმა, რამაც სრული წარმოდგენა შეუქმნა რუსულ სარდლობას მიმდინარე ოპერაციის მასშტაბებზე...

და აქ ხდება სრულიად მოულოდნელი, სრულიად წარმოუდგენელი და სრულიად კურიოზული რამ - ალექსანდრ მიშლაევსკი, ინფანტერიის გენერალი, რუსეთის საიმპერატორო არმიის მთავარი შტაბისა და გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, იმპერატორ ნიკოლაი პირველის სახელობის გენშტაბის სამხედრო აკადემიის პროფესორი, კავკასიის მეფისნაცვლის სამხედრო თანაშემწე და კავკასიის არმიის ფაქტობრივი სარდალი, სრულ პანიკაში ვარდება. იგი კონტროლს კარგავს საკუთარ თავზე და შენაერთებს უკანდახევის ბრძანებას სცემს. დღის ბოლოს კი, ახალი არმიის ფორმირების მიზეზით სასწრაფოდ ტოვებს სარიყამიშს, კავკასიის ფრონტს და

27 Akdes N. Kurat. Türkiye ve Rusya, XVIII. Yüzyıl Sonundan KurtuluşSavaşına Kadar Türk-Rus İlişkileri (1798–1919), Türk Tarih Kurumu. Ankara, 2011. S. 271.

თბილისისკენ მიემგზავრება... უმაღლესი სამხედრი პირის უმდაბლესი ქმედება... 18 (31) დეკემბერს, იმპერიის სამხედრო მინისტრი, კავალერიის გენერალი და გენერალ-ადიუტანტი ვლადიმირ სუხომლინოვი დაწერს: ,,ეჭვს გარეშეა, რომ ამჟამად კავკასიაში ორ მტერთან გვაქვს საქმე: თურქებთან და მიშლაევსკისთან - და ორივე მათგანი წარმატებულად მოქმედებს“[28]...

13 (26) დეკემბერს თურქთა მე-9 კორპუსის 29-ე დივიზიის ავანგარდმა შეტევა დაიწყო, უკან დაახევინა რუსებს ,,არწივის ბუდესა“ და ზემო სარიყამიშამდე. 14 (27) დეკემბრისათვის კი, თურქები ჭრიან სარიყამიში-ყარსის რკინიგზის ხაზს და იმავე დღეს ხუთი თურქული დივიზია იწყებს ქალაქის შტურმს. 16 (29) დეკემბრისათვის სარიყამიში უკვე მთლიანად იქნა ალყაში მოქცეული და იმავე დღეს ქალაქზე შეტევას იწყებენ თურქთა მე-10 კორპუსის დივიზიები. ამ მომენტისათვის სარიყამიშიდან ჩრდილოეთით, ოლთისის რაზმის საბრძოლო უბანზე ოპერატიული ვითარება თურქთათვის კიდევ უფრო დიდი წარმატებით ვითარდება. ისინი არდაგანს (არტაანს) იკავებენ, მაგრამ გენერალ ვასილ გაბაევის (გაბაშვილი) მე-3 კავკასიური მსროლელი ბრიგადის ნაწილები თავდადებული შეტევით თურქთა შემდგომ წინსვლას აჩერებენ.

ქართული ლეგენდის დაბადება

18 დეკემბერს სარიყამიშში 1-ლი კავკასიური საარმიო კორპუსის 39-ე ქვეითი დივიზიის დერბენდის 154-ე ქვეითი პოლკი (მეთაური პოლკოვნიკი კონსტანტინე ნიჟარაძე) ჩამოდის. ამ მომენტისათვის გენერალი იუდენიჩი ახდენს ფრონტზე დარჩენილი ნაწილების გადაჯგუფებას და გეგმავს კონტრშეტევის დაწყებას. 21 დეკემბრისათვის (1915 წლის 3 იანვარი) ხდება ყარსთან სარკინიგზო შეტყობინების აღდგენა, მეორე დღეს კი, ციმბირის კაზაკთა ბრიგადა შეტევით მოქმედებებს იწყებს და არდაგანს ათავისუფლებს.[29] იმავე დღის ბოლოსთვის კი, სარიყამიშთან ნამდვილი სასწაული მწიფდება. საუბარი დერბენდის 154-ე ქვეითი პოლკის მე-14 ასეულის მებრძოლებისა და ასმეთაურის, კაპიტან ტარას ვაშაკიძის მიერ თურქთა მე-3 არმიის მე-9 კორპუსის მთელი სამეთაურო შემადგენლობის დატყვევების ამბავს ეხება. პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ნიჟარაძე თავის პატაკში წერდა: ,,წინა საღამოს, 11-12 საათის შუალედში კაპიტანი ვაშაკიძე, ***საკუთარი ინიციატივით*** პრაპორშჩიკ ლებედევისა და პოდპრაპორშჩიკ სოროკინის თანხლებით დაზვერვაზე იმყოფებოდა. დილის 5 საათამდე დაზვერა და გამოიკვლია ტერიტორია მოწინააღმდეგის კოცონებისა და ხმაურის მიხედვით“... შემდგომ ამბავს კი, თავად კაპიტან ვაშაკიძის მოხსენებითი ბარათის მიხედვით წარმოვადგენთ:

,,1914 წლის 22 დეკემბერს ასეული ათეულებად დავყავი და თურქების ბანაკისკენ დავძარი, ვუბრძანე, სროლა არ აეტეხათ, რათა თურქები ცეცხლის მიხედვით ჩვენს რიცხობრივ სიმცირეს არ მიმხვდარიყვნენ. მე კი მარტო გავემართე მტრის პოზიციებისკენ. როდესაც მათგან ორასიოდე ნაბიჯიღა მაშორებდა, დამტვრეული თურქულით შევძახე: ,,დაგვნებდით, დაყარეთ იარაღი, თორემ ყველას ამოგხოცავთ“. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან თურქი ოფიცერი მოვიდა და დამტვრეული რუსულით მითხრა: ,,ბატონო ოფიცერო, ყველაფერი გადაწყვეტილია. კორპუსის მეთაური გთხოვთ, რომ სისხლი არ დაიღვაროს, გნებდებით“. ვხედავთ, ისინი ძალზე ბევრნი არიან, ყველა შეიარაღებულია, მარტო ოფიცერი 100-ზე მეტი იქნება. საჭიროა მათი განიარაღება, მე კი საკმარისი რაოდენობის ხალხი არ მყავს. მიხვდებიან, ცოტანი რომ ვართ. გამოსავალს ეშმაკობაში ვხედავ, ვუახლოვდები გენერალს (როგორც შემდგომ გამოირკვა, კორპუსის სარდალს ისჰან ფაშას) და ხმამაღლა ვეუბნები:

– ბატონო ოფიცერო, იარაღი შეგიძლიათ დაიტოვოთ. გენერალი ფრანგულად მეკითხება. ვპასუხობ, რომ ვარ რუსეთის არმიის კაპიტანი, რომელსაც მათი დატყვევება

28 Айрапетов О. Р. Участие Российской империи в Первой мировой войне (1914—1917): Серия из 4 книг. — М.: Кучково поле, 2014—2016. Стр. 389.

29 W. E. D. Allen, Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Cauacsian Border 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 309.

აქვს დავალებული და რუსეთის არმიის ნაწილები პასუხს დაუყოვნებლივ ელიან.

– რა ძალები გყავთ? – მეკითხება გენერალი.

– აქეთ დივიზია დგას, იქით მზვერავთა ბრიგადა, აქვე კი ორი ბატალიონია ჩასაფრებული. ამის შემდეგ მკითხა, – საიდან ბრძანდებიო.

მეც ვუპასუხე: – ქართველი ვარ, ქუთაისიდან.

– ვიცი, ვიცი ქუთაისიო, – და ისევ მკითხა:

– სად არიან თქვენი ოფიცრები.

– გორაკს მიღმა! – გულში კი ვფიქრობ, რომ ასეულში სულ ორი პრაპორშჩიკი მყავს.

ამით ჩვენი მოლაპარაკება დასრულდა. ყველას ცხენებზე შესხდომა შევთავაზე. მე კი ფეხით გავეშურე. თურქებს ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ და გენერალმა თავისი სამარქაფო ცხენი შემომთავაზა. გზაში სულ ვფიქრობდი, ეშმაკობა არ შემიტყონ, თორემ სულ ჯოხებით გაგვრეკავენ-მეთქი.

ბედმა გამიღიმა. როგორც კი ხეობიდან გამოვედით, რუსეთის არმიის ჩამორჩენილი ნაწილები დავინახე. როდესაც ჩვენს შტაბს მივუახლოვდით, ისჰან ფაშასთან მივედი და ვუთხარი:

– გენერალო, მე თქვენი კორპუსი ერთი ასეულით დავატყვევე.

ისჰან ფაშა შეცბა, გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა (მისი სახე არასოდეს დამავიწყდება), ხელი შუბლზე მიირტყა და წამოიძახა: – შაითან კაპიტან, შაითან კაპიტან!

ამ სიტყვების მნიშვნელობას ვერ მივხვდი და იქვე მდგომ სომეხს ვკითხე, – რას ამბობს-მეთქი. და მანაც მითარგმნა: – ,,შაითანი“ ეშმაკს ნიშნავსო.

ამ ოპერაციის შედეგად ტარას ვაშაკიძემ მე-9 კორპუსის სარდლის, ისჰან ფაშას გარდა, დაატყვევა კორპუსის სამივე დივიზიის მეთაური თავისი შტაბებითურთ და მათი მოადგილეები, აგრეთვე 107 ოფიცერი და 1306 ჯარისკაცი. ალაფად იგდო 8 ზარბაზანი, 24 ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობით ცხენები, ტყვია-წამალი და სხვა სახის ნადავლი.

ცნობილი რუსი სამხედრო ისტორიკოსი და პუბლიცისტი ანტონ კერსნოვსკი თავის სქელტანიან მონოგრაფიაში ,,История Русской армии“ (,,რუსული არმიის ისტორია“) ასე აღწერს სარიყამიშის ოპერაციის ამ ეპიზოდს: ,,გაქცეული თურქების დევნისას, კაპიტან ვაშაკიძის 154-ე დერბენდის ქვეითი პოლკის მე-14 ასეულმა ბრწყინვალე იერიშით ხელში ჩაიგდო მოწინააღმდეგის 8 ქვემეხი, ასევე ტყვედ აიყვანა მე-9 თურქული კორპუსის მეთაური ისჰან ფაშა თავისი შტაბით, მე-17, 28-ე და 29-ე დივიზიების მეთაურები თავისი შტაბებით, 107 ოფიცერი და 2000 ასკერი. მტრით გარშემორტყმული კაპიტანი ვაშაკიძე, რომელსაც თან სულ 40 ჯარისკაცი ჰყავდა, არ დაიბნა. მან მოწინააღმდეგეს თავი პარლამენტიორად მოაჩვენა და ასე დააშინა თურქები (მან განაცხადა, რომ ტყის უკან სამი პოლკი გვყავდა). მცირე ყოყმანის შემდეგ თურქებმა იარაღი დაყარეს“.[30]

ასე დაიბადა კიდევ ერთი ქართული ლეგენდა - გაუგონარი ამბავი და გაუგონარი წარმატება.

ამბობენ, როცა გენერალ იუდენიჩს კაპიტან ვაშაკიძისა და მისი დერბენდელი თანამებრძოლების გმირობის ამბავი მოახსენეს, მან წამოიყვირა:

შეუძლებელია! ეს ხომ ნამდვილი სასწაულია... ხოლო იმპერატორმა ნიკოლაი მეორემ კაპიტან ვაშაკიძის გმირობის ამბავი თავიდან არ დაიჯერა და ეს ინფორმაცია რამდენჯერმე გაამეორებინა. იმპერატორი ყურადღებით ისმენდა ამ ამბავს და ჩუმად იღიმებოდა.[31] 1915 წლის 9 იანვარს კი, ტარას ვაშაკიძეს უკვე თავად იმპერატორმა მიულოცა ეს დიდი გამარჯვება და წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. იმავე წლის 8 აგვისტოს კი, საფრანგეთის პრეზიდენტმა რაიმონ პუანკარემ (Raymond Nicolas Landry Poincaré) საპატიო სამხედრო ჯილდო Médaille militaire უბოძა მას, რომელიც

30 Керсновский Антон Антонович. История Русской армии. Глава XVI. Борьба на Кавказе. http://militera. lib.ru/h/kersnovsky1/index.html

31 Неслыханный подвиг капитана. https://pochta-polevaya.ru/aboutarmy/history/zabytyye-stranitsy-velikoy-voynyy/49668.html

ღირსებით მხოლოდ „საპატიო ლეგიონის ორდენს“ ჩამოუვარდება. ამ ორდენით არმიის სარდლები ჯილდოვდებოდნენ. ტარას ვაშაკიძემდე რუსეთის არმიაში ამ მედალს მხოლოდ იმპერატორი ნიკოლაი მეორე ფლობდა. მაგრამ ვაშაკიძისთვის გამონაკლისი გაკეთდა. 1915 წლის 18 ნოემბერს კაპიტანი ვაშაკიძე გიორგობის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ მოგილიოვში გაგზავნეს, სადაც ნიკოლაი მეორეც იმყოფებოდა. 26 ნოემბერს ამ უკანასკნელმა ქართველი კაპიტანი პირადად მიიღო და გამოჩენილი მამაცობისთვის მას ერთი წოდების გამოტოვებით პოლკოვნიკის ჩინი უბოძა.[32]

სარიყამიშის მისადგომებთან, ,,არწივის ბუდესთან“ გამართულ ბრძოლებში კი, კიდევ ერთი ქართველი, კაპიტანი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი იხვეჭდა გმირის სახელს. მის საკავალერიო ასეულს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ე.წ. „არწივის ბუდის“ აღება და დაცვა დაევალა. იგი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და ბრძანება შეასრულა. გამოჩენილი გმირობისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი სახელობითი ხმლით დააჯილდოვეს.

ბოლოს და ბოლოს, 1915 წლის 1-ლი იანვრისათვის ენვერ ფაშამ გაიაზრა, რომ მისი ძალაგამოცლილი მე-3 არმიის შენაერთები ვერ შეძლებდნენ სარიყამიშის აღებას და ვითომც აქ არაფერი, მეორე დღეს, 2 იანვარს, სასწრაფოდ ტოვებს ფრონტის შტაბს. თავის მხლებლებთან ერთად იგი ისევ უკან, კონსტანტინოპოლისკენ მიემგზავრება.[33] გენერალ მიშლაევსკის მსგავსად, მანაც სულმოკლეობა გამოიჩინა, მიატოვა ფრონტი და ბედის ანაბარად დააგდო საკუთარი ჯარი. ორმა ერთმანეთთან დაპირისპირებულმა უმაღლესმა სამხედრო პირმა ერთნაირად განსაჯეს და ერთნაირად შეაფასეს შექმნილი ვითარება. ორივე მათგანმა წაგებულად ჩათვალა ბრძოლა და ერთნაირი გულგრილობით მიატოვა ქვეშევრდომები ბრძოლის ველზე... გენერალმა მიშლაევსკიმ შიშით თავგზააბნეულმა, გენერალმა ენვერ ფაშამ კი, იმედგაცრუებულმა...

საბოლოოდ, სარიყამიშის ოპერაცია თურქთათვის სრული კატასტროფით დასრულდა. მე-3 არმია ფაქტიურად განადგურებულ იქნა. არმიის საერთო დანაკარგებმა 70-90 ათასი კაცი შეადგინა მიკლულების, დაჭრილებისა და ტყვეების სახით.[34] აქედან 25-30 ათასი - გაყინულები და დეზერტირები.[35] რუსეთის არმიის დანაკარგები კი, მოკლულებისა და დაჭრილების სახით 20 ათასამდე იყო. კიდევ 6 ათასმა კაცმა მოყინვები მიიღო.[36]

შემდგომში ენვერ ფაშას სარიყამიშის ოპერაცია ერთხელაც არ უხსენებია და ამ დიდ კატასტროფაზე ერთხელაც არ დაწყვეტია გული. იმდროინდელ ოსმალურ პრესას აეკრძალა ამ ამბების გაშუქება და სარიყამიშის ოპერაცია თურქული საზოგადოებისათვის უცნობ ამბად დარჩა.

ოსმალო გენერლის დაუჯერებელი თავგადასავალი

,,შაითან კაპიტნის“ ზღაპარული გმირობის ამბავს კი, კიდევ ერთი ზღაპარივით დაუჯერებელი ამბით დავასრულებთ, რომელიც კაპიტან ვაშაკიძის მიერ ტყვედ აყვანილ თურქ სარდალს, გენერალ ისჰან ლატიფ ფაშას და მის შემდგომ ბედს შეეხება. იგი სრულიადაც არ აღმოჩნდა ისეთი სუსტი და უნებისყოფო, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მისი ტყვეობის ამბავი და მასთან დაკავშირებული

32 Леван Долидзе. Грузия и Первая мировая война.Русский клуб. №9. Сентябрь 2018. Стр. 13.

33 М. Озтюрк. Сарыкамышское сражение: турецкий взгляд. https://histrf.ru/uploads/media/default/0001/09/ 7c379fc908d54edf8028fc1876ec35b2a118ef49.pdf

34 Масловский Е. В. Мировая война на Кавказском фронте, 1914-1917 г. : стратегический очерк : с приложением 13 схем, двух таблиц и одной диаграммы на отдельных листах и 22 приложений в тексте книги. - [Париж, 1933]. http://elib.shpl.ru/ru/nodes/54176-maslovskiy-e-v-mirovaya-voyna-na-kavkazskom-fronte-1914-1917-g-strategicheskiy-ocherk-s-prilozheniem-13-shem-dvuh-tablits-i-odnoy-diagrammy-na-otdelnyh-listah-i-22-prilozheniy-v-tekste-knigi-parizh-1933

35 И. Г. Корсун. Первая мировая война на кавказском фронте. Воениздат. Москва. 1946 г. Стр. 91.

36 W. E. D. Allen, Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Cauacsian Border 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 311.

შემდგომი მოვლენები კი ასე განვითარდა - რუსულმა ხელისუფლებამ გენერალი ისჰან ფაშა და თურქ ტყვე ოფიცერთა ერთი ჯგუფი ურთულესი გზით: თბილისი-ბაქო-პენზა-უფა-ჩელიაბინსკი-ირბიტი-ტომსკი-ირკუტსკი-ჩიტა, ციმბირის გზას გაუყენა. იმ დროისათვის ჩიტაში ყაზანელ თათართა 300-დე ოჯახი ცხოვრობდა. ერთ-ერთი მათგანის დახმარებით 1915 წლის მაისში გენერალი ისჰან ფაშა ახერხებს ტყვეობიდან თავის დაღწევას, რუსეთიდან გაქცევას და მანჯურიაში გადასვლას. მისი შემდგომი მარშრუტი კიდევ უფრო გრძელი და რთული აღმოჩნდა. თავის გამყოლთან ერთად იგი ჯერ ხარბინში ჩადის, შემდეგ - პეკინში, სადაც ირკვევა, რომ ოსმალეთში აზიის გავლით ჩასვლა ბრატანელთა მკაცრი კონტროლის გამო, შეუძლებელია. აქ იგი იღებს ძალიან გაბედულ და არაორდინარულ გადაწყვეტილებას - სამშობლოში უგრძესი მარშრუტით მოხვდეს, შემოუაროს დედამიწას და ისე დაბრუნდეს ოსმალეთში. ისჰან ფაშა პეკინიდან შანხაიში ჩადის, შემდეგ იაპონიისა და აშშ-ის გავლით - შვედეთში, იქიდან კი, ნორვეგიისა და დანიის გავლით გერმანიასა და საბერძნეთში, და ბოლოს - კონსტანტინოპოლში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისჰან ლატიფ ფაშა სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობებზე მსახურობდა, მაგრამ მის მცდელობებს დაბრუნებულიყო აქტიურ სამხედრო სამსახურში და დაეკავებინა რომელიმე მსხვილ შენაერთში სამეთაურო თანამდებობა, შედეგი არ მოჰყოლია.[37] თუმცა, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იგი ანტისაოკუპაციო საიდუმლო ორგანიზაციაში ერთიანდება, გენერალ მუსტაფა ქემალის (შემდგომში ათათურქი) მიერ ორგანიზებულ ახალ თურქულ ნაციონალურ მოძრაობას უკავშირდება და მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება. თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1924 წელს, ისჰან ლატიფ ფაშა იზმირის გუბერნატორად ინიშნება, ხოლო 1926 წელს მას რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, დიდი ეროვნული კრების წევრად ირჩევენ. 1931-1946 წლებში იგი რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრი იყო....

წარმატებულად დასრულებული სარიყამიშის ოპერაციის შემდეგ რუსებისათვის აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონი უკვე გახსნილი იყო. ამ ვითარებას ისიც უწყობდა ხელს, რომ 1915 წლის გაზაფხულიდან ოსმალთა იმპერიის ყურადღება და მთელი ძალისხმევა კავკასიიდან დასავლეთისკენ იქნა გადატანილი, სადაც კონსტანტინოპოლის აღების მიზნით, 1915 წლის თებერვალში, ბრიტანელების მიერ დარდანელზე დიდი საზღვაო დესანტი იქნა გადასხმული.[38] საუბარი ჰალიპოლისის (გალიპოლი) ოპერაციას ეხება, თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

დასკვნა

ამოცანით მართვა თუ ინდივიდუალური მიდგომა

საბრძოლო მოქმედებების დროს მეთაურებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ვერ შეძლებენ ვითარების სრულ კონტროლსა და აბსოლუტურ ჩართულობას. ბრძოლის ველზე სიტუაცია გამუდმებით იცვლება, რაც საჭიროებს გადაწყვეტილებების სწრაფად და უშუალოდ საბრძოლო მოქმედების პროცესში მიღებას. სწორედ ამ დროს უნდა გამოიყენონ მეთაურებმა ამოცანით მართვა, რაც გულისხმობს მათი კომპეტენციის ფარგლების შეზღუდვას და დაქვემდებარებულებისთვის/ლიდერებისთვის მოქმედების მეტი თავისუფლების მინიჭებას. ამოცანით მართვა ეყრდნობა მეთაურებს, დაქვემდებარებულებს, შტაბებსა და ერთობლივ მოქმედებებში ჩართულ პარტნიორებს შორის ურთიერთნდობას, საერთო გაგებასა და მიზანს. ეს მოითხოვს, რომ თითოეული ჯარისკაცი მზად იყოს მეთაურის ჩანაფიქრის ფარგლებში პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე ასაღებად, ძალისხმევის ერთიანობის შესანარჩუნებლად, გონივრული

37 Альфина Сибгатуллина. Некоторые Сведения об Исхан-Паше в Российской Периодической Печати. https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/155478

38 М. Озтюрк. Сарыкамышское сражение: турецкий взгляд. https://histrf.ru/uploads/media/default/0001/09/ 7c379fc908d54edf8028fc1876ec35b2a118ef49.pdf

ზომების მისაღებად და შედეგის მომცემი მოქმედებების შესასრულებლად.

ცნობილია, რომ ამოცანით მართვის გამოყენების დროს მეთაურებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი ექვსი პრინციპით:

- ურთიერთნდობის საფუძველზე შეკრული ჯგუფების ორგანიზება;
- საერთო გაგების ჩამოყალიბება;
- მეთაურის მიერ მკაფიო ჩანაფიქრის გაცემა;
- დისციპლინირებული ინიციატივის წახალისება;
- მიზანზე ორიენტირებული დავალებების გაცემა;
- გონივრულ რისკზე წასვლა;[39]

ერთი შეხედვით, კაპიტან ვაშაკიძის შემთხვევაში თითქოს დაცულია ამოცანით მართვის ეს ექვსივე პრინციპი. თითქოს სახეზეა პირადი ინიციატივა და დეცენტრალიზებული აღსრულება ზოგადი სტრატეგიული გეგმის ფარგლეში. თითქოს ამაზე მეტყველებს პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ ნიჟარაძის პატაკიც, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ,,წინა საღამოს, 11-12 საათის შუალედში კაპიტანი ვაშაკიძე, ***საკუთარი ინიციატივით***, პრაპორშჩიკ ლებედევისა და პოდპრაპორშჩიკ სოროკინის თანხლებით დაზვერვაზე იმყოფებოდა"... მგრამ ეს არ არის საკმარისი. Auftragstaktik - ამოცანით მართვა ჯარების სისტემური მართვის მოდელი და პარადიგმაა, რასაც რუსეთის საიმპერატორო არმიაში არანაიარად არ და ვერ ექნებოდა ადგილი! რუსულ არმიაში ფრიდრიხისეული ძველი პრუსიული სკოლის ,,ჯოხის დისციპლინა" მოქმედებდა, სადაც ოპერაციების დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების უმკაცრესი ცენტრალიზებული სისტემა იყო დანერგილი. მართალია ამოცანით მართვის მთავარი ელემენტი ინიციატივაა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამა თუ იმ მეთაურის მიერ ცალკეულ ეპიზოდებში გამოვლენილი პირადი ინიციატივის განხილვა ჯარების დირექტიული თუ ამოცანით მართვის მაგალითად, რომელიც არ არის გამაგრებული სათანადო დოქტრინებით, არაფრით არ შეიძლება. ამოცანით მართვა არ არის მხოლოდ C2 (Command-Control) - მართვისა და კონტროლის დოქტრინა. იგი არც მართვისა და კონტროლის სისტემაა. იგი არც ,,მოქმედებების თავისუფლებისათვის" გაცემული ინდულგენციაა და არც მხოლოდ მოკლე წერილობითი ბრძანებების წერის თუ სხარტი ვერბალური მითითებების გაცემის უნარები. ამოცანით მართვა თავდაცვის მსხვილი სახელმწიფოებრივი კორპორაციის კულტურული სული და მისი ფილოსოფიაა - სამხედრო პროფესიონალიზმის უმაღლესი გამოხატულება. ამოცანით მართვა ყველა დონის მეთაურისგან ქვემდგომი მეთაურებისადმი წაყენებული პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის მოთხოვნაა, რომლის თანახმადაც ქვემდგომებმა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე და დამოუკიდებლად უნდა აღასრულონ მათ წინაშე დასმული ამოცანა.[40]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სარიყამიშის ოპერაციის მსვლელობისას, 1914 წლის 21-22 დეკემბრის ღამით კაპიტან ვაშაკიძის მიერ გამოვლენილი მართლაც საარაკო გმირობა არ შეიძლება განხილულ იქნას ჯარების ამოცანით მართვის გამოვლინებად. ქართველი ოფიცრის ეს ქმედება კერძო შემთხვევა იყო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი სამხედრო პირის კერძო ინიციატივად და ქართულ სინამდვილედ შეიძლება შეფასდეს.

---

39 amocaniT marTvis filosofia. amonaridi mxardamWeri doqtrinuli publikaciidan 6-0. amocaniT marTva. Tavdacvis Zalebis wvrTnebisa da samxedro ganaTlebis sardloba. doqtrinebis ganviTarebis centri. saerTo koordinatori: p-ki nikoloz janjRava. Tbilisi. 2019. gv. 1. https://mc.mod.gov.ge/source/doc-pdf/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83 %A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90.pdf

40 Donald E. Vandergriff. How the Germans Defined Auftragstaktik[i]: What Mission Command is - AND - is Not. Small Wars Journal. https://smallwarsjournal.com/jrnl/art/how-germans-defined-auftragstaktik-what-mission-command-and-not. 08. 10. 2019.

გამოყენებული ლიტერატურა

- Antoine de Saint-Exupéry Pilote de guerre (1942). édité par les Bourlapapey, bibliothèque numérique romande. Pg. 63. https://ebooks-bnr.com/ebooks/pdf4/saint_exupery_pilote_de_guerre.pdf. 03. 10. 2019.
- A perspective on infantry. Praeger; First Edition edition. Westport. Connecticut. London. 1981.
- Эрвин Роммель цитаты. https://ru.citaty.net/avtory/ervin-rommel/.
- Gunther M. J. Auftragstaktik: The Basis For Modern Military Command. Pickle Partners Publishing, 2015.
- John T. Nelsen. Auftragstaktik: A Case for Decentralized Battle. https://apps.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/ a509971.pdf. 08. 10. 2019.
- Army Doctrine Reference Publication. ADRP 6-0. Mission Command. Headquarters Departmant of Army. Washington, DC. 17 May 2012. https://fas.org/irp/doddir/army/adrp6_0.pdf.
- Canada Department of National Defence (1996). Conduct of Land Operations – Operational Level Doctrine for the Canadian Army. Publication B-GL-300-001/FP- 000. Ottawa, Ontario: Queen's Printer.
- Army of the United Kingdom (2005). Land Operations. Shrivenham, UK: United Kingdom Ministry of Defence, Director General, Development, Concepts, & Doctrine, Publication AC 71819.
- Nelsen J. T. Auftragstaktik: A Case for Decentralized Battle // Parameters. 1987.
- Robert Greene. The 48 Laws of Power. The 33 Strategies of War. Penguin Books. New York. 2006.
- Hajo Holborn. The Prusso-German School: Moltke and the Rise of the General Staff. Makers of Modern Strategy. Ffrom Machiavelli to the Nuclear Age. Edited by Peter Paret, Gordon A. Craig, Felix Gilbert. Princeton University Press. 1986.
- Gerhard Papker, "Helmuth von Moltke", Klassiker der Kriegskunst". Red. Verner Halveg (Darmstadt, 1960).
- Moltke on the Art of War. Selected Writings Edited by Daniel J. Hughes. Translated by Daniel J. Hughes and Harry Bell. Foreword by Gunter E. Rothenberg. Ballantine Books. New York. 1993.
- Donald Vandergriff. How to Develop for Mission Command: The Missing Link. Misson Command. The who, what, where, when and why. An Anthology. Donald Vandergriff, Editor and Stephen Webber, Editor. Afghanistan. May 2017.
- Wittmann J. Introduction // Auftragstaktik - Just a Command Technique Or the Core Pillar of Mastering the Military Operational Art?. — Miles-Verlag, 2012. — С. 22. — 108 с. — ISBN 978-3-937885-58-2.
- Stewart K. G. The Evolution of Command Approach (Paper 192) // 15th ICCRTS The Evolution of C2. 2010.
- 16 Cases of Mission Command. General Editor Donald P. Wright, Ph. D. Combat Studies Institute Press. US Army Combined Arms Center. Fort Leavenworth, Kansas. 2013.
- Kallmes K. Auftragstaktik: Decentralization in Military Command. www.realcleardefense.com. Notes on Liberty (28 April 2017). 2 October 2019. https://www.realcleardefense.com/articles/2017/04/28/auftragstaktik_decentralization _in_ military_command_111267.html
- Caroline Cox and John Eibner. Ethnic Cleansing in Progress: War in Nagorno Karabakh. The Pincers of Pan Turkism. (Walker, 1980, p. 198). http://sumgait.info/caroline-cox/ethnic-cleansing-in-progress/pincers-of-panturkism.htm
- И. Г. Корсун. Первая мировая война на кавказском фронте. Воениздат. Москва. 1946 г.
- М. Озтюрк. Сарыкамышское сражение: турецкий взгляд. https://histrf.ru/uploads/media/default/0001/09/ 7c379fc908d54edf8028fc1876ec35b2a118ef49.pdf

- Akdes N. Kurat. Türkiye ve Rusya, XVIII. Yüzyıl Sonundan KurtuluşSavaşına Kadar Türk-Rus İlişkileri (1798–1919), Türk Tarih Kurumu. Ankara, 2011.
- Айрапетов О. Р. Участие Российской империи в Первой мировой войне (1914—1917): Серия из 4 книг. — М.: Кучково поле, 2014—2016.
- W. E. D. Allen, Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Cauacsian Border 1828-1921. Cambridge University Press. 1953.
- Керсновский Антон Антонович. История Русской армии. Глава XVI. Борьба на Кавказе. http://militera. lib.ru/h/kersnovsky1/index.html
- Неслыханный подвиг капитана. https://pochta-polevaya.ru/aboutarmy/history/zabytyye-stranitsy-velikoy-voynyy/49668.html
- Леван Долидзе. Грузия и Первая мировая война.Русский клуб. №9. Сентябрь 2018.
- Масловский Е. В. Мировая война на Кавказском фронте, 1914-1917 г. : стратегический очерк: с приложением 13 схем, двух таблиц и одной диаграммы на отдельных листах и 22 приложений в тексте книги. - [Париж, 1933]. http://elib.shpl.ru/ru/nodes/54176-maslovskiy-e-v-mirovaya-voyna-na-kavkazskom-fronte-1914-1917-g-strategicheskiy-ocherk-s-prilozheniem-13-shem-dvuh-tablits-i-odnoy-diagrammy-na-otdelnyh-listah-i-22-prilozheniy-v-tekste-knigi-parizh-1933
- Альфина Сибгатуллина. Некоторые Сведения об Исхан-Паше в Российской Периодической Печати. https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/155478
- amocaniT marTvis filosofia. amonaridi mxardamWeri doqtrinuli publikaciidan 6-0. amocaniT marTva. Tavdacvis Zalebis wvrTnebisa da samxedro ganaTlebis sardloba. doqtrinebis ganviTarebis centri. saerTo koordinatori: p-ki nikoloz janjRava. Tbilisi. 2019. https://mc.mod.gov.ge/source/doc-pdf/%E1%83%9B%E1%83%90% E1% 83 %A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1% 83%A4%E1% 83% 98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90.pdf

ნატო-ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტები და შესაძლებლობები

ქეთევან ჩახავა
ეროვნული თავდაცვის აკადემია,
უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამა,
ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში მკაფიოდ არის გაანალიზებული ევროკავშირის და ნატოს საერთოსაგარეოპოლიტიკისპრიორიტეტებიდაშესაძლებლობები. ცივიომისდასაწყისში, შეკავების პოლიტიკის ჩამოყალიბების შედეგად აუცილებელი გახდა სამხედრო ალიანსის შექმნა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასევე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პასუხისმგებლობა იტვირთა ევროკავშირმა. ორივე ორგანიზაცია შეთანხმებით და კოორდინირებულად მოქმედებდა და დღესაც აქტიურად თანამშრომლობს კრიზისების მართვაში, უსაფრთხო გარემოს შექმნაში, სამშვიდობო ოპერაციების წარმოებაში, მშვიდობის შენარჩუნებაში, დემოკრატიული პრინციპების და ევროპული ფასეულობების განმტკიცებაში. ევროკავშირში, დაარსების დღიდანვე, არსებობდა სამხედრო მიმართულების განვითარების მცდელობები. რამდენიმე წლის წინ, ევროკავშირმა წარადგინა „გლობალური სტრატეგიის“ და „პერმანენტულ სტრუქტურული თანამშრომლობის“ დოკუმენტები, სადაც საუბარია ევროკავშირის ავტონომიაზე სამხედრო და უსაფრთხოების მიმართულებით. ზემოაღნიშნული პოლიტიკის მიზანია ევროკავშირის ნაკლებ დამოკიდებულება ნატოზე. თუმცა, ნატოსთან თანამშრომლობით ევროკავშირი ჩართულია სამშვიდობო ოპერაციებში კონფლიქტურ რეგიონებში, სადაც განაწილებული პასუხისმგებლობების ფარგლებში, რომელიც მოიცავს ჰუმანიტარულ და სადამკვირვებლო მისიებს, მონტორინგს და ა.შ., წარმატებულად მონაწილეობს მშვიდობის შენარჩუნებაში და კონფლიქტურ რეგიონების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

საკვანძო სიტყვები:
ევროკავშირი, ნატო, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, სამშვიდობო ოპერაციები, სადამკვირვებლო მისიები, ჰუმანიტარული მისიები.

NATO – EUROPEAN UNION SECURITY POLICY PRIORITIES AND CAPACITIES

KETEVAN CHAKHAVA
NATIONAL DEFENCE ACADEMY,
MASTER PROGRAM IN SECURITY STUDIES,
ASSISTANT PROFESSOR

ABSTRACT

The article clearly analyzes the common foreign and security policy priorities and capabilities of the European Union and NATO. At the beginning of the Cold War, a policy of containment made it necessary to form a military alliance aimed at ensuring the security of the member states. After the Second World War, the responsibility for the economic and political development of Europe was assumed by the European Union. Both organizations acted in coordination, and are still actively cooperating in managing crisis, creating a secure environment, conducting peacekeeping operations, maintaining peace, and promoting democratic principles and European values. Since the formation of the EU there have been several attempts to develop a military structure and direction. A few years ago, the EU presented the "Global Strategy"" and the "Permanent Structured Cooperation" documents which address EU military and security autonomy. The aim of the above mentioned policy is to make the EU less dependent on NATO. However, in cooperation with NATO, the EU is involved in peacekeeping operations, which include humanitarian and monitoring missions, and successfully participates in promoting peace and security in the conflict regions.

KEYWORDS:
European Union, NATO, Common Foreign and Security Policy, Peacekeeping Operations, Monitoring Mission, Humanitarian Mission.

შესავალი

ცივი ომის პერიოდში დამკვიდრებულმა შეკავების პოლიტიკამ განაპირობა სამხედრო ალიანსის ჩამოყალიბების აუცილებლობა. ამ ვითარებაში დაარსდა სამხედრო ალიანსი - ნატო, რომლის კვალდაკვალ შეიქმნა ევროკავშირი, პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაცია. ევროკავშირმა და ნატომ მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წევრი ქვეყნების გაძლიერებაში და მშვიდობიანი პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფაში. ევროკავშირს დაარსების დღიდანვე მრავლად ქონდა საკუთარი სამხედრო სტრუქტურის შექმნის მცდელობა, რათა შეემცირებინა დამოკიდებულება ნატოზე. ყოველივე ამის მიუხედავად, ნატო და ევროკავშირი ერთიანი ძალისხმევით ჩაერთო იუგოსლავიის კონფლიქტში სამშვიდობო ოპერაციების წარმოებაში. ბოსნია და კოსოვოში ჩატარებული სამშვიდობო ოპერაციების შედეგად დამყარდა მშვიდობა და სახელმწიფოებმა შეძლეს დამოუკიდებლობის მოპოვება.

ნატო და ევროკავშირის უსაფრთხოების პრიორიტეტები მოიცავს მათ საერთო მიზნებსა და კონცეფციებს. თუ ნატოს ეგიდით სამშვიდობო ოპერაციები მიმდინარეობს სამხედრო ჩართულობით, ევროკავშირი აწარმოებს ჰუმანიტარულ, სადამკვირვებლო მისიებს, ტრენინგებს, პროფესიულ გადამზადებას და ა.შ.

2017 წლიდან ამერიკის მიერ ნატოში ფინანსური საკითხის გადახედვის პოლიტიკის გაჟღერებას მოჰყვა ევროკავშირის მხრიდან უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერების მეტად აქტიური მცდელობა. ევროკავშირმა მიიღო „გლობალური სტრატეგიის“ და „პერმანენტ სტრუქტურული თანამშრომლობის“ დოკუმენტები. რომლის საშუალებითაც მას სურდა საფრთხეების დამოუკიდებლად მოგვარება, ორგანიზაციის გავლენის ზრდა და საკუთარი ავტონომიის შექმნა. მიუხედავად ზემოხსენებული მცდელობებისა, დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებში, ნატო და ევროკავშირის ერთიანი კოორდინირებული ჩართულობა კრიზისების მართვის და სამშვიდობო ოპერაციების წარმოებაში ხელს უწყობს მსოფლიოში მეტად მტკიცე, ძლიერი და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევის მეთოდი, რომელიც დამეხმარა მეწარმოებინა ცალკეული სტატიების, დოკუმენტების და ინტერნეტმასალის კლასიფიცირება, შესწავლა და გაანალიზება. დაკვირვების შედეგად ასევე გამოყენებულ იქნა კონტენტ-ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსის უკეთ გააზრებას, გაგებას და არგუმენტირებულ გადმოცემას.

ნატო ევროკავშირის თანამშრომლობის ისტორია

ნატო და ევროკავშირი დაარსების ისტორია სათავეს იღებს ცივი ომის დასაწყისის პერიოდიდან. ევროკავშირმა, როგორც პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ორგანიზაციამ, ხოლო ნატომ, როგორც სამხედრო ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ისტორიულად მძიმე პერიოდის ევროპაში წევრი ქვეყნების გაძლიერებაში, როგორც პოლიტიკურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისით. ისინი იზიარებენ საერთო სტრატეგიულ ინტერესებს, ფასეულობებს, ღირებულებებს, ექმნებათ მსგავსი საფრთხეები და გამოწვევები, აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ კონსულტაციებში.[1] დაარსების დღიდან ორივე ორგანიზაცია გაფართოვდა ახალი წევრებით. ცივი ომის დასრულებასთან ერთად მათ მიიღეს „აღმოსავლეთ გაფართობის" გადაწყვეტილება, რაც ახალ და რთულ ვითარებას ქმნიდა. 1993 წელს კოპენჰაგენის კონფერენციაზე ევროკავშირმა კარი გაუღო აღმოსალეთის გაფართოების პრინციპს. ერთი წლის შემდეგ, 1994 წელს, ბრიუსელის სამიტზე იგივე პრინციპს მიმართა ნატომაც.[2]

ბოლო წლების განმავლობაში, ორივე ორგანიზაციამ განავითარა მჭიდრო თანამშრომლობა და ორიენტირებული იყო კონკრეტულ შედეგებზე, ევროპული უსაფრთხოების გაძლიერებაზე, ჰიბრიდული საფრთხეების მოგვარებაზე, კიბერთავდაცვაზე, პარტნიორი ქვეყნების შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და ღია კარის პოლიტიკაზე. ამჟამად, ნატო და ევროკავშირის თანამშრომლობა მოიცავს კიდევ უფრო მეტ მასშტაბებს და ჩართულია გლობალური საკითხების ერთიანი ძალისხმევით მოგვარებაში. კერძოდ, საზღვაო სფეროში ოპერატიული თანამშრომლობა, მობილურობა, უსაფრთხოებისა და თადაცვის სექტორში პარტნიორი ქვეყნების შესაძლებლობების მხარდაჭერა.

ნატო და ევროკავშირი დიდი ხნის მანძილზე თანამშრომლობენ კრიზისების მართვასა და მოგვარების საკითხებში. ევროკავშირის ოპერაცია EUFOR Althea მიმდინარეობდა ბოსნიაში „ბერლინ პლიუსის" შეთანხმების საფუძველზე, ნატოზე დაყრდნობით. კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ძალები მჭიდროდ თანამშრომლობენ ევროკავშირის EULEX მისიასთან რათა უზრუნველყონ მშვიდობა და სტაბილურობა რეგიონში. ერაყში ნატოს წრთვნისა და შესაძლებლობების განვითარების მისია ხორციელდება ევროკავშირის სტაბილიზაციის მხარდაჭერის მისიასთან თანამშრომლობით.

ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაძლებლობები

ევროკავშირის დაარსების დღიდანვე ორგანიზაცია ცდილობდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საკუთარი ავტონომიის შექმნას და ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ყველაზე გაბედული მცდელობა იყო 1950 წელს, როდესაც საფრანგეთის პრემიერ მინისტრის, პლევენის გეგმით, უნდა შექმნილიყო ინტეგრირებული ევროპული არმია გაერთიანებული სარდლობის ქვეშ. გეგმის განხილვის შემდეგ 1950 წლიდან 1952 წლამდე გაფორმდა ხელშეკრულება, რომელმაც ჩა

1 https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49217.htm
2 https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/11/pdf/2111-factsheet-nato-eu-en.pdf

მოაყალიბა ევროპის თავდაცვის გაერთიანება (EDC). გეგმა ვერ განხორციელდა რადგან იგი საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში უარყო უმრავლესობამ. მრავალი მცდელობის შემდეგ 1992 წელს მაასტრიხის ხელშეკრულებით ჩამოყალიბდა ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც გახდა ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი სვეტი. იგი მოიცავდა საგარეო პოლიტიკის თითქმის ყველა საკითხს, რომლის მიზანიც იყო საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, საერთო პოზიციების განსაზღვრა, მუდმივი კონსულტაციები, ერთობლივი ქმედებები და ევროკავშირის საერთო თავდაცვის პოლიტიკა.

1997 წელს, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩაიდო მნიშვნელოვანი ცვლილებები: დაემატა კიდევ ერთი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი - საერთო სტრატეგია. შეიქმნა პოლიტიკის დაგეგმარების და ადრეული გაფრთხილების დანაყოფი იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გამხდარიყო კავშირის მიერ ერთიანი რეაგირების მოხდენა საერთაშორისო მოვლენებზე; ევროკავშირმა თავის თავზე აიღო ისეთი კონფლიქტების მოგვარება, რომლებიც საჭიროებს სამშვიდობო ოპერაციებს, ჰუმანიტარულ დახმარებებს და სამაშველო ოპერაციებს. ამსტერდამის ხელშეკრულების მონაპოვარი გახლდათ საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შემოღება. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა ამოევსო ორმოები შესაძლებლობებსა და საშუალებებს შორის. ასევე, 2009 წლის 1 დეკემბერს ლისაბონის ხელშეკრულება ამოქმედდა, რომელმაც დაარსა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელის თანამდებობა საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში.

დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს თავი იჩინა მთელმა რიგმა საკითხებმა, რამაც კიდევ ერთხელ დააფიქრა ევროკავშირი გაეძლიერებინა უსაფრთხოების პოლიტიკაზე ზრუნვა. როდესაც ტრამპმა განაცხადა, რომ იგი გადახედავდა ნატოში ამერიკის ფინანსურ კონტრიბუციას და ევროპელებს მოუწოდა კუთვნილი 2 პროცენტის გადახდისკენ წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროების დროს მეხუთე მუხლის ამოქმედების საკითხი გადაიხედებოდა, ევროკავშირი გამოვიდა ინიციატივით შეემუშავებინა მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ნატოსგან დამოუკიდებლებლად, საკუთარი შესაძლებლობებით გამკლავებოდა მულოდნელად წარმოქმნილ საფრთეებს. 2016 წლის ივნისში, ევროკავშირმა მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენი „გლობალური სტრატეგია“, რომლის პრიორიტეტსაც ევროკავშირის უსაფრთხოება, სტრატეგიული ავტონომია, პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა, ერთობა, გაყინულ კონფლიქტებში ჩართულობა, პასუხისმგებლობა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ევროკავშირის გაფართოება და ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენდა.[3] ასევე, 2017 წლის ნოემბერში ევროკავშირმა შექმნა „პერმანენტ სტრუქტურული თანამშრომლობა - PESCO“, რომელიც არ იქნება ნატოს ჩამნაცვლებელი სტრუქტურა, მაგრამ პესკოს მეშვეობით ევროკავშირი შეძლებს, საფრთხეების დამოუკიდებლად მოგვარებას.[4]

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნით ევროკავშირის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის გავლენის, შესაძლებლობების და მოქმედების ზრდა,

3 Geopolitical Europe 2022

4 Opportunities to Deepen NATO-EU Cooperation, Maio 2021, December

ევროპული შიდა უსაფრთხოების განმტკიცება და ევროპული ფასეულობებისა და ღირებულებების უფრო აქტიური დაცვა და ხელშეწყობა.

ევროკავშირის და ნატოს სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება

ნატო და ევროკავშირის თანამშრომლება კიდევ უფრო მეტად მტკიცდება, ძლიერდება

და წარმატებული ხდება, როდესაც საქმე ეხება სამხედროების მობილურობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, საჰაერო გადაზიდვების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, სარდლობისა და კონტროლის ხაზის გაძლიერებას, სამართლებრივი და დიპლომატიური პროცესების შემსუბუქებას. ნატო და ევროკავშირი საკმაოდ კოორდინირებულად მოქმედებენ კონფლიქტურ რეგიონებში სამშვიდობო ოპერაციების წარმატებით მართვაში. ევროკავშირს აკისრია მთელი რიგი პასუხისმგებლობები მაშინ, როდესაც ნატო სამხედრო ჩართულობით უსაფრთხოებას და მშვიდობას უზრუნველყოფს. რაც შეეხება ევროკავშირის პასუხისმგებლობას და შესაძლებლობს იგი მოიცავს ეკონომიკური და სოციალური საკითხების მოგვარებას, ჰუმანიტარულ მისიებს და მონიტორინგის განხორციელებას. ორივე ორგანიზაცია მოქმედებს წარმატებით, როდესაც მათ შორის ხდება ინფორმაციის გაცვლა ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში.

კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის წარმატებულ ოპერაციებს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ნატოს სამხედრო ჩართულობა სამშვიდობო ოპერაციების სახით, ასევე ნატოს სამშვიდობო ოპერაციების წარმატებაში გარკვეული წვლილი ევროკავშირის მისიებსაც მიუძღვის. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ორივე ორგანიზაცია იზიარებს წევრ ქვეყნებს, რომლებიც ვითარდებიან როგორც სამხედრო სფეროში, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხითაც. ყოველივე ეს ქმნის უსაფრთხოების სფეროს განმტკიცების განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან შესაძლებლობას.[5]

დასკვნა

ევროკავშირმა, როგორც პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია გასწია ევროპული ფასეულობების, ღირებულებების განმტკიცებაში. თუმცა, ორგანიზაციის შექმნისთანავე მრავალი მცდელობა განხორციელდა ევროკავშირის ქოლგისქვეშ სამხედრო სტრუქტურული მექანიზმის შექმნის, რომელიც ორგანიზაციას ნატოსგან დამოუკიდებლად მოქმედებას სთავაზობდა. ამ მცდელობების შედეგად ევროკავშირმა ჩამოაყალიბა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, შექმნა უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში, გაზარდა ევროკავსირის მომლაპარაკებელი სტატუსის როლი. ასევე, ორგანიზაცია უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს ნატოსთან. ისინი ერთიანი შესაძლებლობებით ქმნიან ერთიან გლობალურ უსაფრთხო გარემოს, სადაც ორგანიზაციების შესაბამისი პასუხისმგებლობების გაზიარება და კონტრიბუცია წარმატების მთავარი საფუძველია.

5 Aligning NATO and the EU's Strategic Priorities 2015

გამოყენებული ლიტერატურა

• 2022. In Geopolitical Europe.

• 2015. Aligning NATO and the EU's Strategic Priorities.

• 2021, December. In Opportunities to Deepen NATO-EU Cooperation, by Giovanna de Maio. Foreign Policy .

• 2021. www.nato.int. November. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/11/pdf/2111-factsheet-nato-eu-en.pdf.

• 2022. www.nato.int. June. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49217.htm.

გლობალიზაციის როლი თანამედროვე მსოფლიოში, დადებითი და უარყოფითი ასპექტები

ნიკა ჩიტაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

აბსტრაქტი

საერთაშორისო საზოგადოების მიერ გლობალიზაციის ოთხი ძირითადი ასპექტი იქნა განსაზღვრული: ვაჭრობა და სავაჭრო ოპერაციები; ინვესტიციების და კაპიტალის მოძრაობა, მიგრაცია და მოსახლეობის გადაადგილება, ასევე ცოდნის გავრცელება. გლობალიზაციის პროცესები ბიზნესის და შრომის ორგანიზაციის, ეკონომიკის, სოციო-კულტურული რესურსებისა და გარემოს საკითხების გავლენას განიცდიან. აკადემიური ლიტერატურა გლობალიზაციას ყოფს სამ ძირითად სფეროდ: ეკონომიკური გლობალიზაცია, კულტურული გლობალიზაცია და პოლიტიკური გლობალიზაცია.

ყველა ზემოაღნიშნული საკითხის განხილვა - გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება მოცემულ ნაშრომში.

საკვანძო სიტყვები:
პოლიტიკური გლობალიზაცია, ეკონომიკური გლობალიზაცია, კულტურული გლობალიზაცია, ინტეგრაცია.

THE ROLE OF GLOBALIZATION IN THE MODERN WORLD, POSITIVE AND NEGATIVE ASPECTS

NIKA CHITADZE
PROFESSOR OF THE INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY
PROGRAM: INTERNATIONAL RELATIONS

ABSTRACT

International community identified four basic aspects of globalization: trade and transactions, capital and investment movements, migration and movement of people, and the dissemination of knowledge. Globalizing processes affect and are affected by business and work organization, economics, sociocultural resources, and the natural environment. Academic literature commonly divides globalization into three major areas: economic globalization, cultural globalization, and political globalization

Discussion of all the above issues - as part of the analysis of the pros and cons of globalization will be presented in this paper.

KEYWORDS:
Political Globalization, Economic Globalization, Cultural Globalization, Integration.

შესავალი

სხვადასხვა მეცნიერთა აზრით, ტერმინი „გლობალიზაცია“ პირველად 1983 წელს გამოჩნდა. კონკრეტულად, აღნიშნული ტერმინი გამოყენებულ იქნა ტ. ლევიტის სტატიაში, რომელიც ჟურნალ „ჰარვარდ ბიზნეს რევიუში“ (Harward Business Review) იქნა გამოქვეყნებული და იმ დროს ასოცირდებოდა, როგორც ცალკეული კორპორაციების მიერ წარმოებული სხვადასხვა პროდუქტების ბაზრის შერწყმის ფენომენი. 1987 წლამდე, ვაშინგტონში მდებარე აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზაში არ მოიძებნებოდა წიგნი ან სხვა სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის სახელწოდებაში ცნება „გლობალიზაცია“ იქნებოდა გამოყენებული. მაგრამ, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მოცემულ თემაზე წიგნებისა და სტატიების რაოდენობა რეკორდული სიჩქარით გაიზარდა. მოცემული დროიდან ტერმინმა ფართო გავრცელება მიიღო. ამავე დროს, ეტაპობრივად იზრდებოდა ამ ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობათ გამოყენების სიაც[1].

გლობალიზაციის შესახებ შეფასებითი მსჯელობებიდან გლობალიზაციის შესახებ უფრო შინაარსობრივ მხარეზე გადასვლა, უპირველეს ყოვლისა კითხვას მისი ხასიათისა და უკვე განვითარებული პროცესის სიახლის ხარისხზე და მისი სოციალური შედეგების მასშტაბებზე წარმოშობს. ამასთანავე, ყველა მცდელობა, რომ განხორციელებულ ყოფილიყო ამ პროცესის ანალიზი, მივყევართ დასკვნამდე -გლობალიზაციის რთული, კომპლექსური და მრავალფეროვანი ბუნების შესახებ, რომელიც თავის თავში სხვადასხვა მოვლენას და პროცესებს მოიცავს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების და სხვა აქტუალურ თემებს განიხილავს და განსხვავებული ტემპებით მიმდინარეობს. ამავე დროს, ამ პროცესებიდან რომელიმე წამყვან პროცესად განიხილება. საკუთრივ გლობალიზაციის პროცესის მიმდინარეობის პერიოდად ზოგიერთი ექსპერტი ორმოცდაათ წელს განიხილავს, სხვა მეცნიერები თუ მკვლევარები გლობალიზაციის პროცესის მიმდინარეობის პერიოდად ხუთას წელსაც კი განიხილავენ. შედეგად, შინაარსი, გენეზისი და განსაკუთრებით, გლობალიზაციის პროცესის შემდგომი განვითარების გზები დღეს პოლიტიკური თუ სამეცნიერო დისკუსიის მწვავე საგნად განიხილება. გაცოცხლებული დებატების საგანს ფაქტიურად ყველაფერი წარმოადგენს - რა არის გლობალიზაცია, როდის დაიწყო იგი, როგორ შეესაბამება იგი საზოგადოებრივი ცხოვრების დანარჩენ პროცესებს, როგორია მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები როგორც ცალკეული ადამიანისათვის, ასევე ცალკეული რეგიონისათვის და მთლიანად მსოფლიოსთვის და ა.შ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეცნიერთა ნაწილი გლობალიზაციას ძალზედ ვიწრო კონტექსტში განიხილავს, კერძოდ, როგორც „ახალი, უპირატესად კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაზაზე საფინანსო-საინფორმაციო სივრცის ფორმირება“ და მას მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისს უკავშირებს. მკვლევართა მეორე ნაწილი ამ ცნების ეკონომიკურ შინაარსზე ამახვილებენ საკუთარ ყურადღებას. მაგალითად, რიგი ექსპერტის აზრით, გლობალიზაცია განიხილება როგორც უპირატესად საქონლის

1 ჩიტაძე, ნიკა. 2011. გეოპოლიტიკა. „უნივერსალი“

გაცვლიდან ინფომაციის ურთიერთგაცვლაზე გადასვლისა და ამ ბაზაზე „ცოდნის ეკონომიკის“ და გლობალური მასშტაბის ელექტრონული ეკონომიკის წინა პლანზე წამოწევის პროცესი. მოცემული მოსაზრების საფუძველში გლობალიზაციის განხილვა როგორც მისი ხასიათის, ტემპებისა და გლობალური კომუნიკაციის ინტენსივობის ობიექტური ცვლილების კონტექსტში მიმდინარეობს.

“გლობალიზაცია - როგორც ცნობილი ეკონომისტი ლალ დიპაკი ამტკიცებს - ეს არის საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის პროცესი, რომელსაც საქონლის, კაპიტალისა და შრომითი რესურსების უფრო თავისუფალი გადაადგილების წყალობით მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის ზრდისკენ მივყევართ....განიხილება რა როგორც წმინდა ეკონომიკური პროცესი, გლობალიზაცია ნეიტრალურ ღირებულებას წარმოადგენს. ბევრი მტკიცების საწინააღმდეგოდ, ის არ წარმოადგენს და არ შეიძლება წარმოადგენდეს იდეოლოგიას“[2]. ამავე დროს ბევრი (განსაკუთრებით მემარცხენე ავტორები), მიიჩნევენ, რომ ტერმინის „გლობალიზაცია“ ბრუნვაში შეყვანა გახლდათ ნეოლიბერალიზმის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო ტალღის პროპაგანდისტული პასუხი (ს. ამინი, ბ. კაგარლიცკი, ნ. ჰომსკი, ვ. ფორესტერი და სხვ.), ე.ი. „გლობალიზაციის“ კონცეფცია ტრანსნაციონალური კორპორაციების - პირველ რიგში ამერიკული კომპანიების ახალ იდეოლოგიურ დასაბუთებას წარმოადგენს. როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე ჩალმერს ჯონსონი წერს: „გლობალიზაცია ეს არის ეზოტერიული ტერმინი იმისა, რასაც მე-19 საუკუნეში „იმპერიალიზმს“ უწოდებდნენ და ეს არის ამერიკის კიდევ ერთი მძლავრი იარაღი, განსაკუთრებით კი ფინანსური კაპიტალის იარაღი“[3]. ამ თვალსაზრისით საუბრები გლობალიზაციის შესახებ ექსპერთა ნაწილისათვის გათვიცნობიერებულ, ნაწილისათვის კი გაუთვიცნობიერებული ოდეოლოგიაა, რომელიც მიმდინარე პროცესების ლეგიტიმაციის საშუალებას წარმოადგენს [4] .

„სამეცნიერო, პოლიტიკური და გლობალიზაციის იდეოლოგიასთან დაკავშირებული სხვადასხვა დისკურსები, - ამტკიცებს ვ. ფორესტერი, ულტრალიბერალური წრეების ინტერესებს შეესაბამება, რომლებიც „ახალი კაპიტალიზმის“ ფარგლებში პრობლემათა გამწვავების პირობებში ვითარდება, რომელიც ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ბუნებრივ თუ სოციალურ გარემოს საფრთხის ქვეშ აყენებს“[5].

მესამენი გლობალიზაციაში მსოფლიო ინტეგრაციის თანდათანობითი პროცესის თანამედროვე სტადიას ხედავენ, რომელიც ადამიანური ცივილიზაციის მთლიანობის ფორმირებას, გლობალური სამოქალაქო საზოგადოებისა და მსოფლიოს და დემოკრატიზაციის ახალი ერის დასაწყისს უკავშირდება.

გლობალიზაცია: სიკეთე და საფრთხე

თანამედროვე ეპოქა გლობალიზაციის ეპოქაა. შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, დღევანდელობის მთავარი მახასიათებელი, ის

2 ჩიტაძე, ნიკა. 2011. გეოპოლიტიკა. „უნივერსალი“

3 ჩიტაძე, ნიკა. 2011. გეოპოლიტიკა. „უნივერსალი“

4 დავითაშვილი ზურაბ, ელიზბარაშვილი ნოდარ. გლობალური გეოგრაფია. თსუ

5 Albrow, Martin; King, Elizabeth. 1990. Globalization, Knowledge and Society. London: Sage

მთავარი მოვლენა, რომლითაც შეიძლება თანამედროვე ეტაპი იქნეს დახასიათებული, სწორედ გლობალიზაციაა. გლობალიზაციის ნიშნები ვლინდება ყველგან და ყველაფერში. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არ არსებობს ქვეყანა და რეგიონი, რომელსაც გლობალიზაციის პროცესი ამა თუ იმ დონეზე არ შეხებია. ასევე რთულია, მოიძებნოს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფერო, რომელზეც გლობალიზაციას გავლენა არ მოეხდინა.

როგორც ყველა რთულ და მრავალმხრივ მოვლენას, გლობალიზაციას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. ერთ უკიდურესობად შეგვიძლია განვიხილოთ გლობალიზაციის წარმოჩენა მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურ მოვლენად, რომელიც მხოლოდ პროგრესის და კეთილდღეობის გარანტიაა. მაგრამ ასევე საფუძველს მოკლებულია გლობალიზაციის წარმოდგენა ცალსახად ნეგატიურ პროცესად, რომელსაც ყველა ფორმით უნდა შევეწინააღმდეგოდ.

გლობალიზაცია როგორც სიკეთე

გლობალიზაციის დადებითი ტენდენციების განხილვისას, მიზანშეწონილია ცალ-ცალკე გავაანალიზოთ გლობალიზაციის პროცესი პოლიტიკის, ეკონომიკის და კულტურის სფეროებში.

პოლიტიკის გლობალიზაცია. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მთავარ პოლიტიკურ პრობლემას სახელმწიფოთა დაპირისპირება და მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტები და ომები წარმოადგენდა. მეორე მხრივ, სახელმწიფო ინტერესების ერთადერთ გამტარებლად ხელისუფლება განიხილებოდა, სწორედ ამ მიზეზის გამო გახლდათ სახელმწიფო „ლეგიტიმური ძალადობის“ ინსტიტუტი, ანუ ორგანიზაცია, რომელსაც კანონიერი უფლება გააჩნდა, გამოეყენებინა ძალა თავისი შეხედულების მიხედვით, ხოლო ხელისუფლება აუცილებელ და საჭირო ბოროტებად აღიქმებოდა.

გლობალიზაციის პროცესმა გარკვეული დადებითი კორექტივები შეიტანა მოცემულ სფეროში. საერთაშორისო პოლიტიკაში სულ უფრო ნაკლებ როლს ასრულებენ ცალკე აღებული სახელმწიფოები, სამაგიეროდ იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ფრაგმენტაცია ადგილს უთმობს ინტეგრაციას. პრობლემების გადაჭრა ერთობლივად ხორციელდება, ხშირ შემთხვევაში კონსენსუსის საფუძველზე, სადაც ყველა მხარის ინტერესები მეტ-ნაკლებად არის გათვალისწინებული. მთელ რიგ რეგიონებში ჩამოყალიბებულ იქნა თავდაცვისა და უშიშროების ერთიანი სისტემები, რამაც საგრძნობლად შეამცირა კონფლიქტებისა და ომების საფრთხე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ბარიერების და შეზღუდვების მკვეთრი შემცირება. სულ უფრო მეტ სახელმწიფოს შორისაა გაფორმებული უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთამ მნიშვნელოვნად გამარტივებული ფორმები მიიღო. ინტერნეტისა და ფიჭური კავშირგაბმულობის ეპოქაში სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შეუფერხებლად შეუძლიათ ერთმანეთთან

უშუალო კონტაქტის დამყარება სახელმწიფოს გვერდის ავლით. ხელისუფლების ზეწოლა და დიქტატი მოქალაქეებზე გლობალიზაციის ერაში მკვეთრად შესუსტდა. ყოველივე ზემოაღნიშნული თვალნათლივ პროგრესული მოვლენაა და მოსახლეობის ინტერესების სასარგებლოდ არის მიმართული[6].

ეკონომიკის გლობალიზაცია. პოლიტიკური საზღვრების როლის შესუსტება, პირველ რიგში, იმ ინტენსიურმა ეკონომიკურმა კავშირებმა განაპირობა, რაც გლობალიზაციისათვის არის დამახასიათებელი. რეალობა გახლავთ ის, რომ საფუძველი ეყრება გლობალურ ეკონომიკას, რომლისთვისაც მიუღებელია ეროვნული საზღვრების არსებობა. მოცემული პროცესის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი განუწყვეტლივ იზრდება. მსოფლიო ქვეყნები და ერები ეკონომიკურად ისე „გადაიხლართდნენ" ერთმანეთში, რომ პოლიტიკური საზღვრებისა და ეკონომიკური ბარიერების მნიშვნელობა დაკნინდა.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი ხალხი მოიხმარს ერთნაირ პროდუქციას. აღნიშნულ დროს ნაკლები მნიშვნელობა გააჩნია, თუ რომელ ქვეყანაშია წარმოებული კონკრეტული პროდუქტი. უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომელი კომპანიის მიერ იქნა საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილი ესა თუ ის პროდუქტი. გლობალიზაციის პირობებში მოხმარებლისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს სახლიდან გაუსვლელად მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ამა თუ იმ პროდუქტის შეძენა, ან რაიმე ფინანსური ოპერაციის განხორციელება. ეს კი უაღრესად მოხერხებულია და ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ დადებით ასპექტს წარმოადგენს.

კულტურის გლობალიზაცია - გლობალიზაციის ზემოქმედება განსაკუთრებით ნათლად ვლინდება კულტურის სფეროში. მსოფლიო ერებსა და ეროვნებებს შორის კულტურული განსხვავებები მუდმივად მცირდება. ადგილი აქვს კულტურების დაახლოების პროცესს. ეს დაკავშირებულია როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კულტურასთან.

კულტურების დაახლოება და ურთიერთგამდიდრება, პოზიტიური და პროგრესული პროცესია. კულტურული გაუცხოების აღმოფხვრა ხალხთა შორის კონტაქტების მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც, თავის მხრივ, ამცირებს დაპირისპირებისა და კონფრონტაციის საფრთხეს. გარდა ამისა, გაცნობისა და მოქალაქეებს შორის კონტაქტების დამყარების სურვილი ადამიანებს ბუნებრივად ახასიათებთ. ამიტომ კულტურების დაახლოება და შერევა შეუქცევადი პროცესია და მისი შეჩერება შეუძლებელია [7].

---

6 O'Rourke, Kevin; Williamson, Jeffrey. 2002. "When did globalisation begin?". European Review of Economic History

7 Giddens, Anthony. 1990. The Consequences of Modernity. Cambridge: Polity Press

გლობალიზაცია, როგორც საფრთხე

პოლიტიკის გლობალიზაცია. პოლიტიკის გლობალიზაცია, როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოების როლისა და მნიშვნელობის შემცირებაში ვლინდება. იმ მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო ყოველთვის კანონთან და წესრიგთან იყო ასოცირებული, ხოლო სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათს განაპირობებდა, სახელმწიფო ინსტიტუტების როლის შესუსტება ბევრმა სტაბილურობის საფრთხედ აღიქვა. არსებობს შიში, რომ სახელმწიფოების როლის დაქვეითება გამოიწვევს ქაოსს და ანარქიას და მსოფლიო პოლიტიკური პროცესები უმართავი გახდება. სხვადასხვა მეცნიერები კი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკის გლობალიზაცია რეალურად გამოიწვევს პატარა ქვეყნების „ჩაყლაპვას“ დიდი სახელმწიფოების მიერ და მათ სრულ დაქვემდებარებას ზესახელმწიფოებზე და საერთაშორისო ორგანიზაციებზე (სადაც წამყვან როლს სწორედ დიდი ქვეყნები ასრულებენ).

პოლიტიკის გლობალიზაცია განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება იმ ქვეყნებში, რომლებმაც ეროვნული სუვერენიტეტი არც თუ ისე დიდი ხნის წინ მოიპოვეს. საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს არსებობა და მისი დამოუკიდებლობა ის უზენაესი ღირებულებაა, რომლის დასაცავად და შესანარჩუნებლად მილიონობით ადამიანი საუკუნეების მანძილზე აწარმოებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. შესაბამისად, კონკრეტული ქვეყნების მოქალაქეები მათი სახელმწიფოს როლის შესუსტებას და მით უმეტეს, გაქრობას, უდიდეს ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნევენ და ერის ყოფნა-არყოფნასთან აიგივებენ. სწორედ ამ მიზეზის გამო გასაგებია, თუ რატომ მიაჩნიათ ცალკეულ ხალხებს გლობალიზაცია დიდ საფრთხედ.

ეკონომიკის გლობალიზაცია. მთავარი საფრთხე, რომელიც ეკონომიკის გლობალიზაციას უკავშირდება, არის ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ეროვნული ეკონომიკების შევიწროება და თანდათანობითი გამოდევნა ბაზრიდან (განსაკუთრებით პატარა და ეკონომიკურად სუსტ სახელმწიფოებში).

გლობალიზაციის პირობებში უძლიერეს ტრანსნაციონალურ კორპორაციებში და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შექმნილ პროდუქციას მსოფლიო ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ წარმოებული სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს. აღნიშნულის შედეგია ის, რომ განვითარებად და პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში (ხოლო ზოგჯერ განვითარებულ ქვეყნებშიც) ათასობით საწარმო იძულებულია დაიხუროს, ხოლო მილიონობით ადამიანი უმუშევარი რჩება. ბაზარი გაჯერებულია უცხოური საქონლით, რომელიც სულ უფრო მეტად ავიწროებს ადგილობრივ პროდუქტს. ეროვნული ეკონომიკა კრიზისს განიცდის და სახელმწიფოს შემოსავლები მცირდება. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო იძულებული ხდება, გაატაროს პროტექციონისტური პოლიტიკა, რათა დაიცვას საკუთარი ეკონომიკა (გამოყოს სუბსიდიები ადგილობრივი წარმოების წასახალისებლად, ხოლო უცხოურ საქონელზე დააწესოს კვოტები და მაღალი ტარიფები, გაზარდოს საბაჟო გადასახადი და ა.შ.). ეს კი, თავის მხრივ, მომხმარებელს არჩევანს უზღუდავს.

ეკონომიკის გლობალიზაციის თანმდევი მოვლენაა სამუშაო ძალის ინტენსიური მიგრაცია, რაც სერიოზულ გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ემიგრაციის ქვეყნების ნაწილი (განსაკუთრებით პოსტსოციალისტური სახელმწიფოები) კვალიფიციური სამუშაო ძალის გარეშე რჩება და, ამასთანავე, ირღვევა მოსახლეობის ნორმალური სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რაც სერიოზულ დემოგრაფიულ და სოციალურ პრობლემებს წარმოშობს. იმიგრაციის ქვეყნებში კი, გარდა იმისა, რომ პრობლემა ექმნება ადგილობრივ მუშახელს, სხვა ქვეყნის მოქალაქეების ჩასვლა ცვლილებას ახდენს რასობრივ-ეთნიკურ შემადგენლობაზე, რაც ქსენოფობიისა და კონფლიქტების გამოწვევისთვის ნაყოფიერ ნიადაგს წარმოშობს [8].

კულტურის გლობალიზაცია. კიდევ უფრო მტკივნეულად აღიქმება გლობალიზაცია კულტურის სფეროში. ეს პირველ რიგში უკავშირდება არადასავლური ცივილიზაციის ქვეყნებს, ანუ მთელს აზიას, აფრიკას, ლათინურ ამერიკას და ევროპის ნაწილსაც. დღევანდელ სამყაროში გლობალიზაცია გაიგივებულია ვესტერნიზაციასთან - დასავლური კულტურის გავრცელებასთან. ძლიერდება შიში, რომ ეროვნული კულტურა ისპობა, იკარგება ტრადიციები, ხალხი ივიწყებს მამა-პაპურ წესებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს მშობლიურ ენას, ლიტერატურას, ფოლკლორს, მუსიკას, ხელოვნებას, ტრადიციულ კერძებს და ტანსაცმელს. ეს ყველაფერი იცვლება უეროვნებო, კოსმოპოლიტური, საერთო კულტურით, რომელიც დასავლური კულტურისა და ცხოვრების წესის გაბატონებასთან ასოცირდება. თვით დასავლეთის ქვეყნებშიც კი (ევროპის სახელმწიფოებში) არცთუ იშვიათად გამოხატავენ შეშფოთებას, რომ ტრადიციულ კულტურას ავიწროებს ამერიკული კულტურა და მიმდინარეობს კულტურის ამერიკანიზაციის პროცესი.

ბუნებრივია, არც ერთი ერისა თუ ეროვნების წარმომადგენელი არ იტყვის უარს საკუთარ კულტურაზე, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ კულტურული ტრადიციების ცვლა ხდება უმტკივნეულოდ, ნებაყოფლობით და ესა თუ ის ხალხი ისე შეუმჩნევლად იცვლის კულტურულ ღირებულებებს, რომ ვერც აცნობიერებს. შესაბამისად, ბევრი მეცნიერის აზრით, კულტურის ტრანსფორმაცია ლოგიკური, კანონზომიერი პროცესია და ამაში არანაირი საფრთხე და ტრაგედია არ უნდა დავინახოთ.

დასკვნა

საერთო ჯამში, გლობალიზაცია მთელ მსოფლიოში ხალხებს, კომპანიებსა და ქვეყნების ხელისუფლებებს შორის ურთიერთქმედებების პროცესს წარმოადგენს. გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებას მე-18 საუკუნიდან ჰქონდა ადგილი, რაც სატრანსპორტო და საკომუნიკაიო სფეროში არსებული მიღწევებით იყო გამოწვეული. გლობალური ურთიერთკავშირების ასეთმა ზრდამ საერთაშორისო ვაჭრობის, იდეების ურთიერთგაზიარების და კულტურებს შორის დაახლოების პროცესს შეუწყო ხელი. გლობალიზაცია - ეს გახლავთ პირველ რიგში ურთიერთქმედებებისა და ინტეგრაციის ეკონომიკური პროცესი, რომელიც სოციალურ და კულტურულ ასპექტებთანაა

8 დავითაშვილი ზურაბ, ელიზბარაშვილი ნოდარ. გლობალური გეოგრაფია. თსუ

დაკავშირებული. თუმცა ბევრი ექსპერტი მიდის დასკვნამდე, რომ ისტორიული და თანამედროვე გლობალიზაციის უმნიშვნელოვანეს ნაწილს დიპლომატიაც წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

- დავითაშვილი ზურაბ, ელიზბარაშვილი ნოდარ. გლობალური გეოგრაფია. თსუ
- ჩიტაძე, ნიკა. 2011. გეოპოლიტიკა. „უნივერსალი“
- Albrow, Martin; King, Elizabeth. 1990. Globalization, Knowledge and Society. London: Sage
- Giddens, Anthony. 1990. The Consequences of Modernity. Cambridge: Polity Press
- Held, David; Goldblatt, David; McGrew, Anthony; Perraton, Jonathan. 1999. Global Transformations. Cambridge: Polity Press
- O'Rourke, Kevin; Williamson, Jeffrey. 2002. "When did globalisation begin?". European Review of Economic History

საქართველო-იაპონიის ურთიერთობები და თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივები

პოლკოვნიკი მალხაზ ჯამურელი
თავდაცვის ძალების წვრთნებისა და
სამხედრო განათლების სარდლობის
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის
თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების
კურსის უფროსი ინსტრუქტორი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოსა და იაპონიის ურთიერთობები ისტორიულ და ორმხრივი თანამშრომლობის ჭრილში. ორი ქვეყნის ურთიერთობების დინამიკის გაცნობის შემდეგ, ნათელი ხდება თუ როგორ შეძლეს ამ ერებმა საერთო საფრთხეების, ინტერესებისა და ფასეულობების არსებობის პირობებში, გადაელახათ გეოგრაფიული, ენობრივი, კულტურული, იდეოლოგიური დაბრკოლებები და საფუძველი ჩაეყარათ ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ ისეთი ურთიერთობებისთვის, როგორიც ამჟამად გააჩნია ორ თითქოსდა ერთი შეხედვით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ერს.

სტატიის მიზანს მხოლოდ აღნიშნულის ჩვენება კი არ წარმოადგენს, არამედ მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების წარმოჩენაც. ორი ქვეყნის თანამშრომლობის ფართო ჭრილში განხილვის ფონზე, აშკარად შესამჩნევია ურთიერთობების დაწყებისა და გაღრმავების აუცილებლობა სხვადასხვა მნიშვნელოვან სფეროში, მათ შორის თავდაცვა-უსაფრთხოების მიმართულებითაც, რადგან რეგიონული თუ გლობალური საფრთხეების წინაშე, ერთობლივად გამკლავების გარეშე წარმოუდგენელია საერთო ფასეულობების მქონე ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა მიმართულებებით წინსვლა.

საკვანძო სიტყვები:
გლობალური საფრთხეები, ეროვნული უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა,
საქართველო-იაპონიის ურთიერთობები, „იაპონიის კავკასიის ინიციატივა“

RELATIONS BETWEEN GEORGIA AND JAPAN AND COOPERATION PERSPECTIVES IN THE DEFENCE AND SECURITY SPHERE

COLONEL MALKHAZ JAMURELI
SENIOR INSTRUCTOR OF
COMMAND AND STAFF COLLEGE
OF TRAINING AND MILITARY EDUCATION
COMMAND OF DEFENCE FORCES

ABSTRACT

This article discusses Georgian and Japanese relations within a historical and bilateral frame of cooperation. Upon understanding the dynamics of relations between the two countries, it becomes apparent how these nations with existing common threats, interests and values have overcome geographical, linguistic, cultural and ideological barriers and have invested in building relations based on the mutual respect present between such seemingly dissimilar countries.

The aim of this article is not only to illustrate the above-mentioned aspects, but also to display perspectives for future cooperation. Given the broad context of cooperation between the two countries, the need for the establishment and development of relations in various important sectors, including defense and security, is obvious. In light of this, if nations with shared values cannot collaboratively handle regional and global threats, progress is highly unlikely to be achieved in significant spheres, such as political-military, trade, economy, culture, education and other directions.

KEYWORDS:
Global Threats, National Security, Foreign Policy, Georgia-Japan Relations, "Japan's Caucasus Initiative"

შესავალი

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქვეყნების, საქართველოსა და იაპონიის ინტერესები პირველად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გადაიკვეთა. ურთიერთკავშირის არარსებობის უმთავრესი მიზეზი არის გეოგრაფიული მდებარეობა და ის, რომ ორივე ქვეყანა ფოკუსირებული იყო საკუთარ ტერიტორიებზე და რეგიონებში მიმდინარე სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე.

ქართულ წყაროებში, ამომავალი მზის ქვეყნის შესახებ მონაცემები გვხვდება მე-17, მე-18 საუკუნეებში სულხან-საბა ორბელიანთან, ვახუშტი ბაგრატიონთან, იოანე ბაგრატიონთან და ვახტანგ VI-თან (ჯავახიშვილი 2014). თუმცა გასაგები მიზეზების გამო, ამ პერიოდიდან შემორჩენილი ცნობები ერთობ მწირია.

ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო ასპარეზზე იაპონიის აქტიური გამოჩენა უკავშირდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს, იმპერატორ მეიძის მმართველობის პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი რეფორმების შემდეგ (რასაც შემდგომში „მეიძის რესტავრაცია“ დაერქვა). ქვეყანამ მალევე აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ-კულტურულ სფეროებში და ანგარიშგასაწევი გლობალური მოთამაშის სახელის დამკვიდრება დაიწყო.

სწორედ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მაღლდება საქართველოში იაპონიის შესახებ ცნობადობა. იმ დროის ქართული პრესის პერიოდულ გამოცემებში, როგორებიც გახლდათ „მოამბე“, „ივერია“, „კავკასიონი“ და სხვა ჟურნალ-გაზეთები, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ამომავალი მზის ქვეყნის შიდა თუ საგარეო მოვლენების მიმოხილვას. იაპონიის შესახებ წერდნენ ისეთი გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა და ილია ჭავჭავაძე. ამავე პერიოდში აკაკი წერეთელმა და თედო რაზიკაშვილმა ლექსები და სტატიები მიუძღვნეს მას. ამომავალი მზის ქვეყნის რუსეთთან ომის თემატიკას ეხება ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატი „რუსეთ-იაპონიის ომი“, სადაც ნაჩვენებია საზღვაო ბრძოლის სცენა პორტ არტურთან. მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დროს, იაპონიას და იაპონელებს ლექსი მიუძღვნა გალაკტიონ ტაბიძემაც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნიკო ნიკოლაძის მიერ, ჯერ კიდევ 1894 წელს, ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური ნაშრომი „იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან“ და 1905 წელს წიგნის მაღაზია „ცოდნის“ მიერ გამოცემული ახალი ნაშრომი სათაურით „იაპონია - ძველი და ახალი შენიშვნები“, რომელშიც უცვლელად დაიბეჭდა 1894 წლის გამოცემა და დაერთო 1905 წლის ახალი შენიშვნები. აღნიშნულ ნაშრომებში ნ. ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებს შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, იაპონიის, ჩინეთის, კორეის, რუსეთის და რიგი ევროპული სახელმწიფოების ინტერესებზე იმ რეგიონში და კვალიფიციურ ანალიზს უკეთებს მიმდინარე მოვლენებს. აქვე, ის გადმოსცემს იმ სტრატეგიულ

მიზნებს, რაც რუსეთს ჰქონდა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში შორეულ აღმოსავლეთში (საუბარია წყნარ ოკეანეში საზღვაო-სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებაზე და იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებამდე დამაკავშირებელი, პრაქტიკულად ერთადერთი, სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე). ნ. ნიკოლაძე ასევე ავლენს ღრმა ცოდნას იაპონიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ის კარგად იცნობს მის მიზნებს და ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების მნიშვნელობას, მეიძის რესტავრაციის შემდგომ პერიოდში, რამაც ხელი შეუწყო იაპონიის განვითარებას და რეგიონულ და საერთაშორისო მოთამაშედ ჩამოყალიბებას. ავტორი აქვე კრიტიკულად აფასებს რუსეთის იმპერიაში არსებულ კორუფციას და რკინიგზის მაგისტრალის გაყვანისას, წინასწარი გათვლების არარსებობას (მისი მშენებლობა გაგრძელდა საბჭოთა პერიოდში და დაერქვა ბაიკალ-ამურის მაგისტრალი. ეს სწორედ ის სარკინიგზო მაგისტრალია, რომლის მანჯურიის ნაწილზე კონტროლის სანაცვლოდ, 1945 წელს სტალინმა რუზველტს თანხმობა განუცხადა იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართვაზე. სტალინის ულტიმატუმში ასევე შედიოდა კონტროლი ე.წ. კურილიის კუნძულებზე, რასაც იაპონია ჩრდილოეთის ტერიტორიებს უწოდებს). გარდა ამისა, ის ყურადღებას ამახვილებს რუსეთის ორმაგ სტანდარტებზე. კერძოდ, მეფის რუსეთმა ამომავალი მზის ქვეყანას ჩინეთის დაპყრობილი ტერიტორიის (მანჯურია) დათმობის ულტიმატუმი წაუყენა. თუმცა, რუსეთს თავად ჰქონდა გადაწყვეტილი მანჯურიის მითვისება (ნიკოლაძე 1905, 56 და 59-60). ამრიგად, ნიკო ნიკოლაძე გვთავაზობს ჩინეთ-იაპონიისა და რუსეთ-იაპონიის ომების სრულ ანალიზს.

რაც შეეხება გამოჩენილ ქართველ მწერლებს, რომლებმაც მე-19 საუკუნის დასაწყისში არაერთი ლექსი თუ სტატია მიუძღვნეს იაპონიას, აშკარად გამოირჩეოდნენ შორეული ქვეყნის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიებით, რადგან მან მსოფლიოს აჩვენა, რომ რუსეთი არ იყო დაუმარცხებელი, როგორც იმ დროს მსოფლიოს წარმოედგინა. ე.წ. პატარა სახელმწიფოს (ასე მოიხსენიებდა რუსეთის იმპერია იმ პერიოდში იაპონიას) მიერ დამარცხებულ რუსეთს მალევე შეექმნა პრობლემები და როგორც ცნობილია, რამდენიმეწლიანი შიდა არეულობებით და პირველი მსოფლიო ომით დასუსტებული იმპერია დაიშალა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გლობალური მასშტაბით მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებას საფუძველი დაუდო სწორედ იაპონიამ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ქართველი მწერლები, მხატვრები, საზოგადო მოღვაწეები და ზოგადად, საქართველოს მოსახლეობა სიმპათიით იყო გამსჭვალული რუსეთთან შედარებით ბევრად პატარა, მაგრამ ამაყი და მებრძოლი ერის მიმართ. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ საქართველოს პირველი ოკუპაცია განახორციელა, ათწლეულების მანძილზე მიმდინარეობდა განმათავისუფლებელი მოძრაობები. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს მე-20 საუკუნის დამდეგისთვის ბრძოლის ეს ჟინი ქართველებში განელდა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი არ გამქრალა. ხოლო რუსეთ-იაპონიის ომმა ეს მუხტი კიდევ უფრო გააღვივა.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს, ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც რიგითმა ქართველმა მებრძოლებმა ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინეს იაპონელებთან ბრძოლების დროს, რომ განცვიფრებული დატოვეს თავად ვაჟკაცობის ეტალონები და საბრძოლო

ხელოვნების უბადლო მცოდნე იაპონელები. ერთ-ერთი ასეთი ისტორია შემოგვინახა იაპონიის არმიის დაზვერვის უფროსის, გენერალი დოიჰარა კენძის ნაშრომმა სათაურით „რუსი მებრძოლი კავკასიიდან - ხევსური ხმლით“. ეს იაპონური და ქართული საბრძოლო ხელოვნებების დაპირისპირების დღემდე შემონახული იშვიათი ფაქტია, სადაც იაპონელმა მებრძოლებმა მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემდეგღა სძლიეს მოწინააღდეგეს. საუბარია ოთხ ხევსურ მებრძოლზე, რომლებმაც განსაკუთრებული თავგანწირვისა და მებრძოლი სულის დემონსტრირების გამო, გაოგნებული დატოვეს რიცხობრივად ბევრად აღმატებული იაპონელები და მათი მეთაურები. (კოკოშაშვილი 2019, 90-92).

ქართველების მონაწილეობა 1904-05 წლებში რუსეთ-იაპონიის ომში უდავოა, მაგრამ როგორც იაპონელი გენერლის ნაშრომის სათაურიდანაც კარგად ჩანს, რუსეთის იმპერიის ყველა წარმომადგენელი აღქმული იყო რუსად (ისევე, როგორც მოგვიანებით საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა). 4 ხევსური რუსეთ-იაპონიის ომში მოხვდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი კუნძულ სახალინზე გადასახლებულები იყვნენ მეფის რუსეთის მიერ, სადაც სასჯელს იხდიდნენ სამშობლოში ბოქაულის მკვლელობის გამო. აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იაპონიასთან რუსეთის იმპერიის ომში ქართველების უმრავლესობა (თუ იმ დროისთვის ისინი მეფის სამხედრო სამსახურში არ იმყოფებოდნენ) მოტყუებით მიჰყავდათ. მოტყუება კი იმაში მდგომარეობდა, რომ იმპერიის ჟანდარმები სუფრასთან იწვევდნენ ახალგაზრდა მამაკაცებს და ისინი, ვინც დაგებულ მახეში გაებმეოდნენ, ალკოჰოლურ სასმელში გარეული საძილე საშუალებებით გათიშვის შემდეგ, ხელფეხშეკრულები ფხიზლდებოდნენ შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ გზაზე.

ცნობილია, რომ იაპონელები კარგად იცნობდნენ საბჭოთა ძიუდოს მოჭიდავეთა შესაძლებლობებს, თუმცა ცოტამ თუ იცოდა, რომ იმ დროის მოჭიდავეების აბსოლუტური უმრავლესობა არა რუსები, არამედ ქართველები იყვნენ და მათი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ქართული ტრადიციული ჭიდაობის (რომელიც ჰგავს ძიუდოს) ილეთების გამოყენება იყო. რუსეთ-იაპონიის ომის ერთი საინტერესო და ამავდროულად, სახალისო ისტორია არის შემონახული სპორტული გაზეთების ფურცლებზე, რომელიც ძიუდოს ეხება, სადაც ვკითხულობთ ვინმე რაჭველ სპირიდონ (კეჭოუკა) გოცირიძეზე, რომელიც ქუთაისში რუსმა ჟანდარმებმა, სხვა უამრავი მოტყუებული ქართველი ახალგაზრდის მსგავსად, ხელფეხშეკრული გაგზავნეს შორეულ აღმოსავლეთში რუსეთსა და იაპონიას შორის მიმდინარე ომში. კეჭოუკა პორტ არტურში გაამწესეს, სადაც ის რუსი გენერლის, ანატოლი სტესელის პირადი მზარეული გახდა. 1905 წლის 2 იანვარს (ძველი კალენდრით 1904 წლის 20 დეკემბერი), პორტ არტური ადმირალმა ჰეიჰაჩირო ტოგომ ბრძოლით აიღო და გენერალი სტესელის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით გამოცხადებული კაპიტულაციის მერე, მთელი გარნიზონი ტყვედ ჩაბარდა გამარჯვებულ მხარეს. ძიუდოს მოყვარულმა ადმირალმა გადაწყვიტა მოეწყო ტურნირი ჭიდაობაში, რა დროსაც თავი კეჭოუკას გამოუჩენია და იაპონელების ორი ფალავანი, მათ შორის ვაკაბაიაში ტარო დაუმარცხებია, რომელიც მოგვიანებით ამერიკის შეერთებულ შტატებში კოდოკანის (იაპონიაში ძიუდოს მთავარი სკოლა) სკოლის დამაარსებელი გახდა. ამ ყველაფრის

მოწმე ადმირალმა კეჭოუკასთვის ტოკიოში დასახლება და კოდოკანის პედაგოგობაც შესთავაზა, მაგრამ სპირიდონ გოცირიძემ უარი განაცხადა და სამშობლოში, საქართველოში დაბრუნდა. მოგვიანებით, 1933 წელს, ადმირალი ტოგო მემუარებში ამ ფაქტს ასე იხსენებს: "1904 წელს, პორტ არტურში მე პირადად ვიხილე კავკასიელი მებრძოლის საოცარი ილეთები და გამარჯვებისთვის ესოდენ საჭირო მედგარი სიჯიუტე" (ლაბაძე 2013).

რუსეთ-იაპონიის ომი საქართველოსთვის სხვა კუთხითაც არის საინტერესო. 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მხედართმთავრებისა და მაღალი რანგის ოფიცრების უმრავლესობამ ამ ომში მიიღო ეგრეთ წოდებული საბრძოლო ნათლობა. ცნობილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც შორეულ აღმოსავლეთში ომი გამოიარეს და შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოს ემსახურებოდნენ, იყვნენ: გიორგი მაზნიაშვილი, გიორგი კვინიტაძე, გიორგი ფურცელაძე, სტეფანე ახმეტელაშვილი, ილია ოდიშელიძე და სხვები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოლკოვნიკი სტეფანე ახმეტელაშვილი. რუსეთ-იაპონიის ომის დროს, იაპონიის სამხედრო ტყვეებისადმი მისმა ჰუმანურმა მოპყრობამ, რაც ნაკლებად დამახასიათებელი იყო იმ დროის ომების წარმოებისთვის (სამწუხაროდ დღესაც ვაწყდებით ამ პრობლემებს! მ.ჯამურელი), ადმირალ ჰეიჰაჩირო ტოგოს ყურადღება დაიმსახურა და პატივისცემის ნიშნად, როგორც ღირსეულ მოწინააღმდეგეს, სამურაის ხმალი გამოუგზავნა საჩუქრად (ეს ხმალი დღემდე ინახება სტეფანე ახმეტელაშვილის შთამომავლების ოჯახში). მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტოგო ჰეიჰეჩირო, რომელიც გარდა იმისა, რომ 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის გმირი იყო, მოგვიანებით, 1914-1924 წლებში, მომავალი იმპერატორის ჰიროჰიტოს აღმზრდელი გახდა.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, რუსეთ-იაპონიას შორის გართულებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ და გარდაუვალმა ომმა, იაპონიის ხელისუფლებისგან აქტიური მოქმედებების განხორციელება მოითხოვა, რაც უპირველეს ყოვლისა, რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირერიცხოვანი ერების ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების გაღვივებაში აისახა. აღნიშნული კუთხით, იაპონიის სამხედრო დაზვერვის მთავარი სამიზნეები გახდნენ საქართველო, პოლონეთი და ფინეთი. ამ ჩანაფიქრის ორგანიზება და განხორციელება იაპონიის სამხედრო ატაშეს სანქტ-პეტერბურგში, იაპონიის ტოტალური შპიონაჟის (ეს იყო მასშტაბური შპიონაჟის მსოფლიოში პირველი პრეცენდენტი) ერთ-ერთ პრაქტიკულ განმახორციელებელს, პოლკოვნიკ მოტომირო აკაშის დაევალა, რომლის უშუალო დაფინანსების შედეგად, საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მიზნით, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრების მიერ 1905 წლის სექტემბერში, გემით „სირიუსი" მოხდა იარაღის შემოტანა ფოთის პორტში. აღსანიშნავია, რომ ამ ოპერაციას, პოლკოვნიკ აკაშისთან მჭიდრო თანამშრომლობით, ორგანიზება გაუკეთა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი დეკანოზიშვილმა (შველიძე და გაფრინდაშვილი 2010, 77-78 და 114-117). რადიკალურ ძალთა კონსოლიდაციის მიზნით, იაპონიის დაზვერვამ ორჯერ დააფინანსა იმპერიაში შემავალ ერთა პოლიტიკური ოპოზიციის ყრილობა ევროპაში - პარიზში 1904 წელს და ჟენევაში 1905

წელს (Pavlov 1993). ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ტოტალური შპიონაჟის სტრატეგიამ მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა იაპონიას 1904-1905 წლების ომში. აქვე აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ იაპონელებთან თანამშრომლობას ქართველებისთვისაც მაღალი მიზანი გააჩნდა, რაც რუსეთის იმპერიის კლანჭებისგან თავის დაღწევას და თავისუფლების მოპოვებას წარმოადგენდა.

საქართველო-იაპონიის ურთიერთობები რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგაც გრძელდებოდა და ამომავალი მზის ქვეყანამ 1921 წლის 27 იანვარს დე-ფაქტოდ აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ანტანტის სხვა ქვეყნებთან ერთად. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, დევნილობაში მყოფი სამხედრო და პოლიტიკური პირები გარკვეულ ურთიერთობებს ამყარებდნენ იაპონიის ოფიციალურ წარმომადგენლებთან. მაგალითისთვის: გენერალ გიორგი კვინიტაძეს 1933 წლიდან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჯერ იაპონიის სამხედრო ატაშესთან თურქეთში, ვიცე-პოლკოვნიკ მასატანე კანდასთან, ხოლო მოგვიანებით - გერმანიაში იაპონიის სამხედრო ატაშესთან, ვიცე-პოლკოვნიკ შიგეკი უსუისთან. გენერალი კვინიტაძის გარდა, აღნიშნულ სამხედრო ატაშეებთან და ზოგადად იაპონიის საელჩოებთან პარიზში, ბერლინსა და სტამბოლში ურთიერთობებს ინარჩუნებდნენ სპირიდონ კედია, მიხაკო წერეთელი, ალექსანდრე მანველიშვილი, შალვა ქარუმიძე (ამ უკანასკნელმა გერმანიაში დააარსა ქართველ ნაციონალისტთა კავშირი და იაპონიის მთავრობის დაფინანსებით გამოსცემდა ჟურნალ „კლდეს“)[1].

აღსანიშნავია, რომ 1920 წლიდან, პოლონეთის მარშლის იუზეფ პილსუცკის ინიციატივით შეიქმნა გეოპოლიტიკური მოდელი „ინტერმარიუმი“, რომელიც ითვალისწინებდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსად ჩამოყალიბებას, რუსეთის აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით. პილსუცკის სურვილი ჰქონდა ამ გაერთიანებაში საქართველოსაც მიეღო მონაწილეობა, თუმცა პროექტი ვერ განხორციელდა. მაგრამ ამ მიმართულებით ქართველთა აქტიურობა გამოიხატა ეგრეთ წოდებულ პრომეთეულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებით. „პრომეთეული მოძრაობა“ გულისხმობდა რუსეთის იმპერიის ირგვლივ ანტირუსული რკალის შექმნას (იგივე შეკავების დოქტრინა, რაც მოგვიანებით „ცივი ომის“ დროს განხორციელდა). ხსენებული მოძრაობის ფინანსურ მხარეს ნაწილობრივ იაპონიის ხელისუფლება უზრუნველყოფდა.

ამრიგად, „მეიძის რესტავრაციის“ შემდგომი პერიოდიდან 1930-იანი წლების მეორე ნახევრამდე იაპონია სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს და აქტიურობას ინარჩუნებდა კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამომავალი მზის ქვეყანა საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა 1933 წლამდე - საქართველოს მთავრობის ლეგაციის გაუქმებამდე.

1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1992 წლამდე ორ ქვეყანას შორის პირდაპირი ურთიერთობები არ არსებობდა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს, ქალაქ ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლებამ გახსნა იაპონელ ტყვეთა ბანაკი. სწორედ ამ ბანაკის ყოფილმა ტუსაღმა კინიჩი იოშიდამ აღწერა ქუთაისში ტყვედ გატარების პერიოდი, 1949 წელს გამოცემულ წიგნში „საბჭოთა კავშირის შთაბეჭდილებები“ (სამწუხაროდ ეს წიგნი,

1 (Kuromiya and Mamoulia 2016, 140 და 145-146)

ისევე, როგორც სხვა მრავალი მასალა, რაც საქართველოს და/ან იაპონია-საქართველოს ურთიერთობებს შეიძლება შეეხებოდეს, მხოლოდ იაპონიაში და მხოლოდ იაპონურ ენაზეა არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში თავმოყრილი და სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს არ იქნება ქართულენოვანი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი).

თითქმის 60-წლიანი პაუზის შემდეგ, 1992 წლის 3 აგვისტოს, საქართველოსა და იაპონიას შორის აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები. 2007 წლის თებერვალში ტოკიოში გაიხსნა საქართველოს საელჩო, ხოლო 2009 წლის იანვარში იაპონიამ გახსნა საელჩო თბილისში. საუკუნეზე მეტი ხნის წინ საფუძველჩაყრილმა ურთიერთობებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამჟამინდელი თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში, რომელიც საგრძნობლად არის გააქტიურებული და მოიცავს პოლიტიკურ, საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურულ, სავაჭრო-ეკონომიკურ, საინვესტიციო, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და ტურიზმის სფეროებს. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროები პერიოდულად ატარებენ პოლიტიკურ კონსულტაციებს (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო [სსსს] 2022). იაპონიასა და საქარველოს შორის ხორციელდება მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტები. 1999 წლიდან, სხვადასხვა დროს, იაპონიას ეწვია საქართველოს 4 პრეზიდენტი. საქართველოს კი სტუმრობდნენ იაპონიის პარლამენტის მაღალი დონის დელეგაციები. 2018 წლის სექტემბერში კი, სამხრეთ კავკასიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პირველად ეწვია იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ტარო კონო. ვიზიტის დროს მინისტრმა გააჟღერა „იაპონიის კავკასიის ინიციატივის“ შესახებ, რაც გულისხმობს ადამიანური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, აგრეთვე ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების საკითხებში იაპონიის მხარდაჭერას[2].

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ნოემბერში ამომავალი მზის ქვეყანას ოფიციალური ვიზიტით პირველად ეწვია საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის პირველ მემორანდუმს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ამ ფაქტისადმი მიძღვნილ სტატიაში მოყვანილია იაპონიის თავდაცვის მინისტრის, გენ ნაკატანის განცხადება:

„სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის იაპონიასთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მემორანდუმი პირველად საქართველოსთან გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად საქართველო და იაპონია თავდაცვის სისტემის განვითარების საკითხებზე ითანამშრომლებენ. მემორანდუმი ექსპერტთა გაცვლითი შეხვედრების ორგანიზებას, საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებში მონაწილეობას, სემინარების გამართვასა და მაღალი დონის ვიზიტების ორგანიზებას ითვალისწინებს.“ (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო [სთს] 2015).

2014-2017 წლებში იაპონიის მხარე მონაწილეობდა ნატოს ნდობის ფონდის ფარგლებში დემილიტარიზაციის პროექტში „საქართველო IV“, რომლის დროსაც სკრის ყოფილი სამხედრო საცავის ტერიტორია აუფეთქებელი საბრძოლო მასალებისგან გაიწმინდა. ხოლო 2010-2018 წლებში იაპონიის მთავრობამ დააფინანსა „ჰალო თრასთ“-

2 (Ministry of Foreign Affairs of Japan [MFAJ] 2018)

ის მიერ განაღმვითი სამუშაოებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა (4,760,411 აშშ დოლარი). ამას გარდა, იაპონიის მხარემ ნატოს თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ნდობის ფონდის ფარგლებში მნიშვნელოვანი ფინანსური კონტრიბუცია (23,595 ევრო) განახორციელა კიბერ ლაბორატორიის პროექტში.

იაპონია, დამკვირვებლის სტატუსით, საქართველოში პირველად მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო სამხედრო სწავლებაში „ღირსეული პარტნიორი 22“ („Noble Partner 22“).

იაპონიის თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ზემოთ ხსენებული მემორანდუმის აღსრულების გზები შესაძლებელია განვიხილოთ არა მხოლოდ ორმხრივი, არამედ, მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენების ჭრილში. მიუხედავად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ თავდაცვის სფეროში დაწესებული საერთაშორისო და ეროვნული შეზღუდვებისა, იაპონიას გააჩნია გლობალური მიზნები უსაფრთხოების მიმართულებით (ეროვნული შეზღუდვები ასახულია ქვეყნის კონსტიტუციის მე-9 მუხლში. იაპონიის ყოფილი პრემიერ მინისტრის, შინზო აბეს ადმინისტრაციის მიერ, ინიცირებული იყო კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის გადახედვის თაობაზე შიდა ეროვნული განხილვები. ამ ეტაპზე იაპონიის საზოგადოების უმრავლესობა მე-9 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვების მოხსნას არ ემხრობა, თუმცა პერიოდულად ამ საკითხზე იმართება საჯარო დისკუსიები სხვადასხვა ფორმატში). ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (იაპონია არის გაეროს მეორე უმსხვილესი დამფინანსებელი (აშშ-ის მერე) და აქტიურად არის ჩართული გაეროს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო და სხვა ღონისძიებებში). ბოლო, დაახლოებით, სამი ათწლეულის მანძილზე იაპონიის მთავრობა აქტიურად აფიქსირებს გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირების აუცილებლობას და სურვილს გამოთქვამს გახდეს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი. აღსანიშნავია, რომ 1999 წლიდან, სახელმწიფო და ოფიციალური ვიზიტების დროს, საქართვლოს მხრიდან მუდმივად ფიქსირდებოდა ტოკიოს ამ ინიციატივის და სურვილის მხარდაჭერა (MFAJ 2021).

ბოლო წლების მანძილზე, შავი ზღვის რეგიონში, განსაკუთრებით, საქართველოსა და უკრაინაში, იაპონიას შესამჩნევად აქვს გააქტიურებული თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში (დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარება, სავაჭრო-ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის და სხვა). ამ ეტაპზე, ოფიციალური ტოკიოს მხრიდან არ კეთდება განცხადებები სამხრეთ კავკასიაში, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ინიციატივებთან დაკავშირებით, მაგრამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან 2015 წელს მემორანდუმის გაფორმება იმაზე მიანიშნებს, რომ ორ ქვეყანას შორის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის მიმართულებით გაჩნდა ინტერესი. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ იაპონია განიხილავს სამხრეთ კავკასიას, როგორც უმნიშვნელოვანეს დამაკავშირებელს ევროპასა და აზიას შორის, ხოლო ზოგადად, შავი ზღვის რეგიონთან თანამშრომლობაზე საუბრისას, იაპონიის მხრიდან განსაკუთრებული ყურდღება მახვილდება სუამ-ის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა)

ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობაზე. სუამ-იაპონიის ფორმატის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს ქართული მხარეც (სსსს 2022). იაპონია რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სუამ-თან თანამშრომლობას, ამაზე ახალი ევროპის ცენტრის მკვლევარი, ალიონა გეტმანჩუკიც საუბრობს, თავის ნაშრომში „უკრაინა-იაპონია: როგორ დავიცვათ ეფექტური გლობალური პარტნიორობა?". ამავე ნაშრომში ალიონა გეტმანჩუკი აღნიშნავს, რომ უკრაინამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს და გააღრმაოს თანამშრომლობა იაპონიასთან „თავისუფალი და ღია ინდოეთ-წყნარი ოკეანის" („Free and Open Indo-Pacific" (FOIP)) სტრატეგიის ფარგლებში[3] .

აღნიშნული სტრატეგიის შესახებ პირველად 2016 წელს, იაპონიის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, შინზო აბემ კენიაში გააკეთა ოფიციალური განცხადება[4], რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მყისვე იქნა მხარდაჭერილი და ამ განცხადებიდან მალევე, 2017 წელს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტში გაჩნდა ახალი ტერმინი „ინდოეთ-წყნარი ოკეანე", რომელმაც პრაქტიკულად შეცვალა მანამდე არსებული - „აზია-წყნარი ოკეანე" (ზოგადად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის მრავალწლიანი თანამშრომლობის გამოცდილებას არა ერთი ქვეყანა სწავლობს და იყენებს იაპონიასთან თანამშრომლობის საწყის ეტაპზე თუ დაწყებული ურთიერთობების გაღრმავების პროცესში. ერთ-ერთი ასეთია უკრაინა). FOIP-ის ფარგლებში, იაპონია მზად არის ითანამშრომლოს არა მხოლოდ შორეული და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, არამედ ნებისმიერ ქვეყანასთან, რომელიც პატივს სცემს დემოკრატიულ პრინციპებს, ადამიანის უფლებებს, კანონის უზენაესობას და საერთაშორისო წესრიგს. სწორედ ასეთ პარტნიორად მიიჩნევს იაპონია საქართველოს, რაც არაერთხელ გაჟღერებულა ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებისგან სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრების დროს გაკეთებულ განცხადებებში. აღსანიშნავია, რომ „თავისუფალი და ღია ინდოეთ-წყნარი ოკეანის" სტრატეგიის განვითარების ფარგლებში იაპონიასთან თანამშრომლობის სურვილი დაფიქსირებული აქვს უკრაინას, რაზეც, რუსეთ-უკრაინის ომამდე, ორ ქვეყანას შორის აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

შინზო აბეს ადმინისტრაციის მსგავსად, იაპონიის ამჟამინდელი პრემიერის, კიშიდა ფუმიოს ადმინისტრაციაც ხაზს უსვამს „თავისუფალი და ღია ინდოეთ-წყნარი ოკეანის" სტრატეგიის მნიშვნელობას, განსაკუთრებით რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის ფონზე. ამის შესახებ 2022 წლის 10 ივნისს იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის (International Institute for Strategic Studies (IISS)) მიერ ორგანიზებულ უსაფრთხოების მე-19 სამიტზე სინგაპურში. სამიტზე სიტყვით გამოსვლის დროს, მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომლებიც მომდევნო 5 წლის განმავლობაში ქვეყნისთვის იქნება პრიორიტეტული. „თავისუფალი და ღია ინდოეთ-წყნარი ოკეანის" სტრატეგიის შემდეგ, პრიორიტეტების ჩამონათვალში შესულია: რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების საკითხებში იაპონიის როლის გაზრდა და ამისათვის ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების ფუნდამენტურად გაძლიერების აუცილებლობა;

3 (Getmanchuk 2021, 6)
4 (MFAJ 2019, 2)

გაეროს ფუნქციების გაძლიერება და მისი უშიშროების საბჭოს რეფორმა; საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში. (აღსანიშნავია, რომ სამიტს სიტყვით ასევე მიმართა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ) (Prime Minister of Japan and His Cabinet 2022).

როგორც უკვე ითქვა, ბოლო წლების მანძილზე, უკრაინასთან თანამშრომლობას იაპონია დიდ ყურადღებას აქცევს. ბევრ სხვა სფეროსთან ერთად, თანამშრომლობა შესამჩნევად ღრმავდება თავდაცვა-უსაფრთხოების მიმართულებითაც. რუსეთ-უკრაინის ომამდე იაპონიისა და უკრაინის თავდაცვის უწყებებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით ჰქონდათ დაწყებული თანამშრომლობა: IT სფერო და კიბერუსაფრთხოება; ბირთვული განიარაღება; ფუკუშიმას ატომურ რეაქტორზე ავარიის შემდეგ, იაპონიამ და უკრაინამ დაიწყეს ე.წ. ჩერნობილი-ფუკუშიმას ორმხრივი დიალოგი, რა დროსაც ორი მხარე უზიარებს ერთმანეთს გამოცდილებას და ატარებს ერთობლივ კვლევებს; რუსეთის შეჭრამდე უკრაინაში, იაპონია, დამკვირვებლების დონეზე, მონაწილეობდა ეუთოს სპეციალური მონიტორინგის მისიაში აღმოსავლეთ უკრაინაში.

ბევრი მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების მიუხედავად, რუსეთ-უკრაინის ომამდე, უკრაინის ცნობადობა იაპონიაში არ იყო სათანადო დონეზე და იაპონიის საზოგადოება ნაკლებად იცნობდა უკრაინას და უკრაინელებს, საქართველოსგან განსხვავებით. ამაში კი, უდიდეს როლს თამაშობდა და ახლაც თამაშობს, საქართველოს საელჩო ამომავალი მზის ქვეყანაში და განსაკუთრებით, ელჩი, რომელსაც პირადი კონტაქტების გარდა, სოციალური ქსელების გამოყენებით, საზოგადოების ყველა ფენამდე, იაპონურ ენაზე, ძალიან მარტივად და ეფექტურად მიაქვს ინფორმაცია საქართველოს შესახებ[5].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, აშშ-ისა და უკრაინის გარდა, სხვადასხვა სფეროში, მათ შორის თავდაცვა-უსაფრთხოების მიმართულებით, იაპონია აქტიურად თანამშრომლობს ისეთ ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან, რომლებიც საქართველოსთვისაც არიან მნიშვნელოვანი და სტარტეგიული პარტნიორები. ეს ორგანიზაციები და ქვეყნებია: ნატო, ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ეუთო, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ნორდიკული ქვეყნები და ასე შემდეგ).

იაპონია ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობებს განიხილავს, როგორც სხვადასხვა სფეროში გლობალურ და რეგიონულ პარტნიორებთან თანამშრომლობის მნიშვნელოვან შესაძლებლობას (აშშ-თან, დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან და გერმანიასთან უკვე აქვს ღრმა და ყოვლისმომცველი ორმხრივი თანამშრომლობა). გარდა ამისა, ხსენებულ ორ ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა, შესაძლებლობას აძლევს იაპონიას, გაეროს გლობალური უსაფრთხოების ღონისძიებების გარდა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების ოპერაციებში (Galic 2021, 1-2). გლობალური უსაფრთხოების საკითხებში ამომავალი მზის ქვეყანა განსაკუთრებით მჭიდროდ თანამშრომლობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან. შესაბამისად, ნატოსთან მას უკვე გააჩნია მნიშვნელოვანი თანამშრომლობის მექანიზმები. კერძოდ, ქვეყანა ჩართულია

5 (Getmanchuk 15).

ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამაში (Individual Partnership and Cooperation Programme (IPCP)), ურთიერთთავსებადობის პლატფორმაში (Interoperability Platform (IP)) და აქტიურად მონაწილეობს ნატოს ნდობის ფონდებში. ნატოსთან თანამშრომლობის ერთი საფეხურით მაღლა აყვანის კონტექსტში, იაპონიის ანალიტიკურ-კვლევით ცენტრებში პერიოდულად განიხილავენ ნატოს გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორობის (Enhanced Opportunity Partnership (EOP)) პროგრამის საკითხებს და ამ მიმართულებით იაპონიის გააქტიურებას პროგნოზირებენ. აღსანიშნავია, რომ ამომავალი მზის ქვეყნის მხრიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პრემიერ-მინისტრმა ფუმიო კიშიდამ თავის 2022 წლის 15 ივნისის ოფიციალურ განცხადებაში, 29-30 ივნისს, ქ. მადრიდში (ესპანეთი) ნატოს სამიტში, ალიანსის დაარსებიდან პირველად, მისი მონაწილეობის შესახებ.

დასკვნა

როგორც სტატიიდან ნათლად გამოჩნდა, საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, საქართველოს და იაპონიის ურთიერთობები მკაფიოდ გამოხატული პოზიტიური დინამიკით მიმდინარეობს და თანამშრომლობის სულ უფრო მეტ და ახალ სფეროებს მოიცავს. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება დასახელდეს 2022 წლის 7 აპრილს ქალაქ ბრიუსელში გამართული ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ფარგლებში, საქართველოსა და იაპონიის საგარეო უწყებების ხელმძღვანელების ორმხრივი შეხვედრა, რომლის დროსაც გაჟღერდა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების საიუბილეო თარიღი (30 წლისთავი) კარგი შესაძლებლობაა თანამშრომლობის ახალი მიმართულებების განვითარებისთვის (MFAJ 2022) (ससस 2022). პოტენციური ახალი სფერო კი, რომელიც შეიძლება ორმა ქვეყანამ განავითაროს, სხვა სფეროებთან ერთად, არის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულება. მითუმეტეს, რომ ამისთვის წინაპირობებიც არსებობს, როგორც მხარეების დადებითი განწყობების, აგრეთვე სამართლებრივი საფუძვლების არსებობის მხრივ. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საერთო ფასეულობების მქონე სახელმწიფოებს მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდეთ ერთმანეთთან რეგიონული და გლობალური გამოწვევების დაძლევის კუთხით, რათა, სულ მცირე, მოხდეს ასეთი საფრთხეების შემცირება და პატარა ქვეყნებს (იგულისხმება განვითარებადი ქვეყნები) თანაბრად მიეცეთ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა მიმართულებით განვითარების შესაძლებლობა.

ისტორიული ფაქტების დროში განხილვისას, განსაკუთრებით, როდესაც ისინი ერებს შორის ურთიერთპატივისცემასა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეეხება, ჩნდება განცდა, რომ შემთხვევით არაფერი ხდება და რაც უფრო მნიშვნელოვანია, არაფერი ქრება უკვალოდ. ზუსტად ასე შეიძლება დახასიათდეს საქართველოსა და იაპონიის ურთიერთობების დაწყებიდან დღემდე განვითარებული მოვლენები. მე-19 საუკუნის ბოლოს, ორ ერს შორის პრაგმატული მოსაზრებებით დაწყებული თანამშრომლობა განვითარდა და 21-ე საუკუნისთვის, მეგობრულ ურთიერთობებში

გადაიზარდა. ამჟამად კი, საქართველო-იაპონიის ურთიერთობები ისეთი პოზიტიური დინამიკით ვითარდება, რომ ახალი მიმართულებებით თანამშრომლობის დაწყების შესაძლებლობას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

- კოკოშაშვილი, გიორგი. 2019. ქართული საბრძოლო ხელოვნება. თბილისი: წიგნი+ერი.
- ლაბაძე, მიხეილ. 2013. „შეხვედრა წარსულთან: კეჭოუკა გოცირიძე, კოდოკანის აღზრდილთა ღირსეული მეტოქე.“ ლელო. https://sportall.ge/sport/tcidaoba/dziudo/55386-shekhvedra-tsarsulthan-ketcouka-go-ciridze-kodokanis-aghzrdiltha-ghirseuli-metoqe.html
- ნიკოლაძე, ნიკო. 1905. იაპონია - ძველი და ახალი შენიშვნები. თბილისი: ცოდნა, №21.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2015. „პირველი თანამშრომლობის მემორანდუმი იაპონიასთან.“ 12 ნოემბერი 2015, თბილისი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. https://mod.gov.ge/ge/news/read/4333/pirveli%20TanamS-romlobis%20memorandumi%20iaponiasTan
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2022. „ილია დარჩიაშვილი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა.“ 7 აპრილი 2022, თბილისი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. https://mfa.gov.ge/News/ilia-darchi-ashvili-iaponiis-sagareo-saqmeta-minist.aspx?CatID=5
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2022. „ურთიერთობები საქართველოსა და იაპონიას შორის.“ 25 მაისი 2022, თბილისი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/Bilateral-Relations/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90.aspx
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2022. „ურთიერთობები საქართველოსა და იაპონიას შორის.“ 25 მაისი 2022, თბილისი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/Bilateral-Relations/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90.aspx
- შველიძე, დიმიტრი და გიორგი გაფრინდაშვილი. 2010. გიორგი დეკანოზიშვილი -მამულიშვილის დაბრუნება. თბილისი: უნივერსალი.
- ჯავახიშვილი, ნიკო. 2014. „ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალით.“ ისტორიანი, №6 (42), ივნისი, 2014, 12-19.
- Galic, Mirna. 2021. “Navigating by Sun and Compass Policy Brief Three: The Future of Japan-NATO Relations.” 15 January 2021. The Japanese Institute of International Affairs (JIIA). https://www.jiia.or.jp/en/column/2021/01/PDF/FINAL_Japan_NATO_Next_Steps_End_Notes_12320.pdf
- Getmanchuk, Alyona. 2021. „UKRAINE-JAPAN: HOW TO SECURE AN EFFECTIVE GLOBAL PARTNERSHIP?“ Kyiv: New Europe Center. http://neweurope.org.ua/wp-content/uploads/2021/02/Discussion-Paper-Ukraine-Ja-pan.pdf

- Getmanchuk, Alyona. 2021. „UKRAINE-JAPAN: HOW TO SECURE AN EFFECTIVE GLOBAL PARTNERSHIP?“ Kyiv: New Europe Center. http://neweurope.org.ua/wp-content/uploads/2021/02/Discussion-Paper-Ukraine-Ja-pan.pdf

- Kuromiya, Hiroaki and Georges Mamoulia. 2016. The Euroasian Triangle: Russia, Cau-

casus and Japan. Warsaw/Berlin: De Gruyter Open.
- Ministry of Foreign Affairs of Japan. 2018. "Japan-Georgia Foreign Ministers' Meeting." 4 September 2018. Tokyo: Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/erp/ca_c/ge/page6e_000136.html
- Ministry of Foreign Affairs of Japan. 2019. "Towards Free and Open Indo-Pacific." 19 November 2019. Tokyo: Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/files/000407643.pdf
- Ministry of Foreign Affairs of Japan. 2021. "Japan-Georgia Relations (Archives)." 17 December 2021. Tokyo: Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/region/europe/georgia/archives.html
- Ministry of Foreign Affairs of Japan. 2022. "Japan-Georgia Foreign Ministers' Meeting." 7 April 2022. Tokyo: Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/erp/ca_c/ge/page4e_001224.html#:~:text=The%20two%20ministers%20affirmed%20the,gratitude%20for%20Japan's%20strong%20support
- Pavlov, Dmitri B. 1993. Japanese Money and the Russian Revolution, 1904-1905. Hokkaido University: Collegivm Slavicvm Academiae Hokkaido.
- Prime Minister of Japan and His Cabinet. 2022. "Keynote Address by Prime Minister KISHIDA Fumio at the IISS Shangri-La Dialogue." 10 June 2022. Tokyo: Prime Minister of Japan and His Cabinet. https://japan.kantei.go.jp/101_kishida/statement/202206/_00002.html

ქალების როლი მშვიდობის მშენებლობისა და უსაფრთხოების სექტორში (სამოქალაქო და სამხედრო კომპონენტის თვალსაზრისით)

ვიცე-პოლკოვნიკი ბესიკ ჯაჯანიძე
კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პირველი კურსის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: მადონა გიორგაძე
კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,
ფილოლოგიის დოქტორი

აბსტრაქტი

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა, ძალთა ბალანსის ახლებურად გადანაწილებამ, მთელი სისასტიკით განახლებულმა ძველმა თუ ახალმა კონფლიქტებმა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ურთულესი პრობლემები წარმოშვა. სოციალური წინააღმდეგობები აისახა საზოგადოების ყველა ფენაზე, არნახულ მასშტაბებს მიაღწია გენედერული ნიშნით ძალადობის ფაქტებმა, რომელიც თანამედროვე საზოგადოების აქტუალური და გადაუჭრელი პრობლემა გახდა. ქართულ სინამდვილეში ვითარებას ართულებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, რომელიც კონფლიქტების დაწყების პარალელურად დაიწყო და დღემდე გრძელდება. ერთი მხრივ, იზრდება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის და ძალადობის ფაქტები, რაც ქალებს უფრო მოწყვლადსა და დაუცველს ხდის, მეორე მხრივ, კი, ომი და ომის შემდგომი პერიოდი ქალებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს და მათ პოტენციური გაძლიერების და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის საშუალებას აძლევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონფერენციის ფარგლებში, კვლევის მიზანია მოკლედ მიმოვიხილო ზოგადი ვითარება დასახელებული პრობლემის გარშემო და შესაბამისად, მოვახდინო საქართველოს უსაფრთხოების სექტორში ქალბატონების, განსაკუთრებით, კი თავდაცვის ძალების მშვიდობისმყოფელ ქალთა გამოცდილების გაანალიზება, რომელიც ეხება საბრძოლო ამოცანების შესრულებას, რომლის დროსაც მათ ხშირად უწევთ გენდერთან დაკავშირებულ უამრავ პრობლემასთან გამკლავება; არსებული საკანონმდებლო, ინსტიტუციური და უფლებრივი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე თანამედროვე გამოწვევების იდენტიფიცირება და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა აქტიურობის მიმართულებით მხარდაჭერა; პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შეფასებაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება.

ჩატარებული სამაგიდე კვლევა და სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ქალები, და მით უფრო კონფლიქტში დაზარალებული და მონაწილე ქალები, არიან არა მხოლოდ მსხვერპლნი, არამედ მათ შეუძლიათ წარმატებით მოირგონ მშვიდობისმყოფელების როლი და მათი სამარი გამოცდილება მნიშვნელოვანი სტიმულია სამხედრო კარიერისა და პროფესიული წინსვლისათვის.

ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკურ ამინდსა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში გლობალური უსაფრთხოების სექტორში მიმიდინარე პროცესები და ტენდეციები უდიდეს როლს თამაშობს, ამიტომ ზემოთხსენებული მოქმედებების პრევენციისა და რეაბილიტაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, მშვიდობის მშენებლობის პროცესში და სამშვიდობო ინიციატივებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამხედრო და სამოქალაქო ქალთა ჩართულობა და წახალისება, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს სამხედრო სფეროში მათ პროფესიულ წინსვლასა და გენდერული უთანასწორობის საკითხების დარეგულირებას.

საკვანძო სიტყვები:
გენდერი, თანასწორობა, სტერეოტიპი, უთანასწორობა, უსაფრთხოება, დისკრიმინაცია, პრევენცია.

THE ROLE OF WOMEN IN THE PEACEBUILDING AND SECURITY SECTOR (CIVILIAN AND MILITARY COMPONENT)

LIEUTENANT-COLONEL BESIK JAJANIDZE
FIRST YEAR DOCTORAL STUDENT AT THE FACULTY
OF INTERNATIONAL RELATIONS
CAUCASUS UNIVERSITY SCHOOL OF PUBLIC ADMINISTRATION
SUPERVISOR: MADONA GIORGADZE
VISITING LECTURER AT CAUCASUS UNIVERSITY,
DOCTOR OF PHILOLOGY

ABSTRACT

The events of the last decade of the twentieth century, the new redistribution of the balance of power, the renewed old or new conflicts with all their brutality, have created the most difficult problems of economic, social and political nature. Social contradictions have been reflected in all strata of society, the facts of gender-based violence have reached unprecedented proportions, which has become a topical and unresolved problem of modern society. In Georgian reality, the situation is especially complicated in the existing occupied territories, which appeared in parallel of the conflict which continues today. On one hand, the facts of gender discrimination and violence are increasing, which makes women more vulnerable, but on the other hand, the war and the post-war period are posing new challenges to women and enabling them to explore potential empowerment and new opportunities.

Based on the above, the aim of the conference is to briefly review the general situation around the named problem and, consequently, analyze the experience of women in the Georgian security sector, especially women peacekeepers in the defense forces; also I will Identify modern challenges based on the analysis of the current legislative, institutional and legal environment and support women's activism in the peacebuilding process; Find ways to solve problems and develop evaluation-based recommendations.

A desk survey and in-depth interview analysis reveals that women, and even more so women affected and involved in conflict, are not only victims, but they can successfully adapt to the role of peacekeepers, and their combat experience is an important stimulus for military career and professional advancement. Whereas processes and trends in the global security sector play a major role in the current global political climate and political processes in Georgia, therefore, in order to prevent and rehabilitate the previously mentioned discriminatory approaches, we consider the involvement and encouragement of military and civilian women in the peacebuilding process and peace initiatives vital, which will ultimately contribute to their professional advancement in the military and also eradicate gender discrimination and inequality.

KEYWORDS:
Gender, equality, stereotype, inequality, security, discrimination, prevention.

შესავალი

ისტორიულად ტრადიციულმა ქართულმა საზოგადოებამ სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ გრძელი და საინტერესო გზა განვლო. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, მთელი სისასტიკით განახლებულმა ძველმა თუ ახალმა კონფლიქტებმა, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ურთულესი პრობლემები წარმოშვა. სოციალური წინააღმდეგობები საზოგადოების ყველა ფენაზე აისახა. არნახულ მასშტაბებს მიაღწია გენედერული ნიშნით ძალადობის ფაქტებმა, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების აქტუალური და გადაუჭრელი პრობლემა გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის საკითხი ცენტრალურ ადგილს იკავებს გლობალური პოლიტიკის შემუშავების, მშვიდობის მშენებლობისა და უსაფრთხოების კონტექსტში, ძალადობის მთავარ მსხვერპლად კვლავაც ქალი რჩება, რომელიც პრაქტიკულად ვერ ახერხებს საკუთარი უფლებების დაცვას. ძალადობა ქალების მიმართ, როგორც გლობალური პრობლემა, არსებობას განაგრძობს და მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის პრობლემა არ არის. ფილოსოფიურ წრეებში შრომითი უთანასწორობის საფუძვლად ოჯახი სახელდება, სადაც არ ხდება შრომის თანაბარი განაწილება, უთანასწორობის კასკადი გრძელდება სამსახურებშიც. ჯონ როულსის სამართლიანობის თეორიის მეორე პრინციპის მიხედვით „თანამდებობები ღია უნდა იყოს ყველასათვის“ არ არის იდეალური, რადგან თანამდებობები ფორმალურად ღია ყველასათვის, მაგრამ პოლიტიკური თავისუფლების რეალობაში გატარების დროს თავისთავად იქმნება უთანასწორობა.[1]

საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ძალადობას არ გააჩნია კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური თუ ტერიტორიული საზღვრები. ძალადობა არა მარტო ოჯახებში, არამედ საზოგადოების თვალწინ, დაუფარავად მიმდინარეობს დროში და სივრცეში.

ბოლო პერიოდის წარმატებული საკანონმდებლო გარანტიების მიუხედავად, რომელთა მიღებაც საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებით არის ნაკარნახევი, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა მაინც არ არის სახარბიელო, კვლავ გვხვდება სხვადასხვა ხასიათის ძალადობის, დისკრიმინაციისა და შევიწროების ფაქტები.

ქართულ სინამდვილეში ვითარებას ართულებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, რომელიც კონფლიქტების პარალელურად დაიწყო და დღემდე გრძელდება. ერთი მხრივ, იზრდება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის და ძალადობის ფაქტები, რაც ქალებს უფრო მოწყვლადსა და დაუცველს ხდის, მეორე მხრივ, ომი და ომის შემდგომი პერიოდი ქალებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს და მათ პოტენციური გაძლიერებისა და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის საშუალებას აძლევს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ქალთა უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი სურათის ჩვენება; უსაფრთხოების სექტორში ქალბატონების, განსაკუთრებით, თავდაცვის ძალების მშვიდობისმყოფელ ქალთა გამოცდილების გაანალიზება, რაც საბრძოლო ამოცანების შესრულებას ეხება, რადგან მათ ხშირად უწევთ გენდერთან დაკავშირებულ უამრავ პრობლემასთან გამკლავება; არსებული საკანონმდებლო, ინსტიტუციური და უფლებრივი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე თანამედროვე გამოწვევების იდენტიფიცირება და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა აქტიურობის მიმართულებით მხარდაჭერა; პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შეფასებაზე დაფუძნებული რეკომენდაციების (ალტერნატივების) შემუშავება.

1 (Rawls, 1971).

ნაშრომის მეთოდოლოგიური ჩარჩო

დოკუმენტის მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდები, გაანალიზდა საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა, რადგან კვლევა მოითხოვდა თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების, საკანონმდებლო აქტების, პოლიტიკის დოკუმენტების, რეზოლუციების, ანგარიშების, კვლევების, ქართველი სამხედრო მშვიდობისმყოფელების, მშვიდობის მშენებლობის პროცესში და უსაფრთხოების სექტორში ჩართული პირების ინტერვიუების განხილვას.

კვლევის შედეგები

არსებული ლიტერატურის მიმოხილვამ და ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზმა ცხადჰყო, რომ სამხედრო მოსამსახურეებს ქვეყნის გარეთ სამშვიდობო მისიებში საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს, სამხედრო-სამოქალაქო ოპერაციების შესრულებისას, ხშირად უწევთ იმ პრობლემებთან გამკლავება, რომლებიც გენდერული ნიშნით ქალთა დისკრიმინაციით არის გამოწვეული.

გასაუბრების შედეგად (გასაუბრება შედგა თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების, მათ შორის, ერაყის, ავღანეთის, აფრიკის სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქალბატონებთან და მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებთან და ქვედანაყოფის მეთაურებთან, ასევე, შსს-ს რამდენიმე მოსამსახურესთან) გაირკვა, რომ მათში დიდწილად დისკომფორტს იწვევდა ის ფაქტი, რომ ქალები არ ასრულებდნენ საბრძოლო ამოცანებს, სამეთაურო რგოლში, ქვეითი ან მოტორიზირებული პატრულის დროს არ ეკავათ შესაბამისი თანამდებობა, ქალს ყველა უყურებდა როგორც სუსტ არსებას, მის ჩასმას თუნდაც ქვეით პატრულში შეიძლებოდა გამოეწვია უსაფრთხოების გარკვეული პრობლემები და საჭირო გამხდარიყო თვით ამ ქალბატონის დაცვა, რასაც უარყოფითი გავლენა ექნებოდა საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებაზე.

ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში, არსებობდა გარკვეული საყოფაცხოვრებო პრობლემებიც, მაგალითად, ცალკე აბანოების ან საპირფარეშოების. ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად კი მიიჩნევენ იმას, რომ ქართველი ქალები სამშვიდობო ოპერაციებში წარმოდგენილი იყვნენ მხოლოდ საშტაბო საქმიანობით: თარჯიმნებით, სამედიცინო პერსონალით, როდესაც, ქალბატონები სხვა ქვეყნებიდან წარმოდგენილნი იყვნენ ისეთი ვიწრო სპეციალობებით, როგორებიცაა: მძღოლი, გამნაღმველი, არტილერისტი, მექანიკოსი, აგრეთვე, სამეთაურო თანამდებობებზე. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დამახინჯებულ მენტალურ სტერეოტიპებთან ,,ქალი ვერ იქნება მეთაური, ქალი ვერ შეძლებს ლიდერობას, ქალი სუსტი სქესის წარმომადგენელია და სამხედრო სფერო კაცის საქმეა“. დასახელებული სტერეოტიპები, ბუნებრივია, იწვევს დისკრიმინაციას. რატომ არ შეიძლება, ქართველმა ქალბატონმა შეასრულოს იგივე საბრძოლო დავალება, რომელსაც ასრულებს ბრიტანელი ან ამერიკელი?

იყვნენ ისეთი ქალბატონებიც, რომლებსაც საბრძოლო ამოცანის შესრულება მამაკაცების მსგავსად შეეძლოთ, ისინი იყვნენ მჩხრეკავები, გადიოდნენ ქვეით პატრულში, თუმცა ასეთი შემთხვევები მაინც გამონაკლისი იყო. სურათი მცირეოდენით შეიცვალა ახალ თაობაში, რადგან ისინი შედარებით სხვა კუთხით უყურებენ ამ საკითხს.

რაც შეეხება შსს-ს წარმომადგენლებს, უფროს თაობას მიაჩნია, რომ ქალბატონებმა უნდა შეასრულონ მამაკაცებთან შედარებით მსუბუქი საქმიანობა, თუმცა მათთანაც შეინიშნება გარკვეული გამონაკლისები.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან არსებული მდგომარეობა. კვლევები ადასტურებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქალთა უფლებების დაცვის კუთხით მძიმე მდგომარეობაა, იქ არსებულ მდგომარეობაზე, პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება, თუმცა ეს არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. ისინი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან

და ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა, გამონახოს ყველა ბერკეტი, პირველ რიგში, საერთაშორისო თანამეგობრობის სახით და უზრუნველყოს მიზანმიმართული, ეფექტური პოლიტიკის წარმოება ქალთა უფლებების დაცვის კუთხით. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათშორისი სამთავრობო კომისია მუშაობს, რომელიც პერიოდულად წარადგენს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საზედამხედველო კომიტეტებში სახელმწიფო ანგარიშებს. აღნიშნულ ანგარიშებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოკუპირებულ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას.[2]

კვლევის მომზადების პროცესში გასაუბრება შედგა აფხაზეთიდან დევნილ ქალბატონ სამხედრო მოსამსახურეებთანაც. მათ შორის საინტერესოა პოლკოვნიკ მედეა ბეთაშვილის მოსაზრება, რომლის მამაც სეპარატისტებმა 1993 წელს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებთან ერთად დახვრიტეს. ამ ქალბატონს ვალდებულებადაც კი მიაჩნია კონფლიქტში დაზარალებული ქალების ჩართულობა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. მისი აზრით, მოლაპარაკების მაგიდასთან დიდი სიფრთხილით უნდა შეირჩეს მომლაპარაკებელი მამაკაცი ან ქალბატონი, რომელიც სწორი მიმართულებით წარმართავს სამშვიდობო პროცესს და მეტად არ დააზიანებს ურთიერთობებს. იგი აღნიშნავს: „ალბათ ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ქალი, უპირველეს ყოვლისა, არის დედა. შესაბამისად, დიდი სიფრთხილით ეკიდება კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება/გამწვავების საკითხებს. მისთვის ამოსავალი წერტილია თაობის გენოფონდის შენარჩუნება-გადარჩენა, ყოველთვის ფიქრობს მომავალზე, ფიქრობს რამდენიმე ნაბიჯით წინ - რას რა მოჰყვება და იქნება თუ არა მსხვერპლის გაღება კონკრეტულ მომენტში გამართლებული“.[3]

შეჯამების სახით, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ქალები, მით უფრო, კონფლიქტში დაზარალებული და მონაწილე ქალები, არიან არა მხოლოდ მსხვერპლნი, არამედ შეუძლიათ წარმატებით მოირგონ მშვიდობისმყოფელების როლი და მათი საომარი გამოცდილება მნიშვნელოვანი სტიმული გახდეს სამხედრო კარიერისა და პროფესიული წინსვლისათვის.

პრობლემების გადაჭრის გზები - რეკომენდაციები

თუ სიღრმისეულად გავიაზრებთ ამერიკელი სოციოლოგის, საერთაშორისო მშვიდობის პროფესორის ჯონ პოლ ლედერახის მშვიდობის მშენებლობის პირამიდას, აუცილებლად შევამჩნეთ, რომ ლედერახი მშვიდობის მშენებლობის სამივე დონეზე უარს ამბობს მშვიდობის დამყარების ტრადიციულ მოდელებზე და თამაშში შემოჰყავს კონფლიქტის ჰუმანოცენტრული ასპექტები, სადაც უდიდესი მისია შეიძლება აიღონ სწორედ „სუსტი სქესის“ აქტორებმა.[4]

საქართველოში ორი მოუგვარებელი კონფლიქტია - ქართულ-ოსური და ქართულ აფხაზური. ვინაიდან ეროვნული გეგმა ვერ პასუხობს სხვადასხვა რეგიონსა და სოფელში არსებულ გამოწვევებს, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფომ გაეროს 1325 რეზოლუციის შესაბამისად უნდა შეიმუშაოს გეგმა ლოკალურ, მუნიციპალიტეტის დონეზე. მიზანშეწონილია, განხორციელდეს სხვადასხვა სერვისებზე წვდომა, სახალხო დიპლომატიის ამოქმედება, საერთაშორისო ორგანიზაციების მასიური ჩართვა, რუსული პროპაგანდის საწინააღმდეგო საინფორმაციო ოპერაციების წარმოება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ქალების ჩართვა სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებასა და ქალთა სამშვიდობო ინიციატივების მხარდაჭერაში.

ქალები არ უნდა იყვნენ მხოლოდ კონფლიქტის მსხვერპლი, არამედ

2 (მჭედლიშვილი, 2021).
3 (ბეთაშვილი 2022).
4 (LEDERACH, 1997).

მნიშვნელოვანია, მიიღონ მონაწილეობა ამ კონფლიქტების დარეგულირების და აღმოფხვრის ღონისძიებებში. 1325-ე რეზოლუცია მკაფიოდ განსაზღვრავს ქალების როლს კონფლიქტების პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხებზე.[5]

UNSCR 1325 ამტკიცებს, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების წარმოების შედეგები უფრო მდგრადია, როდესაც ძალადობრივი კონფლიქტის თავიდან აცილების, მშვიდობის აღდგენის მცდელობისა და ხანგრძლივი შედეგების შენარჩუნებაში ქალები თანაბარუფლებიანი პარტნიორები არიან (რეზოლუცია 1325).

პარალელურად, უსაფრთხოების სექტორში რეფორმები უნდა განხორციელდეს გენდერული ასპექტების სრული ინტეგრაციის გათვალისწინებით. ქალთა შეხედულებების ჩართვა უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკის განსაზღვრის პროცესებში ხელს შეუწყობს უსაფრთხოების სექტორის მიმართ ქალთა განსაკუთრებული მიდგომების გაგებასა და აღქმას. უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, ქალები უნდა იყვნენ ჩართული ზედამხედველ ორგანოებში, როგორებიცაა: სამინისტროები, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტები, ადამიანის უფლებების კომისიები და ომბუცმენის ინსტიტუტებში, ასევე, საპარლამენტო უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტის მუშაობაში (Watson, 2019).

ქართველ სამხედროებს სამშვიდობო მისიების შესრულებისას ხშირად აქვთ შეხება გენდერულ პრობლემებთან. საბრძოლო ამოცანის შესრულება მოიცავს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას. ოპერაციის რაიონში ქალების, მამაკაცების, გოგონებისა და ბიჭების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებისა და როლის გაცნობიერება, უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო პირთა დაცვისა და მისიის უფრო ფართო მიზნების მისაღწევად.

სამშვიდობო მისიებში ქალების მონაწილეობის გაზრდის ყველაზე ხშირად დასაბუთებულ მიზეზს წარმოადგენს მოსახლეობასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება, რაც ამაღლებს ოპერატიულ ეფექტურობას. შერეული პატრული უკეთესად შეისწავლის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს. გარდა ამისა, თუ მამაკაცი სამხედროები მსახურობენ შერეულ ჯგუფებში, უფრო მეტად გრძნობენ ემპათიას. აგრეთვე, გარკვეული რეზოლუციების თანახმად, პატრულირებაში ჩართულ ქალებს ევალებათ სექსუალური ძალადობის შესახებ საჩივრების მიღება, რაც არ ევალებათ მამაკაცებს (კულტურა). ოპერატიული ეფექტურობის კიდევ ერთი არგუმენტია ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თვალში შერეული ჯგუფები უფრო ლეგიტიმურია.

რეკომენდაციების კუთხით საინტერესოა მოსაზრება პოლკოვნიკ ლაშა დავითაძისა, რომელიც ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში იყო სამშვიდობო ბატალიონის მეთაური, ასევე ხელმძღვანელობდა საგანმანათლებლო ქვედანაყოფს, და დიდი გამოცდილება აქვს მიღებული. მისი აზრით, უნდა გადაიხედოს ყველა საკანონმდებლო თუ დოქტრინული რეგულაცია, რომელიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ინტეგრირებას, როგორც საბრძოლო ოპერაციების ჩართულობაში, ასევე მათ სამეთაურო პოზიციებზე ინტეგრირებაში.

სწავლებების დროს ქალები ინტენსიურად უნდა ინტეგრირდნენ სამეთაურო პოზიციებზე. ასევე, ისინი აქტიურად უნდა წარგზავნონ სამხედრო საკარიერო სასწავლებლებში, მოქმედი მეთაურების მხრიდან წახალისდეს ყველა ინიციატივა, რომელსაც გამოიჩენენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, შემუშავდეს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს მენტორულ და აღმზრდელობით მიდგომას, რაც მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს საწყის ეტაპზე, სამეთაურო პოზიციებზე შექმენილი სირთულეებისა და გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება(დავითაძე, 2022).

დასკვნა

აუცილებელია, არსებული პრობლემების გადასაჭრელად გამოიკვეთოს სახელმწიფოს, საზოგადოების და ქალების გაზრდილი როლი გენდერული

5 (მარტინენი, 2019)

თანასწორობის დარეგულირების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში; განისაზღვროს სხვადასხვა კონფლიქტისა და საბრძოლო ოპერაციების დროს ქალების ჩართულობა როგორც ხანგძლივი სტაბილურობის მიღწევის ხელშემწყობი ბერკეტი; საქართველოში არსებული მდგომარეობის, გამოწვევებისა და გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში განხორციელდეს გენდერული ასპექტების სრული ინტეგრაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

- LEDERACH, JOHN PAUL. 1997. Sustainable Reconciliation in Divided Societies. Washington: UNITED STATES INSTITUTE OF PEACE PRESS.
- Rawls, John. 1971. A Theory of Justice.
- Russell. 1995. Social Theory and Practice. Florida State University Department of Philosophy. https://www.jstor.org/stable/23557194.
- UN Women. 2017. National Survey on Violence against Women in Georgia. UN Women. https://georgia.unwomen.org/sites.
- United Nations. 2000. "Resolution 1325." https://georgia.unwomen.org
- Debolena Rakshit, Ruth Levtov. 2020. Women, Men and Gender Equality in Georgia. Tbilisi:UNDP. https://promundoglobal.org/wp-content/uploads/2020/06/Men-Women-and-Gender-Relations-in-Georgia.GEO_.pdf.
- Council of Europe. 2017. Regional Survey on Women's Political Representation in Eastern Partnership Countries. The Council of Europe. https://rm.coe.int/regional-study-on-women-s-political-representation-in-the-eastern-part/16807419da.
- Council of Europe. 2017. Encourage the participation of the private sector and the media in the prevention of violence against women and domestic violence: Article 17 of the Istanbul Convention. The Council of Europe. https://rm.coe.int/-17-/16808d24c4.
- Watson, Calum. 2019. Defence and Gender. Geneva: UN WOMAN. https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/GSToolkit_Tool-3%20GEO.pdf.
- Consent, DRA. 2019. Reality seen through the eyes of a woman. Tbilisi: Consent, DRA. https://www.austausch.org/files/DRA/Fotos/Projekte/CSPGeo.pdf.
- Martinen, Henry. 2019. Security Sector Governance, Security Sector Reform and Gender. Geneva.https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/GSToolkit_Tool-1%20GEO.pdf.
- Mchedlishvili. 2021. "The Role of Women in the Peacebuilding Process on the Example of the Georgian-Abkhazian Conflict." Tbilisi.
- Betashvili Medea, Interview was conducted by Besik Jajanidze, 2022, Tbilisi, Georgia.
- Davitadze Lasha, Interview was conducted by Besik Jajanidze, 2022, Tbilisi, Georgia.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
ტელეფონი: +995 32 2 30 52 85
ტელეფონი: +995 5 77 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
ტირაჟი: 25

ISBN 978-9941-8-4586-4